

ლუარა სორდინ

გალაკტიონ ტაბიპის  
რეგიონის ცენტრის  
მერაბ პოსტავას  
შემოქმედებაში



გამომცემლობა „კიბერსაფი“  
თბილისი 2024

**რედაქტორი** ფილოლოგის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი, პედაგოგიკის  
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი  
**თამარ ბარბარაძე**

© ლ. სორიფა, 2024

გამომცემლობა „ენივერსალი”, 2024

---

თბილისი, 0186, ქ. აღლიძეს სახლი №4, ჟურნალის №4, ტელ: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-809-0

# სარჩევი

## თავი I

<b>ესთეტიკის საკითხები.....</b>	<b>5</b>
გალაკტიონი – მერაბ კოსტავას კუმირი .....	5
ქართული რენესანსის პრობლემა .....	16
ხელოვნების ფიქოლოგის ერთი ასპექტი .....	23
თრობის აპოლოგია .....	30
ოქროს, ძვირფასი თველების ძიება .....	33
სფეროთა პარმონია სფეროთა მუსიკა .....	35

## თავი II

<b>ქრისტიანული იდეალები.....</b>	<b>41</b>
საღვთო სიბრძნის იდეა .....	41
საღვთო სიყვარულის მსახურება .....	51
წმინდა გიორგის პარადიგმა .....	59
გრაალი–კაცობრიობის მარადიული იდეალი .....	66

## თავი III

<b>ფილოსოფიური ლირიკა .....</b>	<b>91</b>
„შავი წიგნის“ საიდუმლოება .....	91
გარდასხეულებისა და მოგონების თეორია .....	98

## თავი IV

<b>სახისმეტყველების საკითხები.....</b>	<b>107</b>
ზღვის, ოკეანის პარადიგმა .....	107
დემონ–სატანათა ციკლი .....	111
ქარიშხლის პირმშო .....	117
წითელ გრიგალთან დაპირისპირება .....	123
ქაჯის ალეგორია .....	132
ამირანის მოვლინება .....	136
მუხის სიმბოლო .....	139

<b>თავი V</b>	
<b>წინასწარმეტყველური ინტუიციით მომადლებული</b>	<b>146</b>
მომავლის თვალი გალაკტიონის პოეზიაში	146
ეპოქის ტრაგიკული მოვლენების წინაგრძნობა	170
სიკვდილის წინაგრძნობა	182
ქრისტიანული რწმენისკენ მიბრუნების წინასწარმეტყველება	187
საკუთარი პოეტური მომავლის განჭვრეტა	194
<b>წინათვამჭვრეტი და წინათმგრძნობი მერაბ კოსტავა</b>	<b>211</b>
<b>დასკვნა</b>	<b>230</b>

## თავი I

### ესთეტიკის საკითხები

#### გალაკტიონი – მერაბ კოსტავას კუმირი

მერაბ კოსტავა იყო არა მხოლოდ ეროვნული იდეალებისთვის ჯვარცმული „საღვთო ზვარაკი“, არამედ საკაცობრიო მასშტაბებში მოაზროვნე შემოქმედი, დიდი ესთეტიკი, მხატვრული სიტყვის ოსტატი. მის ფართო თვალსაწირში მოქცეულია რელიგიის, ფილოსოფიის ყველაზე არსებითი, აქტუალური პრობლემები, მოვლენები განჭვრეტილია უზენაესი სამართლიანობის გადასახედიდან.

ამ „ვაჟკაცობის დიდი მოძღვრის“ მსოფლმხედველობას ასაზრდოებდა უმაღლესი ზნეობა, საღვთო ეთიკა, საღვთო სიბრძნე და საღვთო სიყვარული.

მერაბ კოსტავას მხატვრული სიტყვა აღჭურვილია რელიგიის, ღვთისმეტყველების ფუნქციით, პოეზია დასახულია, როგორც სულინწმინდის მადლი, პოეტის მისიაა რწმენის, ზნეობის განმტკიცება, მიწის და ზეცის საიდუმლოებათა შეცნობა, ეროვნული და კოსმიური იდეალების დასმა გადაწყვეტასთან, საერთაშორისო არენაზე საკუთარი ერის ადგილის ძიებასთან ერთად.

პოეტი არის „ზეშთაგონებით გაბრძნობილი მოძღვარ-თმოძღვარი“, უმაღლესი მისანი.

მერაბ კოსტავას ყოვლისმომცველი ხედვა ერთმანეთისან არასოდეს თიშავდა გრძნობას და აზრს, გულს და გონებას.

პოეტის „გრძნობის ცეცხლზე“ მდებარე გონი საზღვრების მიღმა ილტვოდა, „ვულკანის სიმძაფრით“, „ეთერის ჰაეროვნებით“ ხასიათდებოდა.

მერაბ კოსტავას აზრით, ლექსი არის „აღძრული სასწაულითა, საღვთო ქორწილის მაყარი“ (ლექსი) (1,60-61).

სასწაული საღმრთო სახელია: „მოავლინე სასწაული და საოცრებანი ჩვენს შორის“ (ფს. 134/135,9) (2,669).

„სასწაულით აღძრული“, ანუ უზენაესისგან ჩაგონებული მხატვრული სიტყვა სულის უკვდავების, სასუფევლისკენ სავალი გზით მიემართება, რადგან „საღვთო ქორწილი“ არის სასუფევლი, სამოთხე, სულით სპეტაკულა სავანე...

„სამეფო ტიარით“ მოსილი ლექსი არის „სიკვდილის ზიარი, შავეთში გადანახედი“, ანუ მიღმურში მჭვრეტელი, „უსაზღვრობიდან მოსული“, „უსაზღვრობა“ კი საღვთო სახელია (იოანე დამასკელი) (3,334).

ლექსი „დემონურ ჭანგებთან“, ეშმაკულთან შეჭიდებული უძლეველი ძალაა, „უკმარობის ხანძარი“, ტანჯვა, რომელიც მოითხოვს სულის გაღებას (ლექსი) (1,60-61).

ჭეშმარიტი პოეტი სილავარდეში არწივივით ნავარდობს, ამასთან, ეამბორება მიწასაც (სულო, დაიცა) (1,40-42).

საღმრთო სიტყვა სამყაროს საცნაურმყოფელია, იცის „სამყაროს ენა, დროუამის ენა, ვარსკვლავთა ენა“.

პოეტის მისია „შეიცნოს თავი, უმაღლესი გახდეს მისანი“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,87-104).

დიდი პოეზიის მახასიათებელია ზღვა, ოკეანე (შეხვედრა) (1,56-58).

„აზრების რთველის“ მოწევას სჭირდება თვალი და გამორჩევა, რწმენა და ცოდნა: „რადგან თვალია გამორჩევის და სიბრძნის დედა, ის რწმენას ძლიერს შარავანდედს ცოდნისას ადგამს“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1, 87-104).

სრულყოფილი თვალი „ჭვრეტს მეუფებას ოქროს ტახტიანს“ (სულო დაიცა) (1,40-41).

ამასთან, წმინდა სულების მეგზურია „ხმა ზეციური“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,88), „უკვდავების ქნარის ხმა“, „ანგელოზთა უჩინარ ბაგით ნათქვამი ნანა“ (თეთრი ქალწული) (1,45).

„გულთა სმენა“ და „განსჯის წვდომა“ უზენაესისგან ხელდასხმულთ მიემადლებათ: „ხილვას დაგანძავს თვალთ მონაგარი და გულთა სმენას წვდომა განსჯისა, ყოველი არსი სად მონა არი უზეშთაესის მფეთქავ მაჯისა“ (სფინქსი) (1,76-77).

„აღმაფრენის ფრთებს“ შეისხამენ მხოლოდ „უკვდავების წყაროს“ (ლმერთის სახელია) ნაზიარები (შენ გევედრები სულით გლახაკი) (1,23).

მაღალთა და მაღლადმხედთა ხვედრია გაითავისონ „ზეციური გეომეტრია“, „ისტორია ცისა და მიწის“, „მსოფლიო კულტურების თანმიმდევრობა“, „ცნობიერების გრადაცია განუწყვეტელი“.

პოეტი არის „მთარგმანებელი, წამკითხველი ვარსკვლავთ ენისა, ჩამძიებელი და ამხსნელი ყოველგვარ ნიშნის.“

მთავარია „თვალთა ახელა, ახლად ხედვა, გონის თვალი“ (ბიბლიური რემინისცენციები).

რეზიუმესავით უდერს ყოველი დიდი შემოქმედისათვის აუცილებელი მოთხოვნა: „საქმეა იქცე მსოფლიო კაცად და არ უმუხთლო ერსა და თვისტომთ, ცის მაღალ ყელზე ვარსკვლავთა აცმას ჰმატო ზურმუხტი და ამეთვისტო“ (ტანჯვათა ტიტანი) (1,1620).

მერაბ კოსტავა ეთაყვანებოდა დიად, ამაღლებულ ადამიანებს, მარადიულ ფენომენებს, კაცობრიული აზრის გიგანტებს.

მის კუმირებში უპირველესი ადგილი ეკუთვნის გალაკტიონ ტაბიძეს.

არავის შეუღწევია ასე ღრმად „არტისტული ყვავილების“ ავტორის ურთულეს სამყაროში.

„ათასის მხედველობა“, „ასი ათასის სმენა“, „ათასის მზე“ ჰქონდა მიმადლებული პოეტების მეფეს და ჰიპერბოლად არ უნდა მოგვეჩვენოს მისი გაბედული განაცხადი: „და

ურუანტელით ისე, ვით ბავშვი, შენ საუკუნე გიცქერის ში-შით“...

მერაბ კოსატავას, როგორც თვითონაც არსთავანმრიგის რჩეულს, დაძლეული ჰქონდა პოეტური ტიტანის შიში, ის თავისუფლად ნავარდობდა გალაკტიონის პოეზიის ტალღებში და უცდომლად აგნებდა მის ფარულ, ჯერაც შეუმჩნეველ დინებებს, ისე სიღრმისეულად განჭვრეტდა „ლურჯა ცხენების“ ავტორის ენიგმური ლირიკის საიდუმლოებებს, რომ აშკარაა: ის ერთი იმათგანია, ვინც ამ გენიოსის სკოლა ძირიქესვიანად გაიარა.

ლექსში გალაკტიონი წარმოჩნდება არა როგორც მიწიერ თავადთა მეხოტბე, პოეტური არტელის ერთერთი წარმომადგენელი, არამედ როგორც სულინმინდისგან ხელდასხმული რელიგიური პოეტი, ზეციური ცეცხლითა და სალვთო ნათელით შემოსილი „სიტყვის ნათლისმცემელი“, რომელიც რწმენის, ეროვნულობის, ზოგადსაკაცობრიო იდეალების მსახურად მოავლინა უზენაესმა (გალაკტიონი) (1,144).

პოეტების მეფის გამორჩეულობას განაპირობებდა მის შემოქმედებაში დაუნებული სალვთო სიბრძნე, „სიბრძნის ერთი დარგის“ ერთგულება, რადგან სიბრძნე ღმერთია: „წყარო სიბრძნისა – უფალი“ (ბარუქ წინასწარმეტყველი, 3,12) (4,190).

„ღმერთი – სიბრძნეა – ყოველთა შემოქმედი“ (სიბრძნე სოლომონისა, 7,27) (5,24).

„სიბრძნე“ მხოლოდ „უბინო სულებს“ განამზადებს ღვთის მოყვარეებად და წინასწარმეტყველებად“ (სიბრძნე სოლომონისა, 7,21) (5,24).

ახალ ალთქმაში გარჩეულია „მიწიერი, მშვინვიერი, ეშმაკეული სიბრძნე“ და „მაღლიდან გარდმოვლენილი, წმინდა, მშვიდობიანი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და უთვალთმაქცო სიბრძნე“ (იაკობ მოციქული, 4,15,17) (2,298).

პავლე მოციქული გმობდა „წუთისოფლის სიბრძნეს“ და შეგვაგონებდა შეგვეცნო „ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებაში დაფარული“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 2,64) (2,358).

გალაკტიონი „ცრუ სიბრძნეს“ უპირისპირებდა „უკვდავ აზრის ბჭეს“ (უმშვენიერეს კიბეზე) (6,471).

მერაბ კოსტავა მიმართავდა დიდ პოეტს: „მზეთა ორგია გბანგავდა ძველი, მთვარის მაგიას არც შენ მიჰრიდე, ახა-ლუხლებსაც დაასხი ხელი, სიბრძნის იმ ერთ დარგს როს დაე-წინდე, ვითარცა მოსემ აღმართე გველი, ანაზდად ლურჯას მათრახი სწყვიტე, საასპარეზო უჩვენე ვრცელი“ (1,141).

„სიბრძნის ერთი დარგი“ საღვთო, უზენაესი სიბრძნეა.

„მზეთა ორგია“ და „მთვარის მაგია“ საღვთო შინაარსის სახეებია.

მზე საღვთო სიმბოლოა: „მზე და ფარია უფალი ღმერ-თი“ (ფს. 84,12) (2,612).

მთვარე უფლის მეტაფორაა სასულიერო სახისმეტყვე-ლებაში (7,124).

ლექსში ძალიან მიგნებულად არის ჩასმული ბიბლიური სპილენძის გველის ამბავი.

ბიბლიაში მოთხრობილია, რომ ღმერთმა ურჩი ებრაელე-ბი დააგესლინა გველებს. ისრაელიანებმა ამის შემდეგ შეინა-ნეს, ალიარეს დანაშაული, სთხოვეს თავიანთ წინამძღვრ მო-სეს, რათა შევედრებოდა მათთვის ღმერთს და ეხსნა შხამიანი გველებისგან. ღმერთმა აპატია ებრაელებს, მოსეს გააკეთები-ნა სპილენძის გველი და ჩამოაკიდებინა მაღალ ადგილზე. ქვეწარმავლებისგან დაკბენილი შეხედავდნენ ამ სპილენძის გველს, რომელიც შხამს ანეიტრალებდა და ასე ახერხებდნენ გადარჩენას (რიცხვ. 21,6-9) (5,157).

რა კავშირი აქვს ბიბლიის ამ ეპიზოდს გალაკტიონთან?

ხელისუფლება გალაკტიონს ავალდებულებდა საბჭოთა წყობილების საქებარი ლექსების წერას (რაც გადარჩენის ერ-თადერთი გზა იყო), შემდგომ „პრინციპული“ კრიტიკა კი ვერ

ჰპატიობდა ასეთ კომპრომისებს, მიზეზებს კი არავინ ულ-რმავდებოდა.

მერაბ კოსტავამ ამ საკითხს გამგები თვალით შეხედა, ასეთი ნიმუშები კეისართა საკადრის „თაღლით თვალად“ მონათლა, რომელთაც სპილენძის გველის (ანუ თავის გადარჩენის) ფუნქცია ეკისრებოდა, ზენაარის სთვის მიძღვნილ შედევრებს კი „თვალი პატიოსანი“ უწოდა: „...თაღლითი თვალი წარეც კეისარს, ზენაარს – თვალი პატიოსანი“.

მართლაც, გალაკტიონმა შეძლო სატანური, გველური, შხამიანი ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბიბლიურ მოსესავით აღემართა „სპილენძის გველი“ (შეკვეთით დაწერილი სახოტბო ლექსები), ვითომცდა „საბჭოთა სამოთხის“ (სინამდვილეში „ჯოჯოხეთური სამოთხის“) ამსახველი ნიმუშები, სხვაგვარად გარდუვალი იყო პოეტის სიცოცხლის ხელყოფა.

მერაბ კოსტავას გალაკტიონის ლირიკის მთავარ განმასხვავებლად, საღვთო სიბრძნესთან ერთად, მიაჩნია საღვთო სიყვარულის ერთგულება: „....ანაზღად ლურჯას მათრახი სწყვიტე, საასპარეზო უჩვენე ვრცელი, როცა გახელდი, მთლად აიწყვიტე, ახსენე ტრფობა უკანასკნელი, მღვრიე მშვენება უმალ დასწმინდე, მკვიდრად შეაბი ზეცას ქვესკნელი“ (1,145).

მართლაც, გალაკტიონის პოეზიის უმთავრესი პრობლემაა საღვთო ტრფობა, მისივე ტერმინებით, „ზექვეყნიური სიყვარული, მზიანი სიყვარული, სიყვარული უკანასკნელი, ტრფობა სრული“.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს პლატონის „ნადიმი“. პლატონი განასხვავებს მიწიერ და ციურ ეროსს. ეროტიკულ მისტერიათა საწყისი სტადია პირველი საფეხურია, რის შემდეგაც იწყება „სულის მშვენიერების“ უპირატესობის აღიარება, ზეციური მშვენიერების უკიდეგანო ოკეანის ჭვრეტა, როცა „გაბრძნობილი“ სული მიადგება... ერთადერთ ჭეშმარიტ მოძღვრებას... აბსოლუტური მშვენიერების შესახებ, როცა ხდება „მარადიული, ხელთუქმნელი, სულიერი მშვენიე-

რების“ აღქმა, რომელიც „წმინდაა, შეურყვნელი და შეურევ-ნელია კაცის ხორცით“ და არის „ერთსახოვანი ღვთაებრივი მშვენიერება“..., ანუ სიყვარულის უკანასკნელი, უმაღლესი საფეხური“ (8,17,60,63).

საღვთო სიყვარულის იდეა, „რელიგია სიყვარულისა“, ღაზელები (საღვთო სიბრძნე) ცნობილა აღმოსავლურ სუფიზ-მში (ჯალალ-ედ-დინ რუმი, იბნ ელ არაბი) (9,17).

საღმრთო სიყვარულის იდეას იზიარებდნენ და „საყვა-რელს“ – ქრისტეს ეთაყვანებოდნენ დავით გურამიშვილი, ვახტანგ VI, აკაკი წერეთელი.

ქრისტე აკაკი წერეთლისთვის იყო უმაღლესი სიყვარუ-ლი, „საყვარელი“ და „სულიკო“ ერთდროულად (9,106-117).

„პირველი სიყვარული“ ენოდება ღმერთს იოანეს გამოც-ხადებაში. ქრისტემ მიმართა ეფესელთა ეკლესიას: „შენ დაი-ვიწყე შენი პირველი სიყვარული“ (იოანეს გამოცხადება, 2,4) (2,492).

ახალი აღთქმის მიხედვით, „ღმერთი სიყვარულია“ (კა-თოლიკე ეპისტოლენი იოანესი, I,4,8).

მთავარია „რწმენა, სასოება და სიყვარული, ხოლო ამათში უმეტესი სიყვარულია“ (პავლე მოციქული, I კორინ-თელთა, 13,12,3,4).

ზვიად გამსახურდია სუფისტურ ასპექტში კითხულობდა რუსთველურ მიჯნურობას (10,10).

დანტემ სულიერ ზეცაში შეიცნო „სიყვარული სხვადას-ხვაგვარი“. პოეტს იზიდავდა „სიყვარული პირველი, სიყვარუ-ლი ღვთაებრივი, სიყვარული დაუშრეტელი, სიყვარული მის-ნური“ (11,328).

საღვთო სიყვარულის იდეა იკითხება რუსულ პოეზიაში (ვლ. სოლოვიოვი, ალ. ბლოკი) (12,102,145,168).

გალაკტიონმა მართებულად ირწმუნა, რომ „უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“ (ანუ უღმერთოდ). ამასთან, „იმ

საწყისებს, მიწიერს, ციურს“ პოეტი „შემოქმედების უინით“ ავსებდა“ (1,159).

მერაბ კოსტავას ლექსში „საღმრთო ტრფობა, სრულ-ქმნილი სიყვარული“ უძლეველი ძალაა: „ეგ საღმრთო ტრფობა თუ გაგიჯდა ძვალსა და რბილში, მაშინ სრულქმნილმან სიყვარულმან განდევნოს შიში“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,88).

„ლურჯა ცხენების“ ავტორი „სხვისთვის უხილავს ჭვრეტდა ეთერში“ (1,154). უხილავი ღმერთის სახელია...

განსაკუთრებული ინტუიცია, გულისა და გონების ძალა გალაკტიონს ანიჭებდა მხოლოდ ერთეულთათვის დამახასიათებელ უნარს – წინასწარ ეგრძნო, წინასწარ განეჭვრიტა მოსალოდნელი მოვლენები: „...ინტუიციით, განწონით მიზნის, წინათგამჭვრეტი და წინათმგრძნობი, პოეტის გული გულია მისნის“.

პოეტის რელიგიურობის დასტურია ინტერესი გრაალი-სადმი, ძვირფასი თასისადმი: „...რამეთუ გფერფლავს, ვითარ-ცა ალი, სიწრფელე გულთამხილავი თვალის, შეულწევლობა მონსალვატისა, მიუწვდომლობა წმინდა გრაალის“ (1,148).

„გრაალი არის სიმბოლო სულინმინდისა, ღვთისმშობლი-სა და გრაალის მფლობელი არის სულინმინდით გამსჭვალუ-ლი ადამიანი“ (13,134).

გალაკტიონის ტრაგიზმი ასხნილია ღმერთისუარმყოფე-ლი ეპოქის რწმენის გემების მსხვრევით: „როდემდე ზღვაში დამსხვრეულ გემის უიმედობის აფრა გვემოსოს“...

დრამას განაპირობებდა „ლირსთა მამათა წმინდა სავანის“ მდუმარება, „ჭაობზე უნოტიესი სულის“ მძლავრობა, რომელმაც ჯვარს აცვა უფალი, მაგრამ ეს ხელს ვერ უშლიდა პოეტს, ცაზე ისევ ეძებნა „ვარსკვლავი იგი – ფიქრთა საგანი“.

ვარსკვლავი საღმრთო სახელია. ქრისტე არის „ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავი“ (იოანეს გამოცხადება, 22,16) (2,52).

მერაბ კოსტავას ხიბლავს გალაკტიონის განუმეორებელი ენიგმები: სილაუვარდე, ანუ ვარდი სილაში, ივლისისფერი ყინვის თასები, ვარდისფერი და იისფერი თოვლის მშვენიერება.

ყურადღების სფეროში შემოდის „ჯვარცმული ელვის“, „ცეცხლოვანი აზარტეშის“ სახეები, რომლებიც მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოდ გვესახება „ალის თასის, სიხარულის ჭიქის“ პარალელურად (14, 129-193).

გალაკტიონის იდუმალ სამყაროში შესასვლელი უმთავრესი კარია მისი განუმეორებელი, რელიგიურ მსოფლმხედველობაზე მიმანიშნებელი სიმბოლურ-მეტაფორული სახეები...

მართებულია მიძღვნით ლექსში დიონისური და აპოლონური საწყისების დანახვა, ქვეცნობიერთან, დიონისესთან ერთად, აპოლონურის, კოსმიური ჰარმონიის ძიება.

მერაბ კოსტავას დაკვირვებით, როგორც სოკრატეს, გოეთეს სამყაროში, გალაკტიონის შემოქმედებაშიც მძლავრობდა „დემონი საანგელოზი“ – სიმბოლო გენიალობისა და „მაცდური დემონი“, ლუციფერი, როგორც ბოროტება.

მართლაც, დემონი ერთმნიშვნელოვანი ცნება არ არის გალაკტიონთან, იგი ხან გენიალობის, ხან ბოროტების სიმბოლოა.

გალაკტიონი, ლექსის ავტორის თქმით, იყო „შემმეცნებელი მეფისტოფელის“, ლოცვით, ლმერთის სასწაულის ძალით, ბოროტების გაკეთილშობილების, მისი შენდობის მთხოვნელი.

პოეტების მეფის შემოქმედების მთავარი მიზანი იყო „სულის წრთობა“, ერის ზიარება სიმაღლეებთან, მამულის გრძნობით ავსება, ეროვნული იდეოლოგიის სამსახური: „მამულის გრძნობით შენგან ავივსეთ, ვცანით ვით მადლის სულში ჩადგომა, მისი მაისი, მისი აპრილი, მისი მკათათვე და შემოდგომა“ (1,146).

ლექსში ხაზგასმულია „ჰადესში ჭვრეტის“ უნარი, „სულეთის სილრმის“ განცდა, რაც არ ახასიათებდათ არც ლადო

ასათიანს, არც ნიკო სამადაშვილს, არც გიორგი ლეონიძეს, აქ მხოლოდ „მემენტო მორის“ ავტორთან კეთდება პარალელი. გალაკტიონმა ახლებურად შეხედა სიკვდილის პრობლემას, „მესამე გზას“, რაც სულით სპეტაკულარულ სახლში დაბრუნებას, უკვდავებას გულისხმობს.

„არტისტული ყვავილების“ ავტორის გამორჩეულობას განაპირობებდა საღვთო მუსიკის, ზეციური მუსიკის, კოსმიური რიტმის მოსმენის და გათავისების უნარი, ნათელზოდვისა და ნათელსმენის ფენომენები...

სიტყვის ჯადოქარი ადამიანური შესაძლებლობების გაფართოებისთვის, საზღვრის მიღმა, სივრცეებს იქით, კოსმიურისკენ ისწრაფვოდა. ის თვით იყო გალაკტიკები, მესიური მასშტაბების, მაკროკოსმიური, ზოდიაქალურ ველებში გაჭრილი, ზესთასიმაღლეს ნაზიარები, სულის წრფობის, სულის განწმენდის, კათარსისის, რწმენის განტკიცების მისით მოვლინებული, „სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუციით“ გატაცებული.

გალაკტიონი სამყაროს საცნაურმყოფელია, სივრცეებს მიღმა მიმსწრაფი, თავად კოსმოსად სახელდებული: „...გაიერთსახე, რაიც დაჰყავი, როცა სამყარო საცნაურ ჰყავი, როს სულის წრთობას ხელი მიჰყავი, რადგან კოსმოსი თავად იყავი“ (1,159).

ადამიანი შექმნილია სახედ და ხატად ღვთისა, ღმერთმა იგი სულით დაიმსგავსა, ამიტომ მიწიერთა სული უკიდეგანოა და მთელი სამყაროს დამტევია: „ადამიანი არის მცირე ქვეყნიერება“ (წმინდა იოანე დამასკელი) (13,362).

პოეტურ პარნასს გალაკტიონი ქართული სულით მიეახლა.

როგორც ნოვატორმა და რეფორმატორმა, შორს გასწია მხატვრული სიტყვის შესაძლებლობები და რუსეთს, ევროპას გააცნო და დააწია ეროვნული პოეტური გონი.

„ლურჯა ცხენების“ ავტორის მახასიათებელია ამირანის შემართება, ყაზბეგის სიდიადე, ჩინარის სიმაღლე, მუხის ძლიერება და განმარტოებულობა.

„პოეტების მეფე“ წარმოგვიდგება, როგორც „ევერესტი-ვით ნისლმოხვეული“, ანუ თანამედროვეთათვის შეუცნობელი, მაკროკოსმიური არსება.

მერაბ კოსტავას გალაკტიონი ესახებოდა, როგორც „ჯა-დოქტორულ სიტყვის ალფა, ომეგა, საჭეთმპყრობელი და წარ-მმართველი“, „ქართული სიტყვის ოქრომჭედელი“, რუსთავე-ლის ჯუფთი“ გენია.

დავითწებული არ არის სატანური ხელისუფლების წვლი-ლი პოეტის თვითმკვლელობაში, „საქმენი ბარბაროსის“, რო-მელიც ვერ იგუებდა მაღალთ, მართალთ, რომელმაც გენიო-სის დაშინების და დათრგვუნვის მიზნით ციმბირში გადასახ-ლა პოეტის უდანაშაულო მეუღლე – ოლია ოკუჯავა.

ლექსში პოეტი სახელდებულია, როგორც „საქართვე-ლოს თვალის სინათლე“, რომლის უკიდეგანო, უსახლო სულ-მა დამსახურებულად დაიგანა სიმართლის მარადიულ სახლში: „შენ, საქართველოს თვალის სინათლევ, ხომ მოიპოვე, რაიც ინატრე, დაუსაბამო სახლი სიმართლის, მიუსაფართა თავშე-საფარი“ (გალაკტიონი) (1,161).

## დამოწმებანი

1. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“, თბ., 1990
2. ახალი ალთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992
3. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ., 2000
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I
5. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
6. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1982

7. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1996
8. პლატონი, ნადიმი, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის, თბ., 1964
9. აღმოსავლური პოეზია, თამაზ ჩხენკულის თარგმანი, თბ., 1964
10. ზეიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“, თბ., 1990
11. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ., 2012
12. მარადი დღე, თბ., 1987
13. ზეიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ., 1990
14. ლუარა სორდია, ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში, თბ., 2009

### **ქართული რენესანსის პრობლება**

გალაკტიონ ტაბიძე და მერაბ კოსტავა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ რენესანსზე, კერძოდ, ქართული და უცხოური რენესანსის პრობლემაზე.

ჯერ კიდევ 1926 წელს დაწერილ ლექსში „კოსმიური ორკესტრი“ გალაკტიონი მსოფლიო რენესანსის უპირველეს წარმომადგენლად არა დანტეს, არამედ რუსთაველს აღიარებდა (1,93).

„თვითშეცნობილი“ პოეტური გენია გალაკტიონი მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში რენესანსის გამოვლინებას ხედავდა და თავის შემოქმედებას მიიჩნევდა უმაღლესი სიტყვიერი ხელოვნების ნიმუშად.

აქცენტს აკეთებდა ალორძინების, განახლების, ცისკრის, განთიადის ტერმინებზე და ეს იყო სრულიად ობიექტური აზრი.

ამავე პრობლემას ეხებოდა გრიგოლ რობაქიძე 1913 წელს წერილში „ქართული რენესანსი“ და იმ წინააღმდეგობების დაძლევაზე საუბრობდა, რაც აუცილებელი იყო ქართული მხატვრული სიტყვის ახალ, უმაღლეს დონეზე ამაღლების-თვის.

გრიგოლ რობაქიძე ხაზს უსვამდა, რომ ქართული კულტურის განახლებისთვის აუცილებელი იყო აღმოსავლური და დასავლური კულტურების სინთეზირება: „საოცარია აღმოსავლეთი. მარტო ინდოეთი და სპარსეთი რად ღირს. საქართველოც ხომ ნატეხია აღმოსავლეთის და ჩვენ არ უნდა დაგვა-ვინყდეს ჩვენი აკვანი. ძვირფასია დასავლეთი ევროპა, მაგრამ ევროპისთვის აღმოსავლეთს ვერ დავთმობთ. უმჯობესი იქნება მათი ქორწილი ქართული ნადიმით გადავიხადოთ“.

გრიგოლ რობაქიძე იზიარებდა ისტორიკოსების მოსაზრებას, რომ ქართველთა უძველესი პირველსამშობლო ქალ-დეა იყო და თავის პოეტურ ფესვებს იქ ეძებდა.

მიიჩნევდა რა შოთა რუსთაველს აღმოსავლური რენესანსის გენიალურ წარმომადგენლად, იტალიური, დანტეს რენესანსის წინმსწრებად, გრიგოლ რობაქიძე რენესანსის ნიშნებს ხედავდა თავის თანამედროვე ლიტერატურაშიც (ჟრის სული და შემოქმედება). წერილი დაიბეჭდა 1913 წელს, 12 აპრილს, „სახალხო გაზეთში“ (2, 317).

ტიციან ტაბიძე გრიგოლ რობაქიძეს დანტეს გვერდით ახსენებდა.

დიდი ქართველი ფილოსოფოსი შალვა ნუცუბიძე მეცნიერულად ასაბუთებდა ფსევდო დიონისე არეოპაგელისა და ქართველი პეტრე იბერის იგივეობას, დასავლური რენესანსის საფუძვლად არეოპაგიტიკას (ქართველი პეტრე იბერის) მოსაზრებას აღიარებდა და საუბრობდა რუსთაველის რენესანსზე, რომელიც, მისი აზრით, წინმსწრები იყო ევროპული,

იტალიური რენესანსის და წარმოადგენდა დასავლურ-აღმო-სავლური სიბრძნის უმაღლეს სინთეზს.

1941 წელს გამოქვეყნდა შალვა ნუცუპიძის შეხედულება, რომელშიც წინა პლანზე იყო წამოწეული ევროპოცენტრიზმის კრიტიკა და მას უპირისპირდებოდა აღმოსავლური რენესანსი (3).

1947 წელს მეცნიერმა მსოფლიო რენესანსის მოთავედ აღმოსავლეთი, კერძოდ, შოთა რუსთაველი გამოაცხადა (4).

ქართველი მეცნიერის მოსაზრება გაზიარებულ იქნა ევროპაში (ჰონიგმანი), რუსეთში (ა. ლოსევი).

გალაკტიონის პოეზიაში ყურადღებას იქცევს ძიება მსოფლიოს ოთხივე კიდეს, ვლინდება პოლუსების ხილვის, „ყველა სიმის“ აუდერების, პარნასზე დამკვიდრების, პოეტურ გლობუსზე ახალი მერიდიანის გავლების სურვილი (ეფემერა) (1,30).

სიმბოლური აზროვნების დიდოსტატი „აღიონის“, „დილის ძის“, „დილის ცისკრის“ სახეებით გვეცხადება, აქცენტს უკეთებს თავის „ათასის მხედველობას“, „ორი მილიონი თვალებით“ მზერას, „ასი ათასის სმენას“.

ნათელშემოსილი, მზითშემოსილი, სიხარულშემოსილი პოეტი მთელ ძალისხმევას ავლენს, რათა მიაღწიოს „განახლებას“, „გათენებას“, „განათებას“, იპოვოს „აღდგომის კვალი“.

აშკარაა ადამიანთათვის დაწესებული საზღვრების შორს განევის, საერთაშორისო არენაზე დამკვიდრების, მსოფლიოს-თან, კოსმიურთან შეხმიანების სურვილი. მისი „ურთულესი ბრძოლის მიზანია საკაცობრიო იდეა“ (უმშვენიერეს კიბეზე) (5,471).

გალაკტიონმა ზედმიწევნით კარგად იცოდა მსოფლიო სიბრძნე, იყო ადეპტი საღვთო სიბრძნის, საღვთო სიყვარულის, მომადლებული ჰქონდა ნათელხილვისა და ნათელსმენის

ფენომენები და ბიბლიური წინასწარმეტყველებივით ჭვრეტდა მომავალს.

პოეტს ესმოდა „კოსმიური, ერთადერთი მძლავრი მუსიკა“, გვევლინებოდა, როგორც „მსოფლიო ორკესტრის დირიჟორი“, ავსებდა „უსაზღვრო და განსაზღვრულ მხარეთა იმედები“, მისი „საამქვეყნო“ და „საამსოფლო“ გზები ხასიათდებოდა დაუსრულებლობით.

გალაკტიონისთვის მთავარი იყო „გრძნობა... სიყვარულთა და გაზაფხულის სანახაობა“ (კოსმიური ორკესტრი).

სიყვარული საღვთო სახელია: „...ღმერთი სიყვარულია“ (კათოლიკე ეპისტოლები, I იოანესი, 4,8) (6,230).

გაზაფხული, ძველი ქართულით ზაფხული საღვთო სიმბოლოა: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფასალმუნი, 65,12) (6, 588).

გალაკტიონისთვის უპირველესია „სიყვარულის სიმღერა. ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი“ (ილიას მოტივი) (7,429) გალაკტიონის აზრით, ჭეშმარიტი კულტურა, უპირველესად, რელიგიური, ამასთან, ეროვნულ-ფილოსოფიური უნდა იყოს.

„კოსმიურ ორკესტრში“ ჩამოთვლილი არიან ბაირონია, ვერლენი, ბოდლერი, რემბო, გოტიე, ჰაფიზი, ედგარ პო.

განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება იტალიური რენესანსის გიგანტზე – დანტეზე. „...დანტე უკვდავებში არა მეათეა, მაგრამ დიდებაა მკრთალი ბეატრიჩე“, ანუ ლექსის ავტორის აზრით, დანტე უკვდავია, მაგრამ არა უპირველესი.

სრულიად განსაკუთრებულად აღიქმება შოთა რუსთაველის სახელი: „ყველა სახელებში მხოლოდ რუსთაველი იხსნის განსაკდელით მრავალ საუკუნეს, იგი ულევია და მზის ის თაველი, რომელს მონობისთვის გზა ვერ გაუღუნეს“.

მერე ქართული პოეზია მოიხსენებ „ჩვენობით“: „ვინ გაბედა სიტყვა ჩვენზე მეტი? შემახედეთ კიდევ იმის სახეს“. ყოველგვარი დაეჭვების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ „ჩვენ-

ში“, რუსთაველთან ერთად, გალაკტიონი საკუთარ თავს გულისხმობდა.

ლექსის მთავარი პაროლია „განახლება“.

„არტისტული ყვავილების“ ავტორს სამშობლო ესახებოდა, როგორც „მსოფლიო გზებზე სხივთა მფენელი“ (მარად მგზნებარე) (7,374).

ქართველი კლასიკოსების ექვსეულიდან (რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა) „ტიტანად“ მხოლოდ რუსთაველს მოიხსენებდა და აცხადებდა: „მსოფლიოს ნახევარი ჩვენია“.

ამასთან, თვითონაც, „მთებისა და ველების“ „ტიტანად“, გვეცნაურებოდა (ავრორა) (8,75-76).

გალაკტიონი აქცენტს აკეთებდა რუსთაველის „სიბრძნის ზღვაზე“, „ოქროს ხანაზე“ (შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად) (1,262-263), ასევე, თვითონაც „ლრმა სიბრძნით თვალნახელი“, „ოქროს ქნარის“, „უზარმაზარი მსოფლიო ქნარის“ პატრონი, ძველი ელადის, ძველი რომის ტრადიციებთან, ანუ რენესანსთან წილნაყარი პოეტი იყო (ძლიერ მომავალს უმღეროდა მომავლის ქნარი) (1,508).

რუსთაველის სტრიქონებს „მარგალიტთა დიდთა მტევნად“ აღიქვამდა, თვითონაც „მალსტრომთა ძირით“ მარგალიტს კრებდა (ზღვის აფემერა) (1,236-237).

თუ „ვეფხეისტყაოსანში“ ლომ-ვეფხვთა დახოცვა, ნადირობა ადამიანის ბნელი ინსტინქტების, ნეგატიური საწყისების დამარცხებას ნიშნავს, გალაკტიონი ეპოქის ათეისტურ, აპოკალიფსურ მხეცებთან, მათ ნაშიერებთან მებრძოლი იყო.

თუ რუსთაველის პოემაში ნესტანის ძიება სულიწმინდის ძიებაა, (ზვიად გამსახურდია), გალაკტიონის „მშვიდობის წიგნში“ დაკარგული მშვიდობის წიგნის ძიება ათეისტურ ეპოქაში უარყოფილი ღმერთისკენ მიბრუნებას გვამცნობს, რადგან წიგნი საღვთო სიმბოლოა ბიბლიაში (ესაია წინასწარმეტყვე-

ლი, 29,11,19), ღვთისმეტყველებაში ავგუსტინე („აღსარება“), კლასიკურ პოეზიაში – დანტე („ღვთაებრივი კომედია“).

შოთა რუსთაველის პოემა „გრაალის პოემაა“ (ზვიად გამსახურდია), გალაკტიონი გრაალის ორდენის რაინდია, „გრაალი კი სიმბოლოა სულიწმინდის, კოსმიური სიბრძნის, ღვთისმშობლის (10,38).

ორივენი წილნაყარი იყვნენ ფსევდო-დიონისე არეოპა-გელის (პეტრე იბერის) მოძღვრებასთან, გალაკტიონი ჰეგე-ლის გზად წვდა ბოროტების უარსობის, წმინდა სინათლის და წმინდა სიწყვდიადის იგივეობის იდეას (წარწერა წიგნზე) (7,214).

გალაკტიონის აზრით, რუსთაველის გენეტიკური კოდე-ბი გამორჩეულ ქართველში ახლებურად გამოვლინდა (მესხის გამოხედვა, ისევ მესხის გამოხედვა, ჩვენი დრო ისევ რუსთა-ველს ელის).

წერილში „ახალ სამყაროში“ ტერენტი გრანელი საუბ-რობს „სიმბოლიზმის ჯადოსნური ცეცხლის ალზე“ და გვამ-ცნობს: „დაიწყო ჩქარი რენესანსი ხელოვნებისა“ (11,359-360).

მერაბ კოსტავა წერდა 1991 წელს: „რენესანსის ერთ-ერ-თი პიონერები ქართველები იყვნენ. ოდითგანვე, ქართველო-ბამ მაღალ დონეზე აიყვანა და ურთიერთან შეაჯერა დასავ-ლეთისა და აღმოსავლეთის კულტურები, ამიტომ რენესანსის ერთ-ერთი პიონერები ქართველები იყვნენ. რენესანსის კულ-ტურის თავური იდეა – წარმართული კულტურის განახლება და აღორძინება, ქრისტიანობასთან მისი მორიგება ქართველ ხალხში იმთავითვე იყო გამჯდარი არა როგორც რამე აბ-სტრაქცია, არამედ ვითარცა მისივე ბუნების გამომხატველი არსისეული საწყისი“ (12,17).

მერაბ კოსტავა იყო „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილის რე-ინკარნაცია, ქაჯეთის ტყვეობიდან წესტანის (სამშობლოს) გა-მოხსნისათვის თავდადებული მებრძოლი.

მის შემოქმედებაშიც ენთო „შუალამის მზე“, რუსთავე-ლის „მზიანი ლამის ჭალი“ (შენ გევედრები სულით გლახაკი) (12,25).

### **დამოწმებანი**

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 15 ტომად, ტ. III, ლექ-სები, პოემები, 1921-1927 წ. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ. 2016
2. შერისხულნი 15 ტომად, ტ. 2, თბ. 1994
3. შალვა ნუცუბიძე, „აღმოსავლური რენესანსი და ევროპიო ცენტრიზმის კრიტიკა“, თბ. 1971
4. შალვა ნუცუბიძე, „შოთა რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“, თბ. 1947წ.
5. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
6. ახალი ალთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
7. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, ლექსები, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1988
8. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 1993
9. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, „მეცნიერება“, თბ. 1991
10. ზვიად გამსახურდია, „საქართველოს სულიერი მისია, თბ. 1990
11. ტერენტი გრანელი, „ცისფერი სიშორე“, თბ. 1997
12. მერაბ კოსტავა, „ფიქრები საქართველოს მისიაზე“, „საქართველო“, თბ. 1991

## ხელოვნების ფსიქოლოგიის ერთი ასპექტი

„...სული შეშლილი და ბედნიერი“ (გალაკტიონი)

ბეთხოვენს – „შეშლილ დემონს გენია უნათებს გზას“ (გოეთე)

„....იქნებ უმაღლესი ჭკუა გონებაა სიგიურ“ (ედგარ პო)

„ეს გაგიჟება უცნაურია“ (ტერენტი გრანელი)

ჭეშმარიტი პოეტები, მწერლები ინტერესდებიან მიწით და ზეცით, სულით და ხორცით, სიკეთით და ბოროოტებით, ეძებენ არა ეფემერულ, არამედ მარადიულ სიბრძნეს, იხედებიან საგნის მიღმა, ბედს მიღმა. მარადიული ჭეშმარიტების, მხატვრული ინდივიდუალობის მიგნება განსაკუთრებულ ძალისხმევას, გულის და გონების შესაძლებლობათა გამძაფრებას, „გულის სისხლს“, მსხვერპლს მოითხოვს, „პიროვნების განვითარებაში დათქმული და დაწესებული ერთგვარი სამანის“ გადალახვას, რასაც კონსტანტინე გამსახურდია „ზეკაცობას, ღმერთკაცობას“ უწოდებადა.

ჩვეულებრივი ადამიანების შესაძლებლობათა საზღვრების შორს გამწევ შემოქმედს დემონად მოიხსენიებენ.

ინგლისში ბაირონს დემონად აღიქვამდნენ, გალაკტიონი გოეთეს სატანასთან აიგივებს („მაგიდა ალემბიკებით“), რათქმა უნდა, დადებით ჭრილში და პოეტობას დემონური, გენიალური ნიჭის გამოვლინებად მიიჩნევს.

სატანა, „მშვენიერი ეშმაკი“ აღმატებული ნიჭის სინონიმია შარლ ბოდლერისთვის, ამიტომ საუბრობს მასთან წილნაყარობასა და გალმერთებაზე „პოროტების ყვავილების“ წინასიტყვაობაში.

ანალოგიურ კონტექსტში ახსენებენ ცნებებს: გიუი, შეშლილი, გადარეული, ზოგჯერ აწყვილებენ დემონს და შეშლილს.

გოეთე გენიალობასთან აკავშირებდა შეშლილის ცნებას და „შეშლილ დემონს“ უწოდებდა ბეთჰოვენს: „საჭიროა მოკრძალება იმის წინაშე, რასაც გამოთქვამს ასეთი შეშლილი

დემონი, რადგან მას გენია უკათებს გზას და ხშირად იქ უს-ხივოსნებს, სადაც ჩვენ უკუნეთით ვართ მოცული და ვერც კი მიმხვდარვართ, საიდან ამობრწყინდება მზე“ (1,102).

ხელოვნების ფსიქოლოგიაში არსებობს, მიმართულება, რომელიც გენიალობასა და სიგიურს შორის შეხვედრას პოულობს და სიგიურს ნიჭიერების აუცილებელ პირობად გაიაზრებს. ამ კუთხით ძალზე გახმაურებულია იტალიელი ფსიქიატრის ჩეზარ ლომბროზოს წიგნი „გენიალობა და შეშლილობა“ (2).

ნაშრომში სპეციალურად არის მოძიებული გენიალურ მოაზროვნეთა გადახრები, რაც დევნის მანიაში, შიშში, მტრების მოღანდებაში, არყოფილის ნამდვილივით განცდაში, ჰალუცინაციების თუ ხილვების მოჭარბებაში გამოიხატება. ამ კუთხით „არანორმალურად“ მიიჩნევიან კაცობრიულ აზრთა მესაჭეები: დიკენსი, დოსტოევსკი, რუსო, ნიცშე, გოგოლი, ტოლსტოი.

ლომბროზოს გარდა, არსებობენ სხვა მოაზროვნები, რომლებიც ჩერეკენ ნიჭიერთა განსხვავებულობის, „ავადმყოფობის“, პათოლოგიური გამოვლინებების ფაქტებს და კატეგორიულ ტონს ანიჭებენ თავიანთ ნააზრევს, თითქოს შეშლილობის გარეშე არ არსებობს გენიალობა (ბლეზ პასკალი, ერნსტ კრეჩმერი, მაქს ნორდუ).

გამოჩენილ ადამიანთა დეპრესიების, თვითმკვლელობისკენ მიდრეკილების, თვითმკვლელობების, შიზოფრენიკობის მაგალითები მართლაც მრავლად არსებობს.

შემოქმედება ზიგმუნდ ფროიდის, ანრი ბერგსონის, კარლ გუსტავ იუნგის, მიხაილ ზოშჩენკოს და ანალოგიურად მოაზროვნეთა მიერ გაგებულია, როგორც ფსიქოთერაპია, სუბლიმირება, შინაგანი წუხილის, ტკივილების, ნევროზების გადატანა და განმუხტვა მხატვრულ სახეებში, სიმბოლურ ხილვებში.

შეშლილის, გიუის, გადარეულის ცნებები მრავალგზის მოარგეს დიდი ამერიკელი შემოქმედის –ედგარ პოს პიროვნებას.

ედგარ პო ერთმანეთისგან განასხვავებდა ნერვულ აშ-ლილობას და ფსიქიკურ შეშლილობას და ხაზს უსვამდა თავის განსაკუთრებულ სმენას და ხედვას (გული გამთქმელი) (3,128).

ედგარ პოს „ელეონორაში“ წუხილია, რომ სიგიუის ცნებას ერთმნიშვნელოვანი გააზრება ეძლევა, „უმაღლესი ჭკუა – გონება, ნათელმოსილი გონიერება“, „ადრეული ყოფიერების“ ხსოვნა არასწორად გაიგება (3,74-75).

ედგარ პო ახსენებს „გიურ ვნებას, „სიმღერას სიგიუეზე“, „შეშლილ მოჩვენებებზე“, „შეშლილ „მგზავრზე“, „მგზნებარე და უცნაურ შეშლილზე“, „გიურ თავდავიწყებაზე“.

თვითონ ედგარ პოს სიგიუე აინტერესებდა არა როგორც კლინიკური ავადმყოფობა, არამედ ჩვეულებრივ მოაზროვნეთა საზღვარს იქით გაღწეული, უზენაეს სიბრძნესთან კონცენტრირებული გონი, რომლის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი შემოქმედება.

ამ პრობლემას მრავალგზის უბრუნდება მწერალი: „...იქნებ უმაღლესი ჭკუა-გონებაა სიგიუე. იქნებ ბევრი რამე, რაც დიდებულია, რაც ღრმაა, ფიქრის ავადობა უდევს საფუძვლად, ისეთი მდგომარეობა გონისა, რომლის კიდევ ამაღლება გონიერების წარხოცის საფასურია. მეხსიერების ჩრდილებს, ლანდებს უსასრულობის საზღვრის გადალახვა იწვევდა. მრავლისთვის შეუმჩნეველი, ჰაერში მოლივლივე, გულის ამღვრევი ხილვები ევლინებოდნენ, რაც ჰგავდა სიგიუეს, იმ სიგიუეს, აკრძალული ამბის მოგონებისას რომ მოიცავს გონს“ (მთხოვებლი და ქანქარა)(3,103-118).

ლექსში „ედარებოდა შეშლილს“, გოეთესავით, გალაკტიონიც შეშლილად მოიხსენებდა ბეთხოვენს, მაგრამ არა კლინიკური შეშლილობის ჭრილში, არამედ როგორც ჩვეულებრივ მოკვდავთა შესაძლებლობებზე ამაღლების სიმბოლოს: „მაშინ

ტოვებდა ყველას და ყოველს და ფერიულ ალში მცურავი, ედარებოდა შეშლილ ბეთხოვენს დაუნდობელი და მომდურავი“ (4, 186-184).

„ანორმალურობა! ამგვარ ჭაღებით ათასში ერთხელ ელავს პარტერი, საუკუნეში ერთხელ იდებს ისვრის გრძნობათა მილიარდერი“ – გალაკტიონის ამ განაცხადშიც არანორმალურობა ჩვეულებრივ ადამიანთა შესაძლებლობებზე ამაღლებას გულისხმობს, რაც აუცილებელია სულის, გრძნობის, ფსიქიკის სილრმეში დაგროვილი საიდუმლოებების წვდომის-თვის და რაც საუკუნეების და უფრო მეტი დროის მანძილზე დაგროვილი შთაბეჭდილებების მხატვრულ სახეებში მოქცევას გულისხმობს.

შეშლილს, გიუს, გადარეულს აღმატებული გრძნობის და შემეცნების სინონიმად გაიაზრებდნენ გალაკტიონი, ტერენტი გრანელი.

გალაკტიონი აცხადებდა, რომ მის წიგნში „მარხია მოჩვენება სიზმარეული, სული შეშლილი და ბედნიერი“ (მეტები იდგა რუხი პიტალო).

ანალოგიური შინაარსისაა „მუსიკალური და გადარევის ეფემერები“ (მუსიკალური ფანტიზმა) (4,221).

ეპითეტი „შეშლილი“ დადებითი ენერგიის მატარებელ ცნებად მიუსადაგა გალაკტიონმა თავის საყვარელ პოეტებს, მხატვრებს: „შეშლილი ვერლენი, შეშლილი ბეთხოვენი, შეშლილი ყაზბეგი, შეშლილი ფიროსმანი, ძეგლი შეშლილი და წინასწარმოთქმელი...“

პოეტი „გრიგალია, შერყევა“, „ოცნება გიუია“, დაფიქსირებულია „მოგონების შეშლილი ბოდვა“, „გრძნობათა მილიარდერის“ „ანორმალობა“ (წარსულში) (5,125).

გალაკტიონის პოეზიაში „შეშლილი“ ჰქვია ყოველივე აღმატებულს, უჩვეულოს. „სიგიუმორეულ ზღვაში გადაშვება“ უკიდეგანო სათქმელის არეალში ყოფნას ნიშნავს.

ლექსში „შეშლილივით დააღებს კარებს“ (4,176) პოეტი თავის უსაზღვრო ემოციებს უკეთებს აქცენტს.

გალაკტიონი მომსწრე იყო ფსიქიატრიული რეპრესიების, თავისუფალ მოაზროვნეთა იდეური დამუშავების, გიუის იარღიყის მიკერების და სულიერი განიარაღების. ეს აპრობირებული მეთოდი იყო ტოტალიტარულ საბჭოთა სახელმწიფოში. ამის მაგალითი იყო ტერენტი გრანელისთვის გიუის არამართებული დიაგნოზის დასმა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამომწყვდევა, სადაც გენიოსმა პოეტმა 860 ნახატი შექმნა, რომელთაც ევროპის დიდ მხატვართა ნამუშევრების გვერდით ახსენებს გამოჩენილი, მსოფლიოში ცნობილი მხატვარი და ესეისტი რეზო ადამია (5,7-215).

ლავრენტი ბერიას აუგად ხსენების გამო სულით ავადმყოფთა თავშესაფარში გამოამწყვდიეს პეტრე სამსონაძე და ცემით სიკვდილამდე მიიყვანეს.

გიუი, შემლილი თავის ოდიოზურ შინაარს იძენდა ტოტალიტარულ საბჭოთა სახელმწიფოში და ამ სახელით ინათლებოდნენ თავისუფალი მოაზროვნები, სიმართლის მსახურნი.

„უსამართლო სოციალურ საზოგადოებაში თავისუფლებისკენ სწრაფვა, უკეთეს შემთხვევაში, უცნაურობად, სიგიუდ ითვლებოდა. ფსიქიატრიული რეპრესიები საქმით განამტკიცებდა მოარულ ვერსიას იმის შესახებ, რომ ვინც აღიმაღლებს ხმას სამართლიანობის და თავისუფლებისთვის, სულით ავადმყოფია.

„კედლებს რომ სინჯავს გრძნეულ თითებით უკვდავებისთვის შეშლილი გონი“, ნათქვამია გალაკტიონის ლექსში „იქ მარმარილოს მაღალი სვეტი“ (4,80).

„სიბრძნის ზღვაში“ მოგზაური პოეტი „შორეულ მზეს“ – შთაგონების მომმადლებელ სულიწმინდას ელოდება და „სიგიუემორეულ ზღვაში“ გადაშვებაც მხოლოდ ჭეშმარიტების, ხილვების, ქვეცნობიერის სამყაროდან სიტყვის მარგალიტების მოხელთებაა: „...ნინ! ბანარზე ორეულ მზით აივსე, პეშვები, ან მზეს ნახავ შორეულს, ან სიგიუემორეულ ზღვაში გადაეშვები“ (4,62).

ეს „სიგიუჟ“ ჩვეულებრივ მოკვდავთა შესაძლებლობების შორს გაწევაა, რომლის გარეშე არ იქმნება ჭეშმარიტი შედევრები. ასეთი „სიგიუჟ“ ბედნიერებაა და ამიტომაც ამბობს პოეტების მეფე, რომ მის წიგნში „მარხია მოჩვენება სიზმარეული, სული შეშლილი და ბედნიერი“ (მეტეხი იდგა რუხი, პიტალი) (4,80).

შემოქმედის ზეცნობიერ სამყაროში, მოკვდავთათვის დაწესებული საზღვრების გადამლახავი ტერენტი გრანელი აცხადებდა: „თუ ვტოვებ გიუს შთაბეჭდილებას, დაო, ეს მხოლოდ გრძნობის ბრალია“ (ახლა სალამო ხომ ცისფერია (7,77).

დღეს ეჭვს აღარ იწვევს, რომ პოეზიისთვის ჯვარცმული, მოუთვინიერებელი, ტირანული ხელისუფლების არაადამიანური პოლიტიკის მამხილებელი „მემენტო მორის“ ავტორი ფსიქიატრიული რეპრესიების მსხვერპლი იყო.

გალაკტიონის, ტერენტის „სიგიუჟს“ უნდა ვუმადლოდეთ მსოფლიო მასშტაბის შედევრების შექმნას, რადგან ამსითვის საჭიროა არა ჩვეულებრივი, არამედ ზესკნელ-ქვესკნელში მოარული, პიროვნების განვითარებაში დაწესებული საზღვრის მიღმა გაღწეული გონი, რომელსაც „ლვთაებრივ სიშმაგეს, შთაგონების ძალას“ უწოდებს ემზარ კვიტაიშვილი (მარადიული ბავშვი) (8, 298).

პოეტი მერაბ კოსტავა, როგორც მარადიული იდეალების მსახური, წინაპარ გენიოსთა ჭრილში გაიაზრებდა შემოქმედის შეშლილობის ცნებას.

ჭეშმარიტი პოეტის სული ყოვლისმხილველია, ბრძენი, რომელიც ბოროტების კი არა, სიკეთის მსახურია, საზღვარს იქით გაღწეული, ზღუდე – კედელთა დამტევებელი, ეროვნული და საკაცობრიო იდეალებისთვის ჯვარცმული, „ლვთაებრივი სიგიუჟით“ შეპყრობილი, სიბრძნის გზაზე მოარული, „უშრეტ ალთან“ – (ლმერთთან წილნაყარი „...დაისებში უონავს სული, აისობის სიალით, ანთებული უშრეტ ალად, ბრძენთა გულის მლეველი, ათასჯერი, ათასთვალი, ქვეყნად დაუტევე-

ლი... სამსხვერპლოზე სიკვდილია ღვთაებრივი სიგიჟე. ჰა- კანი დაუტევა, მოდგა უამი ქროლვისა. ვიცი, ვერსად დაეტე- ვა, აღმვსებია ყოფლისა. ვიცი, ვერსად აღუდგება ვერა ზღუ- დე-კედელი, ოდეს ბოროტს განუდგება ხუნდ-ბორკილთა მკვნეტელი“... (ვერაფერმა განაქარვოს) (9,20-21).

მერაბ კოსტავას ლექსში „ძმას ქრისტესმიერს“ „გრაა- ლის მცველი, სიბრძნის, ჭეშმარიტების, თავისუფლების მაძი- ებელი, „ვეფხვთან“ (უსამართლობასთან, აპოკალიფსურ ბო- როტებასთან) მებრძოლი რაინდები წარმოჩნდებიან, როგორც „შლეგები“, ანუ ჩვეულებრივთა შესაძლებლობებზე ამაღლე- ბულები: „...შლეგებს მოვგავდით მოყმენი ცხრანი, ვეფხვთან სარკენად ველად გასულებს“ (9,11-15).

„სიბრძნის უჩინარი ტახტისკენ“ მიმსწრაფი პერსონაჟის თვალები „სიგიჟით აღვლეფილია“, „სიშმაგის სამანებს მიღმა“ გაღწეული ლექსში „ქარვა გაუხუნდათ ალვებს“ (9,66-67).

სიყვარულის „შეშლილი სუნთქვაა“ ლექსში „ვეღარ ვიო- კებ“ (9,49).

სიყვარულით „გონგადალეული“ პერსონაჟია ლექსში „სულში ჩაგეღვენთოს“ (9,32-33).

სიკვდილის მომლოდინე პატიმარი „ცოფიან ვეფხვს“ ემ- სგავსება ლექსში „განაჩენის მოლოდინში“ (9,28-30).

„ოკულტიზმის ნესტრით“ ნაწამები, „ფილოსოფიის სიბ- რძნეს“ ნაზიარებ მერაბ კოსტავას პოეზიაში ზედმიწევნით არის გაცნობიერებული ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის თა- ვისებურებები ამ ჭრილშიც.

## დამოწმებანი

1. ალ. ალშვანგი, „ბეთჰოვენი“, თარგმანი აკაკი გელოვანის,  
თბ. 1958

- ჩეზარ ლომბროზო, „გენიალობა და შეშლილობა“, მოსკოვი, 1895
- ედგარ ალან პო, მოთხრობები, თარგმანი ზაურ კილაძის, თბ. 2011
- გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 1993
- ტერენტი გრანელი, ნახატები, „სეზანი“ თბ. 2022
- ზვიად გამსახურდია, „დილემა კაცობრიობის წინაშე“, თბ. 1995
- ტერენტი გრანელი ლექსები, წერილები, ჩანაწერები, „პალიტრა L“, თბ. 2012
- გალაკტიონოლოგია, ტ.IV, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ. 2008
- მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“, თბ. 1990

### **თრობის პოლოგია**

საყოველთაოდ ცნობილია გალაკტიონის ლოთობის ლეგენდა, თუმც, პოეტი მხოლოდ თამაშობდა ლოთის, ცხოვრების აზრზე არმყოფი ადამიანის როლს, რადგან არ სურდა სატანური ხელისუფლების გვერდით დგომა.

სინამდვილეში პოეტების მეფე რწმენით იყო მთვრალი: „მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით და მაინც ლვინით ჰგონიათ მთვრალი.“

ყოფნა, ცხოვრება საღვთო სახელია წმინდა წერილში: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე, 14,6).

განმანათლებელი ცეცხლი, ცეცხლის სვეტი, რომლითაც მოსეს გზას უნათებდა უზენასესი, როცა ეგვიპტის მონობიდან გამოჰყავდა მშობელი ერი, ასევე უზენაესის სიმბოლოა.

გალაკტიონი მთვრალი იყო სიყვარულით (რწმენით), ძველისძველი ღვინით, დღის სიელვარით, ცისფერი ღვინოებით. „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს, ღვინო ეძებდა სულ სხვას პირიქით“, წერდა პოეტი.

სხვაგანაც ასეთი ღრმააზროვანი განაცხადია: „ძველის-ძველ ღვინოს და მძიმე მტევნებს, ფერიულად მკრთოლავ აკადოს, სვამს და თავისითვის თვალყურს ადევნებს, რომ თვალებს რული არ მოაკიდოს“.

„კოსმიურ ორკესტრში“ პოეტი მეზღვაურებისთვის განკუთვნილ ღვინოზე კეთდება აქცენტი: „მეზღვაურთ ღვინო დაურიგდებათ, მოგროვდით“...

„ძველი ღვინო“ მკურნავია პოემა „მშვიდობის წიგნში“: „ხომ კაცს რაც რომა არ სჭირდეს სენი – ძველი ღვინოა მისი მომრჩენი“ (1,286).

„ღვინო“ და „პური“ რწმენაა, „წყალდიდობის“ (ურწმუნოების, ბოროტების) დამარცხების ძალაა ამავე პოემაში: „ისეთი დროა, ღვინო და პური რაც საჭიროა, გვაქეს ჩვენებური. ნუ დააღებს პირს, დავანარცხოთ ძირს, წყალდიდობა – ის შეჩვენებული“ (1,197).

ლექსში „მოგონებები“ საუბარია „ძვირფას ღვინოზე“, „უკვდავ ღვინოზე“.

„მარანში“ შესული პოეტი აცხადებს: „არ ჩანდა მემარნე, მაგრამ ძვირფასი ღვინო მოვიგნეთ, უკვდავი ღვინო – შენ ჩემი თასით, მე შენი წიგნით“ (2, 781).

ლექსში აქცენტი მოდის მემარნეზე, უკვდავ ღვინოზე.

ათეისტურ, ტოტალიტარულ სახელმწიფოში გალაკტიონმა „ფარის“ როლი დააკისრა ღვინოს, მაგრამ ეს იყო არა ლოთების ჭკუისამრევი სითხე, არამედ ნადიმი „ძველი, ძველისძველი, დაწმენდილი ღვინით“.

ესაია წინასწარმეტყველი აცხადებს: „გაუმართავს ცაბა-ათ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს ძველი ღვინით, ძველი, დაწმენდილი ღვინით“ (25,6)(3,546).

ნადიმით, ლვინით წმინდა წერილში ქრისტეს მოვლინება გვეუწყება.

გალაკტიონს მხსნელი იყო „ლვინო“ – რწმენა, გამარჯვების უპირველესი გარანტი, ამიტომ უწოდებდა მას ფარს: „...ოცნება წარსულზე და ლვინის ფარები“ (ეს იყო 15 წლის წინათ).

„ფარის“ წყაროა წმინდა წერილი: „უფალო, ფარო ჩემო და დამხმარეო, საყრდენო ჩემო...“

„ფარია იგი ყველასთვის, ვინც მას მიენდობა.“

„მომეცი ფარი ხსნისა და შემეწიე შენი მარჯვენით“.

„უფალი ბურჯია ჩემი და ფარი ჩემი“ (ფს.17,31,28,7) (4,549).

ლვინო უფლის სახელია სახარებაში. ქრისტე თავის მიმ-დევრებს სთავაზობს „პურს“ და „ლვინოს“, რაც რწმენის, უფლის სიმბოლოა (იოანე, 6,48,50).

გალაკტიონი „მელვინეს“ (ლმერთს) ევედრება ლვინის-თვის – რწმენისთვის: „შენ მელვინე, ლვინო გვასვი, თვალს ნუ მიძინება, ფიქრები გვაქვს ასჯერ ასი, როგორც ლრუბლის დინება“.

პოეტების მეფის შემოქმედებაში დაფიქსირებული ლვინო, ცისფერი ლვინო, ძველისძველი ლვინო, მელვინე, მემარნე უზენაესის სიმბოლოებია.

„ჩავუშვათ ლვინის სიანკარეში ჩვენი ბეჭდები“, ნათქვა-მია გალაკტიონის ლექსში „პუშკინი პარიზში“.

ლვინო ამჯერადაც უფლის მეტაფორაა, „ბეჭედი“ მარიამ ლვთისმშობელზე მიგვანიშნებს.

ვენახს, ლვინოს რელიგიურ ჭრილში გაიანრებს მერაბ კოსტავა, მას აინტერესებს არა „ფიზიკური ლვინო“, არამედ „სულიერი ლვინო“ – რწმენა: „ებრაელებმა მხოლოდ ძმარი მიართვეს ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს, ვენახისა და ლვინოს შემოქმედს, რომელმაც ფიზიკურის ნაცვლად ახალი, სულიე-

რი ღვინო მიჰმადლა კაცობრიობას – სისხლი თვისი და ხორცი თვისი“ (გურამ რჩეულიშვილი)(5,173).

სხვაგანაც ღვინო რწმენას, მოძღვრებას დაუკავშირა მერაბ კოსტავამ: „ანთროპოსოფია – ახალ თხიერში შთასხმული ახალი ღვინოა, სახარების სიტყვებით რომ ვთქვათ, უნივერსალური მოძღვრება“ (6,61).

## დამოწმებანი

1. გალაკტიონ ტაბიძე, 12 ტომად; ტ.11, თბ., 1973
2. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, თბ., 1977
3. ბიბლია, თბ., 2013
4. ახალი ალთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
5. მერაბ კოსტავა, „შეწყვეტილი ფიქრები“, თბ., 1991
6. მერაბ კოსტავა, „ფიქრები საქართველოს მისიაზე,,საქართველო“, თბ., 1991

## ოქროს, ძვირფასი თვლების ძიება

გალაკტიონ ტაბიძე ეძებდა ოქროს საბადოს-კლონდაიკს, ოქროს ეძებდა მინაში, წყალში, ტალახში, ეძებდა „სხვა ოქროს“ (ოქრო).

პოეტის იდეალი იყო „საკუთარი შტამპით მოჭრილი ოქრო“ (იდეა).

ცდილობდა „დაკეტილი განძის“ მოხელთებას (დღითა და ლამით). ეს განძი იყო სიტყვის ოქრო, ოქროს ზღაპარი, ოქროს ლანდი, ლაუგარდის ოქრო ანუ თავისი ღრმააზროვანი გამონაგონი, პოეტური წარმოსახვები.

ხელეწიფებოდა „ოქროს თევზის“ მიგნება.

პოეტების მეფეს აინტერესებდა „ხმები... ჯადოსნურად მოოქრული“ (ხმები, ხალხში ყურმოკრული).

ლექსში – „გზა არ ღირს დავიდარაბად“ – მილიარდელად გვეცხადებოდა: „მართლა ვარ მილიარდერი“ (1,23).

საბოლოოდ, ასე ზუსტდება ამ გამოთქმების აზრი: „არ მინდა ოქროს პოვნა, რაც მსოფლიოში არი, ულერს სამშობლოს ხსოვნად ძვირფასი ოქროს ქნარი“ (ოქროს ქნარი).

გალაკტიონი მიმართავდა პრაგმატისტებს, მილიონებზე დახარბებულ მედროვეებს: „თქვენ გენეტრებათ ლოუა, პარტერი, თქვენ გინდათ გახდეთ მილიარდერი, მე კი ვარჩევდი გზას უნაპიროს, ცოტა სიყვარულს და ღერ პაპიროსს“.

მერაბ კოსტავა გალაკტიონის პოეზიაში განასხვავებდა „თაღლით თვალს“ – შეკვეთით, თავის გადასარჩენად დაწერილ ნიმუშებს და უზენაესის – „თვალი პატიოსანისადმი“ მიძღვნილ შედევრებს: „თაღლითი თვალი წარეც კეისარს, ზენაარს – თვალი პატიოსანი“ (გალაკტიონი) (2,144-162).

ლექსში „ტანჯვათა ტიტანი“ ნათქვამია: „საქმეა იქცე მსოფლიო კაცად და არ უმუხითლო ერსა და თავისტომს, ცის მაღალ ყელზე ვარსკვლავთა აცმას ჰმატო ზურმუხტი და ამეთვისტო“ (2,16-19).

„ზურმუხტი და ამეთვისტო“ ძვირფასი ქვები კი არა, მარადიული სიბრძნეა, ჭეშმარიტება.

„თეთრ ქალწულში“ საუბარია „ძვირფასი თვლების აალმასებაზე“, რაც სიმბოლური სახეა და სიბრძნის პარადიგმა (2, 42-43).

„ხელთუმტკიცესი ბეჭედი“ ღვთისმშობლის სიმბოლოა ლექსში „ბალო ლომისფაფარიანო“ (2,71).

პოეტისათვის მთავარია „წარუვალი საუნჯის – სიბრძნის“ პოვნა („ბიბლიური რემინისცენციები“) (2,87-104).

ლექსში „ძმას ქრისტესმიერს“ მერაბ კოსტავა ზვიად გამსახურდიას მიმართავს: „და ეძიებდი ჭეშმარიტებას, ვითა ტარიელ დაკარგულ ნესტანს“ (2,11-15).

„თეთრ ქალწულში“ საუბარია „სეფე დარბაზში ძვირფა- სი თვლების აალმასებაზე“, ...უკვდავ ვარსკვლავთა აალმასე- ბაზე“. აქვე იხსენება „თვალი პატიოსანი“, რაც არამც და არამც არ გულისხმობს ძვირფას მადანს.

„მართლა ვარ მილიარდერი“, აცხადებდა გალაკტიონი და რეალურ ცხოვრებაში უპოვარი პოეტი მილიარდებში თა- ვის განუმეორებელ შედევრებს გულისხმობდა.

## დამოწმებანი

1. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, „პალიტრა L“, თბ. 2014
2. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი, თბ. 1990

## სფეროთა ჰარმონია, სფეროთა მუსიკა

სრულყოფილების საწინდარია მიწის და ზეცის საიდუმ- ლოებათა შეცნობა.

„მარადისობის ლაუვარდებს“ მიახლოებული და ისევ მი- ნაზე დაბრუნებული ტერენტი გრანელი აცხადებდა: „ზეცა მწყურია და მიწა მშია“.

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ნათქვამია: „მიწაზე ამაოდ ვეძიებდი საზრდოს სულისას“.

იტალიელი გენიოსის პოემაში მხოლოდ მიწიერი ინტე- რესების მსახურთ მისჯილი აქვთ მიწისთვის ცქერა: „რადგა- ნაც თვალნი არასოდეს მიგვიქცევია სიმაღლეთადმი, რადგან ვჭვრეტდით მხოლოდ მიწიერს, მართლმსაჯულებამ მოგვისა- ჯა მიწისთვის ცქერა“ (1,137).

რუდოლფ შტაინერი წუხდა: „ჩვენ პირდაპირ მიწაში ვართ ჩათხრილი, სრულიად მოვწყდით ზემიწიერ ძალებს.

„ადამიანი არ უნდა შეეზარდოს მიწას, არ უნდა დაიძიროს მასში“ (9,273).

მიწის უკეთურობებს გმობდნენ და ცისკენ ისწრაფოდნენ გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, ნიკო სამადაშვილი.

აღნიშნავენ, რომ სფეროების მუსიკის, შორეული სამყაროს მუსიკის გაგონება მიწაზეც შეიძლება, მაგრამ ამისთვის საჭიროა მუსიკალური ყური.

სფეროების მუსიკა შედგება არა მელოდიისგან, არამედ რიტმისგან.

კოსმოსში ცხოვრობს ის გონიერი ძალა, რომელსაც ეწოდება კოსმიური რიტმი. მარადისობის ხმას მივყავართ სიკეთისა და სინათლისკენ.

მღერის სინათლე და ხმიანობს განუზომელი სივრცე.

სფეროების მუსიკის, უსაზღვროების ზარის, გარემოს მუსიკის გაგონება შესაძლებელია, მაგრამ უმაღლესი სულის ხმის გაგონებისთვის აუცილებელია სულიერი ცნობიერების განვითარება“, წერს ელენე რერიხი (3, 56, 63, 91, 143, 164, 191, 245, 411).

დანტემ, გოეთემ მოისმინეს ზეციური ხმები, რუსთაველს, ნიკოლოზ ბარათაშვილს ესმოდათ „ციურთა დასთა გალობის ზარი“.

ილია ჭავჭავაძემ, ვაჟა ფშაველამ, აკაკი წერეთელმა, გალაკტიონმა, ტერენტი გრანელმა გაიგონეს ეს სხვათაგან მოუსმენელი ხმები.

„უგალობეთ უფალს გალობა ახალი, უგალობეთ ღმერთს, უგალობეთ გონივრულად“, ასეთია დავით წინასწარმეტყველის მოწოდება (ფს. 4,635).

იოანე მოციქულის გამოცხადებაში ზეციური გალობის გათავისება მხოლოდ რწმენისთვის მსხვერპლის გამღებთ, თეთრად შემოსილ წმინდანებს ხელენიფებათ.

როსტომ ჩხეიძის აზრით, „გალობანი გალობისანი“ ეს-მოდათ სასაფლაოზე ნიკოლოზ ბარათაშვილს, ლადო ასათიანს, ტერენტი გრანელს.

„მზის საფეხურების“ ავტორი წუხს, რომ „სისხლში განბანილმა აგვისტოს ტრაგედიებმა შეუძლებელი გახადა „წარუვალი მუსიკის“, „სამყაროს ორატორიის მოსმენა, მაგრამ ის მაინც მთელი არსებით აყურადებს მხოლოდ რჩეულთათვის გასაგონ ჰანგებს (5).

გალაკტიონის პოეზიიდან გვესმის „ლოცვა-ვედრება, გალობა ახალი“.

ქართველი პოეტების მეფეს, ეზეკიელ წინასწარმეტყველივით, ეხსნებოდა „ლაუვარდი ბროლის“, ესმოდა „ბროლის რიტმი, მუსიკა“ (დაბმული ჭინკა), ესმოდა „ბილიკთა სიხარულით გადანაზაფრი უვერტურა“, „ციური გალობა“ (ლია ქალაქის ქალა), სიხარულის ღმერთის ხმა (სიშორით შენით), გაზაფხულის გამმა, კოსმიური, ერთადერთი მძლავრი მუსიკა... „უცნობი ხმები“ აფართოებდა შემეცნებას.

რაკი სამყაროში არაფერი არ ქრება, ის იდუმალი ხმები „ედებიან გულს ნიავქარად“, მთაში, ზღვაზე, ქვესკნელში, სასაფლაოებზე ხმიანებენ უზენაესი ჰანგები.

გალაკტიონის სმენას წვდებოდა „ციურთა დასის გალობის ზარი“, სინათლის ხმა, საგანთიადო ხმები, მომავლის ხმები, „არაქაური სუნთქვა“ „მუსიკა, უეცარი“.

დანტის სმენას მისწვდა გაბრიელ მთავარანგელოზის მახარობელი ხმები, სინათლის ხმა მეტყველი, ზეციური სულის ხმა, მიუწვდენელი, გადაცდენილი შემეცნების ჩვენის სამანებს, ზეციური, გალობა (1,322).

გოეთეს ესმოდა „სერაფიმთა ფრთების შრიალი, მომხიბლველი ბგერა ციური“ (შერიგება) „სფეროთა ცეკვა, ჰარმონია, ციური ხმები“ (6,240).

როსტომ ჩხეიძეს მოუსმენია „გალობანი გალობისანი“, რაც რჩეულთა, სულინმინდისგან ხელდასხმულთა ხვედრია.

მერაბ კოსტავა აყურადებდა ედემის ბალიდან გამოლწეულ სფეროთა ხმას: „ედემის ბალი სხვა არა არის, თუ არა წყარო ფორმადმექნელ ძალთა, სადაც მუსიკობს სფეროთა

ქნარი, გამომძერნავი სახეთა, გვართა“ (შიმშილობა) (7,131-142).

„წმინდა მუსიკაზე“ კეთდება აქცენტი მერაბ კოსტავას ლექსში „გალაკტიონი“ (7,144-161).

„საღვთო ჰანგის გალობაზე“ საუბრობს პოეტი ლექსში „ღირს მამა დავითს“ (7,104-109).

ლექსში „თეთრი ქალნული“ ნათქვამია: „...და როგორც თვალი პატიოსნების, ცით მონადენი უკვდავი მანა, სივრცე-ებს ავსებს ანგელოზებრი უჩინარ ბაგით ნათქვამი ნანა“ (7,42-46).

„სერაფიმთა სერობა“ იქცევს ყურადღებას ლექსში „შეხვედრა“ (7, 54-55).

„შენი ლოცვები სერობაა ანგელოზისა, შენი ცრემლები ოცნებების ათავთავება“, ნათქვამია ლექსში „მჭვირვალეთერში“ (7,119).

ელენე რერიხი იუნიება, რომ ასტრალურ სამყაროში სულს ესმის 14 ხმა, მინაზე – 9.

რაკი სამყაროში არაფერი არ ქრება, ის იდუმალი ხმები „ედებიან გულს ნიავქარად“, მთაში, ზღვაზე, ქვესკნელში, სა-საფლაოებზე ხმიანებენ უზენაესი ჰანგები (გალაკტიონი).

როსტომ ჩერიძის აზრით, „ზექვეყნიური, უკვდავი ხმები“ ისმის სასაფლაოზეც და მღერის სასაფლაო, „მღერის არა მხოლოდ ბაგე და ყელი, არამედ მღერის ძვალი“.

ტერენტი გრანელს სასაფლაოზე იზიდავდა „გალობანი გალობისანი“.

როსტომ ჩერიძესაც მოუსმენია „გალობანი გალობისანი“, რაც რჩეულთა, სულინმინდისგან მომადლებულთა ხვედრია.

მერაბ კოსტავა წერს: „მოყვასის სიყვარული ღვთისადმი სიყვარულის, სულიერი იერარქიების მიმართ სიყვარულის სა-ნინდარია. სწორედ ამგვარი სულიერი იერარქიის აღმოცენება გახდება საფუძველი კოსმიურ ჰარმონიაში, სფეროთა მუსიკა-ში კაცობრიობის სრული ჩართვისა და, აქედან გამომდინარე,

ლვთის მიმართ უანგარო სიყვარულისა, რადგან კოსმიური ჰარმონია და სფეროთა მუსიკა სხვა არაფერია, თუ არა უზენაესი სიყვარული“ (8,57).

პოეტს ესმოდა სფეროთა მუსიკა: „ედემის ბალი სხვა არა არის, თუ არა წყარო ფორმადმქნელ ძალთა, სადაც მუსიკობს სფეროთა ქნარი, გამომძერნავი სახეთა, გვართა“ (შიმ-შილობა) (7,131).

როგორც ნათელმისმენთ, ნათელმხილველთ, გალაკტიონს და მერაბ კოსტავას ესმოდათ ზეციური მუსიკა, ეოლოსის ქნარის უღერა, იპყრობდათ ქროლვის უინი, ევლინებოდათ ხილვების ქარიშხალი.

მათვის მიუღებელი იყო აღმოსავლური ბაიათები, ჭიანური, თარი. გალაკტიონი აცხადებდა: „ნუ ქვითინებს ჭიანური, დააჩუმეთ თარი, არაადამიანური ავი დარის დარი“. მერაბ კოსტავა ქართული კულტურის ორ დაავადებად მიიჩნევდა აღმოსავლურ ბაიათებს, ჯაზურ მუსიკას, დოლ-გარმონსა და ზურნას, ყარაჩოლელურ ბაიათებს (საყოველთაო სწავლებისათვის).

მერაბ კოსტავასთვის მახლობელი იყო ანთროპოსოფიის დევიზი: „შემეცნებისკენ გადადგმულ თითო ნაბიჯს წინ უნდა უძლოდეს მორალობისკენ გადადგმული ორი ნაბიჯი“ (რუ-დოლფ შტაინერი (2).

როსტომ ჩხეიძე გალაკტიონსაც აკავშირებს ანთროპოსოფიასთან: „ძალზე საინტერესოდ გამოიყურება გალაკტიონი ანთროპოსოფიის შუქზე“.

„ერთ დროს გალაკტიონიც აეყოლებინა ანთროპოსოფიას, თარგმნაც მოუნდომებია შტაინერის.

„გალაკტიონი ნამდვილად ქვეშეცნეულად მისწვდა იმ მისტერიალურ სიბრძნეს, რომელიც ასე შთამბეჭდავად გაგვიცხადა ანთროპოსოფიამ“, წერს როსტომ ჩხეიძე (5,614).

შტაინერის მოსაზრებით, გრაალის ბარძიმს შეესაბამება ადამიანის ტვინის არეში არსებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი ორგანო-ეპიფიზი, რომელიც ნათელმხილვის ორგანოა და

ადამიანის სპირიტუალურ უნარებთან არის დაკავშირებული“, იმოწმებს ანთროპოსოფიის ფუძემდებელს მერაბ კოსტავა (8,51).

უეჭველია, გალაკტიონი და მერაბ კოსტავა იყვნენ „წინათგამჭვრეტი და წინათმგრნობი“, რომელთაც წინასწარ შეიგრძნეს როგორც მსოფლიო, ეპოქალური ტრაგედიები, ისე პირადი ხვედრი.

## დამოწმებანი

1. დანტე, „ღვთაებრივი ტრაგედია“, თარგმანი კ. გამსახურდიასი, „პალიტრა L“, თბ. 2012
2. რუდოლფ შტაინერი, „ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება“, თარგმანი გ. ნიშნიანიძის, თბ. 1994
3. მозაიკა აგნი იოგი, Тб.1990
4. ახალი ალთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
5. როსტომ ჩხეიძე, „მზის საფეხურები“, ლექსები პროზად, თბ. 2016
6. იოპან ვოლფგანგ გოეთე, ლექსები, თარგმანი ხარიჭონ ვარდოიშვილის, „საბჭოთა მწერალი“, თბ. 1952
7. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“, თბ. 1990
8. მერაბ კოსტავა, „ფიქრები საქართველოს მისიაზე“, „საქართველო“, თბ. 1991

## თავი II

### ძრისტიანული იდეალები

#### სალვოო სიბრძნის იდეა

ცნობილია, რომ კალაკტიონ ტაბიძემ მთელი სკოლა შექმნა ქართულ პოეზიაში. შოთა რუსთაველივით, აკაკი წერეთელივით მიმდევარ-შეგირდების მთელი არმია აედევნა. ჭეშმარიტ შემოქმედად მხოლოდ ის მოგვევლინა, ვინც სრულ-ყოფილად გაითავისა პოეტების მეფის სასწაულებრივი თავი-სებურებები.

„თვითშეცნობილი პოეტური გენია“ (მურმან ლებანიძე) ზედმინევნით კარგად ხედავდა ეპოქის პროცესებს და თავის კვალს ადევნებულ „ლეგიონებზე“ აკეთებდა აქცენტს ლექსში „მე მივდიოდი ერთი“: „მე მივდიოდი ერთი, სადაც მაღალი ფერდი, ვით უძველესი ლმერთი, ამართულიყო ცადა. ჩვენ მივდიოდით ორი, განვლეთ ჭალა და გორი, შორი მთებიდან ქორი თან მოგვყებოდა გზადა. ჩვენ მივდიოდით სამი, გზებზე დაეცა ნამი, იყო საღამო წამი, გამჭვირვალე და სადა. ჩვენ მივდიოდით შვიდი ღამეც მოვიდა მშვიდი და როს ცის არის მშვილდი გადმოეკიდა მწვერვალს, გავხდით ათასი მცველი. სულ ახალი და ძველი, ახლა მოვდივართ მთელი ლე-გიონების წყება“ (მე მივდიოდი ერთი) (1,591).

დიდოსტატი ლირიკოსის თავისებურებები გაცნობიერებული ჰქონდა ეროვნულ გმირს და პოეტს – მერაბ კოსტავას, მაგრამ არა მიმბაძველის, არამედ ჭეშმარიტი ოსტატის დონეზე, ის ზედმინევნით ერკვეოდა ქართულ-უცხოური კლასიკური მწერლობის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, მითოლოგიის, ანთროპოსოფიის მიღწევებში, რამაც შესაძლებლობა მისცა, მოეძებნა ახლებური გადასახედი, შექმნა პოზიტიური მსოფლმხედველობით, ორიგინალური ხმითა და ხელნერით გამორჩეული პოეზია.

მერაბ კოსტავა დიდი პოეტობის ეტალონად გაღაკტიონს მიიჩნევდა, თანაც არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საკაცობრიო მასშტაბით.

ჭეშმარიტი კლასიკოსი, მერაბ კოსტავას გადასახედიდან, ზეცისგან ხელდასხმულია, განსაკუთრებული ინტუიციით მომადლებული, „წინათგამჭვრეტი და წინათმგრძნობი“, სოკრატეს, გოეთეს დარად, საანგელოზო დემონთან, სიბრძნის დემონთან წილნაყარი, „შემმეცნებელი მეფისტოფელის“, ციური და მიწიერი საწყისების შემთავსებელი, „შემცნობი ქველის და ავის“, სიტყვით ნათლისმცემელი, საღვთო სიბრძნის, საღვთო სიყვარულის მსახური, წმინდა მუსიკის, კოსმიური რიტმის მოსმენის უნარით გამორჩეული, დიონისური და აპოლონური საწყისების მომრიგებელი, „მამულის გრძნობით“ სავსე, არა ამ სოფლის თავადის, არამედ ზეციური თავადის მსახური, ჭეშმარიტების მაძიებელი, გრაალის არსის გამგები.

გაღაკტიონის პოეზიაში უპირველესია საღვთო სიყვარულის იდეა: „ზექვენიური სიყვარული, ტრფობა სრული, ჯერ ყველასაგან მიუკვლეველი სიყვარული, იდუმალი ტრფობა“ (უსიყვარულოდ, ის, დადგა აგვისტო, მიმღერე რამე).

მერაბ კოსტავას ლირიკაში ყურადღებას იქცევს „საღმრთო ტრფობა, სრულებრივი სიყვარული“: „ეგ საღმრთო ტრფობა თუ გაგიჯდა ძვალსა და რბილში, მაშინ სრულებრივი სიყვარულმა განდევნოს შიში“ (ბიბლიური რემინისურიციები) (2,87-108).

ჰავლე მოციქული, როგორც მორწმუნე, ეძებდა არა ხორციელ, წარმავალ სიბრძნეს, არამედ „ღვთის მადლს“: „არა წუთისოფლის სიბრძნე, ...არამედ „ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებაში დაფარული“ (I კორინთელთა, 2,6,14)(3,358).

„უფალმა თავად შექმნა სიბრძნე, იხილა და აღრიცხავი, მოასხურა იგი თავის ყველა საქმეს“ (სიბრძნე ზირაქისა, I,9) (4,502).

„...ყოველივე უფალმა შექმნა და სიბრძნე ღვთისმოსავებს მისცა“ (სიბრძნე ზირაქისა, 14,20)(4,510).

გალაკტიონის პოეზიაში წარმატების გარანტად მიჩნეულია არა ეშმაკეულთა წარმავალი, თვალთმაქცური, ბოროტეული სიბრძნე, არამედ მარადიული, სულიერებით გამორჩეული, ტაძრის გზის მაჩვენებელი სიბრძნე.

ლექსში „1950“ პოეტის წინამდლვარია საღვთო სიბრძნე, როგორც გამარჯვების საწინდარი: „...რაც მგზნებარებდა და მმატებდა სიბრძნეს სიბრძნეზე, აი მიზეზი გამარჯვების, აი მიზეზი“ (5,741-743).

მარადიული სიბრძნისკენ მოწოდებაა პოემაში „საუბარი ლირიკის შესახებ“: „...მარადი სიბრძნის აშუქებდნენ სხივნი მზისანი“ (6,95).

გალაკტიონი ეძებდა „მომავლის ღრმა სიბრძნეს“, წინსვლის სტიმულს.

ადამიანის წინამდლვარია „მარადი მამის მარადი ძე“ – მაცხოვარი, რწმენა, იმედი, სიყვარული, ქრისტიანული სამება“, აცხადებს მერაბ კოსტავა. (იყავ უმწიკვლო, ვითა ცხოვარი) (2,54).

როგორც გალაკტიონისთვის, მერაბ კოსტავასთვისაც მხსნელი, მსოფლიო სევდის მკურნავი ღმერთია – მაცხოვარი: „მხსნელად მივირქვათ ჩვენ მაცხოვარი, დაგვიშოშმინებს მსოფლიო სევდას“.

დაცემული სულის მშველელი მხოლოდ რელიგია, სიყვარული, სიბრძნეა: „ეგრე დაცემული გიხსნას რელიგიამ, სიბრძნემ, სიყვარულმა და მშვენიერებამ“ (ეტიუდი C –moll) (2,80-81).

წმინდა წერილის მიხედვით, ყოველგვარი კეთილი ნიჭის, სიბრძნის მომმადლებელია სამების მესამე წევრი – სულინ-მინდა: „სხვადასხვაგვარია ნიჭი, მაგრამ სული ერთია.

მსახურებანიც სხვადასხვანაირია, ხოლო ღმერთი ერთია, რომელიც ამოქმედებს ყველას ყველაში.

მაგრამ თითოეულს ეძლევა სულის გამოვლინება სასიკეთოდ.

ვინაიდან ერთს სულის მიერ ეძღვევა სიბრძნის სიტყვა, მეორეს – ცოდნის სიტყვა იმავე სულით.

ზოგს რწმენა–იმავე სულით და ზოგს განკურნებათა ნიჭი იმავე სულით.

ზოგს – სასწაულთმოქმედება, ზოგს წინასწარმეტყველება, ზოგს – სულების გარჩევა, ზოგს – სხვადასხვა ენები, ზოგს – ენების განმარტება.

ხოლო ყოველივე ამას აკეთებს ერთი და იგივე სული, რომელიც თითოეულს საკუთრივ უნაწილებს, როგორც ნებავს“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, თ. 12, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11) (3, 374).

გალაკტიონის პოემა „მოგონებების“ პერსონაჟს ევლინება სულიწმინდა მტრედის სახით, როგორც წმინდა წერილში (6,37).

სულიწმინდა ბარდების ამკაფავია პოემა „მშვიდობის წიგნში“.

აქვე სულიწმინდის სიმბოლოა „სიო საიმქვეყნო და საამ-სოფლო“ (6,902).

ვაჟა–ფშაველას შემოქმედებაში სულიწმინდაზე მიმანიშნებელია მადლის მთესველი „ციური ნიავი“ (სვავი) (7,285).

აკაკი წერეთლის „სულიკოს“ მიხედვით, „მახარობელი ნიავია“ სულიწმინდის პერსონიფიკაცია (8,54-56).

„მსოფლიო დედა სულიწმინდით გადმოიღვარა“, წერს მერაბ კოსტავა „ბიბლიურ რემინისცენციებში“ (2,92).

„შატბერდის კრებულის“ მიხედვით, სულიწმინდის სიმბოლოა აფრა, იალქანი (9,80).

მერაბ კოსტავა „ლურჯ ზღვაში“ „ელვარე აფრას და იალქანს“ წარმოიდგენდა სულიწმინდის მინიშნებად (თეთრი ქალწული) (2,42).

პოეტის თვალთახედვით, ლექსი არის „აღძრული სასწაულითა, საღვთო ქორწილის მაყარი“ (ლექსი) (2,60-61).

სასწაული საღვთო სახელია: „შენა ხარ ღმერთი სასწაულის მოქმედი“ (ფს. 70,15)(3,603).

საღვთო ქორწილი არის სამოთხე, სასუფეველი.

გალაკტიონი „სასწაულს“ –ღმერთს შესთხოვდა ცოდვილი ლუციფერის შენდობას (სასწაულს) (5,139).

პოეზიის სიმბოლოა „ლურჯა ცხენები“, რომლებიც დაჰქრიან ყველგან – „ზევით თუ სამარეში“ „ეფემერული და ფერადი ქარებით“ (65-66).

პოეტების მეფის „უბელო მერანი“ სიმაღლეებს, კლდეებს ეტანება (უმაღლეს მწვერვალთა მსუბუქო ღრუბელო“) (1,209).

განუყრელია ქარი და მერანი, რადგან საღვთო ქარი, ნიავი შუა საუკუნეების ესთეტიკაში შთაგონების მოვლინების მომასწავებელია.

„საღმრთო სულითაა გაპირობებული ღვთიური მობერვა, ზეშთაგონება“, წერდა გრიგოლ ნოსელი (პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის).

სულინმინდის მოქმედებას ღვთისმეტყველებაში „საღვთო მობერვა“, საღვთო ნიავის მოვლინება ეწოდება.

გალაკტიონის ლექსში „ვერხვები“ ქარი და აფრა აშრიალებს სულში „უშორეს ზღაპარს“ – ფანტაზიას, გამონაგონს: „ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი და ნისლს მთებისას გაიფენს აფრად, ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი აშრიალდება უშორეს ზღაპრად“ (1,47).

„მზიური ღამის ქარის“ სახით ფიგურირებს შთაგონება ლექსში „ტფილისი ღამით“ (5,379).

ანალოგიური შინაარსისაა „მზერადიადი სიონი“ ლექსში „ჰქროდნენ სიონი“.

გალაკტიონის „ურთულეს ბრძოლის მიზანი“ იყო საკაცობრიო სიბრძნის მიგნება: „...იქ, იმ კიბეზე მომავლის ღრმა სიბრძნით თვალანთებული, საიდანაც ჩქეფს სინათლე და წინ-

სვლისათვის ძახილი... ურთულეს ბრძოლის მიზანი – საკაცობრიო იდეა“ (უმშვენიერეს კიბეზე) (1,209-210).

მერაბ კოსტავასთვის „სიბრძნე ნათლის სვეტია“, ღვთაების მადლი, ხოლო „ნათლის სვეტი“ საღმრთო სახელია (ბიბლიური რემინისცენტიები) (2,87).

ლექსში „ქარვა გაუხუნდათ ალვებს“ საუპარია „სიბრძნის უჩინარ ტახტზე“ (2,66).

პოეტს აინტერესებს „სხვა სიბრძნე სფინქსის ქარაგმებისა“, ხოლო სიბრძნის წყარო ღმერთია.

ხსნის გზად მიჩნეულია „სიბრძნე, სიყვარული და მშვენიერება“.

„მან სიბრძნის წყარომ ერთმა გაცნობის შენი წილხვედრი, შენი აჩრდილი“, ნათქვამია ლექსში „სფინქსი“ (2,76-78).

ლმერთია აზრის, სიბრძნის, ჭეშმარიტების სავანე: „თუკი სამყაროს აზრია ღმერთი, გზა სიბრძნეც და ჭეშმარიტებაც“ (იყავ უმწიკვლო, ვითა ცხოვარი) (2,54-55).

პოეტის იდეალია შთაგონებით გაბრძნობილი მოძღვართ მოძღვარი“, „წიაღთა სიბრძნის აიაზმად მასხურებელი“ (ბიბლიური რემინისცენტიები).

ლექსში „ლირს მამა დავითს“ სულიერ მოძღვარს ასე მიმართავს მერაბ კოსტავა: „ასიზელისკენ ძმობის ხიდი თვით გაგიდვია, შენ თავად იყავ ფშაველ ვაჟას ბრძენი მინდია, იდუმალწვდომით მინდიაზე იყავ უმეტეს“ (2,104-119).

პოეტისათვის მთავარია „ფილოსოფიის სიბრძნე, ოკულტიზმის წესტარი, „სიკვდილზე ფიქრები სიბრძნის დედაა“ (შიმშილობა).

მერაბ კოსტავას მიზანი იყო „შეცნობა ქველის და ავის, შემეცნება მეფისტოფელის, ფაუსტობამდე ამაღლება. მან თვითმკვლელ შვილს დაუწერა: „რად ვერ გაუძელ მწარე ცდუნებას, ფაუსტობამდე რად ვერ მიხველი?“ (ირაკლის) (2, 126-129).

გალაკტიონს და მერაბ კოსტავას აინტერესებდათ არა მხოლოდ ეგზოტერული, ფართო მასებისთვის მისაწვდომი, არამედ რჩეულთათვის განკუთვნილი ეზოტერული სიბრძნე, კავშირი სულიერ სამყაროსთან. მათ მომადლებული ჰქონდათ სულის ხილვის უნარი. „მე დავინახე მცურავი სული“, წერდა გალაკტიონი ლექსში „გრიგალი“. მერაბ კოსტავასთვის მთავარია „გონის თვალი“, ნათელზილვა, გრაალის სიბრძნის შემეცნება, რომლის მაგალითად ესახება დავით ალმაშენებელი (10,45).

გალაკტიონს, მერაბ კოსტავას შეეძლოთ წარმოედგინათ ტვინის მარცხენა ნახევარსფერო, როგორც გონებრივი აზ-როვნების ორგანო – პიპოფიზი და ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო – ეპიფიზი, როგორც ინტუიციის, წინასწარჭვრეტის მომმადლებელი (10,51).

გალაკტიონისთვის მთავარი იყო „სუფთა სინდისი“.

მერაბ კოსტავას წინამდლვარი იყო „საღვთო ეთიკა“ (ბიბლიური რემინისცენციები) (2,87-108).

მერაბ კოსტავასთვის ზვიად გამსახურდია ძვირფასია, როგორც ჭეშმარიტების მაძიებელი, „ოსტატის სიბრძნით“ გა-მორჩეული (ძმას ქრისტესმიერს) (2,11-16).

„სიბრძნის წყარო“ უზენაესი „...მან, სიბრძნის წყარომ, ერთმა გაცნობის შენი წილხვედრი, შენი არჩივი. და ოდეს ვნებას ოკეანეთა, გარდაჰქმნი პირმშოდ შენივ ნებისა, სულში ჩადგება სულ სხვა პლანეტა, სხვა სიბრძნე სფინქსის ქარაგ-მებისა“ (სფინქსი) (2, 76-77).

ლექსში „ბიბლიური რემინისცენციები“ სიბრძნის წვდო-მის გზა თვალია: „...რამდენად ხედავ, იმდენადვე სწვდები და ხედავ, რადგან თვალია გამორჩევის და სიბრძნის დედა“. თვა-ლია „აზრების რთველის“ მოხელთების ძალა. „აზრების რთვე-ლის“ მომხელთებელი ეზიარება სამყაროს შემოქმედის სიბ-რძნეს: „რომლისა თვალმან მოიკრიბოს აზრების რთველი, ის

ეზიაროს ჩემს იდუმალ შემოქმედებას“ (ბიბლიური რემინის-ცენციები) (2,87-104).

თვალი საღვთო სახელია, პოეტის იდეალია „შეუცდომელი ბრძენი და მისანი, შთაგონებით გაბრძნობილი მოძღვარი“, მოვლენის წინასწარმჭვრეტი. სიბრძნე „ნათლის სვეტია“ (ლექსი) (2,96).

„თუკი სამყაროს აზრია ღმერთი, გზაა სიბრძნეც და ჭეშმარიტებაც“ (იყავ უმწიკვლო, ვითა ცხოვარი) (2,54).

„სიკვდილზე ფიქრები სიბრძნის დედაა“, „მაღალი აზრი“ ცასთან შეერთების საწინდარია (შიმშილობა) (2,131-143).

მერაბ კოსტავას იდეალია „მამულის ტრფობით ნაშიმში-ლები“ ადამიანი (მამაცი მხედრის გაგცვეთია ქუსლებზე დე-ზი) (2,63).

„რა დაადუმებს შეუცდომელ ბრძენსა და მისანს, თუ უწერია აღსრულება წინათქმას მისას“ (ლექსი) (2,96), აცხა-დებს პოეტი და ჭეშმარიტი სიბრძნის მახასიათებლად მიაჩნია მომავლის განჯვრეტის უნარი.

„მსოფლიო დედა სულინმინდით გადმოიღვარა“, რადგან, პავლე მოციქულის კვალობაზე, სიბრძნის მიმაადლებულია სამების მესამე წევრი – სულინმინდა.

პოეტის იდეალი იყო „საღვთო ცეცხლით“, „ზეშთაგონე-ბით გაბრძნობილი მოძღვართ – მოძღვარი“.

სიბრძნე „ნათლის სვეტია“, მისი მიგნება მხოლოდ მაღა-ლი ზნეობის ადამიანს ხელენიფება, – „ამადაც, როცა თითო ნაბიჯს დგამენ ცოდნისკენ, ორი ნაბიჯი ზნეობისკენ გადად-გან უნდა“ (იქვე) (2,96).

„ვაჟკაცობა და სიბრძნე გზაა გამოცხადებისკენ, ნათელ-ხილვისკენ, წვდომისკენ“ (10,42-43).

„სპირიტუალური უნარი სივრცული ნათელხილვისა... ევროპაში გრაალის რაინდებს გააჩნდათ“ (10, 46).

„დავით აღმაშენებელი რომ მართლა ხელდასხმული იყო, ამას ღალადებენ გელათის ტაძრის კედელზე გამოსახული მი-

სი ფრესკა და თავს ზემოთ ციდან ჩამოშვებული ხელი“ (10,47).

„...დავითს უშუალო კონტაქტი ჰქონდა სულიერ სამყაროსთან, ამიტომაც გახდათ იგი ღირსი გრაალის ბარძიმის ფლობისა“ (..49).

„შტაინერი გვაუწყებს, რომ გრაალის ბარძიმს შეესაბამება ადამიანის ტვინის არეში არსებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი ორგანო – ეპიფიზი, რომელიც ნათელზილვის ორგანოა და ადამიანის სპირიტუალურ უნარებთან არის დაკავშირებული (10,61).

„ქრისტეს იმპულსითაა გამსჭვალული ილიას ქართული სალიტერატურო ენა.

„ენაში ერთდებიან მისთვის მიწიერი და ზეციური ხმები.

„იგი წინასწარმეტყველურად ჭვრეტს თავის მოწამეობრივ აღსასრულს და ევედრება ღმერთს, შეუნდოს მის მკვლელებს, „რამეთუ არა უწყიან რას იქმან“.

ილია ლოცავს მტრებს: „რომ მტერთათვისაც, რომელთა თუნდა გულს ლახვარი მკრან, გთხოვდე, შეუნდე, არ იციან, ღმერთო, რას იქმან“ (11,186,184).

მერაბ კოსტავასთვის „სამყაროს აზრია ღმერთი“, „გზა სიბრძნე და ჭეშმარიტება“ (იყავ უმწიკვლო, ვითა ცხოვარი“ (2,44-45).

პოეტის „სიბრძნის წყაროს“ ცაში ეძებს, რათა სულში დამკვიდრდეს „სულ სხვა პლანეტა, სხვა სიბრძნე სფინქსის ქარაგმებისა“ (სფინქსი) (2,74-76).

ლექსში „ეტიუდი“ C-moll (24) მოგვიწოდებს: „სიქველის ნათელით იხსენ სამშვინველი, თავად სამშვინველი გარდაჲქმენ სულადა, ეგრე დაცემული გიხსნას რელიგიამ, სიბრძნემ, სიყვარულმა და მშვენიერებამ“... (2, 80).

იდეალია ნიჭის მომმადლებელი სულიწმინდა: „მსოფლიო დედა სულიწმინდით გადმოიღვარა“, სამების მესამე წევრია „სიბრძნის კარის“ გამხსნელი, მისი მორწმუნეა „ბრძენი და

მისანი“, „ზეშთაგონებით გაგრძნობილი მოძღვართ–მოძღვარი“. სიბრძნე „ნათლის სვეტია“, ამიტომ, „როცა თითო ნაბიჯს დგამენ ცოდნისკენ, ორი ნაბიჯი ზნეობისკენ გადადგან უნდა“.

და პოეტს აღაშფოთებს „ტაძართა სიბრძნის“ დაკნინება, „გონის თვალის“ დაბინდვა, რადგან „თვალია გამორჩევის და სიბრძნის დედა“ (2,87-102).

მერაბ კოსტავას ლექსის პერსონაჟი „სიბრძნის უჩინარი ტახტისკენ“ მიისწრაფვის (ქარვა გაუხუნდათ ალვებს) (2,66-67).

ლექსში „შიმშილობა“ წარმოჩნდება ოკულტიზმის სიღრმეებში ჩახედული, „ფილოსოფიის სიბრძნეს“ ნაზიარები პერსონაჟი: „...როს ოკულტიზმის ნესტრით ვენამე, ფილოსოფიის ვენიე სიბრძნეს“... (2, 131-140).

„თუკი სამყაროს აზრია ღმერთი, გზაა სიბრძნეც და ჭეშმარიტებაც“, ნათქვამია ლექსში „იყავ უმწიკულო ვითა ცხოვარი“(2,54-55).

პოეტის იდეალია „სიბრძნის წყარო, სხვა სიბრძნე სფინქსის ქარაგმებისა“ (სფინქსი) (2,78-79).

ადამიანის მხსნელია „რელიგია, სიბრძნე, სიყვარული, მშვენიერება“ (ეტიუდი C-moll-24) (2, 80-81).

სიბრძნე „ნათლის სვეტია“ (ბიბლიური რემინისცენციები) (2,87-193.

„სიბრძნეც, ფილოსოფიაც სიკვდილისთვის მზადებაა მხოლოდ“ (ფიქრები საქართველოს მისიაზე) (10,42-43).

მერაბ კოსტავასთვის მახლობელი იყო ანთროპოსოფიის დევიზი: „შემეცნებისკენ გადადგმულ თითო ნაბიჯს წინ უნდა უსწრებდეს მორალობისკენ გადადგმული ორი ნაბიჯი“ (12,91,139).

ზვიადს და მერაბს ხიბლავდათ მარქსისტულ მატერიალიზთან დაპირისპირებულტ ანთროპოსოფია.

## **დამოწმებანი**

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
2. მერაბ კოსტავა, პოეზია, „მერანი“, 1990
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, 1990
5. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, „პალიტრა L“, 2014
6. გალაკტიონ ტაბიძე 12 ტომად, ტ. 11, თბ., 1974
7. ვაჟა-ფშაველა 5 ტომად, ტ. 1, „პალიტრა L“, 2011
8. აკაკი წერეთელი, ხუთტომეული, ტ.2, პოეზია, „პალიტრა L“, 2012
9. შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს მ. გიგინე-იშვილმა და ე. გიუნაშვილმა, თბ. 1979
10. მერაბ კოსტავა, „ფიქრები საქართველოს მისიაზე“, „საქართველო“, თბ. 1991
11. მერაბ კოსტავა, „შეწყვეტილი ფიქრები“, „მერანი“, თბ. 1991
12. რუდოლფ შტაინერი, „ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება“, გიორგი ნიშნიანიძის საერთო რედაქციით, წინასიტყვაობით და კომენტარებით, თბ. 1994

## **სალვო სიყვარულის მსახურება**

გალაკტიონი სიყვარულის მრავალ სახეობას უმღეროდა, ამასთან, სალმრთო სიყვარული დასახა ყველაზე უძლეველ და ჭეშმარიტ გრძნობად.

პოეტისთვის მთავარი იყო „ზექვეყნიური სიყვარული“.

გალაკტიონი იყო სიხარულშემოსილი, გაზაფხულშემოსილი, მზითშემოსილი ანუ ღმერთშემოსილი, მორწმუნე: „მე სიხარული მემოსა და გაზაფხულის ოცნება“.

სიხარული საღმრთო სახელია: „აპა, გახარებთ დიდ სიხარულს, რომელიც მთელი ხალხისა იქნება: ვინაიდან დღეს დავითის ქალაქში იშვა მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი“ (ლუკას სახარება, 2,10,11) (1,113).

გაზაფხული ძველი ქართულით ზაფხული უფლის სიმბოლოა წმინდა წერილში: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 29,30,12) (1,550).

პოეტების მეფე ხაზს უსვამდა თავისი სიყვარულის განსაკუთრებულობას: „...ჯერ ყველასაგან მიუკვლეველი აღმოვაჩინე მე სიყვარული, ...აღმოვაჩინე მთელი სამყარო, ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი“ (დადგა აგვისტო) (2,380).

მართლაც, პოეტის თანამედროვე ათეისტურ ეპოქაში ხელახლა აღმოჩენა გახდა უზენაესის სიყვარული.

გალაკტიონისვთის პოეზია იყო სულინწმინდის მადლი, სიტყვის ოსტატის მისია – რწმენის, სიყვარულის მსახურება, ხალხისთვის ტაძრისკენ სავალი გზის ჩვენება.

პლატონის მიხედვით, „მხოლოდ სიყვარულს მიჰყავს ადამიანი ჭეშმარიტი გზით ამ ცხოვრებაში (ნადიმი) (3,14).

შთაგონება, გენიალობა ეროსთან წილნაყარია.

არსებობს მიწიერი და ციური ეროსი.

„ჭეშმარიტი გზა სიყვარულისა – ესაა გზა მშვენიერ საგანთაგან უმაღლეს მშვენიერებაზე თანდათანობით გადასვლისა... ესაა მშვენება წმინდა, შეურყუნელი და შეურევნელი კაცის ხორცით, ფერებით და სხვა ხრნნადი გარსით შებლა-ლული კი არა, ერთსახოვანი ღვთაებრივი მშვენიერება“ (3, 63).

პავლე მოციქული, როგორც „სულინწმინდის ქნარი“, ასეთ სადიდებელს აღუვლენს სიყვარულს: „კაცთა და ანგე-

ლოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდე, სიყვარული თუ არა  
მაქვს, მხოლოდ რკალი ვარ მოჟღრიალე, მხოლოდ წერიალა  
ნინწილი.

„წინასწარმეტყველების მადლიც რომ მქონდეს, ვიცოდე  
ყველა საიდუმლო და მქონდეს მთელი რწმენა ისე, რომ მთე-  
ბის დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს, არარა  
ვარ.

„...სიყვარული სულგრძელია და ტკბილი, სიყვარულს არ  
შურს, სიყვარული არ ქედმაღლობს, არ ზვაობს.

„არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ  
იზრახავს ბოროტს.

„არ შეჰერის უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით  
ხარობს.

„სიყვარული არასოდეს არ გარდავა, თუმცა წინასწარ-  
მეტყველებანი განქარდება, ენები დადუმდებიან და უქმი გახ-  
დება ცოდნა.

მთავარია „რწმენა, სასოება და სიყვარული, ხოლო  
ამათში უმეტესია სიყვარული“ (პავლე მოციქულის ეპისტო-  
ლენი, I კორინთელთა მიმართ, 13,1-13)(1,375-376).

თითქოს წმინდა მამის შეპასუხებად ისმის გალაკტიონის  
სიტყვები: „მე სული არ მაქვს ამქვეყნიური... და ზექვეყნიურ  
სიყვარულით მწვავს გამოუთემელი და მწარე ალი“ (არ მინდა  
სიტყვა) (4,36).

დანტე ალიგიერს იზიდავდა „სიყვარული პირველი, სიყ-  
ვარული ღვთაებრივი, სიყვარული დაუშრეტელი, მისნური  
სიყვარული“.

სულიერ ზეცაში შეიგრძნო დანტემ არამინიერი სიქველე  
და იქვე შეიცნო „სიყვარული სხვადასხვაგვარი“.

„ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი მოგვიწოდებდა: „თვა-  
ლი მივაპყროთ ახლა უკვე სიყვარულს პირველს“ (5,483).

იოანე მოციქულის გამოცხადებაში ღმერთს ეწოდება:  
„პირველი სიყვარული“ (იოანეს გამოცხადება, 2,4) (1,492).

გალაკტიონის პოეზიაში საღვთო სიყვარული მოიხსენება, როგორც „პირველი სიყვარული, უკანასკნელი სიყვარული, ტრფობა სრული, ზექვეყნიური სიყვარული“.

სუფისტურ ასპექტში კითხულობენ რუსთველურ მიჯნუ-რობას ზვიად გამსახურდია, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი.

სუფისტური სიყვარული უმთავრესია აღმოსავლურ პოეზიაში.

ქართულ პოეზიაში საღმრთო სიყვარულის იდეას იზიარებდნენ და „სიყვარულს“ – ქრისტეს ეთავყანებოდნენ დავით გურამიშვილი, ვახტანგ VI, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ტერენტი გრანელი.

ქრისტე აკაკი წერეთლისთვის იყო უმაღლესი სიყვარული, „სიყვარული“ და „სულიკო“ ერთდროულად (სულიკო).

ხოლო „საყვარლის“ წყარო არის ბიბლია: „...ეს არის მეტროვე ჩემი, ეს არის საყვარელი ჩემი“ (ქებათა ქება სოლომონისა (5,16)(6,15-16).

საღვთო სიყვარული გამოვლინდა რუსულ პოეზიაშიც (ვლ. სოლოვიადი, ალ. ბლოკი).

გალაკტიონისთვის მხოლოდ უზენაესის სიყვარულია „სრული ტრფობა“ (მიმღერე რამე).

გალაკტიონი ხედავდა „ცათა ცას“, უზენაეს მეუფეს-სიყვარულს, სამყაროს მამოძრავებელ ძალას, უკვდავების მომნიჭებელს: „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ, უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ“.

დანტეს მიხედვით, ღმერთი სიყვარულია, სამყაროს, მზის და პლანეტების შემქმნელი და მამოძრავებელი.

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, ღმერთი არის „დიადი სიყვარული“ (აღსარება) (7,390).

გალაკტიონის პოეზიაში საღვთო სიყვარულს გულის-ხმობს როგორც „პირველი სიყვარული“, ისე „უკანასკნელი 54

სიყვარული“. „პირველი სიყვარული“ ამ გრძნობის უპირველე-სობას, უზენაესობას უსვამს ხაზს, ხოლო ეპითეტი „უკანას-კნელი“ გვაუწყებს, რომ ეს იშვიათი გრძნობა ადამიანის ცხოვრების მიმწერში მოდის, უკანასკნელ სტადიაში და სა-ბოლოოდ „პირველი“ და „უკანასკნელი“ ადამიანური სიყვარუ-ლის უმაღლესი, უზენაესი საფეხურია, ამიტომ კეთდება აქ-ცენტი ორივე ცნებაზე: „მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკა-ნასკნელი, როგორც ყვავილი შემოდგომის – ხშირად პირველს სჯობს, იგი არ უხმობს ქარიშხლიან, უმიზნო ვნებებს, არც ყმაწვილურ უინს, არც ველურ ხმებს იგი არ უხმობს“.

ლექსის ბოლოს ხაზი ესმება ამ სიყვარულის „ჭენობას“, რაც გულისხმობს ათეისტურ ეპოქაში ღმერთისგან განდგო-მას. როგორც თვითონ აცხადებს, ათეისტურ ეპოქაში გალაკ-ტიონი იყო „ჯერ ყველასგან მიუვლეველი სიყვარულის“ აღ-მომჩენი (უსიყვარულოდ) (2,25).

პოეტის აზრით, ულმერთო არსებობა არარსებობის ტოლფარდია. ერთადერთი ხსნის გზა სიყვარულია, „სიყვარუ-ლის სიმღერა“: „... გულში უღერს რა ხანია სიყვარულის სიმ-ღერა, როგორც ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი (ილიას მოტივი) (4,602).

სწორედ უზენაესის სიყვარულით „თრობამ“ შეაქმნევინა გალაკტიონს – საღმრთო სიყვარულის უბადლო ტრუბა-დურს-შედევრები, რომელთაც სულინმინდის წარუხოცელი კვალი ატყვია.

მერაბ კოსტავას პოეზიაში უმთავრესი ადგილი სწორედ საღმრთო სიყვარულს უკავია: „...ეგ საღმრთო ტრფობა თუ გამიჯდა ძვალსა და რბილში, მაშინ სრულქმინლმან სიყვა-რულმან განდევნოს შიში“ (ბიბლიური რემინისცენციები) (8,87-104).

საღვთო სიყვარულს უკავშირდება „საღვთო ეთიკა“, „საღვთო ცეცხლი“.

მერაბ კოსტავასთვის მთავარია „რწმენა, იმედი, სიყ-ვრული“ (შენ გევედრები სულით გლახაკი) (8,25).

დაცემული სულის მხსენლია „რელიგია, სიბრძნე, სიყვარული, მშვენიერება“ (ეტიუდი C-moll(24)(8,83-84).

ლექსში „ყველგან და არსად“ ნათქვამია: „...სიბრძნეც კი განქარდება, დარჩება მხოლოდ სიყვარული“ (8,116).

პოეტი ასევე ყურადღებას ამახვილებს „საღვთო ჰანგზე“ „საღვთო ქორწილზე“ და ამის საწინდარია საღვთო სიყვარული (ლექსი) (8,60-61).

გალაკტიონთან, საღვთო სიყვარული მოიხსენება, რომ „ტრფობა უკანასკნელი“ (გალაკტიონი) (8,144-162).

აქვე ნათქვამია: „...ვირწმუნეთ, თვით უკვდავება რომ არ არსებობს უსიყვარულოდ“.

მერაბ კოსტავა ამ ჭრილში ანთროპოსოფიის ფუძემდებელს – რუდოლფ შტაინერს იმოწმებს: „კაცობრიობის მორალური მზე უწოდა შტაინერმა სიყვარულს.

„განა სიყვარულის გრადაციაზე არ არის დამოკიდებული ადამიანის შემდგომი ევოლუცია?“ (ფიქრები საქართველოს მისიაზე (9,55).

მერაბ კოსტავას იდეალი იყო მიღმური სამყაროს, სულეთის მხილველი, საღვთო სიყვარულის განმცდელი, „სხვის-თვის უხილავ-ფარულის“ მჭვრეტელი, მესიური მასშტაბების გალაკტიონი (გალაკტიონი).

კოსმიური, ზოგადსაკაცობრიო მასშტაბებიდან ზომავდა მხატვრული სიტყვის მისიას, რაც შესაძლებლობას აძლევდა, თვითონაც მხოლოდ ასეთი, მხოლოდ რჩეულთათვის დამახასიათებელი კრიტერიუმები შეერჩია, მაგრამ ისე, რომ ყოველთვის შეენარჩუნებინა შემოქმედებითი ინდივიდუალობა.

გალაკტიონივით, მერაბ კოსტავას გზამკვლევი იყო რელიგიურობა, წმინდა წერილის სიბრძნე.

„ჩემი ძალა და სიმღერაა უფალი და ის იქნება ჩემი მშველელი“, აცხადებდა დავით წინასწარმეტყველი (ფს. 117-118, 14) (1,651).

უზენაესისკენ მიმართავდა სულის მთელ ძალისხმევას ესაია წინასწარმეტყველი: „უფალია ჩემი სიმღერა.

„აპა, ღმერთია ჩემი ხსნა, ჩემი ძალა და სიმღერა“ (12,2,3)(9,82).

„ვუმღერებ ჩემს შეყვარებულს სიყვარულის სიმღერას მის ვენახზე“ (5,7)(6,76).

სიყვარული საღვთო სახელია: „...ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვნია ღმერთი, ვინაიდან ღმერთი სიყვარულია“ (იოანე მოციქულის I წერილი, 4,8)(1,230).

იოანე მოციქულის გამოცხადებაში „პირველი სიყვარულის“ ადრესატია ღმერთი (2,4)(1,492).

ღმერთს ეწოდება „სულის შეყვარებული“, „საყვარელი“ (ქებათა ქება სოლომონისა, I,7,V,16)(6,487,489).

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ერთაერთი ხსნა, ერთადერთი იმედი სიყვარულია, რელიგიური საგალობელია: „...გულში ჟღერს რა ხანია სიყვარულის სიმღერა, როგორც ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი“ (ილიას მოტივი) (2,602).

პავლე მოციქულისთვის მთავარია „რწმენა, სასოება და სიყვარული, ხოლო ამათში უმეტესი სიყვარულია“ (I კორინ-თელთა მიმართ, 13,1,2,3,4,5,6,7,8,13).

გალაკტიონი საღმრთო სიყვარულს უწოდებს „ზექვეყნიურ სიყვარულს“, „მზიან სიყვარულს“, „სრულ ტრფობას“. ღმერთს მოიხსენიებს, როგორც „პირველ და უკანასკნელ სიყვარულს“ (უსიყვარულოდ) (4,18).

საღვთო სიყვარულის პრობლემას ეხება გალაკტიონის „მიმღერე რამე“, „ის“.

პოეტის საღვთო სიყვარულის იდეა წილნაყარია როგორც დასავლეთთან – პლატონის ფილოსოფიასთან, ისე აღმოსავლურ სიბრძნესთან.

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ ამ გრძნობას ეწოდება „სიყვარული პირველი, სიყვარული ღვთაებრივი, დაუშრეტე-ლი, მისნური სიყვარული.

„ბიბლიურ რემინისცენციებში“ მერაბ კოსტავა აცხა-დებს: „ეგ სალმრთო ტრფობა თუ გამიჯდა ძვალსა და რბილ-ში, მაშინ სრულმნილმან სიყვარულმა განდევნოს შიში“ (7,87-104).

„ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველებაში“ ზვიად გამსა-ხურდია დაწვრილებით საუბრობს ამ პრობლემაზე.

მერაბ კოსტავას სულის ხსნის გზად „მიაჩნია „რელიგია, სიბრძნე, სიყვარული, მშვენიერება“ (ეტიუდი C-moll).

პოეტი ევედრება უზენაესს: „...ლირსად მყავ შენი გა-მოცხადების, დამბადებელო და მაცხოვარო... მარადი მამის მარადო ძეო, რწმენავ, იმედო და სიყვარულო“ (შენ გევედრე-ბი სულით გლახაკი) (8,25-27).

შტაინერის კვალობაზე, პოეტს სიყვარული ესახება „კა-ცობრიობის მორალურ მზედ“(9,55).

ტოლსტოი მოყვასის სიყვარულს თვითონ ინტელექტუა-ლურ განვითარებაზე მაღლა აყენებდა „ქრისტიანის დლიურ-ში“( 9,199).

„სიყვარულია ადამიანის უკვდავი სულის ყველა ლირსე-ბათა შორის უპირველესი, დანარჩენ ლირსებათა ამოსაგალი წყარო“ წერდა ზვიად გამსახურდია (10,57).

ამასთან მერაბ კოსტავასთვის მთავარია „მამულის ტრფობით ნაშიმშილები“ ადამიანი(მამაც მეომრის გაგცვეთია ქუსლებზე დეზი) (8,63).

## დამოწმებანი

1. ახალი ალთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977

3. პლატონი, „ნადიმი“, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის, თბ., 1964
4. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, „პალიტრა L“, თბ., 2014
5. დანტე, ღვთაებრივი კომედია“, თარგმანი კონსტანტინე გასახურდიასი, „პალიტრა L“, თბ., 2012
6. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990
7. ნეტარი ავგუსტინე, „ალსარება“, თბ., 1995
8. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“, თბ., 1990
9. მერაბ კოსტავა, „ფიქრები საქართველოს მისიაზე“, „საქართველო“, თბ., 1991
10. ზვიად გამსახურდია, „საქართველოს სულიერი მისია“, თბ., 1991

### **წმინდა გიორგის პარადიგმა**

თხუთმეტ საუკუნეზე მეტია, ქართველი ერის დიდ მფარველად ითვლება თეთრ ცხენზე ამხედრებული ახოვანი და დიდებული, მზეებრ ბრწყინვალე რაინდი, ქრისტეს მხედრად წოდებული წმინდა გიორგი.

გიორგი ცხოვრობდა კაბადოკიაში, სადაც ქართველებიც სახლობდნენ. ამიტომაც ჩვენს ხალხს სჯერა მისი ქართველობის. ამით აიხსნება ამ ღვთაებისადმი განსაკუთრებული პატივისცემა. ქართულ ხალხურ პოეზიაში, საგალობლებში დიდი მოწინებით იხსნება წმინდა გიორგის სახელი.

წარმართ იმპერატორ დიოკლეტიანეს მცველი, შემდეგ კი მხედართმთავარი იყო გიორგი. მან მონები გაათავისუფლა, მთელი თავისი ქონება გლახაკებს დაურიგა და აშკარად აღიარა ქრისტიანობა, რისთვისაც სასტიკად დასაჯეს 303 წლის 23 აპრილს.

ნაწამებ რაინდს უფლის ანგელოზი გამოეცხადა, მისი

ნაგვემი სხეული გაამთელა. მრავალგზისი წამების, მონამ-ვლის მიუხედავად, გიორგი მაინც უვნებელი იყო.

იმპერატორმა კონსტანტინემ ბაირალებზე გამოასახვინა ჯვარი და აღთქმა წმინდა გიორგისა: „ესე არს მძლეველი ყოვლისა“.

ქრისტეს შეწევნით გიორგიმ მხედარი აღადგინა.

ზეციური მხედრიონის დიდი წევრია წმინდა გიორგი.

ჩვეულებრივ, მას თეთრ ცხენზე ამხედრებულს გამოსახვენ. იგი ლახვრით ურჩხულს კლავს. გადმოცემის მიხედვით, წმინდა გიორგიმ საზარელი ურჩხული განგმირა და ხალხი გაათავისუფლა.

წარმართულ ეპოქაში ქართველებში შეიმჩნეოდა მთვარის თაყვანისცემის კვალი. შემდეგ მისი ადგილი წმინდა გიორგიმ დაიკავა.

წმინდა გიორგი იყო გამოსახული ფეოდალური საქართველოს დროშებზე, მენშევიკური საქართველოს ღერბზე.

წმინდა გიორგი არის მიქაელ მთავარანგელოზის რაინდი, დედამიწაზე მიქაელის მისიის ამსრულებელი. მისი კულტის წარმოშობა სოლარული კულტის განვითარების უადრეს ეტაპებზე უნდა ვეძიოთ (1,163).

ქართველთათვის წმინდა გიორგი სიმბოლოა მებრძოლი ქრისტიანობისა, სიმბოლო თავად ღვთისა, ძალისმიერ მებრძოლურ ასპექტში, ბოროტების დამთრგუნველ ასპექტში“ (1,172).

საქართველოში მეცხრე საუკუნიდან იწყება წმინდა გიორგი კულტის გაძლიერება ოფიციალური ეკლესიის წიაღში.

ქართულ ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში იქმნება წმინდა გიორგის საგალობლები (1,170).

„წმინდა გიორგი თვით საქართველოს სიმბოლო იყო, გამუდმებით მტერთან მებრძოლის, ბნელეთის ძალებზე გამარჯვებულის და შემთხვევითი როდია, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თქმით, დიდგორის ომში დავითის მხედრებს წმინდა მონამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა

სახილველად წინ უძღვიდა და მკლავითა თვისითა მოსვრიდა ზედა მოწევნულსა უსჯულოთა მათ წარმართთა“ (1,172-173).

ცნობილია, რომ ქართულ ფოლკლორში აირეკლა წმინდა გიორგის მიერ ქაჯავეთის დალაშქვრა და იქიდან თასის ანუ ბარძიმის წამოლება (1,182).

ზვიად გამსახურდისა წმინდა გიორგის კულტის გამოძახილს ხედავს „ვეფხისტყასანში“.

„უდაბნო, კლდოვანი ლანდშაფტი განასახიერებს სააქაოს ცოდვილ ყოფას, სადაც მოგზაურობს, მოქმედებს და იბრძვის წმინდა გიორგი (1,211).

ქაჯეთი არის ქვესკნელის ალევორია, რაზედაც პირველად მიუთითა კონსტანტინე გამსახურდიამ თავის ესეში „დანტე ალიგიერი“. ქაჯეთი ბოროტების საუფლოა, შავი მაგის ციტადელი“ (1,214).

ჩვენს ხალხში გავრცელებული წმინდა გიორგის კულტის გამო ბერძნები, ევროპელები და სხვა უცხოელნი ქართველებს გეორგიანებს უწოდებდნენ. გეორგიანელობა მებრძოლი ქრისტიანობაა (1,225).

ქართულ მითოლოგიაში ქვესკნელის, ქტონური ძალების სიმბოლოა ქაჯეთი (ქაჯავეთი), ნეგატიური დემონების საუფლო, რომლის დალაშქვრის შემდეგ წმინდა გიორგი და სხვა ღვთის შვილები მოიპოვებენ განძს, თასს, გამოიხსნიან სამძივარს, მზექალას და აშექალას. ეს არის გზა წმინდა გიორგის ინიციაციისა“ (1,342).

ზვიადის და მერაბის მიზანი იყო „ჩრდილოეთის წითელ ჯალათთა კრებულისგან“ განთავისუფლება.

ამის იმედი იყო მესანისტური იდეა, რომ საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრია, ხოლო წმინდა გიორგი ჩვენი მონათესავე კაბადოკიელი, ჩვენი ერის მფარველი: „ჩვენ ღვთისმშობელი გვწყალობს ხახულის და გვიცავს მარად თეთრი გიორგი“, წერს ზვიად გამსახურდია წერილში „ძე ქარიშხლისა“ (2,3).

მერაბ კოსტავას ლექსი „ქმას ქრისტესმიერს“ ისევ სი-მართლის, რწმენის, „შუაღამის მზის“, „წმინდა ბარძიმის“, ტაძ-რის გზით სიარულის, წმინდა გიორგისა და წმინდა ნინოს ჯვარზე დამყარებით ავლენს ოპტიმიზმს სამშობლოს გაბრწყინებისა: „.... დაგვცერის თვალი არსთავანმრიგის, ეს აგვარი-დებს ბედის შავ ტაროსს. და ოცნებებიც ცას მისწვდნენ ჩვენი, ცა გადაგვეხსნა მარადჟამული... დე, ელვარებდეს ივერთა ცა-ზე მზე, შუაღამის, ბარძიმი წმინდა... და მიგვიძლოდეს ეკლიან გზაზე წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი“ (2,76).

ლექსში „საყდრის ეზოში“ ძმადნაფიცების წინამძღოლია წმინდა გიორგი: „....ძვირფას სამწდეში ჩაითვლება კვლავაც ფიცვერცხლი და ძმადნაფიცებს წაგვიძლვება წმინდა გიორგი (2,118-119).

გალაკტიონიც ხომ ღმერთზე – „მზიან ღამეზე“ ლოცუ-ლობდა, ბარძიმს, გრაალს აიდეალებდა.

მერაბის იდეალი იყო „შუაღამის მზის“ ჭვრეტა (ბიბლი-ური რემინისცენციები).

პოეტების მეფეს ქრისტე ეცხადებოდა („ქრისტე“), მერაბ კოსტავას თვალთახედვა „მზიანი ღამეს“ ჭვრეტდა, მაცხოვ-რის გამოცხადებით ხარობდა (შენ გევედრები სულით გლახა-კი) (2,25-27).

წმინდა წერილის მიხედვით, არა პრაგმატული, არამედ მარადიული სიბრძნის, ჭეშმარიტების მომმადლებელი უზენაე-სია – „სიბრძნის წყარო“, „სხვა სიბრძნე“, რომელსაც ეთაყვა-ნება მერაბ კოსტავა, როგორც გალაკტიონი (სფინქსი)(2,76).

ოკულტიზმის შემცნობი, ფილოსოფიის სიბრძნეს ნაზია-რები პოეტი თითქოს ედემის ბაღს უახლოვდება და სფეროთა მუსიკა ესმის: „....ედემის ბაღი სხვა არა არის, თუ არა წყარო ფორმადქმნელ ძალთა, სადაც მუსიკას სფეროთა ქნარი, გა-მომძერწავი სახეთა, გვართა. გამოუთქმელმან აგვსახა ფარი, გადაგვაფარა წყალობის კალთა, ძე მოგვივლინა, ვით გზა და

კარი, ვდგავართ ახალი ცხოვრების კართან“ (შიმშილობა) (2,131-142).

წმინდა ნინოს ერთი ხელნაწერის მიხედვით, საქართველო დიდმოწამე წმინდა გიორგი კაბადოკიელის მფარველობის ქვეშ იმყოფება.

ნათლით შემოსილი ახოვანი მხედარი მკვდრეთით აღმდგარი უფლის მარჯვნივ დგას.

„ტყვეთა განმათავისუფლებელო და გლახაკთა ხელის აღმპყრობელო, სნეულთა მკურნალო და მეფეთა უძლეველო წინამძლოლო, ღვანლით შემოსილო, დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებლად, სულთა ჩვენთვის“ – ასე უგალობენ თეთრ რაინდს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თქმით, დიდგორის ომში დავითის მხედრობას წმინდა გიორგი უძლოდა წინ.

მე-12 საუკუნის მწერლის ტბელ აბუსერიძის თხზულებაში – „ცხოვრება ქვითხუროსა ბასილისა“ – ცენტრალური პერსონაჟია წმინდა გიორგი.

კათალიკოსი ბესარიონ თრბელიშვილი აღნიშნავს, რომ ქართველ-სპარსთა ომის დროს ჰაერში მოჩანდა თეთრ ცხენზე ამხედრებულ ჭაბუკი, რომელიც მტერს შიშის ზარს სცემდა. ყველას სჯეროდა, რომ ის იყო ძლევამოსილი წმინდა გიორგი.

ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონში“ ლაშარის წმინდა გიორგი მიუძლოდა მტერთან საომრად მიმავალ თუშ-ფშავ-ხევსურებს.

აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკში“ სამმა ქართველმა რაინდმა მხოლოდ მაშინ შეძლო ურჩხულის დამარცხება, როცა ნათლით მოსილი მხედარი გამოჩნდა (კირილუს სიზმარი).

მხოლოდ კომუნისტებმა არ ინამეს წმინდა გიორგი, კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ მთვარე – წმინდა და გიორგი – ჩანთქა ენგურმა, რევოლუციამ.

XX საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა ახალი მოქცევა ღმერთისკენ, ზეცის წმინდა სულებისკენ და თეთრმა გიორგიმ ისევ გაანათა ქართველთა სული.

გალაკტიონ ტაბიძეს თაყვანისცემას აღუძრავდა რაინ-დული სიმამაცე ბოროტების დამთრგუნველი ჭაბუკისა, მისი სასწაულები, კეთილი საქმეები.

ამ ძლევამოსილი წმინდანის გამოცხადებაა აღწერილი გალაკტიონის ლექსში „ძველი წისქვილი“: „...აფრთოვანება—გაგიჟების ხმა არ შეწყდება, სანამდე რაშით არ წამოვა წმინდა გიორგი“ (3,91).

გალაკტიონი ნოემბერს გიორგობისთვეს უწოდებს. ეს თვე არის სისავსის, „ფერთა ხარისხის, მეგობრობის, „მზეობის“თვე: „დგება დღეების გიორგობისთვის, მარიობისთვის ვარდების მითვლით, ფერთა ხარისხის, მეგობრობისთვის და მზეობისთვის სავსე სიტურფით“.

ამ დროს მღერის ბუნება სისავსის, სილამაზის, სიუხვის სიმღერას (სიმფონია გიორგობისთვის) (2,157).

გალაკტიონის პოემა „მშვიდობის წიგნში“ ქრისტეს გვერდით არის ნახსენები „თეთრი რაინდი“, „მხედართა მხედარი“. დაკარგული წიგნის (წიგნი ღმერთის სახელია) პოვნის უამს ხდება ნათელი – ბნელის დამმარცხებელი რაინდის სახის გახსენება: „კედელს მსახველი ნათელის მკვეთრის, ჰქვია სახელი რაინდის თეთრის, სავსეს ვნებებით და ოცნებებით, გადმოცემებით მხედართა მხედრის“ (4,191).

ლექსში „საყდრის ეზოში“ წმინდა გიორგი ძმადნაფიცების წინამძღვარია: „...ძვირფას სამწდეში ჩაითვლება კვლავაც ფიცვერცხლი, და ძმადნაფიცებს წაგვიძღვება წმინდა გიორგი“ (3,118).

ქართველი მწერლის და რაინდის გურამ რჩეულიშვილი-სადმი მიძღვნილ წერილში მერაბ კოსტავა აცხადებს: „ქართული მიწის სანახებს, წმინდა გიორგის რაშის ფლოქვებს ეტანებოდა მისი შთაბეჭდილებებით დაუნაყრებელი ბუნება“ (გურამ რჩეულიშვილი) (5,167-174).

მერაბ კოსტავას წერილში – „გამოსათხოვარი“, რომელიც ეძღვნება დიდ ქართველ პროზაიკოსს, დღეს უკვე მთელ

მსოფლიოში აღიარებულ მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას, დიდოსტატი წარმოჩნდება, როგორც ურჩხულთან, „მრავალთავიან პიდრასთან „ მებრძოლი, ღვთისა და ერის წინაშე ჭეშმარიტად ვალმოხდილი, „უკვდავთა საუფლოში“ დამკვიდრებელი წმინდა გიორგის უშიშმარი საინდი“ (5,188-193).

მეოცე საუკუნის მწერლობაში წმინდა გიორგის განსაკუთრებული თაყვანისცემა იგრძნობა კ. გამსახურდიას ნოველებსა და ჩანახატებში. მწერალს გამოარჩევდა წმინდა გიორგის სიმამაცე.

მერაბ კოსტავას ლექსში „თურმანო, მინდვრის კანჯარო“ ისევ ნახსენებია „წმინდა გიორგის რაინდი“ (2,69).

ლექსში „სიზმარი“ ნათქვამია: „გიორგობას, ზღვის ნაპირზე მოაგელვა მოყმემ რაში“ (5,63).

მაღალი იდეალების მსახურნი-მერაბი და ზვიადი თავიანთ წინამდლვრად წმინდა გიორგი იგულვებენ: „ძვირფას სამწდები ჩაითვლება კვლავაც ფიცვერცხი და ძმადნაფიცებს წაგვიძლვება წმინდა გიორგი“ (საყდრის ეზოში) (4,118).

## დამოწმებანი

1. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“, „მეცნიერება“ თბ. 1991
2. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“, თბ. 1990
3. გალაკტიონ ტაბიძე ორ წიგნად წიგნი I, ლექსები, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1988
4. გალაკტიონ ტაბიძე 12 ტომად, ტ. 11, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1973
5. მერაბ კოსტავა, „შეწყვეტილი ფიქრები“, „მერანი“, თბ. 1991

## გრაალი – კაცობრიობის მარადიული იდეალი

გრაალის ორდენის რაინდები მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში (გალაკტიონ ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა).

ორგვარ სიბრნეს განარჩევენ ბიბლიაში: „მიწიერს, ხორციელს და ღვთის სიბრნეს (ბარუქი, 3,23)(1,90) ეშმაკეულ სიბრნეს და მაღლით გარდმოვლენილს.

პავლე მოციქული აცხადებდა: „...ამ წუთისოფლის სიბრნე უგუნურებაა ღვთის წინაშე, როგორც წესია: „მათ ცბიერებაში შეიპყობს ბრძენებს“ (პავლე მოციქული, 1 კორინთელთა; 3,19)(2,360).

სულინმინდის ქნარად წოდებული პავლე მოციქული მოგვინდებდა, შეგვეცნო „ღვთის სიბრნე, საიდუმლოებაში დაფარული“ (1 კორინთელთა, 2,7)(2,358).

წმინდა მამა განასხვავებდა „ხორციელ გონებას“ და „ღვთის მადლს“ (11 კორინთელთა 12)(2,433).

მისი იდეალი იყო სულიერი გონება, ღვთის სიბრნე: „ვლოცულობთ თქვენთვის, რათა აღივსოთ მისი ნების შეცნობით, ყოველნაირი სიბრნითა და სულიერი გონებით“ (კოლასელთა, 1,9)(2,431).

უზენაესის შესაცნობად საჭიროა „სიბრნისა და გამოცხადების სული“: „...ვლოცულობთ, ...რათა მოგცეთ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ღმერთმა, დიდების მამამ, სიბრნისა და გამოცხადების სული მის შესაცნობად“ (პავლე მოციქული, ეფესელთა, 2,17)(2,414).

ნეტარი ავგუსტინე განასხვავებდა „ზერელე სწავლას“ და „შემეცნებას“, კიცხავდა „ხორციელ სიბრნისმეტყველებას“ და მას უწოდებდა „სხეულებრივი გრძნობების უძლურებას“ (3,47-48,4-50).

აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ „კულტურა თავისი არსით და საფუძვლებით რელიგიურია, ეროვნულ–ნაციონალურია და ამდენად, საკაცობრიო, ცივილიზაცია–არარელიგიურია, ინტერნაციონალური“ (აკაკი მინდიაშვილი) (4,116).

ნამდვილი მწერლობა ყოველთვის რელიგიური იყო და მისი ორიენტირი იყო ღვთის სიბრძნე.

ათეისტური ტირანიით ცნობილ მეოცე საუკუნეშიც იყვნენ ჭეშმარიტი სიტყვის ოსტატები, რომელთაც კავშირი არ გაუნყვეტიათ რწმენასთან, სულიერებასთან, მარადიულ იდეალებთან. ამ მხრივ, განსაკუთრებული ინტერესი ვლინდება გრაალის პრობლემისადმი.

გრაალი ქრისტეს სისხლის, ანუ უკვდავების სასმელის შემცველი წმინდა თასია.

უკვდავების ძიება კაცობრიობის მარადიული იდეალია, ამიტომ ყველა ქვეყანაში არსებობს გრაალის იდენტური საკრალური, დაფარული საგანი. ასეთია უკვდავების სასმელი „სომა“ ინდოეთში, ირანული ტრადიციით – „ჰაომა“. ეს სასმელი, სათანადოდ შემზადებული, ადამიანს აღუდგენდა მარადისობის განცდას.

წმინდა გრაალი ის თასია, რომელიც საიდუმლო სერბაზე ქრისტეს ეპყრა ხელთ და რომელიც შემდგომ იოსებ არიმათიელმა („ქრისტეს ფარულმა მონაფემ“) ქრისტეს ფერდში ასისთავ ლონგინუსის შუბით გახსნილი ჭრილობიდან გადმომსკდარი სისხლით აავსო.

ლეგენდის მიხედვით, თასი ბრიტანეთში წაიღეს თვით იოსებ არიმათიელმა და ნიკოდემოსმა. ეს კელტურ და ქრისტიანულ კულტურებს შორის კავშირის გაბმას მოასწავებდა.

თასი ანგელოზებს გამოუთლიათ იმ ზურმუხტისაგან, რომელიც ლუციფერს გადმოუვარდა შუბლიდან მისი დაცემისას. ეს ზურმუხტი გვაგონებს ურნას, შუბლის მარგალიტს, რომელიც ინდურ ტრადიციაში ძალიან ხშირად შივას „მესამე თვალის“ ადგილს იკავებს და მარადისობის განცდას ანიჭებს.

ლეგენდაში ისიც ნათქვამია, რომ გრაალი ადამს ჩაბარ-და მიწიერ სამოთხეში, მაგრამ დაცემისას დაკარგა იგი სა-მოთხიდან განდევნილმა, რადგან ზეადამიანურ მდგომარეო-ბას ცოდვილნი ვერ ეზიარებიან.

შემდეგ შეთმა (სეთი, ადამ და ევას ძე კაენისა და აბე-ლის შემდეგ) სამოთხეში შესვლის უფლება მიიღო და დაიბ-რუნა თასი. მას თავის მიმდევრებთან ერთად უნდა დაეარსე-ბინა სულიერი ცენტრი, დაკარგული სამოთხის ხატი და შემ-ცვლელი.

ცნობილი არ არის, სად და ვინ შემოინახა გრაალი ქრის-ტეს ეპოქამდე.

გრაალი იკარგება ან იფარება, როცა ის უშუალო კავ-შირს წყვეტს უზენაეს ცენტრთან.

ავგუსტინეს მიხედვით, ნარლვნა ვერ მისწვდა მიწიერ სამოთხეს, რომელიც არის „ენოქის სამკვიდრებელი და წმინ-და მიწა“. მისი თხემი „მთვარის სფეროს ეხება“, ე.ი. ცვალე-ბადობის მიღმაა, ცისა და მიწის გადაკვეთის წერტილში.

მაგრამ როცა შესუსტებულია რწმენა, გრაალი დახუ-რულ ცენტრებში ინახება.

„გრაალ“ სიტყვას ორმაგი მნიშვნელობა აქვს. გრაალი თასიც არის და წიგნიც. ეს უკანასკნელი ასპექტი ცხადლივ აღნიშნავს ტრადიციას, ხოლო პირველი უფრო მდგომარეობის აღმნიშვნელია.

სულიერ ცენტრებს განუყრელად უკავშირდება მრგვალი მაგიდა, მის ირგვლივ შემოკრებული თორმეტი პერსონაჟით. ეს მაგიდა განკუთვნილია გრაალის მისალებად (5,10).

გრაალს უკავშირდება მონსალვატის „მთა ხსნისა“, სიმ-ბოლო მწვერვალისა, რომელიც მდებარეობს „შორეულ ნაპირ-ზე“, მოკვდავთაგან რომ ვერავონ მიუახლოვდება. იგი „მიუწ-ვდომელ მხარეში“, შუაგულ ზღვაშია აღმართული, რომლის უკან მზე ამოდის. ეს წმინდა კუნძულიც არის და „პოლარული მთაც“. ეს არის უკვდავების მიწაც, რომელიც მიწიერ სამოთ-ხესთან უნდა გავაიგივოთ.

გრაალის უპირველესი მნიშვნელობა არსებითად ემთხვევა საკრალური თასის ზოგად მნიშვნელობას. აღმოსავლეთში სამსხვერპლო თასი შეიცავდა უკვდავების სასმელს: ვედური ტრადიციით-სომას, ხოლო მაზდეანურით –ჰაომას.

თასის დაკარგვა მოასწავებს არა იმდენად ნივთიერი დოვლათის დაკარგვას, არამედ ტრადიციის შებლალვას და იგი კვლავ ზებუნებრივი ჩარევით უნდა აღდგეს. თასი უნდა გამოჩინდეს კვლავ ზეციდან მაღალ მთაზე, ან აღმოჩინდეს გამოქვაბულში, ან მიწაში ჩამარხულს უნდა წამოედოს სახნისის პირი. ასეთ ანდრეზებში თასი ჭეშმარიტებისა და წმინდა რეალობის ნივთიერი გამოხატულებაა და მისი ორმაგი ადგილ-მდებარეობა-ცაში და მიწაში – ჭეშმარიტების „ხილვადობისა“ და „შებურვილობის“ პერიოდებზე მიუთითებს (5,5).

„და თუ ანდრეზის საკრალური შინაარსი ასალორძინებელია ცნობიერებაში, მისი აღორძინება კვლავ სიწმინდის წიაღშია შესაძლებელი (იქვე).“

რენე გენონის ნააზრევში განსაკუთრებით საყურადღებოა თასისა და წიგნის იდენტურობის დაშვება.

ხოლო მოციქულთა რიცხვის თანაზიარი თორმეტი რაინდი, მრგვალი მაგიდის გარშემო რომ არიან შემოკრებილი და ზნეობრივ სრულყოფას ესწრაფვიან, სხვა რა უნდა იყოს, თუ არა ეკლესია, რომელთა მინიმალური რიცხვი თორმეტია „მოციქულთა დადგენილებების“ (V) თანახმად, კრებული მორწმუნეთა ბარძიმ-ფეშეუმის მოლოდინში, რომელსაც მათ წინაშე საფარველი (დაფარნა) უნდა აეხადოს, რომ სათითაოდ ეზიარონ „უხრწელთა და ცხოველმყოფელთა საიდუმლოთა“. „

ზურაბ კიკნაძე არ ეთანხმება თასის ფშავ-ხევსურულ ანდრეზებში გრაალის ლუგენდის გამოძახილის დანახვას. ფშავ-ხევსურეთის საყმოებში თასი სადღესასწაულო სიწმინდეა, მაგრამ მხოლოდ თავისი საიდუმლოებრივი წარმოშობითა და მოუხელთებლობით თუ მოგვაგონებს იგი გრაალს. თასის მცველი და მცყრობელია უხუცესი (5,5).

გრაფ თარხანის მიხედვით, ქრისტეს ჯვარცმის დროს თასის ასაკი რამდენიმე საუკუნეს აღწევდა.

თასი ძვირფასი, არამინიური ქვისგან იყო გამოთლილი, რომლის შუაში ძირფასი ქვა იჯდა. ეს ქვა მამალმერთმა ლუ-ციფერის განდევნის დროს მისი გვირგვინიდან მოხსნა, რი-თაც დაცემულ ანგელოზს სამყაროს მართვის უფლება წარ-თვა. შემდეგ სასმისი ღმერთმა თავისსავე შექმნილ ადამს გა-დასცა, მაგრამ მისი შეცოდების შემდეგ თასი კვლავ ზეცაში დაპრუნა და ქრისტეს უბოძა.

არსებობს ლეგენდის სხვა ვერსიაც. მთავარანგელოზ მი-ქაელის მითითებით, ანგელოზები თავს დაესხნენ ლუციფერს და შერკინების დროს მთავარანგელოზმა ცეცხლოვანი მახვი-ლით ამოუგდო ლუციფერს გვირგვინიდან ზურმუხტის თვა-ლი. შემდეგ მისგან გააკეთეს სასმისი, რომელსაც წმინდა გრაალის თასი ეწოდა.

გრაალის თასში თავმოყრილია ის დიდი სიძლიერე, რო-მელიც მამა ლერთმა თავის შვილს გადაულოცა. გოლგოთა-ზე კი მაცხოვრის სისხლი ბოლო წვეთამდე სწორედ ამ თასში მოგროვდა. სისხლი არ დედდებოდა და არ ცივდებოდა. თასმა იოსებს ხელები დასწვა. მისი ტემპერატურა მზის ტემპერატუ-რას უტოლდებოდა, მაგრამ არაფერს წვავდა. იოსებმა ანგე-ლოზისგან მიიღო მითითება, როგორ უნდა შეენახა და დაეც-ვა თასი. ეს მითითება თასთან ერთად მან გადასცა მემკვიდ-რეს, რომელმაც სულ მალე პალესტინა დატოვა და ქრისტეს მრნამსის გასავრცელებლად დასავლეთისკუნ გაეშურა.

გრაალის თასის კვალი IV საუკუნეში იკარგება... გრაა-ლის თასმა „ვერ აიტანა“ ეკლესიის დამოუკიდებლობის შეზ-ღუდვა და გაქრა. ამის შემდეგ ის ინახება საიდუმლო ტაძარ-ში და ელის დროს, როცა კვლავ წარდგება მსოფლიოს წინა-შე.

გრაალის თასის კულტი შუა საუკუნეების ბრიტანეთში წარმოიშვა. თასს აქვს უნარი გაჯანსაღებისა, თუ მას ადამია-ნი რვა წლის განმავლობაში დაეუფლება. ასევე, ვინც მისგან

სითხეს მოსვამდა, ყველა ცოდვა მიეტევებოდა, ჩვეულებრივი მოკვდავი და ცოდვილი თასს ვერ დაეუფლებოდა.

არსებობს ვერსია, რომლის მიხედვით იოსებ არიმათიელი, წმინდა ფილიპეს დავალებით, იერუსალიმიდან ბრიტანეთში გადავიდა და მისთვის მინდობილი რელიქვიაც თან წაიღო. იქ, გლასტონბერთან, მან მიწაში ჯოხი ჩაარჭო. ჯოხმა ფესვები გაიდგა და კვრინჩხის ბუჩქად გადაიქცა, რომელიც წელინადში ორჯერ ყვაოდა. იოსებმა ეს მოვლენა ღვთის ნიშნად მიიჩნია და იმ ადგილას ეკლესია ააგო, რომელიც მოგვიანებით სააბატოდ გადაიქცა. მიიჩნევენ, რომ გრაალის თასი სწორედ გლასტონბერის სააბატოს მიწისქვეშეთში ინახება. განსხვავებული ცნობით, თასის ადგილსამყოფელად ესპანეთში მდებარე სალვატის ტაძარი მიიჩნევა, რომელიც ერთ ლამეში აუშენებიათ ანგელოზებს.

მეფე არტურზე შექმნილ ლეგენდებში მთავარია გრაალის თასის ძიება.

1485 წელს, თამაზ მელორმა გამოაქვეყნა წიგნი „არტურის სიკვდილი“. მასში აღწერილია, როგორ გაემართა 150 რაინდი წმინდა გრაალის საძებნელად კამელოტიდან. ციხე-სიმაგრეს, სადაც თასი ინახებოდა, პირველი სერ ლანსელოტი მიუჟახლოვდა. გაიღო კარი, იქიდან დიდი სინათლე წამოვიდა და როგორც კი ზღურბლზე გადმობიჯება დააპირა, შემოესმა ხმა, რომელმაც ამცნო, რომ თუ შენობაში შევიდოდა, აუცილებლად დაისჯებოდა. ლანსელოტმა უკან დაიხია, მაგრამ ლია კარიდან დაინახა დარბაზის შუაგულში აღმართული კათედრა წმინდა გრაალის თასით, რომელსაც ანგელოზები ეხვეოდნენ. კათედრის წინ თეთრებში გამოწყობილი მლოცველი ღვთის მსახური იდგა. ლანსელოტს მოეჩვენა, რომ მას ფეხზე დგომა უჭირდა, ღმერთს სთხოვა, მიეცა მისთვის უფლება, მოხუცს მხარში შესდგომოდა. როცა გადააბიჯა ზღურბლს და კათედრისკენ გაემართა, ცხელი ჰაერის ტალღამ უკან გადააგდო, ლანსელოტი არ აღმოჩნდა ღირსი, რომ გრაალს მიახლოებოდა. რელიქვიამ ის უარყო. ლანსელოტის შემდეგ მო-

სულმა დიდგვაროვნებმა დაინახეს, როგორ დაეშვა ზეციდან ხელი, აიტაცა გრაალის თასი და ზეცაში წაიღო.

შუა საუკუნეებში გრაალს სიყვარულის ტაძარს უწოდებდნენ. მისი შეხების უფლება მხოლოდ უმანკო მამაკაცს ჰქონდა.

ლეგენდის მიხედვით, მამა ღმერთს სამყაროს შექმნის დროს ხელში წმინდა გრაალის თასი ეპყრა.

ბიბლიაში გრაალის პირველი ხსენება მეცე მელქისედეკს უკავშირდება. ის გრაალის მცველად მოიაზრება.

ვის ხელში არ გამოიარა გრაალმა, იკარგებოდა და ხელახლა მოიძებნებოდა ხოლმე, ის მოულოდნელად ქრებოდა, ასევე მოულოდნელად გამოჩნდებოდა სრულიად შეუცნობელ ადგილებში.

მაცხოვრის ჯვარცმისას გრაალი ზეციდან დაეშვა უამრავ თეთრებში გამოწყობილ ანგელოზთან ერთად და ის მოულოდნელად აღმოჩნდა იოსების ხელში. იოსებმა იესოს სისხლი მოაგროვა თასში. ჯვარცმის შემდეგ გრაალი წმინდა მარიამს მოუტანა და უთხრა: „დღეიდან შენ ხარ წმინდა გრაალი და ცოცხალი საკურთხეველი. ნეტარო მარიამ, მიიღე ჩემი ხელიდან ეს წმინდათანმინდა ჭურჭელი ჩვენი ღმერთისა და გაუფრთხილდი მას. ღმერთი აღუთქვამს მუდმივ სიცოცხლეს მას, ვინც ამ წმინდა სასმისიდან მის წმინდა სისხლს მოსვამს“.

მარიამმა პირველმა მოსვა წმინდა სასმისიდან ღვთის სისხლი, რომელიც მაშინვე „გამრავლდა“ და პირვანდელი მოცულობა დაიბრუნა.

წმინდა გრაალს სასწაულმოქმედი ძალა ჰქონდა: თასის შიგნით თავიდანვე სასწაულები ხდებოდა. ვინც მასში ჩახედვას მოახერხებდა, მხსნელის აჩრდილს ხედავდა. მაცხოვარი ჩნდებოდა თასში და იქიდან ესაუბრებოდა მათ, ვისაც ამის ღირსად მიიჩნევდა.

წმინდა სასმისის ანგელოზები აუწყებდნენ წმინდა ქალწულს, რა განსაცდელი ელოდა გრაალს, როგორ ბოროტებას

ჩაიფიქრებდნენ მის წინააღმდეგ ჯერ იუდეველი ფარისევლები, შემდეგ კი მათი მემკვიდრეები, ქრისტიანი მამები, იმპერიული რწმენისა და რომაული ცეზარეპაპიზმის დროს. ფარისევლებმა დაანესეს დიდი ფულადი ჯილდო იმისთვის, ვინც სინედროინში წმინდა გრაალის მიტანას შეძლებდა.

წმინდა გრაალი მხოლოდ ადრექრისტიანული აღაპების დროს, ლიტურგიებზე, ერთდროულად ჩნდებოდა რამდენიმე ადგილზე, იცვლიდა ფერს, მის თავზე კი გამუდმებით ეკიდა ცეცხლოვანი ჯვარი. ხანდახან კი თვით მაცხოვარი ცხადდებოდა და თასში ჩაეშვეოდა ხოლმე.

თასის მოულოდნელი გამყარებას უნყობდა ხელს. წმინდა გრაალის მეშვეობით ჩამოყალიბდა რაინდთა საძმო, რომლის წევრებსაც სამუდამო უმანკოების ფიცი ჰქონდათ დადებული. ისინი იკვებებოდნენ მხოლოდ ზეციდან მოვლენილი საკვებით. ტრაპეზის დროს მაგიდაზე მხოლოდ ვერცხლის და თიხის ჭურჭელს დგამდნენ. სპეციალური ლოცვის აღვლენის შემდეგ, მაგიდის თავზე გამოისახებოდა გრაალი. ჭიქები საუკეთესო ღვინით ივსებოდა, ხოლო ლანგრებზე საუკეთესო თევზი და არამინიერი საკვები ჩნდებოდა. რაინდები ღვთის ნებას გრაალის შიგთავსში კითხულობდნენ, რომელიც სითხეში წარწერების სახით ჩნდებოდა.

დედამიწაზე ცნობილია გრაალის 180 მცველი.

IV საუკუნეებში, როცა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, გრაალი გაქრა. რაინდები ტყეში გადასახლდნენ. შუა საუკუნეებში, ინგვიზიციისა და ჯვაროსნული მოძრაობის დროს, გრაალი უფრო მიყრუებულ ადგილზე გადაიტანეს.

ფაშიზმის მიმდევრები ჰიტლერის დავალებით ცდილობდნენ გრაალის ხელში ჩაგდებას, მაგრამ მათ მხოლოდ იმ შუბს მიაგნეს, რომლითაც დაჭრეს იესო. შუბი დიდი ხანი ინახებოდა ნიურნბერგის ახალ საიდუმლო საცავში, მაგრამ მესამე რაიხის დაცემის შემდეგ, 1945 წლის 30 აპრილს, ამერიკულმა სპეცდანიშნულების რაზმა საიდუმლო სამალავი აღ-

მოაჩინა. 1945 წლის 4 იანვარს რელიქვია გაიგზავნა ვენაში, სადაც დღემდე ინახება ჰოფბურგის სასახლის განძსაცავში (7,19-20).

გრაალი, ეზოტერული თვალსაზრისით, ტაბუდადებული სიბრძნის, საიდუმლოებისა და მისტერიების სიმბოლოა.

ალქიმიკოსებისთვის „გრაალი“ ზეციდან ჩამოგდებულ ქვასთან, ანუ „ფილოსოფიურ ქვასთან“ არის გაიგივებული, რაც ანტიკურ პერიოდში იგივეა, რაც შუა საუკუნეებში „გრაალი“. „ფილოსოფიური ქვის“ ძიება არის სულიერი გზა, რომელიც ანტიკურ თუ ძველბერძნულ მისტერიებში უშუალოდ უკავშირდება ძიებას „ოქროს საწმისის“. რამდენადაც „ფილოსოფიური ქვა“ და გრაალი იდენტურად მოიაზრება, ქრისტიანულ-თეოლოგიური თვალსაზრისით, კლასიკურ გრაალს ეწოდება „ოქროს საწმისი“.

„გრაალი“, ბერძნული ვერსიით, ღვინისა და წყლის შესარევ ჭურჭელს, ლათინური ვერსიით ჭეშმარიტ სისხლს, ხოლო ისლანდიური ვერსიით სიუხვის კალათას ნიშნავს.

„გრაალთან“ დაკავშირებულია ადამიანის ასტრალური სხეულის განწმენდა ქვენა ინსტინქტებისა და ვნებებისაგან. ძველი ბერძნები ამ უდიდეს სულიერ პროცესს „ოქროს საწმისს“ უკავშირებდნენ (8,225-235).

ცნობილი რუსი მოგზაური, მხატვარი და ორიენტალისტი ნიკოლოზ რერიხი წერს: „великая чаша сделана из драгоценного камня. Много внимания уделялось чудесному камню, упавшему с далёкой звезды... Должное время камень исчезает, чтобы опять появиться в сужденный срок в совершенно другой стране“ (9,127).

პოეტი იოჰან იოზეფ გორესის (1776-1848 წწ.). აზრით, „გრაალში“ ჩანაულია უძველეს ქურუმთა საიდუმლო სიბრძნე. იგი პარალელს ავლებს ჰერკულესის თასთან, რომელსაც ბაკ-ხუხის მისტერიების დროს იყენებდნენ. ეს თასი ჰერკულესს

მზის ღმერთმა ჰელიოსმა აჩუქა, რომელიც კოლხი მედეას პაპა იყო.

ზოგიერთი მკვლევარი „გრაალის“ თასს ჰერმეს მეგვიპტელისა და ჯემშიდის თასსაც უკავშირებს. ჰერსეპოლისის ამშენებელი ლეგენდური მეფის ჯემშიდის თასში ჩასხმული სითხეც სიბრძნისა და უკვდავების სიმბოლოდ მოიაზრება.

ბრიტანეთში „გრაალის“ ორდენის რაინდთა შორის იყო რაინდი პარციფალი (პარსიფალი), რაც სიტყვასიტყვით მოხეტიალეს ნიშნავს. მან მოიპოვა წმინდა სასმისი და ლვთაებრივ სიბრძნეს ეზიარა. მას სათნოებისთვის ერგო თასი, შუბი და დავით მეფის ჯადოსნური მაცვილი.

წმინდა გრაალი ჰიპოფიზის სიმბოლოა – ანუ ადამიანის თავის ტვინის ზედა დანამატის, რომლის მიერ გამომუშავებული ჰიპოფიზის ნიშნავს. მან მოიპოვა წმინდა სასმისი და ლვთაებრივ სიბრძნეს ეზიარა. მას სათნოებისთვის ერგო თასი, შუბი და დავით მეფის ჯადოსნური მაცვილი.

პარციფალმა უვნებლად განვლო კლინგსორის ხიფათებით სავსე სასახლე, დალაშქრა „ხსნის მთა“ და იქ მდებარე ტაძარი დაიპყრო. ეზოთერული თვალსაზრისით, კლინგსორის სასახლე ცხოველური ენერგიაა, რომლითაც ადამიანი ცდუნდება. „ხსნის მთა“ ადამიანის სხეულია, ხოლო მწვერვალზე არსებული ტაძარი – თავის ტვინი. მიზანი ის არის, რომ ფიზიკური სხეული უნდა გახდეს სულის მეგობარი, დაეხმაროს ჩვენს არსებას სულიერი ხედვის გაღვიძებაში, რელიგიური ცნობიერებით დაძლიოს ცხოველური საწყისები.

ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის აღებიდან ოცი წლის შემდეგ, 1119 წელს, იქმნება ტაძრის რაინდთა, ანუ ტამპლიერთა ორდენი.

ტამპლიერები მონაწილეობდნენ დიდგორის ომში.

ჯვაროსნები დავით აღმაშენებელს უწოდებდნენ მეფე-ხუცეს იოანეს.

ვოლფრან ფონ ეშენბახის „პარციფალში“ მეფე ხუცესი იოანე არის პარციფალის ნახევარძმის ფაირეფიცის ძე. ფაირეფიცი ეტიმოლოგიურად ნიშნავს „შავ-თეთრს“.

პარციფალი წარმოადგენს დასავლური ეზოტერიზმის გზას, რომელიც ეძებს „გრაალს“, ხოლო ფაირეფიცი-აღმოსავლური და დასავლური სიბრძნის შერწყმის გზას, იმდროულად, თეთრი და შავი რასების შერევას. შავ-თეთრი არის იმიტომ, რომ ქრისტიანული დასავლური სიბრძნე შერწყმულია არაბულ სიბრძნესთან. ხდება დასავლურ-აღმოსავლური სიბრძნის სინთეზირება.

დავით აღმაშენებლის ქრისტიანული მსოფლგანცდა და-სავლურ-აღმოსავლური სიბრძნის ნაერთია, ამიტომ ძველ ის-ტორიულ-ჯვაროსნულ ქრონიკებში „შავ-თეთრი“ ანუ მეფე-ხუცეს იოანე სიმბოლურად ნიშნავს დავით აღმაშენებელს.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართველი ბერები ტამპლიერებთან იყვნენ დაახლოებულნი. ტამპლიერები აღმოსავლურ ესთეტიზმს ქრისტიანულ მრნამსს უხამებდნენ. ტამპლიერთა გვიანდელი მემკვიდრეა როზენკროიცერთა ორდენი, რომელიც რელიგიათა სინთეზს ისახავდა მიზნად და ამის ემბლემაა ვარდებიანი ჯვარი. ჯვარი ქრისტიანობის სიმბოლოა, ვარდი – ისლამის, მაგრამ რელიგიათა ასეთი შერწყმა მიუღებელია მართლმადიდებლური ქრისტიანობისათვის (8, 225-235).

სულ სხვაგვარია გრიგოლ რობაქიძის მიერ მოაზრებული გრაალი რომანში „გრაალის მცველნი“.

გრაალის არსი გახსნილია ლექსში, რომელსაც გრაალის მცველი ლევან ორბელი კითხულობს.

უფსკრულის პირას იდგნენ რაინდები, რომლებმაც მტრის მორჩილებას სიკვდილი არჩიეს. მათ ჰქონდათ წმინდა ნინოს ჯვარი, ვაზისგან გამოთლილი და მისი თმით შეკრული. უფსკრულში გადაშვების წინ პატარა, მტირალი გოგონა შემ-

თხვევით შეეხო ჯვარს. გამხმარი ხე აყვავდა, ოქროსფერი მწიფე მტევნები მოისხა და სასოწარკვეთილ რაინდებს უძლე-ველი ძალა მიეცათ.

რაინდებმა ჯადოსნური მტევნები დაწურეს, წვენი თასში დააგროვეს და თასი ფარულად შეინახეს, როგორც სიწმინდე. თასის გარშემო საიდუმლო ორდენი ჩამოყალიბდა მრავალი მცველით. თასში იდო გული – საქართველოს მზე. გრაალის გუშაგები დარაჯობდნენ იდუმალ მიწას.

თასის მცველები, განსხვავებით გრაალის მცველებისა-გან, იყვნენ მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენლები. ამ პერსონაჟთა გვარები გაშიფრა კ. სალიამ: ოდილიანი – პა-ოლო იაშვილი, ავალა – ტიციან ტაბიძე, მზისავარ – აპოლონ წულაძე, დათა და კოსტა-ძმები ვლადიმერ და გრიგოლ ჯა-ფარიძეები, ჰიდირ – მამედ ბეგ აბაშიძე, სალარა – მფრინა-ვი სალარაძე, მარჯანი – კოტე მარჯანიშვილი, უშანგ – უშან-გი ჩხეიძე, ხორავ – აკაკი ხორავა, ვასსა – აკაკი ვასაძე, ვანო – იაკობ ნიკოლაძე, ს.ო. – სერგო ორჯონივიძე, შავდია – ლავრენტი ბერია, ლეგა – ლევან ლოლობერიძე.

კ. სალიას არ მიუთითებია, ვინ იგულისხმებიან ლევან ორბელის და თავად გიორგის სახეში, მაგრამ ლევან ორბე-ლის პროტოტიპი თვით გრიგოლ რობაქიძის უნდა იყოს.

ასევე დაუდგენელია რუსი ჩეკისტის ველსკის ადრესატი.

თასი მტრები არიან ს.ო. შავდია, რუსი ჩეკისტი ველსკი.

ბუნებრივია, გრიგოლ რობაქიძემ თასის მცველებად მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენლები, რწმენით, სულიერებით გამორჩეული ადამიანები რომ შეარჩია.

თასის განადგურება ერის სულის ჩაკვლის ტოლფასია და ამიტომ დაეძებს მას ჩეკისტი ველსკი, რადგან ამით ხალ-ხის დაპეჩავება სურს. ამას ის კაცობრიობისთვის თავისუფ-ლების მოტანის სურვილით ამართლებს და ამტკიცებს, რომ ღმერთის რწმენა იგივე მონობაა და ადამიანი უნდა განთავი-სუფლდეს მისგან.

რომანში იდუმალი კავშირი იკვეთება ორ მოვლენას შორის. ველსკის ნაამბობის მიხედვით, ნაპოლეონის ჯარებმა იტალიაში ილაშქრეს, გენუა დაიკავეს და სან ლორენცის ტაძარში საფირონის შვიდეუთხიანი თასი იპოვეს, რომელიც, თქმულების თანახმად, ჩამოტანილი იყო ჯვაროსანთა მიერ ანტიოქიიდან და წმინდა გრაალად ითვლებოდა. მორწმუნები წელიწადში ერთხელ იკრიბებოდნენ ტაძარში მის სანახავად. ნაპოლეონმა თასი პარიზში გაგზავნა მისი ღირებულების დასადგენად.

იმავე დროს, ესპანეთში, ბარსელონას ახლოს, მონტსერატის მთასთან დაბანაკდა ჯარი. იქ იდგა ციხე—დარბაზი, რომელიც, თქმულების მიხედვით, ლოენგრინსა და გრაალის სხვა რაინდებს უკავშირდებოდა. ფრანგებმა დაანგრიეს მონასტერი და მოციქულ ლუკას მიერ ხისგან გამოჭრილი ხატიც იავარებინეს. ამ დროს პარიზში გაიბზარა სან ლორენცის ტაძრიდან ჩამოტანილი თასი.

ველსკის ნაამბობიდან ის აზრი იკვეთება, რომ სიწმინდეთა ხელყოფა სიმამაცეს ამტკიცებს და, ვინც უშიშარია, უბრალო მოკვდავზე, ათეიისტზე მეტია.

რომანში აღნერილია 1924 წლის აჯანყება, რომელიც დამარცხდა.

ველსკის ამ დამარცხებაზე მეტად გრაალის განადგურება აინტერესებს, რადგან რწმენის, სულის გადარჩენა ერის გადარჩენის ტოლფასია.

ველსკი, ქართველი და რუსი ჩეკისტები ვერ მოახერხებენ გრაალის ხელში ჩაგდებას. ლევან ორბელი და მისი ამხანაგები გადაარჩენენ გრაალს.

გრიგოლ რობაქიძის რომანის „ალეგორიულ შინაარსა“ ასე შითრავს აკაკი ბაქრაძე: „ყველაზე მძიმე ვითარებაშიც კი ხალხმა უნდა შეინარჩუნოს რწმენა და იმედი, ანუ დაიცვას გრაალი. ამით გაუმკლავდება იგი მტერს.. მწერლობის ამოცანა კი ის არის, დაეხმაროს ხალხს გრაალის დაცვაში.“

„ქართული მწერლობის ისტორია 1921 წლიდან, ერთი მხრივ, არის ბრძოლა გრაალის დაცვისთვის და, მეორე მხრივ, ბრძოლა გრაალის დანგრევისთვის“ (აკაკი ბაქრაძე, „ბრძოლა გრააალისთვის“) (10,308-322).

აშენარაა გრაალის კავშირი ქართულ სინამდვილესთან.

როცა გოლგოთაზე მაცხოვრის ჭრილობიდან სისხლი მოწვეთავდა, მოხდა ქრისტეს მისტიკური დაკავშირება დედა-მიწასთან.

ქრისტეს ეთერული, ასტრალური სხეულებისა და მე-ს პირები არსებობს წმინდა ავგუსტინეში, თომა აქვინელში, ფრანჩესკო ასიზელსა და სხვებში. ასევე, წმინდა ნინოში გად-მოსულია ქრისტეს ეთერული, ასტრალური სხეულებისა და მე-ს ხატი. „სვეტიცხოველის ტაძარი გრაალის ტაძარია, რად-გან იგი წმინდა ნინოს მითითებით იმ ადგილას არის აგებუ-ლი, სადაც ქრისტეს კვართია დამარხული“ (აკაკი ბაქრაძე) (11,63).

გრაალის მიმდინარეობას ქართველურ, კაბადოკიურ ეთ-ნოსს უკავშირებს ზვიად გამსახურდია. მისი აზრით, ტერმი-ნიც კაბადოკიურია: „გრაალი მიმდინარეობს ძველპროვანსუ-ლი და, ალბათ, ძირითადად, კაბადოკიური ტერმინიდან „გრა-ცალ“. კაბადოკიური ეთნოსი, რომელიც იგივე ქართველური, პროტოიბერიული ეთნოსია, არის ძირითადი შემქმნელი გრაა-ლის მიმდინარეობისა. ტიტურელი, ცნობილი პირველი მფლო-ბელი გრაალისა, ეროვნებით იყო კაბადოკიელი, ე.ი. ქართვე-ლური წარმოშობისა... გრაალის მისია ეს არის სულინმინდის მისია. გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულინმინდი-სა და გრაალის მფლობელი არის სულინმინდით გამსჭვალუ-ლი ადამიანი“.

ზვიად გამსახურდიას დაკვირვებით, შავთელის ოდებში მოხსენებული „მადლთა ბარძიმი“ იგივე გრაალის თასია. ქარ-თულ ფოლკლორში წმინდა გიორგის მიერ ქაჯავეთიდან წა-მოღებული თასიც გრაალია. გელათის ფრესკების ძირითადი მოტივები გრაალის თასთან არის დაკავშირებული... ყრმა

მაცხოვარი, რომელიც უჭირავს გელათის ღვთისმშობელს, შუბლზე გრაალის ტვიფარს ატარებს. „ვეფხისტყაოსანიც“ გრაალის პოემა იმიტომ, რომ გრაალის სიმბოლოებია, სინონიმებია: საუნჯე, თვალ-მარგალიტი, ფილოსოფიური ქვა და ქალწული, ე.ი. ქალწულის გამოხსნა ტყვეობიდან იგივეა, რაც გრაალის გამოხსნა. ალეგორიულად, რაინდობა დაკავშირებული იყო ინიციაციასთან, რაინდობა იყო ინიციაციის ინსტიტუტი, ამიტომ მისი უმთავრესი მიზანი იყო ქვესკნელში ჩასვლა და გრაალის გამოხსნა, ანუ წმინდა საწყისის გამოხსნა ბნელი ძალების ტყვეობიდან“ (12,38).

მერაბ კოსტავა იზიარებს რუდოლფ შტაინერის მოსაზრებას, რომ წმინდა გრაალის ბარძიმი, რომელსაც გრაალის ძმობის რაინდები ინახავდნენ სათუთად მონსალვატის მთაზე, დასავლეთიდან გადატანილ იქნა აღმოსავლეთში, მეფე-მღვდელმთავარ იოანესთან, ეს პიროვნება კი დავით აღმაშენებელი იყო, რომელიც უმაღლეს დონეზე აერთებდა ღვთისა და მოყვასის სიყვარულისა და მსახურების მისტერიას.

„სწორედ გრაალის ბარძიმის გადაცემისას უნდა მიენიჭებინათ დავითისათვის მეფე-მღვდელმთავრის მაღალი სახელი იოანესთან ერთად და მისი ხელდასხმის საიდუმლო როტუალს ქართველებთან ერთად, შესაძლოა, ტაძრელი რაინდებიც ესწრებოდნენ.“

გელათის ფრესკული მხატვრობის ძირითად მოტივს სწორედ გრაალის ბარძიმი წარმოადგენს“ (13,51).

იოანე ხუცესის თქმულება გამოუყენებია კრეტიენ დე ტრუას რომანში „პარსიფალი ანუ თქმულება გრაალზე“, ეშენბახი თავისი პოემისათვის უნდა დასესხებოდა ამ თქმულებას.

გერმანელმა პოეტმა ალბერტ შარფენბერგელმა (მე-13ს) თავის პოემას „ახალი ტიტურელი“ უწოდა და ფართო ადგილი მიუჩინა მასში იოანე ხუცესს და წმინდა გრაალის საკითხს.

ეზოტერიული ქრისტიანობის წარმომადგენლებმა, რომელთაც უშუალო მეგობრობა აკავშირებდათ დავით-იოანე ხუცესთან, გრაალი აღმოსავლეთიდან კვლავ ევროპაში გადა-

იტანეს. განმარტოებულ და მიუწვდომელ ადგილას აღმართულ გრაალის კოშკს თორმეტი რაინდი მეთვალყურეობდა.

დავით აღმეშენებელი, დასავლეთში იოანე ხუცესად მიჩნეული, თვით იყო გრაალის რაინდი.

გრაალში მოცემულია საკაცობრიო სიყვარულის იდეალი.

გერმანელი მეცნიერი ჰერმან ფონ სკერტი წიგნში „გრაალის ტაძრები კავკასიაში. თაურქერისტიანობა სომხეთსა და საქართველოში“ – ამტკიცებს გრაალის ტაძრების არსებობას ამიერკავკასიაში...

გალაკტიონ ტაბიძე იყო სულინმინდის მადლით ცხებული პოეტი და ბუნებრივია გრაალისადმი მისი განსაკუთრებული ინტერესი.

მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში პოეტი მოწმე გახდა ღირებულებათა გადაფასების, სულის გაუდაბურების, ტირანიის, ანტიქრისტეთა ლეგიონების თარეშის. ქართველი კაცი გაუუცხავდა უფალს, უდანაშაულოთა სისხლით და ცხედრებით აივსო ქუჩები, რეპრესირებულ იქნენ ერის საუკეთესო წარმომადგენლები. გაუგონარი უსამართლობით გულმოკლული პოეტი მამალმერთს – „თიბათვის მზეს“ ევედრებოდა ძე ღმერთის მოვლინებას, რათა გადარჩენილიყო სიყვარული.

თიბათვის მზესთან მუხლმოყრილი, გრაალის ორეულად ქცეული, ანუ სულინმინდის მადლით ცხებული პოეტი ლოცულობს მხურვალედ, რათა გადარჩეს მისი სიყვარული: „მზეოთიბათვისა, მზეო, თილბათივსა, ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები, იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით, ფრთებით დაიფარე – ამას გევედრები“.

გულწრფელი სტრიქონები ლექსისა ფსალმუნის ავტორის დაღადისს ეხმაურება თითქოს: „ლმერთო, შემინახე თვალისწინივით, შენი ფრთების ჩრდილქვეშ, დამიფარე ბოროტაგან, რომელი თავს მესხმიან, მტრებისგან, გარს რომ მერტყმიან სულის ამოსახდელად“ (ფსალმუნი, 17,8,9) (2,535).

მამალმერთის მეოხებით სწადია გალაკტიონს უბედურების უამს მამისმიერი სულის-სულინმინდის მოვლინება უმანკოთა მშვენიერი სულის შესანარჩუნებლად: „ტანჯვა-განსაცდელში თვალი მიურიდენ, სული მოუვლინე ისევ შენმიერი, დილა გაუთენე ისევ ციურიდან, სული უმანკოთა მიეც მშვენიერი“. ლექსის „თიბათვის მზე“ მამალმერთია, მისმიერი სული-ქრისტე.

მამალმერთის სიმბოლოდ მიაჩნია აკაკი ბაქრაძეს „თიბათვის მზე“.

ლექსში „მზეო თიბათვისა“ ნახსენებია ქრისტიანული სამების სამივე წევრი: „ლმერთი (თიბათვის მზე), სულინმინდა (სული მოუვლინე ისევ შენმიერი) და ეს ანუ ქრისტე („ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები“).

სტრიქონი – „ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები“ ასე უნდა წავიკითხოთ: ლოცვად მუხლმოყრილი ქრისტეს სისხლით სავსე თასს ვგავარო“ (აკაკი ბაქრაძე, „რას ნიშნავს თიბათვის მზე?“) (10,300-301).

„თიბათვის მზესთან“ დაკავშირებით კი ასეთ ვარაუდს გამოთქვამს მეცნიერი: „პოეტი ღმერთს... სულინმინდის მოვლინებას ევედრება („სული მოუვლინე ისევ შენმიერი“), სულინმინდის მოფენის დღე კი 14 ივნისია (ძველი სტილით 1 ივნისი). ივნისი ხომ ქართულად თიბათვეა!“ (10,302).

აშკარაა, მამალმერთის წინაშე „ლოცვად მუხლმოყრილი“ პოეტი გრაალს ედრება, ანუ თავის სულში სულინმინდის დავანებას გვამცნობს.

მხოლოდ ციური სულით არის შესაძლებელი მშვენიერების გადარჩენა, ამაღლება, თავისუფლების მიღწევა: „უფალი სულია, ხოლო სადაც არს სული უფლისა, იქვეა თავისუფლება“ (პავლე მოციქული, II კორინთელითა მიმართ) (9,7) (2,388).

უკეთურობის, გაუტანლობის პერიოდში შემთხვევითი როდია სულის ნატვრა, რადგან „სულის ნაყოფია: სიყვარული,

სიხარული, მშვიდობა, დიდსულოვნება, სიტკბოება, სიკეთე, რწმენა, თვინიერება, თავშეკავება“ (პავლე მოციქული, გაღა-ტელთა მიმართ, 6,22,23) (2,411).

ლექსის ფინალში კონკრეტდება შინაარსი ეპოქისა, რო-მელიც გამოიჩინა სისხლით, ცხედრებით, ქარტეხილებით და ბუნებრივია პოეტის სურვილი, ბოროტებამოძალებულ დროში გადარჩეს სასურველის ნათელი სული: „ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება, უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები, მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება, მზეო თიბათვისა, ამას გავედრები!“ (14,131).

ასე დაუბირისპირდა გალაკტიონის თანამედროვეობაში ერთმანეთს გრაალი, დიდი სიყვარული, უმანკო სული და „ხა-ნი უნდობარი“, სისხლი, ცხედრები, მძაფრი ქარი.

არასწორი იქნებოდა იმ ლექსის დაკავშირება უცხოურ ტრადიციებთან. ერთ-ერთი ჩანაწერის მიხედვით, იგი მიძღვნილია ოლია ოკუჯავასადმი, შიშია მეგობრის მომავალზე, ვედრებაა სიყვარულის გამარჯვებაზე. ამიტომაცაა ასე გულ-წრფელი და სულისშემძვრელი მუსიკად ქცეული ტკივილები სულისა.

გალაკტიონის დროს ბევრჯერ იზემდა ბოროტებამ, ძალ-მომრეობამ. ლერთის საბოლოო სიკედილისა და ცრუ ბელა-დების გაღმერთების იდეაც ამ ეპოქის გამონაგონი იყო. უჭირდა სიკეთეს, სიმართლეს, დრაკონის ნაშიერები ცდი-ლობდნენ რელიგიური მრნამსის, გრაალის იდეალის ჩაკვლას. იტანჯებოდა პოეტების მეფე, იმსხვრეოდა გრაალის კოშკე-ბი, ლიდიის სამრეკლო, უგულებელყოფილი იყო ციური ოც-ნება, კაცთა გაუგონარი მკრეხელობით კვდებოდა ვარდები და ქარვათა მორევში სამუდამოდ ეშვებოდა ფარდა. ანგელო-ზის პერგამენტზე ეწერა უმძიმესი განაჩენი: „ანგელოზს ეჭი-რა გრძელი პერგამენტი, მწუხარე თვალებით მინას დაპყუ-რებდა. მშვიდობით, მშვიდობით! ამაოდ დაგენდე, ელვარე სა-ლამოვ ალმას საყურეთა! ბაგეთა ლოცვაო, დიდება და ძეგ-ლო, უთუოდ მახსენებ ოდესმე... ოდესმე! გრაალის კოშკები,

ლიდიის სამრეკლო შენს ფერხთქვეშ დაიმსხვრა და გლოვა მომესმა“.

ფიტრდებოდა თვით ღვთისმშობელი, რომლის სიმბოლოა „ღრუბელი ფერადი“ (14,224). ციური ოცნების უხეში დაგმობით შეძრნუნებული იყო ძე ღმერთი – „ალვა ტანადი“ (ალვა ძე ღმერთის სიმბოლოა) (15,122).

უიმედობა, ტკივილები და სამუდამო დამშვიდობება იყო ყოველივეს ფინალი: „ქარვათა მორევში დაქვემდები, საღამო კანკალებს შიშით და რიდობით, საღამო ნელდება და კვდება ვარდები... მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!“ (15,74).

გალაკტიონი მზად იყო, სისხლით ენერა, ყოფიერების შხამიანი თასი დაეცალა, სიკეთისათვის სიცოცხლე გაეღო ქრისტესავით და გრაალის ბარძიმი გაევსო საკუთარი სისხლით, რაც მისი უკვდავების საწინდარი გახდა.

უდავოა, რომ ტერენტი გრანელის შემოქმედების ცენტრალური თემა იყო რწმენა, მართლმადიდებლური ქრისტიანობის, უმაღლესი რელიგიური ფასეულობების განუხრელი მსახურება.

სამწუხაროდ, დაკარგულია მისი ოთხი კრებულის ხალნაწერები, რელიგიური პოემები. ძნელია მტკიცება, ჰერონდა თუ არა საკუთრივ გრაალზე ტერენტი გრანელს რამე დაწერილი, მაგრამ მისმა თანამედროვებამ იგი მაინც გრაალის ორდენის ერთგულ რაინდად წარმოიდგინა.

პოეტის მეგობარი კონსტანტინე გაჩეჩილაძე (კონნე სპერლი) ტერენტი კვირკველიას ფსევდონიმს – გრანელი – გრაალს უკავშირებდა და მიიჩნევდა, რომ ეს კეთილხმოვანი სიტყვა მიღებულია გრაალისგან: გრაალი – გრაალელი – გრანელი... (17,12-13).

ათეისტურ მეოცე საუკუნეში სხვებსაც ენატრებოდათ გრაალი, მაგრამ ამ იდეალის გაუჩინარება ფაქტი იყო, რაც სევდით მსჭვალავდა მის მაძიებელს.

ზვიად გამსახურდიას თეორიულ ნააზრევზე, გრაალთან დაკავშირებით, უკვე გვქონდა საუბარი. მან პოეტურ ასპექტშიც გამოავლინა ამ სახის წყურვილი და დააფიქსირა სავალალო სურათი: ქიმგაბზარული გრაალის კოშკი, სიბრძნე – ათენა შავი ყორნით და დემონების გაბატონება: „ვით შეღამების შუქ-ჩრდილები მთას დაფიქრებულს, ეწვევა სულის საკურთხეველს ახლა სხვა რული. გრაალის კოშკი შორით მოჩანს ქიმ-გაბზარული, პალლას ათენას, სიბრძნის ველზე უშფოთვლად რებულს, შავი ყორანი აზის თავზე და გაფითრებულს გარს ახვევია დემონების ბილნი არული“ (მიძღვნა. სონეტი) (18,5).

პოეტს ეზმანება გველეშაპების და ცისიერთა ბრძოლა, ესმის კენტავრების აურზაური, ახსენდება მონსალვატი, რომელიც ცისებრ სალუქი სულის უნაზეს ფოლიანტებს აშრიალებს და მონსალვატზე დავანებული საგანძურის ნატვრას წარმოშობს: „გველეშაპები იწვოდნენ ცაზე... ცაზე კრებული ცისიერთა როს დაიფერფლა... და შემოგესმა კენტავრების აურზაური. მაშინ ლოგოსმა იფეთქა შენში და მოზღვაული დაინთქა ლექსი და ამ ნალექსში შენ ამოაგზნე მონსალვატის ნელი ანთება და მით დალუქე ცისებრ სალუქი სულის შენის უნაზესი ფოლიანტები“. ლექსი ეძღვნება კონსტანტინე ჭიჭინაძეს და ამჯერად იგია გრაალის რაინდი, მონსალვატის საუნჯის მაძიებელი („კონსტანტინე ჭიჭინაძისადმი“) (18,36).

მონსალვატი არის „მთა ხსნისა“, მწვერვალი, რომელიც მდებარეობს შორეულ ნაპირზე, „...მიუწვდომელ მხარეში, შუაგულ ზღვაში, რომლის უკან მზე ამოდის... ეს არის უკვდავების მინა, რომელიც მიწიერ სამოთხესთან უნდა გავაიგივოთ“ (6,2).

სხვაგან ზვიად გამსახურდია ღმერთს მიმართავს: „მეუფევ, შენი ბარძიმია სამყარო“, მაგრამ აქაც სევდაა, რადგან „გუმბათგადახდილი გაირღვა ტაძარი, ელვათა კვეთებამ კედლები დაბზარა“ („კოსმიური წირვა“) (18,116).

მერაბ კოსტავასადმი მიმართულ სტრიქონებში ივერიის ცაზე ღმერთის, ბარძიმის გაბრწყინების სურვილია: „დე, ელ-ვარებდეს ივერთა ცაზე მზე შუალამის, ბარძიმი წმინდა...“ (18,75).

მერაბ კოსტავას პოეზიაში გამორჩეული ადგილი ეთმობა გრაალის თემას.

ლექსში „ძმას ქრისტესმიერს“, რომელიც ზვიად გამსახურდიას ეძლვნება, ნაწარმოების ადრესატი წარმოიდგინება პარსიფალის ნახევარძმად, ტაძრელად, გრაალის მცველად: „...ხარ მწირი თამარ დედოფალისა საღვთო სინედლის გულში აღმძვრელი, თუ ნახევარძმა პარსიფალისა, დიდგორს მოსული ვინმე ტაძრელი, სამსხვერპლო სისხლით აღვსილი წმინდა გრაალის მცველი ღვთისგან ცხებული, თუ საიდუმლოდ ათონის მთიდან თორნიკესავით დაბრუნებული“ (29,9).

ცნობილია, რომ 1119 წელს, იერუსალიმში შეიქმნა ტამპლიერთა სამხედრო-სასულიერო ძმობა, რომელიც თავის თავს „მეტაძრეთა“ ორდენს უწოდებდა, რადგან მათი თავშეყრის შენობა აგებულ იქნა უშუალოდ იმ ადგილის მახლობლად, სადაც ლეგენდარული სოლომონ ბრძენის ტაძარი იყო აღმართული (შ. ბადრიძე, „საქართველო და ჯვაროსნები“) (8,227).

საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სამუშაო ოთახში ეკიდა სურათი, რომლის კომპოზიცია ტამპლიერთა ცხოვრების ერთ ეპიზოდს გადმოგვცემს (8,227).

მეტაძრე ტამპლიერთა ორდენის წარმომადგენლებმა ტრაგიკულად დაასრულეს სიცოცხლე.

1314 წლის 18 მარტს საფრანგეთის მეფის ფილიპე IV ლამაზისა და მისი დამჯერე პაპის – კლიმენტი V შეთანხმებით, ინგვიზიციური პროცესი აღიძრა და სიკვდილით დასაჯეს კოცონზე მეტაძრე-ტამპლიერთა ორდენის უკანასკნელი მაგისტრი იაკობ მოლე, რითაც ფაქტიურად დაასრულა ორდენმა თავისი არსებობა (8,228).

„დიდგორში“ მერაბ კოსტავა ეხება დავით ალმაშენებლის სასწაულებრივ გამარჯვებას, მეფის სახელთან ბარძიმის და-კავშირებას, რადგან დავითი გრაალის მცველად მიიჩნეოდა: „აქეთ იყალთოთი, იქით გელათითა, მაცხოვარ, მან შენი სახე-ლი ადიდა, აღსავლის კარიდან აღსტყორცნა არწივი, ზეცას დაუბრუნდა სერაფიმ – ბარძიმი (19,10).

ლექსში „გალაკტიონი“ მერაბ კოსტავა პოეტების მეფის წუხილის უმთავრეს მიზეზად სამართლიანად მიიჩნევს გრაა-ლის, მონსალვატის მიუწვდომლობა–გაუჩინარებას: „... ყველა დროების პირველ პალადინს, რამეთუ გფერფლავს, ვითარცა ალი, სიწრფელე გულთამხილავი თვალის, შეუღწევლობა მონ-სალვატისა, მიუწვდომლობა წმინდა გრაალის“...

„გრაალის“ მიმდევარს მოეთხოვება უმაღლესი კეთილ-შობილებისა და სიწმინდის პრინციპების დაცვა, ნათელი გო-ნება და სუფთა გული; გახდეს ჭეშმარიტების დამცველი, კად-ნიერი მსახურება შეცვალოს თავმდაბლობით, უშიშრად შეა-ვიწროვოს სიყალბის სული და აღადგინოს თავის თავში სიტ-ყვა (ლოგოსი). მხოლოდ იშვიათ რჩეულთ ეძლევათ ღირსყოფა გრაალის საიდუმლოებისა. გრაალი თვით უხმობს მათ. ეშენ-ბახის მიხედვით, ფრაგეტანი გრაალის სახელს კითხულობდა ცის გუმბათზე (8,231).

„გრაალის რაინდი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ის, ვინც შეიცნო პირველცოდვის სიმძიმე და რომელიც მოკრძა-ლებით მიმართავდა „საულ სამ – მზეს, რათა „სულის მხედ-ველობით“ ეხილა უფლის ნათელი და ამ „ნათელის განმტკი-ცებისათვის თვით ეტვირთა ჯვარი“ (8,232).

პოეტი წარსული დიდებით ინუგეშებს თავს, რადგან სა-ქართველოც იყო ერთ დროს „ისტორიის უმძლავრესი კოლო-სი“ დავით მეფის დიდების დროს, როცა გელათის ამშვენებდა გრაალი: „საქართველოსაც ხომ ერგო რიგი, ვით ისტორიის უმძლავრეს კოლოსს, საოცრებათა გრაალი იგი, წმინდა გე-ლათში იყო სულ ბოლოს. ჩვენი კაცობის დამამშვენებელს,

ვინც იყო ჩვენი დიდების ჭერი, ხელთ ეპყრა დავით აღმაშენე-  
ბელს, მეფე-მღვდელმთავარს ქართველი ერის“ (19,11).

მერაბ კოსტავა თავის უდიდეს სატკივარს, ეჭვებს უზია-  
რებს პოეტების მეფეს, რადგან ათეიზმის ზეობის უამს დადუ-  
მებულია წმინდათა სავანე, ბურუსშია მომავალი: „მოვდივარ  
შენთან, როგორც მავანი, მარქვი, მგოსანო, რატომ მდუმა-  
რებს ღირსთა მამათა წმინდა სავანე? ნუთუ დაგვეხშო აღსავ-  
ლის კარი და ერთიანად წაგვერთვა სმენა? რამეთუ ვუწყით,  
მეტყველი არი, ერთობ მჭევრია საგანთა ენა. რადგან უწყიან  
იქაც, მიწაზეც, ვისთვისაც ჯერ არს, ყველამ იციან, ბარძიმი  
იქ არს, იმასთან ცაზე, გალილეია ვინც აირჩია“ (19,144-162).

ზვიად გამსახურდია წერს: „კავკასიის, კერძოდ, კოლხე-  
თის ოქროს საწმისი გაიგივებული იყო ფილოსოფოსთა მთას-  
თან, რწმენასთან და ეწოდებოდა ზეციური რწმენის მადანი.  
საწმისის ძიება ზეცნობიერის, უმაღლესი სულიერების ძიებად  
ითვლებოდა ისევე, როგორც გალაადის და სხვათ მიერ გრა-  
ლის ძიება. ვერძი ნიშნავს უმანკოებას, ხოლო საწმისი უმაღ-  
ლესი სულიერების სიდიადეს და ბრწყინვალებას, რაც უკავ-  
შირდება განძის ზოგად სიმბოლიზმს“.

„ოქროს საწმისის ძიება, უმაღლესი სულიერების ძიება,  
რასაც ადგილი აქვს მისტერიათა სამყაროში, არის იგივე გრა-  
ალის ძიება“ („ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“) (20,273).

გიორგი გურჯიევი გამოყოფდა ცივილიზაციის ორ გზას.  
ეგზოტერულს – ფართო მასებისათვის გათვალისწინებულს  
და ეზოტერულს, მხოლოდ ხელდასხმულთათვის, განდობილ-  
თათვის განკუთვნილს (ჭეშმარიტების სამყაროში) (21,191).

გალაკტიონის, კ. გამსახურდიას, გრ. რობაქიძის, ტე-  
რენტი გრანელის, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას შე-  
მოქმედება არის ეზოტერული, მარადიული, მომავლისთვის,  
რჩეულთათვის განკუთვნილი სიბრძნის ძიებისა და პოვნის მა-  
გალითი.

გალაკტიონს ესმოდა „მსოფლიო ბაგეთ გოდება“, „მსოფლიოს ღელვები“, ჭვრეტდა „მსოფლიოს გამოუცნობ წყლულებს, „მსოფლიოს სახეს და ფერს“.

მისთვის მახლობელი იყო „დასავლეთის, აღმოსავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის გზები“, დაუფებელი იყო „ყველა სიმზე“ დაკვრის ხელოვნების (ნიავი, ია, ნარგიზი) (16,511).

ქართველი პოეტების მეფემ „მსოფლიო სივრცეთა ტიტანი ტვირთები“ ასწია.

მერაბ კოსტავამ გალაკტიონს უწოდა „კოსმოსი“, „მესიური მასშტაბების“, „მაკროკოსმიური კაცი“ (გალაკტიონი) (19,144-162).

თვითონ მერაბი ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პატივისცემას ქადაგებდა: „საქმეა იქცე მსოფლიო კაცად და არ უმუხლო ერსა და თვისტომთ“.

## დამოწმებანი

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ., 1990
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992
3. სიტყვა მართლისა სარწმუნოების, წიგნი IV, თბ., 1992
4. აკაკი მინდიაშვილი, ხელოვნების რელიგიურობისა და თანამედროვე სინამდვილის შესახებ, „ცისკარი“, 1999, №3
5. რენე გენონი, გრაალის სიბოლიზმი, ფრანგულიდან თარგმნა თამარ ჯაყელმა „ლიტერატურული საქართველო“, 1992, 15 ოქტომბერი
6. რენე გენონი, მთა და გამოქვაბული, „ლიტერატურული საქართველო“, 1987,27 დეკემბერი

7. გრაფი თარხანი, გრაალის თასის მცველები, მისი წარმოშობის ისტორია და სერ ლანსელოტის თავგადასავალი, უურნალი „გზა“, 2007, 28 ივნისი – 4 ივლისი
8. თენგიზ ბურჭულაძე, დავით ალმაშენებელი – გრაალის რაინდი, ალმანახი „რინა“, სოხუმი, 1989
9. Н.Перих, Избранное, М., 1979
10. აკაკი ბაქრაძე, თხზ. ტ. III, თბ. 2004
11. აკაკი ბაქრაძე, „რწმენა“, თბილისი, 1969
12. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ., 1990
13. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ., 1991
14. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996
15. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995
16. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1977
17. მარინე ქადაგიძე, სივრცეში დარჩენილი ფრაზები. კონნესპერელი (კონსტანტინე გაჩეჩილაძე) ტერენტი გრანელის შესახებ, თბ. 2003
18. ზვიად გამსახურდია,, „მთვარის ნიშნობა“, თბ., 1989
19. მერაბ კოსტავა, ლექსები თბ., 1990
20. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“, „მეცნიერება“, თბ., 1991
21. გიორგი გურჯიევი, ჭეშმარიტების სამყაროში, თარგმანი ლაშა დადიანის, თბ., 2000

## თავი III

### ფილოსოფიური ლირიკა

#### „შავი წიგნის“ საიდუმლო

„სიკვდილის გზა არა არის, ვარდისფერ გზის  
გარდა“ (გალაკტიონი)  
„არა სიცოცხლე, არა სიკვდილი,  
არამედ მესამე გზა“  
(ტერენტი გრანელი)  
„საიქიოც, სააქაოც სუნთქვა არის სულისა“.  
(მერაბ კოსტავა).

გალაკტიონს აინტერესებდა მიღმური სამყარო, ადამიანის სიკვდილის შემდეგ მოსალოდნელი მოვლენები (ხელოვნება) (1,8).

პოეტი ურიგდებოდა ადამიანის ფიზიკური სიკვდილის გარდუვალობას, მაგრამ სწამდა, რომ სხეულის გაქრობით არ მთავრდებოდა სიცოცხლე, მას სჯეროდა მიღმური სამყაროს არსებობა, სადაც სამუდამოდ დაივანებდნენ წმინდა, გაბრძნობილი სულები, როგორც დანტეს „ღვთაებრივ კომედია-ში“. საჭიროების შემთხვევაში კი აჩრდილის სახით გამოეცხადებოდნენ დედამიწის მკვიდრთ, როგორც შექსპირის ჰამ-ლეტს გამოეცხადა მამის აჩრდილი და სასახლის საშინელი საიდუმლო გაანდო.

გალაკტიონი დარწმუნებული იყო, რომ მისი სიბრძნის, სიკეთის, მშვენიერების მსახური სული აკლდამაზე ამაღლდებოდა, მარადიული იქნებოდა და სიკვდილის გარდუვალობა არ აძრწუნებდა: „ამაღლდი, სულო, თეთრ აკლდამაზე მშვენიერების ლექსით მქებელი. დღეს ყველგან მზეა და სილამაზე სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი“ (შერიგება) (1,105).

პოეტების მეფე „სამუდამო მხარის“ ნაპირს ლურჯა ცხენებით უახლოვდებოდა „მუქთა კამარის“ თანხლებით, იმის

რნმენით, რომ მისი ლურჯა ცხენების ქროლვა ბედისწერით იყო განსაზღვრული და მარადიული იქნებოდა (ლურჯა ცხენები) (1,57).

გალაკტიონს სჯეროდა, რომ მიღმურ სამყაროში წინაპრები მონინებით მიეგებებოდნენ, როგორც „გმირს“ და ნიჭით გამორჩეულს: „კარს გაუღებენ მას წინაპრები: გიცდიდით, ვიცით, ხომ მიატოვე, ის ნაპირები ჩვენი სიმტკიცით? მიეგებება არაგვის პირი და ხმა ძლიერი, შენ უსათუოდ კაცი ხარ გმირი და ნიჭიერი“ (კარ გაუღებენ) (1,174).

„გზაჯვარედინზე“ მყოფ პოეტს უზენაესის „თანამ-გრძნობი თვალები“ ევლინებოდა.

„მთაწმინდოს მთვარის“ ავტორი თავის სამარადისო ბინას მიღმურ სამყაროში იგულვებდა, იქ თანამგრძნობი აჩრდილები დაელოდებოდნენ, ასე სნამდა პოეტს: „ნუ დალონდები, არსებობს მხარე, სად თანაგრძნობაც არსებობს შენთვის, იქ დაუდეგარ, მეოცნებე სულს ბინა ექნება მუდამ, ყოველ-თვის“...

„იქ მუსიკობდა დანტეს ქნარი“, იქ იყო შელის და ბაირონის თავშესაფარი, რომლებთანაც ქართველი პოეტის შემოქმედებითი შეხვედრის მაგალითები დაიძებნება.

ასევე მიღმურ სამყაროში დამკვიდრებელი წინაპრები-დან გალაკტიონს ეძვირფასებოდა აკაკი წერეთელი, რომელ-საც პოემა უძღვნა, ხოლო ლექსში „აკაკის ლანდი“ პოეტის მოვლინებით, მისი „დიდებული სახით“, იხიბლებიან ღრუბელი, მნათობები, მთები, ტყე, შქერი, მოძრაობას აჩერებენ მდინარეები, „საიდუმლო შუქით“ იმოსება გზა, განსაცდელის ჟამს პოეტი სანთელს ანთებს „დავინებული ხატის მახლობლად“, მისი „მადლი“ და „შუქი“ ობლობაში მყოფ ერს ამხნევებს და ლექსის ბოლოს გალაკტიონი აცხადებს: „კურთხეულ იყოს ეს მოლანდება“( აკაკის ლანდი) (1,52-53).

მერაბ კოსტავა აცხადებდა: „სააქაოც, საიქიოც სუნთქვა არის სულისა“, ისიც „შავეთში“ გადახედვის უნარით იყო

ცნობილი. მის ლექსში „შიმშილობა“ „სიკვდილზე ფიქრებს სიბრძნის დედა“ ეწოდება.

სიკვდილის პირისპირ მრავალგზის მყოფ ეროვნულ გმირს არყოფნის შიში დაძლეული ჰქონდა, „მოყვასინი“ მიღ-მურ სამყაროშიც ეგულებოდა, თავის სამშობლოდ ზეცას მი-იჩნევდა, სჯეროდა სულის მარადიულობა.

პოეტს აინტერესებდა „სულეთის სილრმე“, „საზღვარს იქით“ გალწევა, „მესამე გზის“ არსებობა, რასაც ხედავდა ტე-რენტი გრანელის პოეზიაში: „ეს დედამიწა აკრთობდა გრა-ნელს, როცა ოცნებით ცაში ვიდოდა. იმ ცეცხლის ალით თვით დაიგრავნა, ვიდრემდის საზღვარს გადავიდოდა. ბო-ლოს იფიქრა სასომოხდილმან, რადგან ორივეს მიიჩნევ სწო-რად. დიახ, მათ შორის მესამე ჰგია, ორთავ საწყისის მაერთე-ბელი, თუ ზეცაა გაწყურის და მინა, გშია, თუ შენი თავის ხარ გამგებელი, სინდისის შენის წინაშე წარდეგ, იცან სიკ-ვდილი და მკვდრეთით ალსდექ! დიახ, ის მუდამ ემახსოვრე-ბათ, მისი ლექსები და მისი ბოლო“ (გალაკტიონი) (2,144-162).

მერაბ კოსტავა დარწმუნებული იყო, რომ მიღმურ სამ-ყაროში ადამიანები თავიანთი ცოდვა-მადლის მიხედვით განი-კითხებოდნენ, „...რომ სიამაყე, აქ რომ მპრძანებლობს, მათ-ხოვარია იმ სოფლის ბჭესთან“ (ძმას ქრისტესმიერს) (2,11-15).

„სოფლისა წარმავალობამ გამიასკეცა ჭრილობა“, წერდა პოეტი (ლვთისმშობლისადმი) (2,34-35).

მრავალჯერ მდგარა სიკვდილის წინ, „მსაჯულნი სიკ-ვდილის ცელს ლესავდნენ“ პატიმრის მოსასპობად, „ავი წი-ნაგრძნობაც“ დაუფლებია (განაჩენის მოლოდინში) (2,28-30).

მაგრამ არ ეპუებოდა ბოროტებას, სჯეროდა, რომ ფი-ზიკური ალსასრულის მიუხედავად, სული მარადიული იქნებო-და, იქაც მრავალი მოყვასი ეგულებოდა და სამზეოს დამტო-ვებელ შვილს ასე მიმართავდა: „კიდევ კარგი, რომ ჩემთვის ირაკლი გარდაცვლილები არ არსებობენ. არც კვდებიან და არცა ქრებიან, რადგან ისინი მუდამ რჩებიან ჩემთვის ცოც-ხლებზე უფრო ცოცხლებად“.

პოეტს სჯეროდა ორ სამყაროს შორის კავშირი და მიღ-  
მურში დამკვიდრებულ შვილს ასე მიმართავდა: „ჩვენ უნდა  
შევხვდეთ ჩემ სიკვდილამდე, ვით ლაერტის ძე და აქილევსი,  
რომ შევამტკიცოთ ორი სოფელი მზით ნათელლებულ შუალა-  
მეში ჩვენ უნდა შევხვდეთ უცილობელალდ, როგორც ენქიდუ  
და გილგამეში ...მაშინ გაუვა ყავლი წამებას, შეხვედრის წამი  
როს არ აგვცდება, როს ჩვენს წიაღში ესე სამება მძლე სიყვა-  
რულით გაერთარსდება... მინას მოვწყვიტოთ მძლავრი მკლა-  
ვებით, ცაში დავახრჩოთ ჩვენ ანთეოსი“ (ირაკლის) (2,126-  
129).

„სულეთის სიღრმე“ მერაბ კოსტავას „მემენტო მორის“  
სამყაროში ეგულებოდა, ეიმედებოდა „დაუსაბამო სახლი სი-  
მართლის, მიუსაფართა თავშესაფარი“ (გალაკტიონი).

„საწუთოროს ამაო დიდებას“ გმობდა და დანტესავით  
სჯეროდა წმინდა სულების მარადიულობა.

მერაბ კოსტავას სწამდა ხილული და უხილავი სამყაროს  
კავშირი და აცხადებდა: „...სულეთის მგზავრნი... დავაშრობთ  
ლეტოს, დავინყების წყეულ მდინარეს“ (ველარ ვიოკებ შეშ-  
ლილ სუნთქვის დაწყევლილ ალებს) (2,49).

გალაკტიონი დალამებას და თავისი სანთლის ჩაქრობას  
ელოდებოდა, რადგან, ყოველი ადამიანი, გენიოსიც კი, ფიზი-  
კურად მოკვდავია: „დღე დაინურვის და საცაა დამიღამდება,  
გაქრება ყორნის ფრთის მოქნევით ჩემი სანთელი“.

„მიცვალებულის ხსოვნაში“ გარდაცვლილთა ლანდები  
ქალაქს სტოვებენ (3,277).

პოეტის მოგონებაში ცოცხლდებოდა რუსთაველის ბავ-  
შვობა, „ოქროს ნავში“ იმყოფებოდა შელისთან, შენიესთან,  
ედგარ პოსთან, რომელსაც „აჩრდილი თანაზიარი“ უწოდა.

მერაბ კოსტავა აცხადებს: „სულის უკვდავების იდეა იყო  
და მუდამ დარჩება ქართველი ხალხის ქვაკუთხედ იდეად.

„სულთა ხელახალი დაბადების რეალობა გვარწმუნებს  
მსოფლიოს სამართლიანობაში“ (4,83).

მერაბ კოსტავას აინტერესებდა გარდაცვლილთა შეხვედრა ცოცხლებთან. ყურადღებას ამახვილებდა აქილევსისა და ოდისევსის შეხვედრაზე საიქიოში, იულიუს კეისრისა და ბრუტუსის შეხვედრაზე, ჰამლეტის მამის აჩრდილის გამოცხადებაზე (4,89).

პოეტი სიკვდილის შემდეგ თავისი სულის სამშობლოდ ზეცას იგულვებდა: „ჩემი სამშობლო ზეცაა თავად“ (შიმშილობა) (2,131-142).

(შდრ ტ. გრანელი: „ჩემი ნაზი სამშობლო ლავარდები ცისფერი“).

გალაკტიონს სიკვდილი არ აშინებდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მისი სული დანტეს, რუსთაველის, ბარათაშვილის სავანეში დაივანებდა (კარს გაუღებენ მას წინაპრები).

მერაბ კოსტავას მიღმურ სამყაროში ეგულებოდა „მოყვასნი“, მისი „ნახვის მნატვრელი“: „რა უნდა მქონდეს აქ დასარჩენი, თუ მიმელიან და იქ მნატრობენ, აღურაცხელი მოყვასნი ჩემინი, საიქიოშიც თუ ბინადრობენ“ (შიმშილობა) (2,142).

პოეტს სწამდა, რომ გამუდმებული კავშირია სააქაოს და მიღმურ სამყაროს შორის: „სააქაოც, საიქიოც სუნთქვა არის სულისა“.

მერაბ კოსტავამ გარდაცვლილ შვილს დაუწერა: „რომ შევამტკიცოთ ორი სოფელი მზით ნათაელღებულ შუალამეში“.

გალაკტიონს ევლინებოდა სიკვდილის აჩრდილი, ლურსმნებზე დაკიდებული ჩონჩხები, ძვლები, შავი წიგნი (მაგიდა ალებიკებით), მაგრამ შიშს ამარცხებდა იმის შეგნებით, რომ მისი სული ბარათაშვილის, აკაკის გვერდით დაივანებდა მთაწმინდაში, საკუთარი შედევრები ეიმედებოდა მარადისობაში გაღწევის გზად და ამიტომ იყო მისთვის სიკვდილის გზა „ვარდისფერი“ „მთაწმინდის მთვარეში“.

შტაინერის აზრით, სულიერ სამყაროში ადამიანს ცნობიერება გააჩნია. სიკვდილი არც იმათვის არსებობს, რომლებიც მაღალ იერარქიებს განეკუთვნებიან.

რატომ ჩხეიძე ხაზს უსვამს „დიდი ხნის წინათ გარდაც-ვლილ აჩრდილებთან მერაბ კოსტავას სულიერ, ღრმა და ინ-ტენსიურ მეგობრობას და ეს მისთვის მეტაფორა ან აბსტრაქ-ცია კი არ არის, არამედ ის იდუმალი რეალობა, ყოფითი სი-ნამდვილისგან რომ არც განერჩევა და არამარტო გონებით, არამედ გულითაც იცის აჩრდილებთან მეგობრობის ყადრი“ (5,113-114).

სიკვდილის პრობლემას ნიკო სამადაშვილსაც უკავში-რებს როსტომ ჩხეიძე, „ნიკო სამადაშვილს გამოარჩევდა სუ-ლის უფსკრულების ჩვენება, ირეალური, იდუმალი სამყაროს გადარჩენა.

„ამ კაცს შეეძლო საკუთარი გარდაცვალებაც დაენახა და ეს დრამატული ხილვა პიროვნების გაორების იმავე ხერ-ხის თავისებური სახეცვლილება, უპირველეს ყოვლისა, საკუ-თარ გულსა და გონებაში არის გამოტარებული და არ არის ლიტერატურული – ზეგავლენის ნაყოფი“ (6,110).

მერაბ კოსტავასთვის მთავარია სიკვდილის შიშის უკუგ-დება, ის დარწმუნებული იყო, რომ წმინდა სულის ადამიანები გარდაცვალების შემდეგ კი არ ისპობიან, არამედ ზეცაში მკვიდრდებიან.

უშიშარი რაინდის და პოეტის სიკვდილთან დამოკიდე-ბულებაზე საუბარი თავს იჩენს მამანტი როგავას ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილ წიგნში: „ამაღლებული სიყვარულით დაჯილდოებული გულხატთა მოდგმის ადამიანები სულიერ სამყაროში განიფინებიან, რისი ბრწყინვალე მაგალითიც მე-რაბ კოსტავას ლექსია: „წილხვდომილ სიკვდილს თუ ვმზერდე ავად, მაშინ ნამუსის ქუდი გავთელო, ჩემი სამშობლო ზეცაა თავად, შემდეგ ეს მიწა და საქართველო“ (7,97).

წერილში „გურამ რჩეულიშვილი“ მერაბ კოსტავა წერს: „ვაჟკაცობის ეტალონი მხოლოდ ადამიანის სიკვდილთან მი-მართებით განიზომება. აბობოქრებულ ზღვას მისცა მან თავი დასალუპავად განწირული მოყვასის გადასარჩენად და თავი მსხვერპლად გაილო. ისე გაუმართა გურამმა თვალი მოუ-

ლოდნელ სიკვდილს, როგორც დიდი ხნის მასპინძელს, რამე-თუ მოყვასისადმი სიყვარულით ავსილმა გულმა საბოლოოდ გარე განდევნა შიში. უზარმაზარი შემოქმედებითი პოტენცია წარიტანა თან, რომელიც უდავოდ ლიტერატურულ პიედეს-ტალზე აიყვანდა მას“ (8,171-172).

მერაბ კოსტავასთვის ჭეშმარიტი ლექსი „სიკვდილის ზი-არია, შავეთში გადანახედია“, „მოსული უსაზღვრობიდან“, რომელიც მოითხოვს „სულის გალებას“ (ლექსი) (2,60-61).

როსტომ ჩხეიძე ხაზს უსვამს მერაბ კოსტავას სულიერ, ღრმა და ინტენსიურ მეგობრობის გარდაცვლილთა აჩრდი-ლებთან... გარდასული დროის სიქველეთა ემპაზში განსანას“ (8,313-315).

„ტერენტი გრანელი სასაფლაოზე სიმღერათა მრავალ-ფეროვან ნაკადში ეფლობოდა, ხმატკბილ გალობას აყურა-დებდა. ახალ-ახალ მელოდიას ასდევდა და კიდეც ერწყმოდა იმ გრანდიოზულ ორატორიას“ (როსტომ ჩხეიძე, „გალობანი გალობისანი“) (9,23-29).

იოანე მოციქულის გამოცხადებაში თეთრად შემოსილი წმინდანები გალობენ ისეთ საგალობელს, რომლის შესწავლა მხოლოდ რწმენისთვის შეწირულთ, ქრისტესთვის სისხლის გამღებთ ხელეწიფებათ (იოანე მოციქულის გამოცხადება, 14, 1-5).

## დონწმეპანი

1. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, „პალიტრა L“, თბ., 2014
2. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“, 1990
3. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ.1, თბ., 1993
4. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, „მერა-ნი“, თბ., 1991

5. როსტომ ჩხეიძე, „ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“, „ჩვენი მწერლობა“, თბ., 2017
6. როსტომ ჩხეიძე, „ორეული, შეხვედრები და სინანული“, „მერანი“ თბ., 1995
7. მამანტი როგავა, „სულის ბორკილები“, წალენჯიხა, 2023
8. მერაბ კოსტავა, „შეწყვეტილი ფიქრები“, თბ., 1991
9. როსტომ ჩხეიძე, „მზის საფეხურები“, ლექსები პროზად, თბ., 2016

## გარდასხეულებისა და მოგონების თეორია

პლატონის „მენონში“, „ფედონსა“ და „ფედროსში“ განხილულია „მოგონების“ (ანამნესის, რემინისცენცია), როგორც თანდაყოლილი ცოდნის თეორია.

„მენონში“ გამოიყოფა პლატონის მრავალწახნაგოვანი აზრის შინაგანი განვითარების ათი საეტაპო საფეხური, ათი ძირითადი მომენტი, რომელთაგან ერთ-ერთია მეექვსე – მოგონების თეორია.

„მენონში“ სოკრატე იზიარებს სულის უკვდავების ორფიკულ პითაგორულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, „რაკი ადამიანის სული უკვდავია, ამიტომ მრავალგზის იბადება; მას ყველაფერი უნახავს და ყველაფერი იცის. სული ყოვლის-მცოდნეა. ძიება და შემეცნება სხვა არა არის რა, თუ არა მოგონება“(1,100).

„ცნებით გამოხატული ყოველგვარი ცოდნა „ანამნესისა“ მოგონებაა, როგორც დასაბამიერი, ყოველგვარ აღქმამდე შეძენილი კუთვნილება სულისა“ (ფედონი).

„მენონის“ მიხედვით, ცოდნის შეძენა ახლის შეცნობა კი არ არის, არამედ „იმავეს ხელახლა შემეცნებაა“, ცოდნის შე-

ძენა მხოლოდ წინასწარ მოცემული ცოდნის საფუძველზე ხორციელდება“.

პლატონის აზრით, „ადამიანის სული წინასწარ ფლობს აზროვნების აპრიორულ ფორმებს, ცოდნის გარკვეულ ზოგად საწყისს, რომელთაც ის მხოლოდ იგონებს და ამრიგად, თავისსავე თავში პოულობს მათ“ (მენონი) (1,112).

„მემონსა“ და „ფედონში“ მოგონება შემეცნებასთან არის იდენტიფიცირებული, „მოგონებას“ კი „ღვთიური ნიჭი“ ეწოდება.

„სული, რომელსაც არასოდეს უხილავს ჭეშმარიტება, ვერ შეიმოსავს კაცის სხეულს, რადგან კაცი რომ იყო, უნდა გესმოდეს, რა არის იდეა, რომელიც მრავალი კერძო შეგრძნების მონაცემიდან გამომდინარე, ლოგიკური მსჯელობის გზით ერთ უზოგადეს მთლიანობად ირწყმის და ყალიბდება. ამ ერთობის წვდომა კი იმის მოგონებაა, რაც ოდესლაც უხილავს ჩვენს სულს, როცა ღმერთის თანამდევი და თანამავალი, ზიზლით არიდებდა თვალს ყველაფერს, რასაც ამქეცყნიურ არსთა სახელს ვუწოდებთ და ნეტარებით აღვსილი ჭვრეტდა ჭეშმარიტ არსს. სრულყოფილების მიღწევა ხელენოფერა იმას, ვინც მართებულად იყენებს მოგონების მისეულ უნარს და, ამრიგად, გამუდმებით ეზიარება უზენაესი სრულქმნილების წმინდათა წმინდა მისტერიებს. კაცთა ფუჭ ფუსფუსს განშორებულს და მხოლოდ ღმერთისკენ მზირალს, მას შლეგად თვლიან უმეცარნი და დასცინიან. რა იციან საწყალობლებმა, რომ ის შლეგი კი არ არის, არამედ ზეშთაგონებულია“ („მენონი“) (1,193).

„სული ყოვლისმცოდნეა... ძიება და შემეცნება სხვა არა არის რა, თუ არა მოგონება“ (1,135).

გარდასხეულების მოძღვრება თავდაპირველად გავრცელებული იყო ინდოეთში. მეოცე საუკუნის მოაზროვნე ვივეკანანდა ამბობდა: მე შანკარნას (VIII-IXსს. ფილოსოფოსის) გარდასხეულება ვარო.

ფილოსოფია, პლატონისეული მოსაზრებით, სიკვდილი-სათვის მზადებაა, ე.ი. მას ევალება, იმდენად სრულყოს სული, რომ იგი სამუდამოდ დარჩეს იდეათა სამყაროში და გადაურჩეს მოკვდავთა ნაკლულ ქვეყანაში კიდევ ერთხელ დაბრუნებას“ (2,110).

ქართულ ლიტერატურაში გარდასხეულების თეორიას იზიარებდნენ ვასილ ბარნოვი, გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი, ნოდარ დუმბაძე, ოთარ ჭილაძე, ნიკო სამადაშვილი.

გარდასხეულების და მოგონების თეორიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამერიკელი პოეტის ედგარ პოს შემოქმედებაში.

მოთხრობაში „მორელა“ საუბარია „სულების გადასახლების პითაგორისეულ თეორიაზე“ (3,81-86).

„ელეონორაში“ ხაზგასმით არის ნათქვამი: „ჩემი არსებობის მეორე, უდიდესი ხანის ხსოვნა... უნდა დაიჯეროთ მონათხრობი ჩემი ადრეული ყოფიერების შესახებ“ (3,75).

„მირიადი წლების ცნობიერებით, სიბილას თვალებით“ გამორჩეულია კაპიტანი მოთხრობაში „ბოთლში ნაპოვნი ხელნაწერი“ (3,43-57).

„სიცოცხლის პირველი წლებისა და ადრეული ყოფიერების“ შესახებ არის საუბარი „პაემანში“ (3,61-73).

„მორელაში“ ნათქვამია: „ფიხტეს დაუოკებელი პანთეიზმი, სახეცვლილი სულების გადასახლება პითაგორელებისა და უფრო მეტად შელინგის მიერ აგრე საგულდაგულოდ შესწავლილი იგივეობის თეორია“... (3,81-86).

„ხილვებზე, მოგონებებზე, მეხსიერების ჩრდილებზეა“ საუბარი მოთხრობაში „მთხრებლი და ქანქარა“ (3,102-117).

გალაკტიონი კოსმიური მასშტაბების პოეტი იყო, განსაკუთრებული ხედვის, სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობის უნარით მომადლებული „...მინდა დავინახო ქვეყნის ყველა პოლუსები. ორი მილიონი თვალებით ვუცქერი ახალ, ათას

ცხრაას ოცდასამ წელს და ვამბობ: გაუმარჯოს მომავალს!“ (ეს იყო ოქტომბრის დამლევს) (4,333-334).

საუკუნეებში მავალი პოეტის სული „უზენაესი ცეცხლის“ მადლით იყო გაალებული, ცეცხლი კი საღვთო სახელია: „...საუკუნეთა სათვალავი მეკარგებოდა... დადაფნულ გზაზე მიდიოდი, ვით კეისარი, შენს მოვლენაში კრთოდა ცეცხლი უზენაესი“ (მგლოვიარე სერაფიმები) (5,196).

გალაკტიონის ქნარი „მარადის ცეცხლის“ (ლმერთის) სა-გალობელი იყო.

„მსოფლიო გლობუსს თამამად ვიდევ“, აცხადებდა პოეტი და ეს პრეტენზია ესაძირკვლება ობიექტურ მონაცემებს.

გალაკტიონი საუპრობს „ძვირფას მოგონებაზე“ (5,64), „მოგონების ნეტარებაზე“ (შეხვედრა) (5,13), „პირქუში ჟამის სსოვნაზე“ (მუხა) (5,203). წინანდელ, „დიდი ხნის წინათ“ განცდილზე“ (ვერხვები), „პირველ, მეორე სიკვდილზე“ (ქალის ქანდაკება) (5,138), „სხვადასხვა მხრიდან“ მოვლენილ „მოგონებათ შადრევანზე“ (დგას ხეივანი სახლის წინ) (5,187) „მოგონებათა სიხარულზე და უხვ გრძნობაზე“ (მაისმა ისევ მომიტანა ლაჟვარდი ზღვები) (5,223), ბეთხოვენთან შეხვედრაზე („მეცხრე სიმფონია) (5,506), შოთა რუსთაველთან ნაცნობობაზე (თენდება, გათენდა) (5,515), „მოგონებათა თოვაზე“, (მოგონებათა თოვის) (5,510) „მოგონებები მოგზაურია ლამაზი ნავის“ (გადამწვანებულ მწვერვალებიდან).

პოემაში „მშვიდობის წიგნი“ პოეტი იგონებს ლმერთის მიერ სამყაროს შექმნას, პირველ სახეებს, „ქვეყნის შექმნის დიდ წამს“: „... იყო ამ ქვეყნად ხილვა სხვა არის“, „ყველაფრის მთქმელი, მომგონებელი არის ეს ველი, გზა ძველისძველი“ (5,158-159).

ეს „ველი“ საინფორმაციო ველია, სადაც ყველაფერი ინახება და რომელშიც შესვლა ხელენიფება გენიოს პოეტს.

რეინკარნაციის თეორიაა გაზიარებულია გალაკტიონის შემდეგ ლექსებში: „მგლოვიარე სერაფიმები, მთვარის ნაამბობიდან, ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი, ძველ დღეებზე, ნიავი, ია, ნარგიზი“.

გალაკტიონი ზედმიწევნით იცნობდა იოგების ფილოსოფიას, ორფეიზმს, პითაგორას მოძღვრებას, ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას.

ადამიანი მრავალგზის იბადება დედამიწაზე ახალი სხეულებრივი სახითა და ახალი ამოცანით. ბედის ბორბალი აიძულებს მას, ყოველი ახალი გარდასხეულების ტვირთი ატაროს მანამ, სანამ მისი სული ბოლომდე არ განიწმინდება და სრულყოფილი არ გახდება.

სიკვდილი „დიადი გადასასვლელია“, იგი გაგებულია, როგორც ნაბიჯი უფრო სრულყოფილი სულიერი არსებობისკენ.

არსებობს მოვლენები, რომლებიც მხოლოდ სულთა გარდასხეულებით აიხსნება. ადამიანებს მემკვიდრეობით აქვთ წარსული ცხოვრების, წინაპრების კვალი. ამ წინაპრების მეხსიერება კოდირებულია ჩვენს გენებში. ჩვენ ვლებულობთ სხვათა მეხსიერებას მემკვიდრეობით და ამის გამო ვიცით ბევრი რამ, რაც არ გვისწავლია.

რუდოლფ შტაინერის მიხედვით, სიცოცხლე დედამიწაზე შემეცნებისთვის მიუწვდომელია და ამდენადვე გაუგებარი რჩება სიკვდილიც, რომლის წვდომაც მხოლოდ ზეგრძნობად სფეროებში ხორციელდება.

გარდასხეულების თეორია გაზიარებულია ინდურ რელიგიასა და ფილოსოფიაში, სპარსულ პოეზიაში, დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“, დიდი ამერიკული პოეტის უოტ უიტმენის „ბალაზის ფოთლებში“, ფრანგულ პოეზიაში, ალ. ბლოკის შემოქმედებაში.

გალაკტიონი აცხადებდა: „საუკუნეთა სათვალავი მეკარებოდა“ (მგლოვიარე სერაფიმები) (4,87).

„მოვიარე მიწის კალთა, თან დამდევდა ბედისწერა ჩემთა უგზო ხეტიალთა“, გვამცნობდა „ათასის მხედველობის“, „ასი ათასის სმენის“ უნარით მომადლებული გალაკტიონი.

ის იყო მარადიული მგზავრი, ქვეყნიერების, ზესკნელ-ქვესკნელის მომვლელი, ნათელზილვის და ნათელსმენის ფე-ნომენებით გამორჩეული და გამაოგნებელი იყო მისი განაცხა-დი: „მე მესმის წყნარი შრიალით ქაოსი ქვეყნის შექმნის დროს და სახე მელოდიების“ (ვაგნერი).

ლექსში „მთვარის ნაამბობიდან“ რუსთაველის ნაცნობო-ბაზე კეთდება აქცენტი: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი, ოცნე-ბობდა ოქროს ნავში, მიცქეროდა და თან თრთოდა, ვით ფო-თოლი თრთის ნიავში“ (5,452).

ანალოგიური შინაარსის შემცველია შემდეგი ფრაზაც: „მე შითას ვიცნობ ძალიან კარგად, როგორც თეთრს შავში“ (თენდება, გათენდა) (5,515).

„რუსთაველი მახსოვს ბავშვი... ურუანტელი დაგივლის, როგორც კი ცხრა წლის რუსთაველს წარმოიდგენ.

„მას მართლა ახსოვდა რუსთაველი, რადგან იყო ყო-ველთვის – რუსთაველამდე და მის მერეც, ისევე, როგორც რუსთაველი იყო ყოველთვის, როგორც თანამდევი სული ქარ-თველის – როგორც აკაკი იყო ყოველთვის.

„რუსთაველი, აკაკი, გალაკტიონი! – აი, ქართული პოე-ტური სულის შეუცვლელი ტრიადა!“ – გვამცნობს საყოველ-თაოდ ცნობილი პოეტი ტარიელ ჭანტურია წერილში „ალქიმი-კოსიც, ოქროს მაძიებელიც“) (6,141-143).

გალაკტიონი ხედავდა მარადიულ სულთა სავანეს: „...მყუდრო ღამეში მოხეტიალე ბედუინს სიზმრად მინახავს მხარე, სადაც მუდმივი, დაუჭკნობელი სილამაზეა და სინარ-ნარე“ (ცად აზიდულა, ვით მარმარილო) (5,25).

„ათას საუკუნის მთელი ტრაგედია მოსდევს მოგონებას, როგორც ანათემა“, აცხადებდა ქვეყნის ოთხივე განედის მომ-ვლელი პოეტი და ამ მოგზაურობაში დაგროვილი სიბრძნე – გამოცდილების გათავისებაა მისი პოეტური ინტეგრალები:

„აგერ მზის ამომთოვრება, მალლა ღრუბლების გარდავლა, მან ერთი ჩემი ცხოვრება ათას წელს გადაამრავლა... და მეს-მის ხმა იდუმალი: წამოდექ, ძეო დილისა... ო, ძეო დილის, ან განვლის გრძნობა სიბნელის ნაფლეთის, აღმოსავლეთის, და-სავლის, ჩრდილოეთის და სამხრეთის“ (...ნიავი, ია, ნარგიზი) (4,78).

„საუკუნეთა შორის გრეხილის“ საიდუმლოებებში ჩაღ-რმავებულ პოეტს სიჩუმის ხმაც ესმოდა: „ვისმენ მიდამოს თავგადასავალს, სიჩუმეში მყოფს, სიჩუმით ნათქვამს“ (ქა-რიშხლის შემდეგ) (4,128).

„ლურჯა ცხენების“ ავტორის შემოქმედებაში საუბარია მოგონების ნეტარებაზე, მოგონების თეთრ ნაკადებზე, მოგო-ნებათ ხომალდზე, მოგონებათ ცაზე, სიმაღლეებისკენ მიმ-სწრაფ ფიქრის ოქროს ნავებზე.

მოგონებები „ლამაზი ნავის მოგზაურებია“ (გადამწვანე-ბულ მწვერვალებიდან) – ასე იწოდებიან სიკვდილის პრობლე-მისთვის მიძღვნილი შრომები.

გალაკტიონმა გადასწია სიკვდილის ფარდა და ჩაგვახე-და მიღმური სამყაროს საიდუმლოებებში, მოგვასმენინა „რა-ღაც არაქაური“, „სუნთქვა არაქაური“.

სულის მარადიულობას, მიღმური სამყაროს განჭვრეტას ეძღვნება მისი ლექსი „ნუ დაღონდები!“

არსებობა სულის მარადიული მოგზაურობაა „ზევით თუ სამარეში“.

გარდასხეულების თეორია, დედამიწაზე სულის მრავალ-გზის მოვლინების თეორიაა გაზიარებული სტრიქონებში“, „...მაგრამ გულში დარდს ნუ ისევ, ოცნება ნუ გშორდება, ყო-ველივე იგი ისევ ისე განმეორდება“.

ქართველი პოეტი საუბრობს „მოგონებით შადრევანზე, მოგონებათ თეთრ ნაკადებზე, მოგონებათა გამაზე, ლურჯ მოგონებაზე“.

„ათას საუკუნის მთელი ტრაგედია მოსდევს მოგონებას, როგორც ანათემა“, გვაუწყებს ლექსი „ფარულ ტკივილებით“ (5,181).

შთაგონების მოვლინებას გვამცნობს „ეს მშობლიური ქარია“: „...ძილი მეგონება, უცებ ქაოსიდან მთვარე ამოზიდა ლურჯი მოგონება“.

მხოლოდ გარდასხეულების თეორიით თუ აიხსნება ედგარ პოს საუბარი „ადრეულ ყოფიერებაზე“, „მილიარდი წლების ცნობიერებაზე“ გალაკტიონის მზერა „საუკუნეთა სათვა-ლავში“, რუსთაველთან ნაცნობობა, მათი ჭვრეტა ზესკნელ-ქვესკნელის საიდუმლოებებში, რაც მხოლოდ ერთეულთა, რჩეულთა ხვედრია და ასეთები იყვნენ ამერიკელი და ქართველი პოეტი.

მერაბ კოსტავას წიგნში განსაკუთრებული ადგილი ეთ-მობა სულის უკვდავების, გარდასხეულების იდეას: „სულის უკვდავების იდეა იყო და მუდამ დარჩება ქართველი ხალხის ქვაკუთხედ იდეად, სულ ერთია, დედამიწაზე ერთგზის ცხოვრებას თუ გარდასხეულებას და ხელახალ დაბადებას დაყყრდნობა იგი“ (7,75-76).

„...თითეული სულისთვის, თვითეული ინდივიდუალობის-თვის სიკვდილი და დაბადება ასევე მრავალგზის უნდა მეორ-დებოდეს, როგორც ძილი და გამოღვიძება.

„წიაღი ბიბლიისა საფუძვლიანად არის გამსჭვალული სულთა გარდასხეულების იდეით“ (7,77).

„...სულთა ხელახალი დაბადების რეალობა გვარწმუნებს მსოფლიოს სამართლიანობაში“ (7,83).

„თითოეული ადამიანების ბედი მისივე ხელითაა გამოჭე-დილი და წინა ცხოვრების შედეგს წარმოადგენს“ (7,89).

მაგრამ კოსტავას უცდომელი განაცხადით, გალაკტიონი იყო „წინათგამჭვრეტი და წინათმგრძნობი“ (გალაკტიონი) (8,144-162).

გალაკტიონის „მშვიდობის წიგნში“ ნათქვამია: „აენთო თვალი წინ ასე მკრთალი და მომავალი ააციმციმა“ (5,688).

გალაკტიონმა იწინასწარმეტყველა მეორე მსოფლიო ომი და გამარჯვება ფაშიზმზე, იწინასწარმეტყველა ქრისტიანობისკენ მიბრუნება, თავის პოზის დიდი მომავალი. უცდომლად შეაფასა ტერენტი გრანელის შემოქმედება, უწოდა მას „ხალასი გენია და ნიჭი“. პოეტის განსაკუთრებულ მეხსიერებაზე, მრავალგზის დაბადებაზე მეტყველებს განაცხადი: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი“ (მთვარის ნაამბობიდან) (5,452).

გვაგონდება დიდი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის აზრი: „გალაკტიონი არის გენი რუსთაველისა, მეოცე საუკუნეში დაბადებული და მზემდე აღზევებული“.

## დამოწმებანი

1. პლატონი, დიდი ჰერიკი, მენონი, თბ., 1974
2. უილიამ გათრი, „პლატონი“, ბერძენი ფილოსოფოსები, თარგმანი გ. ნოდარისი, წინასიტყვაობა და რედაქცია გ. თევზაძის თბ., 1983
3. ედგარ პო, მოთხრობები, ზაურ კილაძის თარგმანი, „პალიტრა L“, თბ., 2011
4. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. II, თბ., 1993
5. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული თბ., 1977
6. გალაკტიონოლოგია II, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
7. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ., 1991
8. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“თბ. 1990

## თავი IV სახისმატყველოს საკითხები

### ზღვის, ოკეანის პარადიგმა

გალაკტიონი მთელ სამყაროს, კოსმოსს იტევდა სულში. მისი ნიჭის მახასიათებელია ზღვა, ოკეანე.

ლექსში „ზღვა ახმაურდა“ საკუთარ არსებაში მთვლემარე გენის აბობოქრებას პოეტი ზღვას ადარებდა: „...ზღვა ახმაურდა, ეს ნიშნავს, რომ ახმაურდა გენია“ (რას ნიშნავს ზღვა ახმაურდა?) (1,604).

„გურიის მთებში“ პოეტის „ფიქრთა ოკეანეზე“ კეთდება აქცენტი: „...მსურს, რომ დაფინით გადავხლართო მძიმე ფიქრთა ოკეანე“ (1,82-83).

ლექში სიხარულიც ნათქვამია: „ვინაც ცხოვრება ზღვას შეადარა, მან განირიდა სიტყვა საპრალო“ (2,736).

„ოკეანესთან დამეგობრება ზღვებმა დამახეს, ზღვა კვლავ უბრუნებს ჩემს ცხოვრებას აზრს, სიამაყეს“ (2,183).

ანალოგიური ჩანაფიქრისაა ოკეანის განცდაც: „მე განვიცადე ოკეანე, შორი ყინული“ (მაისმა ისევ მომიტანა ლაუვარდი ზღვები) (2,201).

გალაკტიონისთვის მთავარი იყო „სიბრძნის ზღვის“ მიგნება (მოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად) (2,662).

პოეტის ოცნება იყო „შორეული მზის“ (ლმერთის) ხილვა, „სიგიჟემორეულ ზღვაში“ – სიბრძნის სავანეში გადაშვება: „...დაგინდობს ან მორევი, ან ნაპრალთა ეშვები, ან ზღვას ნასავ შორეულს, ან სიგიჟემორეულ ზღვაში გადაეშვები“ (ბაწარზე) (2,300).

ლექსში „თეთრი ოცნება“ შთაგონება ცხოვრების ზღვას უპირისპირდება და ამარცხებს (2,541).

„გადავიარეთ მრისხანე ზღვები“, აცხადებს პოეტი და ამ შემთხვევაში ცოდვებზე ამაღლება იგულისხმება, რადგან, წმინდა წერილის მიხედვით, „ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრიან ლაფს და ტალახს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 57,20) (3,565).

ქრისტე თავისუფლად დადიოდა ქარიან ზღვაში, მცირედმორწმუნე პეტრე კი იძირებოდა.

ებრაელი ხალხის წინამძღოლმა მოსემ, რომელსაც ეგვიპტელთა მონობიდან გამოყენდა საკუთარი ხალხი, ლვთის შთაგონებით კვერთხი დაპკრა ზღვას, ზღვის წყალი კედლებად აღიმართა და თავისუფლების მაძიებელმა ხალხმა მშვიდობიანად გააღწია ნაპირზე, მათი მდევარი უსამართლო ეგვიპტელები ღმერთმა ზღვაში დაახრჩო.

მხოლოდ წმინდა სულის, მაღალი იდეალების მსახურთ ხელუწიფებათ ცოდვებზე ამაღლება.

პოეტების მეფეს არასოდეს ერეოდა ერთმანეთში ნიჭის ზღვის ხმაური და ვაიშემოქმედთა უაზრო აურზაური: „ზღვას და მეზღვაურს, მოგზაურთ ხმაურს და აურზაურს ვიცნობ ზეპირად“ (შორს იალქნები ჩანდა) (2,163).

მეზღვაურიც და მოგზაურიც შემოქმედის პარადიგმაა, პოეტის ბედისწერაა ზღვა, უდაბნო, დემონები: „ზღვას, უდაბნოს და დემონებს ჩემი ბედისწერა შეეჩინა და სიმღერაც მხოლოდ მათთან სჯერა“.

უდაბნოში, როგორც ურწმუნოების სავანეში, რწმენის შეტანა იყო იდეალი, ბოროტი დემონის დამარცხება, ამასთან, ასპარეზის მიცემა სიბრძნის დემონისთვის.

მერაბ კოსტავა ადამიანის სულს აბობოქრებულ ოკეანეს ადარებდა: „შენ ხარ ოკეანე აბობოქრებული, ამასთანავე, შენ ხარ ჯებირი, შლეგი ტალღების შემკეტველი რვალის კლიტულში“ (პაემანი) (4,121).

ლექსი ეძღვნება ზღვად გამსახურდიას და ოკეანეში ადრესატის ნიჭის მრავალმხრივი ინტერესები იგულისხმება.

გალაკტიონის პოეზიაში მერაბ კოსტავას ესმოდა „რიტ-მი ოკეანისა“ (გალაკტიონი) (4,144).

ლექსის ავტორის აზრით, ოკეანის ვნება შემოქმედის ნებას უნდა ემორჩილებოდეს, სიბრძნის პლანეტის, სფინქსის ქარაგმების, სიბრძნის მიწვდომის იმპულსი უნდა იყოს: „.... და ოდეს ვნებას ოკეანეთა გარდაქმნი პირმშოდ შენივ ნებისა, სულში ჩადგება სულ სხვა პლანეტა, სხვა სიბრძნე სფინქსის ქარაგმებისა“ (სფინქი) (4,76-78).

ზღვისა და ოკეანის სიმბოლური სახეები მერაბ კოსტავას ისე ესმოდა, როგორც გალაკტიონს და მას გამორჩეულ მოაზროვნეთა მახასიათებლად მიიჩნევდა: „იდეების ოკეანე უკიდეგანოა და თავად ინდივიდუალობა უნდა გახდეს მესაჭე მის ტალღებზე მოცურავე ხომალდისა“ (5,130).

გალაკტიონის პოეზიაში ზღვა არა მხოლოდ გენის, ბოროტების სიმბოლოც არის, როგორც ბიბლიაში.

მერაბ კოსტავას პოეზიაში მთავარია ადამიანის სულში მძვინვარე ცოდვების ოკეანის დაურვება – დაოკება, სულის წაწყმედის აცილება სიავესთან ბრძოლით: „....მე ოკეანე, არა-თუ გარეთ, ადამიანო, შენს სულში ვმძვინვარებ, ნების მოჩ-ლუნგებას განანებ მწარედ, ვერ დამაოკებ და სასტიკად ინა-ნებ... ვნებათა დააცხრე ღელვა საშინელი, სულიერ კუნთებით ეკვეთე გულადად, ვალის მიტევებას ნუ დააგვიანებ, ვარდი დარგე და მოსთხარე ეკალი“ (ეტიუდი C-molo) (4,80).

ამ შემთხვევაში ხსნის გზა არის „რელიგია, სიბრძნე, სიყვარული, მშვენიერება“.

გალაკტიონის პოეზიას არ აკლია დემონთა, ბოროტეულთა ძალისხმევით ზღვაში ჩაძირული ხომალდები („გრიგალი“, „ზღვის ეფემერა“).

იგივე სატკივარია მერაბ კოსტავას პოეზიაში. გველის ბოროტებით ზღვაში იძირება ალვა, გემები (ქარვა გაუხუნდათ ალვებს) (4,66-67).

ალვა საღმრთო სახელია, ხომალდი ეკლესიის სიმბოლოა.

ორივე პოეტთან რწმენის წინააღმდეგ ბრძოლის მხილებაა. გალაკტიონს ჰქონდა „ათასის მხედველობა, ათასის იერი“. ის სამყაროს უცქეროდა „მილიონი თვალებით“. პოეტის თქმით, უზენაესმა მისი ცხოვრება, „ათასზე გადაამრავლა“ (ნიავი, ია, ნარგიზი) (1,410).

„მე დავინახე მცურავი სული“, წერდა პოეტების მეფე ლექსში „გრიგალი“ (2,47).

მისთვის სული იყო ყოვლისმხილველი სანთელი, ზოგჯერ „ირისისფერი ბურუსებით“ (918)(2,32).

მერაბ კოსტავას პოეზიაში სული არის „ათასჯერი, ათასთვალი, ქვეყნად დაუტეველი, მჭვრეტელთაგან უხილველი, ხელით შეუხებელი“ (ვერაფერმა განაქარვოს) (4,20-21).

შემოქმედი სული „ჭვრეტს მეუფებას ოქროსტახტიანს, მნათობთა ბადეს გაშლილს, განგებას მისთვის დაურახტია ცეცხლისმფრქვეველი რაში“.

გალაკტიონის სულში გენიის ზლვა, „ფიქრთა ოკეანე“ ბობოქრობდა („რას ნიშნავს ზლვა ახმაურდა?“ „გურიის მთები“)

მერაბ კოსტავა საუბრობს იდეების ოკეანის შესახებ: „იდეების ოკეანე უკიდეგანოა და თავად ინდივიდუალობა უნდა გახდეს მესაჭე მის ტალღებზე მოცურავე ხომალდისა“ (5,130). მისთვის ლექსები არის „ზლვაში გაჭრილი პირატები“.

რწმენის თავგამოდებული მსახურის – გალაკტიონის ქრისტიანული შედევრები გვაგონდება მერაბ კოსტავას ამ განაცხადის საპირზონედ: „უნდა იქცეს სულის უკვდავების და ღვთის რწმენის იდეა ქართველი ერის ქვაკუთხედ იდეად. სწორედ უკვდავ სულს, კოსმოსამდე რომ ფართოვდება და ადამიანის სხეულშიც თავსდება, ძალუძს ჭეშმარიტების ნათელში საქართველოდ მთელი მსოფლიო და სამყარო დაგვა-

ნახოს, ხოლო სამყაროს და მსოფლიოს გადმოსახედიდან საქართველო“ (5,140).

მერაბ კოსტავას იდეალი იყო „ასტრალურ ზღვაში დემონთა ხროვის დამამხობელი“ ზვიად გამსახურდია (ძმას ქრისტესმიერს) (4,11-15).

## დამოწმებანი

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, ლექსები, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1988
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1977
3. ბიბლია, თბ., 2013
4. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“, თბ., 1990
5. მერაბ კოსტავა, „ფიქრები საქართველოს მისიაზე“, თბ., 1991

## დემონ-სატანათა ციკლი

დემონურობა მოკვდავთათვის დაწესებული საზღვრების გადალახვად მიაჩნდა გოეთეს: „რაც უფრო მაღლა დგას ადამიანი... მით უფრო ექვემდებარება ის დემონის ზეგავლენას და მუდამ ყურადღებით უნდა იყოს, რომ მისი ნებისყოფა გზას არ ააცდინონ“ (1,185).

„ფაუსტის“ ავტორი „შეშლილ დემონს“ უწოდებდა ბეთოვენს, პოზიტიური გაგებით, რა თქმა უნდა: „საჭიროა მოკრძალება იმის წინაშე, რასაც გამოთქვამს ასეთი შეშლილი დემონი, რადგან მას გენია უნათებს გზას და ხშირად იქ უსხივოსნებს, სადაც ჩვენ უკუნეთით ვართ მოცული და არც კი ვიცით, საიდან ამოქრნყინდება მზე“ (1,102).

გოეთე დემონოლოგიად მიიჩნევდა ხელოვნებას, დემონურებად აცხადებდა რაფაელს, მოცარტს, შექსპირს, ბაირონს, პაგანინს, ნაპოლეონს (1,198,208,220,221).

პლატონი წერდა: „მას, ვინც ყველაფერი შეიცნო, დემონურს უკნოდებთ“ (ნადიმი) (2,52).

დემონი მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა გალაკტიონის პოეზიაში. ერთ-ერთი გაგებით, ის სიბრძნის, გენის სიმბოლოა.

პოეტების მეფის აზრით, შემოქმედი სული ღმერთივით, სატანასავით სამუდამო და დაუძლეველია: „მე სული ვარ შემოქმედი, შეუზღუდველ სულთა თანა, სამუდამო, როგორც ღმერთი, დაუძლევი, ვით სატანა“ (უხილავი) (3,224).

„დემონიური სულის ლტოლვით“ ცდილობს პოეტი დაბლიოს „ეკლიანი გზის სიძნელე“.

ლექსში „სატანა, დირიჟორი მსოფლიო ორკესტრის“ – სატანა საკაცობრიო ღირებულების შემქმნელი ნიჭის სიმბოლოა, მსოფლიოს პოეტური პროცესების წარმმართველი (4,780).

გალაკტიონი „გოეთეს სატანად მოიხსენიებს: „...ვით გიოტე, ზის იქ სატანა“ (მაგიდა ალემბიკებით) (5,212).

ბაირონს დემონად აღიქვამდნენ რომში, გოეთეს დემონს უნიდებდნენ ვაიმარში.

სტეფან ცვაიგი არაერთხელ მიუთითებს დოსტოევსკის არსების „დემონურ საწყისებზე, რომელიც ასე ახლოა ღვთიურთან“ (დოსტოევსკი) (6,13).

„დროთ საზღვარს იქით მოლაპარაკე, ძეგლს“ გალაკტიონმა „დემონური უნიდა (ბალთან ძეგლია), უცნობი მხატვრის გენიალურ სურათს – „უსაზღვრო დემონთ ღაღადით“ შექმნილი (უცნობი მხატვრის ვნახე სურათი).

„ოცნების დემონი“ ფიგურირებს გალაკტიონის ლექსში „გადაფრენა“.

მერაბ კოსტავა მიმართავს პოეტების მეფეს: „ვით სოკ-

რატეში, ვით გოეთეში, შენშიც მძლავრობდა ის დაიმონი“ (გა-ლაკტიონი) (7,144-161).

როგორც გოეთეს „ფაუსტში“ ფაუსტი მეფისტოფელთან სისხლით დებს ხელშეკრულებას, გალაკტიონიც ანალოგიუ-რად ამყარებს კავშირს დემონთან: „ყველა შანდალში ჩაქრა სანთელი, ვინ იწყევლება და იკრულება? მე, ის, დემონი, შენ, ურუანტელი, ჩვენ სისხლით დავდეთ ხელშეკრულება“ (ყველა შანდალში ჩაქრა სანთელი).

მერაბ კოსტავას „ბიბლიური რემინისცენციების“ პერსო-ნაჟი სატანის ხრიკებს წამოგებულია: „მგმობელი ღვთისა, ბო-როტების შავი გენია, გენების ძალით სასწაულებს მოახდენს მრავალს, წამოეგება, წერამ თვისამ ვინც აიტანა, რამეთუ სისხლით ხელმონერილს ითხოვს სატანა“ (7,93).

ლექსში „სასწაულს“ გალაკტიონი ღმერთს „ბნელცოდ-ვილი ლუციფერის“ შენდობას შესთხოვდა (8,150).

სხვაგან ლუციფერი ოცნების გამლვიძებელი „მშვენიერი მაგია“ (თქვენ გართობდათ) (9,323).

„ოცნების დემონია“ ლექსში „გადაფრენა“.

ლექსში „სამშობლო შავი ლიუციფერის“ ბოროტი სული წარმართავს სამშობლოს ბედს.

პოეტთან ბრძოლაში დამარცხებული ლუციფერია ლექ-სში „ვარ გენია რიმანელი“ (10,208).

სატანა მსოფლიო ორკესტრის დირიჟორია ლექსში „საი-დუმლო მყვირალა ფრაზებისა“ (4,525).

თვით გალაკტიონი „პოეზიის ბნელი სატანაა“, რადგან სატანა სიბრძნის სიმბოლოა, როგორც ბოდლერთან. „ბნელი“ ამ კონტექსტში შეუცნობელს უნდა ნიშნავდეს.

არა „ჩვეული გალობის“, არამედ სიახლის მაძიებელ სიბ-რძნის დემონს ხედავს გალაკტიონი „ვეფხისტყაოსანში“ (პოე-მა ვეფხვისა) (4,312).

„დაფიქრებული და შეეჭვებულია“ პოეტის მოგონებებ-თან მოვლენილი დემონი ლექსში „საღამოვ, ვიცი“.

უიმედობის შთამაგონებელია „დაფარული შხამის“ დემონები ლექსში „მაგრამ მე რა ვქნა?“

სიკვდილისკენ მომწოდებელი დემონია ლექსში „მზის სადლეგრძელოს“ (11,209).

არა „ჩვეული გალობის“, არამედ სიახლისაკენ სწრაფვის მომწოდებელი დემონია ლექსში „ცხრაას თვრამეტი“.

„ზღვის ეფემერაში“ დემონთა გუნდის აგუგუნება იწვევს „ზეცის ნგრევას“, გრიგალს, ხომალდების ჩაძირვას.

გალაკტიონი გმობს „ბნელ დემონებს“, ლუციფერს (ვერ გაიგონეს) (11,360).

მერაბ კოსტავასთვის „ეშმასთან“ კავშირში მყოფი ცრუ მწიგნობარი სულიერებისგან შორს მყოფია: „...ამაოდ დაშვრა მწიგნობარი, ეშმას ნაზირი, ერთობ ძნელია სულისა და სისხლის კავშირი“ (ბიბლიური რემინისცენციები) (7,87-103).

პოეტის მოწოდება ასეთია: „...ვინ იცის, დასთხარო ეშვები მოსისხარ სატანის ნაშიერთ“ (ვინ იცის) (7,122).

ჩვენი თანამედროვე პოეტი დარიკო ფიფია „მზის ქალაქში ეშმას ფეხებით გასრესილ ვარდისფერ ყვავილს“ ხედავს (ის მაინც ჰყავავის) (12,176-177).

ყვავილი სალმრთო სახელია, ლექსში აქცენტი კეთდება ურნმუნობაზე.

სხვაგან ბოროტი „მეფისტოფელივით ჩასაფრებულა ქუჩის თავში, ქუჩის ბოლოში“ (სულის სარკმლიდან დანახული) (12,102-103).

ირგვლივ „ჭინკების ფერხულია“ (სამწერლო) (12,217).

სიკვდილის მომტანი დემონია გალაკტიონის ლექსში „ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა „(4,136).

მერაბ კოსტავას აზრით, გალაკტიონი იყო „მემმეცნებელი მეფისტოფელის, შემცნობი ქველის და ავის“ (გალაკტიონი) (7,144-161).

პოეტი მიმართავს „ლურჯა ცხენების“ ავტორს: „ვით სოკრატეში, ვით გოეთეში, შენშიც მძლავრობდა ის დაიმონი“.

მერაბ კოსტავა განარჩევდა „შენდობა ლირს, საანგელოზო დემონს“ და ბოროტ დემონს.

„ლუციფერის სიცისფრეა“ მის ლექსში „გალაკტიონი“.

მერაბ კოსტავას ყურადღება მიუქცევია ლუციფერთან გალაკტიონის შემნდობ დამოკიდებულებას და ასე მიმართავს დიდ წინამორბედს: „...და ვისაც ტატო განვედო! – სთხოვდა, მისთვის შენდობას გულწრფელად გვთხოვდი“ (გალაკტიონი) (7,151-152).

ეროვნული გმირი უკომპრომისოდ ეკიდება ბოროტ დემონს: „გამოუცდელთა მაცდურ დაიმონს, ვინც პნელს და ბოროტს ვერ დაიმონებს, რა პოეტია, რა შემოქმედი?“ (გალაკტიონი) (7,151-152).

ჭეშმარიტი ოსტატის თვითდაჯერებით აცხადებს პოეტი: „ო, ლექსო, ველარ გამკენჭავ დემონური ჭანგებით, შენი ცხენივით გახედვნა მომნიჭებია განგებით“ (ლექსი) (7,60-61).

„უკიდეგანო ასტრალურ ზღვაში დემონთა ხროვის დამამხობელს“ უწოდებს მერაბ კოსტავა ზვიად გამსახურდიას (ქმას ქრისტესმიერს) (7,11-15).

პოეტის დევიზი ასეთია: „იყავ უმაღლესი ზნეობის მცყრობელი, მშვენების მისხალსაც ნუ მისცემ სატანას“ (სულ-ში ჩაგეღვენთოს) (7,32).

„საქმეთა თქვენთა ააპყრეს ბილნი დრაკონი, დემონნი ბილნი ბომონების ვინ ასაპყარა“, აცხადებს პოეტი ლექსში „ლირს მამა-დავითს“ (7,104-109).

ლექსში „დიდგორი“ დავით ალმაშენებელი წარმოჩნდება, როგორც „ვამპირულ ცოფით და სატანურ ღოჭებით“ მოვლენილ მტერთა დამმარცხებელი (7,117).

დემონ-სატანათა ნაირსახეობაა მაცილი, საწუთროზე მიჯაჭვული არარაობა: „...ლამაზის ლიმილი მაცილი საწუთროს საცერში წყალია გაცრილი“ (კვლავ მოლოდინში) (7,164).

მერაბ კოსტავასთვის მთავარი იყო „შეცნობა ქველის და ავის“, შემეცნება მეფისტოფელის, ფაუსტობამდე ამაღლებაა.

პოეტმა თვითმკვლელ შვილს დაუწერა: „რად ვერ გაუძელ მწარე ცდუნებას, ფაუსტობამდე რად ვერ მიხვედი“ (ირაკლის) (7,126-129).

გალაკტიონისთვის მთავარი იყო „სუფთა სინდისი“. მერაბ კოსტავას წინამდლვარი იყო „საღვთო ეთიკა“ (ბიბლიური რემინისცენციები) (7,87-108).

## დამოწმებანი

1. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, გერმანულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარი დაურთო აკაკი გელოვანმა, „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1988
2. პლატონი, „ნადიმი“, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის, თბ., 1964
3. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 16 ტომად, ტ. I, ლექსე-ბი, პოემები, შოთა რუსთაველის ქართულ ლიტერატურის ინსტიტუტი თბ., 2016
4. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1977
5. გალაკტიონ ტაბიძე 5 ტომად, ტ. I, „პალიტრა L“, თბ., 2011
6. სტეფან ცვაიგი, დოსტოევსკი, „ფანტასტიკური ღამე“, თარგმანი ემა თვარაძის 1960
7. მერაბ კოსტავა, ლექსე-ბი, „მერანი“, თბ., 1990
8. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1989
9. გალაკტიონ ტაბიძე ორ ტომად, ტ. I, თბ., 1988
10. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, „მერანი“, თბ., 1982
11. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, „პალიტრა L“, თბ., 2014
12. დარიკო ფიფია, „ორი მზე“, „კოლორი“, თბ. 2022

## ქარიშხლის პირმშო

გალაკტიონის პოეზიაში ქარი მრავალმნიშვნელოვანი სახეა. ის არის სიკეთის, ბოროტების, ნგრევის თუ განახლების სიმბოლო.

პოეტს ქარი წარმოდგენილი აქვს ფერებით: „წითელი ქარი ჩრდილოის, თეთრი ქარები, ლილიანი ქარი, ამასთან, ქარი არის პოეტის „მძლავრი ძმა“.

უმეტეს შემთხვევაში გალაკტიონი „ქარის პირდაპირ“, ანუ დინების წინააღმდეგ მავალია (არა მშობლიურ ზრუნვათა ზემო) (1,493).

წითელი ფერის პრიმატია ლექსში „ორად გაიპო წითელი კლდე“, რომელიც პოლიტიკური ქვეტექსტებით გამოირჩევა. წითელ რაშე ამხედრებული წითელი მხედარი წითელი ზღვისკენ წითელი გზით მიდის, ზღვაში სისხლიან ხის ყავარჯენს ჩაჰელით, ზღვიდან წითელ გველს ამოიღებს და წითელ გზაზე გადააგდებს. ციდან მწველი ცეცხლი წამოვა და დედამიწაზე საზარელი ომი იწყება (1,253).

ამ შემთხვევაში წითელი მხედარი ბოროტების მსახურია.

მერაბ კოსტავა საუბრობს „გრიგალთა შორის უმძაფრეს წითელ გრიგალზე, აზრთა მმუსვრელ წითელ ცენზურაზე, რომელიც მისთვის უცხო, მიუღებელ აზრებს „თავებიანად ათიბავდა მათსავე მატარებელთ“.

ამ „წითელ გრიგალთან“ უშიშარ მებრძოლად წარმოიდგინა პოეტმა კონსტანტინე გამსახურდია: „ერის სულმა კონსტანტინე გამსახურდია გრიგალთა შორის უმძაფრესის, მეოცე საუკუნის გრიგალთან საბრძოლველად მოავლინა. ილია ჭავჭავაძეს მეცხრამეტე საუკუნიდან მეოცესთვის რომ შემოეხედა, უთუოდ მეტ პატივს მიაგებდა მას, რადგან ნიავის ქროლვად მოჩანს მეცხრამეტე საუკუნის ქარი მეოცე საუკუნის გრიგალთან. ამ წითელ გრიგალს თავდაუზოგავად მოაჭენებდა უშემზარავესი მხედარი, ცეცხლშემართული აზრთა მმუსვრელი წითელი ცენზურა, რომელიც მისთვის უცხო, მი-

უდებელ აზრებს ხშირად თავებიანად ათიბავდა მათსავე მა-ტარებელთ... სიტყვით და კალმით უნდა შებმოდა იგი მეოცე საუკუნის გრიგალს უუფლებობის წყვდიად ღამეში. ამგვარ ყიამეთში უნდა აღეზევებინა კონსტანტინე გამსახურდიას მშობლიური ისტორია, ლიტერატურა, განებანა, შეემოსა, მე-რე სული შთაებერა და გვირგვინი დაედგა იმ ენისთვის, რო-მელიც ცოცხალმკვდარი წამოაყენეს საფლავიდან მეცხრამე-ტე საუკუნის სამოციანებებმა“ (გამოსათხოვარი. კონსტანტი-ნე გამსახურდიას გარდაცვალების წლისთვი) (2,188-199).

მერაბ კოსტავა ქროლვის ჟამში მოიხელთებს ჭეშმარი-ტებას, ბოროტებისგან განრიცებული სული ყოვლისშემძლეა და ანგრევს „ზღუდე-კედლებს“ (ვერაფერმა განაქარვოს) (3,20-21).

პოეტის შთაგონების „თეთრკავშა მერნები“ „ქარდაქარ ქრიან: „ქარდაქარ, ქარდაქარ, ქარდაქარ იქროლე თეთრკავშა მერნებით, მიღმურში ისე ვერ გადახვალ, ჯვარცმულის წვით თუ არ ევნები“ (ვინ იცის) (3,122).

მერაბ კოსტავა გვევლინება, როგორც „პირმშო ქარიშ-ხლის“, თავგანწირული, ცხოვრების გრიგალებთან შეჭიდებუ-ლი მხედარი, რომელიც თრგუნავს ბოროტ ქარებს. მისთვის ორგანულია „ქროლვის ექსტაზი, ქართან ჯირითი, ქართან ალერსი“, მქროლავი რაშის შლილი ფაფარის გადმოფენა (თეთრი ქალწული) (3,43).

პოეტს ხშირად ევლინება „ცით მონაბერი ოცნების ქა-რი“, ანუ შთაგონება (ზედაზენი) (3,187).

„განგებას მისთვის დაურახტია ცეცხლისმფრქვეველი რაში“, ნათქვამია ლექსში „სულო, დაიცა“ (3,40-41).

პოეტის „ათასთვალი სული“ მსხვერპლის ფა-სად, „ლვთაებრივი სიგიუით“ დაპერის ყველგან, როცა ქროლ-ვის ჟამი უდგება: „დაისებში უონავს სული, აისობის სიალით, სან მტრედივით გალურსული, სან ელჭექის გრიალით, ანთე-ბული უშრეტ ალად, ბრძენთა გულის მლეველი, ათასჯერი,

ათასთვალი, ქვეყნად დაუტეველი. თვით საქელეულეველი, უჩინარი მხლებელი, მჭვრეტელთან უხილველი, ხელით შეუხებელი... სამსხვერპლოზე სიკვდილია ღვთაებრივი სიგიუჟე, პა, საკანი დაუტევა, მოდგა უამი ქროლვისა, ვიცი, ვერსად დაეტევა, აღმვსებია ყოვლისა. ვიცი, ვერსად ალუდგება ვერა ზღუდე კედელი, ოდეს ბოროტს განუდგება ხუნდ-ბორკილთა მკვეთელი“ (ვერაფერმა განაქარვოს) (3,20-21).

„ღვთაებრივი სიგიუჟე“ უნდა გავიგოთ არა როგორც ფსიქიკური ავადმყოფობა, არამედ როგორც ჩვეულებრივ ადამიანთა შესაძლებლობების შორს გაწევა.

ასე ესმოდა შემოქმედებითი სიგიუჟის ცნება თვით გოთეს, რომელიც „შეშლილ დემონს“ უწოდებდა ბეთხოვენს: „საჭიროა მოკრძალება იმის ნინაშე, რასაც გამოთქვამს ასეთი შეშლილი დემონი, რადგან მას გენია უნათებს გზას და ხშირად იქ უსხივოსნებს, სადაც ჩვენ უკუნეთით ვართ მოცული და ვერც კი მივმხვდარვართ, საიდან ამობრნებინდება მზე“ (4,102).

გენიალობასა და სიგიუჟეს შორის შეხვედრის ადგილებს სხვებიც პოულობენ და „სიგიუჟეს“ (გადახრებს) ნიჭიერების აუცილებელ პირობად გაიაზრებენ.

იტალიელი ფსიქიატრის ჩეზარ ლომბროზას წიგნში „გენიალობა და შეშლილობა“ სპეციალურად არის მოძიებული გენიალურ მოაზროვნეთა გადახრები, რაც არყოფილის ნამდვილივით განცდაში, პოეტური ხილვების მოქარბებაში გამოიხატება. ამ კუთხით, არანორმალურებად“ მიიჩნევიან რუსო, ნიცშე, გოგოლი, ტოლსტოი (5).

შემოქმედება ბერგსონის, ზიგმუნდ ფროიდის, კარლ გუსტავ იუნგის, მიხაილ ზოშჩენკოსა და ანალოგიურად მოაზროვნეთა მიერ გაგებულია, როგორც ფსიქოთერაპია, სუბლიმირება, შინაგანი წესილის, ტკივილების, ნევროზების გადატანა და განმუხტვა მხატვრულ სახეებში, სიმბოლურ ხილვებში.

შეშლილს, გადარეულს მთელ რიგ შემთხვევებში აღმატებული გრძნობის, რაღაც უჩვეულოს, დიადის ალეგორიად

გაიაზრებდნენ გალაკტიონი, ტერენტი გრანელი. გრიგოლ რობაქიძე ჩვეულებრივ საზღვრებს იქით გაღწევას „ჰიერომანიას“ უწოდებდა.

გალაკტიონი აცხადებდა, რომ მის წიგნში „მარხია მოჩვენება სიზმარეული, სული შეშლილი და ბედნიერი“ (მეტეხი იდგა რუხი, პიტალო). ასეთივე ქვეტექსტების მატარებელია ფრაზა: „ტიროდა მისი მუსიკალური და გადარევის ეფემერები“.

„შეშლილი“ დადებით ჭრილში მიუსადაგა პოეტმა თავის საყვარელ პოეტებს, მხატვრებს, მუსიკოსებს: „შეშლილი ვერ-ლენი, შეშლილი ბეთბოვენი, შეშლილი ყაზბეგი, შეშლილი ფი-როსმანი“.

ერთგან კითხულობს: „ო, შეშლილია იგი, თუ წინასწარის მთქმელი?“

მერაბ კოსტავა გვევლინება, როგორც „პირმშო ქარიშხლის“, თავგანწირული, ცხოვრების გრიგალებთან შეჭიდებული მხედარი, რომელიც თრგუნავს ბოროტ ქარებს. მისთვის ორგანულია „ქროლვას ექსტაზი“, ქართან ჯირით, ქართან ალერსი“, მქროლავი რაშის „შლილი ფაფარის გადმოფენა“ (თეთრი ქალწული) (3,42).

ლექსში „სულო, დაიცა“ – ნათქვამია: „განგებას მისთვის დაურახტია ცეცხლისმფრქველი რაში“. პოეტი „უკვდავების ქნარით“ გალობდა (3,40-41).

პოეტის იდეალია „ცით მონაბერი ოცნების ქარი“, მისი მერნები „ქარდაქარ ქრიან“, მიღმურს გაპყურებენ, მარადისობაში დასამკვიდრებლად ემზადებიან, მაგრამ შეგნებული აქვს ავტორს, რომ ამისთვის საჭიროა ჯვარცმა: „ქარდაქარ, ქარ-დაქარ, ქარდაქარ იქროლე თეთრკავში მერნებით, მიღმურში ისე ვერ გადახვალ, ჯვარცმულის წვით თუ არ ევნები“ (ვინიცის) (3,122).

„უტეხი რწმენით“ აღჭურვილი, თავგანწირული რაინდის-მერაბ კოსტავას შეგონება ასეთია: „როცა სამყარო ფა-ფარს აიშლის, განსაცდელს მშვიდად თუ არ შეხვდები, რო-

გორ იწოდო პირმშო ქარიშხლის. სტიქიის რისხვას თუ გაექ-  
ცევი, რაღაც დააკლებ ცხოვრების გრიგალს. უტეხი რწმენით  
შენ არ წახდები, დააცხრობ ლელვას, დასთრგუნავ ქარებს,  
სად თანაგრძნობა ვერას გახდება, იქ თავგანწირვა გაგიღებს  
კარებს“. (იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს) (3,22).

მერაბ კოსტავას იდეალია მამა დავითი, რომელსაც „ქა-  
რიშხლის პირმშოს“ უწოდებს: „....ჰგავხარ შექსპირის „ქარიშ-  
ხლას“ მხცოვან პრისპეროს, ქარიშხლის პირმშოს და ბუნების  
ძალთა მესაჭეს“ (ლირს მამა დავითს) (3,104-111).

ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავას აზრით, არის „ძე  
ქარიშხლისა“ (ძმას ქრისტესმიერს) (3,11-16)).

პოეტის მიზანია „ქარების“, „ცხოვრების გრიგალის“  
დათრგუნვა (იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს) (2,23).

მერაბ კოსტავაზე შექმნილი ბიოგრაფიული რომანის ავ-  
ტორმა როსტომ ჩხეიძემ ზვიადს და მერაბს გამოვლილი ქარ-  
ტეხილების და მუსიკის სიყვარულის გამო უწოდა „ძენი მუსი-  
კის, დღენი ქარიშხლის“ (6).

ეროვნული გმირისა და პოეტის შემოქმედებაში შთაგო-  
ნების მოვლინების მაცნეა „ცით მონაბერი ოცნების ქარი“  
(ვინ დაგაქარგა ეს ზედაზენი) (3,12).

მერაბ კოსტავას დიდი წინამორბედის – გალაკტიონის  
პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქარის სახეს,  
რომელიც მრავალგვარ ჭრილშია მოაზრებული.

პოეტი იყო „ქარული“, გრიგალის ძალის. „...ვიცი, რად  
ვარ ასე ქარული, ჯერ ყველასაგან მიუკვლეველი აღმოვაჩინე  
მე სიყვარული“, აცხადებდა პოეტი.

ქარის ძალის პოეტი ოცნებობდა „მზეზე“, სიყვარულზე,  
ღმერთზე: „...ეს მე ვარ, ეს მე ვარ – ქარი, დავქრივარ ბარად,  
ვოცნებობ მზეზე“ (როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები) (1,151).

ჭეშმარიტ პოეტში გალაკტიონი ხედავდა მეომარს, მო-  
სამართლეს, მსოფლიო ძალას: „...პოეტი იყო ბედუინი და მე-

ომარი, პოეტი იყო მოსამართლე და უფრო მეტი – იყო გრი-გალი, იყო შერყევა, იყო მსოფლიო ძალა–უგეში, იგი უყვარ-დათ, როგორც ნუგეში“ (პოემა ვეფხვისა) (1,299-302).

ჭეშმარიტი შემოქმედი ნეიტრალური კი არ არის, არა-მედ წინააღმდეგობებთან, ქართან დაპირისპირებული უკ-მპრომისო, რომელიც „ქარს ებრძვის გაბედითებით“ (აქ მარ-მარილოს მაღალი სვეტი) (1,363).

პოეტის დევიზი იყო სვლა „ქარის პირდაპირ, ქარის პირ-დაპირ“ (7,466).

გალაკტიონის ლურჯა ცხენები ქროდნენ „ეფემერული და ფერად ქარებით“ (1,57).

გალაკტიონი იყო „ქარული, გრიგალის ძალის: „...ვიცი, რადა ვარ ასე ქარული, ჯერ ყველასაგან მიუკვლეველი აღმო-ვაჩინები მე სიყვარული“, წერდა პოეტი.

ნიცშეს ზარატუსტრას ესმოდა „მომავლის ქარების ფრთების იდუმალი ქროლვა“ (8,63).

გალაკტიონი წერდა: „მე მესმის წყნარი შრიალით ქარი ქვეყნის შექმნის დროს და სახე მელოდიების“...

ამასთან, გალაკტიონი ხედავდა, შეიგრძნობდა მერმისში მოსალოდნელ მოვლენებს, თავისი შემოქმედების მარადიუ-ლობას, რადგან ის იყო უზენაესის, ნიჭთა მომმადლებელი სულინმინდის რჩეული, ცხოვრების ბნელ ძალებთან, ქარიშ-ხლებთან დაპირისპირებული: „ვერც წვიმა სძლევს და ვერც ქარიშხალი, ვისაც არ ტოვებს ომერთი, გენია“ (გამარჯვებათა რაოდენია) (7,70).

### დამოწმებანი:

1. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, „პალიტრა L“, თბ., 2014
2. მერაბ კოსტავა, „შეწყვეტილი ფიქრები“, „მერანი“, თბ., 1991

3. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი, თბ., 1990
4. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, გერმანულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო აკაკი გელოვანმა, „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1988
5. ჩეზარ ლომბროზო, გენიალობა და შეშლილობა, მოსკოვი, 1895
6. როსტომ ჩხეიძე, „ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“, „ჩვენი მწერლობა“, თბ., 2017
7. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1977
8. ფრიდრიხ ნიცშე, „ესე იტყოდა ზარატუსტრა“, თარგმანი ერეკლე ტატიშვილის, თბ., 1993

### **წითელ გრიგალთან დაპირისპირება**

წითელი ფერი, როგორც სისხლისღვრის, რევოლუციის სიმბოლო, ნეგატიურად არის დახასიათებული სიმართლის-მოყვარე კლასიკოსებთან.

გალაკტიონმა პოზიტიურად მხოლოდ 1917 წლის თებერვლის რევოლუცია შეაფასა, რადგან ამას შედეგად მოჰყვა რუსეთის იმპერიის დაშლა და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის 26 მაისს. ამ მოვლენას მიეძღვნა პოეტის ლექსი „დროშები ჩქარა“.

რევოლუციის, როგორც სისხლიანი ქარტეხილის ნეგატიური სახეა პოეტების მეფის ლექსში „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“, რომელშიც სიკეთე „აფთარივით“ დაჭრილია, იუდას, კაენის სახეებია წინა პლანზე, „დამსხვრეულია სწორი კენარი“ (სიცოცხლის ხე), ჯურლმულია ირგვლივ, ავდარს ავდარი მოსდევს, სისხლის, ტალახის, ცეცხლის ზვირთები აშფოთებთ ადამიანებს (1,151).

ლექსი დაწერილია 1918 წელს.

რევოლუციის შემაძრნუნებელი შედეგებია წინ წამოწეული ლექსში „ორად გაიპო წითელი „კლდე“ (1925წ), რომელშიც სახეზეა წითელი კაცი, რომელიც წითელ ზღვაში სისხლიან ხის ყავარჯენს ჩაჰყოფს, ზღვიდან სიცილით ამოიღებს წითელ გველს და წითელ გზაზე გადააგდებს, რაც დედამინაზე ცეცხლის, „საზარი ომის“ სიმძლავრეს გამოიწვევს (2,253).

პოლიტიკური, ნეგატიური ქვეტექსტების მატარებელია ლექსში ჩრდილოეთის წითელი ქარი, წითელი კაცი, წითელი რაში, წითელი გველი, წითელი გზა.

სინამდვილის შემზარავი სურათია 1918 წელს დაწერილ ლექსში „რამდენიმე დღე პეტროგრადში“ (2,135).

1930 წელს გულის გარეთ დაწერილ ლექსში „რევოლუციურ საქართველოს“ რევოლუცია ვერ ჩაითვლება პოზიტიურ მოვლენად (2,367).

1924 წ. აჯანყებას მიეძღვნა გალაკტიონის „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“, რისთვისაც მეტების ციხეში პატიმრობა იწვნია.

შორაპანში ვაგონებში დახვრეტილთა სისხლი წითლად ლებავდა ყვირილას, რაზედაც დაინწრა გალაკტიონის ლექსი „მოწმეა რბევის და თარეშის ხვადგურის“ (3,559).

გოეთე წერდა რევოლუციის შესახებ: „...თავს ვერ ჩავთვლი რევოლუციური ბრძოს მეგობრად, სულ რომ ძარცვაზე, რბევაზე, მკვლელობაზე და ხანძარზე ფიქრობს, ვითომ საზოგადოების სასარგებლოდ ფარ-ხმლით შენიღბული, სინამდვილეში, მხოლოდ საკუთარი ეგოისტური მიზნებისთვის იღწვის, არა, ასეთ სისხლისმღვრელთა მეგობარი არ ვარ. მე მძაგს ყოველგვარი სისხლიანი გადატრიალება, რომელიც იმდენსავე კარგს ანგრევს, რამდენსაც ქმნის. მე მძაგს ისინიც, ვინც ძალმომრეობით აღიძვრიან და ისინიც, ვინც ამის საბაბს იძლევიან. განა ამისთვის ხალხის მეგობარი არ ვარ?“ (4,81).

ამ ასპექტით ყურადღებას იქცევს კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიონისოს ღიმილი“.

ზმანებაში, სიზმარში იხილა კონსტანტინე სავარსამიძემ წითელი მამალი, წითელი კირიპა და წითელი გველი, რომლის კვალმაც ჯოჯოხეთში მიიყვანა. ჯოჯოხეთი კი სიმბოლოა მწერლის თანადროული ყოფის, ხოლო ამ წითელი ფრინველების და წითელი გველის სამკვიდრებელი ჩრდილოეთია. შემთხვევითი როდია, რომ წითელი გველი ჩრდილოეთისკენ მიფრინავს (5).

იუნგის მიხედვით, „სიზმარი შეიძლება სურვილების ან შიშების მანიფესტაციას წარმოადგენდეს, სიზმარი შეიძლება მოიცავდეს გარდუვალ ჭეშმარიტებას, ფილოსოფიურ დებულებას, ილუზიებს, ველურ გეგმებს, ანტიციპაციას, ტელეპატიურ ხილვებს“ (6,235).

„დიონისოს ღიმილის“ სიზმრების უმეტესობა ანტიციპაციას უკავშირდება. ჯოჯოხეთური ყოფის ასოციაციას ქმნის მარმარილოს ტახტზე მჯდარი ჩრდილოეთის მეფე სლანსკი, რომელიც იმპერიული რუსეთის სიმბოლოა. მას მუხლზე ორთავიანი არწივი უზის, თავზე გვირგვინი ადგას, რომელშიც თამარ მეფის გვირგვინიდან მოპარული აღმასია.

სლანსკიმ წართვა ჩვენს ქვეყანას რწმენა.

წითელთვალა გველის კვალი ჩრდილოეთის მეფის კოშკთან მივიდა.

სიმბოლური, ბოროტების მომტანი გველი გვხვდება კონსტანტინე გამსახურდიას ნოველაში, ტაბუ“.

ქართულ ლიტერატურაში ხშირად ჩნდება ეს სიმბოლური გველი გალაკტიონის, იოსებ გრიშაშვილის, ტერენტი გრანელის, ალექსანდრე აბაშელის პოეზიაში.

„დიონისოს ღიმილში“ ჩრდილოეთის კოშკს – ჩრდილოეთის იმპერიას ქაჯები ეხვევიან.

ქაჯებიც ჩვენი „უფროსი ძმის“ სახეა, როგორც გალაკტიონის პოემაში „მშვიდობის წიგნი“.

მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ქალის ტვირთი“ შავი ურჩხული და წითელი გველეშაპი მოაზრებულია რევოლუციის, „ერთობის“ ჭრილში.

წითელი აშკარად მიესადაგება სისხლიან საბჭოთა იმპერიას.

სწორედ „წითელი გველეშაპისა“ და „შავი ურჩხულის“ ძალისხმევით ინგრევა კოშკი – ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, იშლება ახატნელების ოჯახი, იღუპება გედი – ქეთო.

რომანში „წითელი ჯარი“ ასოცირებულია „გარუსებასა და ძარცვასთან“.

მიხეილ ჯავახიშვილი არც რევოლუციას უყურებდა კარგი თვალით და არც რევოლუციონერებს.

შემთხვევითი როდია რომანში გამუდმებული საუბარი სისხლზე, ზურაბ გურგენიძის (სტალინის პროტოტიპი) სისხლით გაუმაძღვრობაზე.

„ურჩხული“, რომელმაც კოშკი დაანგრია და გედი ჩაყლაპა „ქალის ტვირთში“, „წითელი გველეშაპი“, რომელიც ბროლის კოშკს ეხვეოდა, სწორედ იმ შეუბრალებელ აპოკალიფსურ მხეცებზე მინიშნებაა, რომელთაც უღმერთო იმპერია შექმნეს, ციხეებით, სახრჩობელებით, პატიმართა ბანაკებით მოჰყონეს ქვეყანა, ფსიქიატრიული რეპრესიებით, ფიზიკური განადგურებით შეამცირეს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი და ტოტალური „შიშის ლანდი უზარმაზარი“ (გალაკტიონის „კოშკი“) გაავრცელეს მთელს იმპერიაში.

რევოლუციური, აპოკალიფსური მხეცის სახე ილანდება მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხაზნები“, რომელშიც რევოლუცია აღიქმება როგორც „წითელი გოლიათი“, „წითელ ჯარს“ უკავშირდება „გარუსება და გაძარცვა“.

რომან „თეთრ საყელოში“ ნეგატიურ კონტექსტში აქცენტირებულია „წითელი“, „განითლება“, „წითელი ეშმა“ (8,467,514), „წითელი გველეშაპი“, „წითელი ბაქტერიები“, „წითელი გოლიათი“ (8,167), „წითელი თემი“, „წითელი დროშა“

და „ახალი თემის ღალატისთვის“ „ახალი თაობის“ მიერ მა-  
მის“ განგმირვაა „გივი შადურში“.

გალაკტიონის, მერაბის, ზვიადის მიზანი იყო „პატივ-  
მოყვარეობის კუნძულზე“ დამკვიდრებელი სულის მხეცებთან  
ბრძოლა, „მიწაში ჩათხრილთა“ ამაღლება.

„სისხლის სუნი სცემდა გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული  
სულის“ პერსონაჟს – თამაზ ენგურს, როცა რევოლუციაგა-  
მოვლილ ბერზინს უყურებდა. როცა იგი დააპატიმრეს და  
გპუ-ს ჯურლულებში დაკითხვაზე ჰყავდათ, გულს ურევდა  
სისხლის სუნი და ზარავდა პატიმრების ცემა.

სისხლით მორწყულ გზებზე წუხდა ტერენტი გრანელი  
„სულის ცეცხლში“. პოეტი უდანაშაულო პატრიოტების სის-  
ხლით მორწყულ ველზე დააბიჯებდა 1924 წელს, აჯანყების  
მონაწილეთა განადგურების შემდეგ და წერდა: „და საქარ-  
თველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია“  
(9,398).

წითელი ფერი ასოცირდება სისხლთან, უსამართლობას-  
თან, რევოლუციასთან, რასაც ვერ ეგუებოდა ტერენტი გრა-  
ნელი და „სისხლის მდინარის“, დამწვარ ტყვიების, შორეული  
რაინდების უმწეო შფოთით, სამარადისო მწუხარებით, „ეშა-  
ფოტის“ სახეებით ამხელდა მიუღებელ სინამდვილეს (10,48).

„მემენტო მორის“ ავტორს ერთი სტრიქონიც არ დაუწე-  
რია უსამართლო სოციალური წყობის საამებლად, რის გამოც  
მუდმივად მიზანში იყო ამოღებული „დიქტატორ იმპერატო-  
რების“ ფინიებისგან.

ტერენტი გრანელის დის - ზოზიას შვილიშვილი, პრო-  
ფესორი მამანტი როგავა იხსენებს ტერენტის სტრიქონებს:  
„ვერასოდეს ვერ იქნება წითელი ეშმა ჩემი მომრევი“ (10,41).

„სულის ბორკილებში“ საუბარია „ადამიანთა გარდაქმნის  
წითურელთა „მეცნიერულ ჯაფაზე, წითურთა ცხოვრების  
წესია და საქმიანობაზე“ (11,42).

„წითურების სამკვდრო–სასიცოცხლო ომი ტერენტის წინააღმდეგ გამოწვეული იყო პოეტის უკომპრომისობით, სი-მართლისმოყვარეობით“ (10,119-120).

„ქვეყნად მოვლენილი, გრაალის თასში ჩამოლვრილი სისხლისა და სულის მატარებელი წმინდა პოეტი ტერენტი გრანელი შინაგანი მშობელი ერის გულისხმით ენაცვლება ჯვარზე გაკრულ ქრისტეს, რათა საბოლოო დალუპვისგან იხ-სნას ადამიანთა სულები, ქართველ ერში რომ არ ჩაკვდეს თა-ვისუფლების ნაპერწკალი, სიყვარულის და ლაზარეს აღდგი-ნების, დიადი მომავლის რწმენა“ (11,150).

ტერენტი გრანელი იყო „წითურ სალიერებთან“ დაუც-ხრომელი მებრძოლი.

„პიროვნული თავისუფლების და საქართველოს დამოუ-კიდებლობისთვის მებრძოლმა პოეტმა და ავანგარდისტმა მხატვარმა თავისი უდრეკი და მოუსყიდავი სულითა და გუ-ლით, წმინდათან მინდა სიყვარულითა და ვაჟუაცური შინაგანი „მე–თი“ წითელი სატანის მიერ ჯალათური და მონური სის-ხლით ნაწრთობი სულის ბორკილები დაამსხვრია და მარადი-სობის ლაჟვარდში ქართველი ერის თავისუფლებას ანთებული უკვდავი გულით შეერწყა სამარადუამოდ“ (11,16).

მერაბ კოსტავა კონსტანტინე გამსახურდიას სამართლი-ანად წარმოიდგენდა, როგორც მეოცე საუკუნის „წითელ გრი-გალთან“ მებრძოლ რაინდს, განადიდებდა მის ძალისხმევას, რადგან ეპოქალურ ბოროტებასთან დაპირისპირება უდიდეს გამპედაობას მოითხოვდა: „ერის სულმა კონსტანტინე გამსა-ხურდია გრიგალთა შორის უმძაფრესის, მეოცე საუკუნის გრიგალთან საბრძოლველად მოავლინა. ილია ჭავჭავაძეს მეცხრამეტე საუკუნიდან მეოცისათვის რომ შემოეხედნა, უთუოდ მეტ პატივს მიაგებდა კონსტანტინე გამსახურდიას, ვიდრე ამ უკანასკნელმა მიაგო მას, რადგან ნიავის ქროლვად მოსჩანს მეცხრამეტე საუკუნის ქარი მეოცე საუკუნის გრი-გალთან. ამ წითელ გრიგალს თავდაუზოგავად მოაჭენებდა უშემზარავესი მხედარი, ცეცხლშემართული აზრთა მმუსვრე-

ლი წითელი ცენზურა, მისთვის უცხო, მიუღებელ აზრებს ხშირად თავებიანად რომ ათიბავდა მათსავე მატარებელს. სიტყვით და კალმით უნდა შებმოდა იგი მეოცე საუკუნის გრიაგალს უუფლებობის წყვდიად ღამეში.

„იმთავითვე საღვთო ომი გამოუცხადა გამსახურდიამ ქართული ენის ყველა შემბილნველს. მან სძლია თვალბედით საუკუნეთა სიბრუმეს და ქართული ენა რუსთაველის ეპოქის ლიტერატურულ დონეზე აღაზევა“... (გამოსათხოვარი) (12,188-189).

ასეთივე დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ზვიად გამსახურდიამ „ჩრდილოეთის წითელ ჯალათთა კრეპულს“ (ძე ქარიშხლისა) (13,3).

ამ ეროვნული იდეალების თავგამოდებულ მსახურთა იმედი იყო წმინდა გიორგი, წმინდა ნინო.

ბიძლიაში გვხვდება „წითელი გველეშაპის“ მიერ ხელ-დასხმული ზღვის და მიწის მხეცები, რომელთა ადრესატები არიან წითელი საბჭოთა იმპერიის საჭეთმპურობელები.

კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილში“ ყურადღებას იქცევს ეშმას ნაშიერი „წითელი მამალი, წითელი კირიპა, წითელი ქვეწარმავალი, ჩრდილოეთის კოშკს შემოხვეული ქაჯები, რომელთა კვალს ჯოჯოხეთში მიჰყავს მთავარი პერსონაჟი.

გალაკტიონის შემოქმედებაში საგულისხმო ჩანაფიქრის მატარებელია „ივლისისფერი ყინვის თასები“, „არაწმინდა შავი თოვლი“, „გაზაფხულის ყინვა“ და პოეტის მოლოდინი „საუკუნეთა თოვლის“ მოშორებისა „საუკუნეთა თოვლო, ითოვე, მაინც დადნება ეგ ნათოვლარი“ (წარწერა ხოვლეს ორნამენტზე) (2,377).

ასევე მრავლისმთქმელი ქვეტექსტებით გამოხატავდა პოეტი სამშობლოს უკეთესი მომავლის რწმენას პოემა „მშვიდობის წიგნში“, წიგნის (საღვთო სახელია) პოვნას, ქრისტიანობისკენ, სიმართლისკენ მიპრუნებას და მამულის თავისუფლების იდეას.

მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას სწამდათ საქართველოს თავისუფლება, ამისთვის იბრძოლეს უომპრომისოდ და „ბორკილი შეხსნეს ერს დამცირებულს“.

ამერიკის პრეზიდენტი რეიგანი აღფრთოვანებული იყო „წითელ ურჩხულთან“ – საბჭოთა იმპერიასთან მებრძოლი მერაბ კოსტავას უკომპრომისობით.

გოდერძი ჩოხელის რომანში „მგელი“ კომუნისტების მიერ იავარქმნილ გუდამაყარში შავი წვიმა მოდიოდა, მერე წითელი თოვლი წამოვიდა, ავბედითი წითელი გახდა გარემო, წითელი ემოსათ ადამიანებს (13,97).

კოლუუ ნადირაძის ლექსში „25 თებერვალი, 1921წ. „წითელი დროშით“ მომავალ გადამთიელებს შემოაქვთ „სიკვდილი ცელით“ (15,48-49).

იოსებ გრიშაშვილი ჩიოდა „წითელი სენზე“, „შხამსა და ბოლმაზე, „გველის ნაკბენზე“, „ჩრდილოეთის ჩახმახით“ წამებაზე, „ჰამლეტის მოსასხამს“ ირგებდა და „ყოფნა-არყოფნის“ დილემას ვერ გაქცეოდა (ჰამლეტის მოსასხამით) (16,36).

„გიუს მეძახიან, რომ მეშინია წითელი ფერის“, წერდა ემიგრანტი გიორგი ყიფიანი. ის საუბრობდა „წითელ ქვეყანაზე“ „წითელ მეხზე“, „ჩრდილოეთის წითელ მოდგმაზე“ (17,586-590).

ჰაოლო იაშვილის ლექსში „ფარშევანგები ქალაქში“ წითელ რუსეთთან დაკავშირებული ქვეყანა „სისხლისფერი გველეშაპის“ საქბილოდ ქცეულა, წითელია ქარი, ფარშევანგები, ქვაფენილები, ისმის საბედისწერო ზარი, მოჩანს „მკვდართან მკვდარი“, „წითელი ძილით“ სძინავს ქალაქს (18,122-123).

როსტომ ჩხეიძის მართებული მოსაზრებით, შტაინერის მოძღვრება საქართველოს გამოხსნისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, წითელ იმპერიასთან ჭიდილში ფარის მაგივრობას გასწევდა“ (19,381).

## **დამოწმებანი**

1. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, „პალიტრა L“, თბ., 2014
2. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი II, ლექსები, „საბჭოთა საქართველოს“, თბ., 1988
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977
4. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, გერმანულიდან თარ-გმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო აკაკი გელოვანმა, „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1988
5. კონსტანტინე გამსახურდია, თხზულებანი 20 ტომად, ტ.2, თბ., 1992
6. კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძ-ვლები, სიზმრები, თბ., 1996
7. მიხეილ ჯავახიშვილი, „ქალის ტვირთი“, თხზ. 6 ტომად, ტ. V, თბ., 1996
8. მიხეილ ჯავახიშვილი, „თეთრი საყელო“, თხზ. 6 ტომად, ტ. II, თბ., 1959
9. ტერენტი გრანელი, „ცისფერი სიშორე“, თბ. 1997
10. ტერენტი გრანელი, ლექსები, წერილები, ჩანაწერები, თბ., 2012
11. მამანტი როგავა, „სულის ბორკილები“, წალენჯიხა, 2023
12. მერაბ კოსტავა, „შენყვეტილი ფიქრები“, „მერანი“, 1991
13. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“, თბ., 1990
14. გოდერძი ჩოხელი, „მგელი“, თბ., 1988
15. ოპოზიციური ლიტერატურა „ამირანი“, თბ., 1990
16. იოსებ გრიშაშვილი, „დაუბეჭდავი ლექსები“, თბ., 1992
17. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, „XX საუკუნის ქართული მწერლობა“, ქუთაისი, 2002
18. პაოლო იაშვილი, ერთტომეული, თბ., 1965

19. როსტომ ჩხეიძე, „ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“, მე-  
რაბ კოსტავას ბიოგრაფიული ქრონიკა, თბ., 2017

## ქაჯის ალეგორია

გალაკტიონის პოემაში „მშვიდობის წიგნი“ ქართველი ხალხის მტერია ქაჯი, ჩვენთვის ტერიტორიის, „მშვიდობის წიგნის“ – რწმენის წამგვრელი.

ქაჯი მუდმივად უტევს ჩვენს ეთნოსს: „ქაჯთა წყება მო-  
დის, არ ცხრება“ (1,30).

პოემაში ნათქვამია: „ზღვას იქით, მაღლობს, ერთს სამო-  
სახლოს ვიცნობდი მტკიცეს. მას უნოდებენ ყველანი ქა-  
ჯეთს“.

ქაჯეთის მახასიათებელია ბოროტება, ცოდვები: „მხო-  
ლოდ ცოდვები დააქვთ სიაჯეთ“ (1,75).

ეს დაუნდობელი ეთნოსი ჩვენი ხალხის „წყევლას და  
კრულვას“ იმსახურებს (1,76).

პოემაში მოქმედება ხდება შუამთაში, რომელიც ჩვენი  
ქვეყნის სიმბოლოა.

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი ტარიელი ჰპირდება  
თავის ერს: „მოვნახავ ქაჯეთს და გავიმარჯვებთ“ (1,77).

ქაჯეთს გვერდში უდგანან დევი, ვეფხვი, მხეცი, წურბე-  
ლა (1,134,827).

ქართველ მამულიშვილებს დაპბედებოდათ ბრბოლა  
„პირსისხლიან დათვთან“ (კონსტანტინე გამსახურდია), „თეთრ  
დათვთან“ (ოთარ ჩხეიძე).

ქაჯების მოვლინებას მოჰყვება სიბნელე, უამინდობა,  
წარღვნის მსგავსი სტიქია, უდანაშაულო პატრიოტი თაობების  
სიკვდილი.

მაგრამ ტარიელის წინამდლოლობით რაინდობას ავლენს შუამთის ხალხი, მას ეხმარება ავთანდილი, გმირობისკენ აქეზებს თამარი და თუმცა ბევრი მსხვერპლი გახდება საჭირო, უდანაშაულო, მართალი ეთნოსი იმარჯვებს. ქაჯებს განდევნიან, ამინდი გამზიანდება, ხალხის მეგზური გახდება „მშვიდობის წიგნი“.

წიგნის სახეში ღმერთი ამოიცნო დანტემ და მას უნიდა „სანუკველი წიგნი“, „დიადი წიგნი“ („ღვთაებრვი კომედია“, თარგმანი ვ. გამსახურდიასი, თბ. 2012, გვ. 389).

გალაკტიონის პოემაში სიმართლისთვის, თავდაცვის-თვის შემართულ ხალხს ეცხადება წმინდა გიორგი, რაც მათ ძალას, რწმენას აორკეცებს და სამართლიანობა იმარჯვებს.

მაგრამ „წყალდიდობის“ შედეგად ჩნდება ორმოები, „სა-დაც ყვავილები ვერ იყვავილებს“, ვფიქრობთ, ორმოები ავტონომიებია, რომელთაც ჩვენს წინააღმდეგ აამოქმედებს ჩრდილოელი მეზობელი.

გალაკტიონის პოემაში გამარჯვებული ხალხის მთავარი მიზანი ხდება მტერთაგან გამოხსნილი წიგნის (რწმენის) ცხრაკლიტულში შენახვა, რაც ასრულდება კიდეც.

პოემა სიუჟეტით „ვეფხისტყაოსანში“ პგავს, რუსთაველის პოემაში ქაჯთაგან გატაცებული ნესტანის საძიებლად იღწვიან რაინდები.

ზვიად გამსახურდიას აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ ნესტანის ძიება არის სალვოო სიბრძნის, სულიწმინდის, რწმენის ძიება, რომელსაც ემტერება ქაჯეთი (2).

ანალოგიურია გალაკტიონის პოემის სიუჟეტი, რომელშიც წიგნი ქრისტიანული რწმენის სიმბოლოა.

ორივე ნაწარმოებში მარცხდება ქაჯეთი და იმარჯვებს სიკეთე, რწმენა.

ქაჯის სახე მერაბ კოსტავას რუსთაველივით, გალაკტიონივით, მოაზრებული აქვს ნეგატიური ძალის, დაუნდობელი ეთნოსის, ჩვენი „მეორე მტრის“ კონტექსტში: „...როს ამოშრება წყევლის სათავე, ქაჯეთს მიხტომა ნახონ ჯიქური, მაშინ

იხილონ დუშმანის თავი უწმინდურ სისხლით გადათხიფული. კვლავაც ზვაობენ მტერთა დასტანი, უტიფრობს შხამი მათ-გან ნთხეული“ (ძმას ქრისტესმიერს) (3,11-15).

როგორც გალაკტიონთან, ისე ზვიად გამსახურდიასთან და მერაბ კოსტავასთან ქაჯი არის რუსეთის იმპერიის სიმბოლო, რომელიც ორმაგად მიუღებელი იყო ჩვენი ერისთვის, რადგან დევნიდა ჩვენს ენას, რწმენას და ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას ახდენდა.

ქაჯისაგან გალაკტიონმა შექმნა ნეოლიგიზმი, „გაალქა-ჯება“: „ცხოვრება გაწყრა და გაალქაჯდა“ (პორტრეტი) (1,235-236).

გალაკტიონის გაღიზიანება – მწუხარებას იწვევდა „ქაჯური ვალსიც“: „...გდევდეს წუხილი, თხოვნა, ხვენილი და ქაჯურ ვალსში იყო პართული, ეს თბილისია თმაგანენილი და მწუხარება ჩვენი, ქართული“ (ჩაქრო ყველგან სანთლები მტვერმა) (რჩეული, თბ. 1977 გვ. 383).

კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილში“ ფიგურირებს ქაჯები, რომლებიც ასევე რუსის ალეგორიაა (5).

„ვეფხისტყაოსანში“ ვეფხვების, დევების, ქაჯების და-მარცხება ინიციაციის მიღწევის უმთავრეს გზად ესახებოდა ზვიად გამსახურდიას.

მისი აზრით, პოემის ნესტან-დარეჯანი განასახიერებდა საზეო სიბრძნეს, ქალწულ სოფიას, რომლის გამოხსნაც ხდება ბნელი ძალების ტყვეობიდან.

მერაბ კოსტავა მტრის – ქაჯის, ვეფხვის ჭრილში აღიქ-ვამდა ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს, რომელსაც უპირისპირ-დებოდნენ ზვიად გარმსახურდია და მერაბ კოსტავა, „ვეფ-ხეთან სარკენად ველად გასულები“ (ძმას ქრისტესმიერს) (3,11-15).

კონსტანტინე გამსახურდია ლენინს რასკოლნიკოვს ადა-რებდა.

მერაბ კოსტავასთვის რუსეთი არის „მეძავი ბაბილონისა“, „ბნელი რასკოლნიკოვი“.

გალაკტიონს აინტერესებდა „მსოფლიო ქნარი, მსოფლიო ორკესტრი, მსოფლიო ძალა, მსოფლიო საკითხები, მსოფლიო მწუხარება, ჩვენი მრავალტანჯული ერის გაღწევა მსოფლიოში.

„საქმეა იქცე მსოფლიო კაცად და არ უმუხლო ერსა და თვისტომს“ აცხადებდა მერაბ კოსტავა (3,77).

ფრიდრიხ ნიცშე სახელმწიფოს მრავალთავიანი ურჩხულის სახეში მოიაზრებდა, რასაც იმოწმებს მერაბ კოსტავა.

„სახელმწიფო, ნიცშეს განმარტებით, ის მრავალთავიანი ურჩხულია, რომელიც ცდილობს მოიმადლიეროს ყველა ელვარე ინდივიდუალობა, იმსახუროს თავისი უპიროვნო არსების საღიდებლად და მისი ნიჭი საკუთარ ლირსებად გამოაცხადოს“ (4,197).

მერაბ კოსტავას თვალთახედვით, საბჭოთა იმპერია იყო ცხრათავიანი, მრავალთავიანი ჰიდრა, რომელიც მუდმივად დევნიდა, საპატიმროში ამწყვდევდა უპირველეს მწერალს – კონსტანტინე გამსახურდიას, მაგრამ მისი თხზულებების უცხოურად თარგმნის და აღიარების შემდეგ „გაირინდა მრავალთავიანი ჰიდრა, ცხრათავიანმა ჰიდრამ ვერ მიჩქმალა, ვერ მიისაკუთრა მისი სახელი“.

ქართველი მწერალი „წმინდა გიორგის უშიშარ რაინდს“ ედრებოდა (გამოსათხოვარი) (4,198-199).

თვითონ მერაბ კოსტავა იყო „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილის რეინკარნაცია, ქაჯეთის ტყვეობიდან ნესტანის (სამშობლოს) გამოხსნისთვის თავდადებული მებრძოლი.

ახდა ჩვენი კლასიკოსების წინასწარმეტყველება, საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, მიუბრუნდა რწმენას, შეიცნო „მარადიული წიგნი“, ქრისტიანობის ფასი, რადგან წიგნი საღვთო სახელია წმინდა წერილში.

ესაია წინასწარმეტყველის მიხედვით, მამალმერთი არის „დაბეჭდილი წიგნი“ (29,16)(6,548).

ნეტარი ავგუსტინე, ამბობს: „ალსარებაში“: „არასდროს არ დაიხევა მათი წიგნი, არასდროს არ აიხევა მათი გრაფნილი იმიტომ, რომ თვით ხარ უფალო, ეს წიგნი მათთვის და ამ წიგნადვე ჰგიებ უკუნისამდე“ (7,217).

## დამოწმებანი

1. გალაკტიონ ტაბიძე 12 ტომად, ტ. 11, თბ., 1973
2. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ., 1991
3. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“, თბ., 1990
4. მერაბ კოსტავა, „შეწყვეტილი ფიქრები“, „მერანი“, თბ., 1991
5. კონსტანტინე გამსახურდია, „დიონისოს ღიმილი“, თხზულებანი 20 ტომად, ტ.2, თბ., 1992
6. ბიბლია, თბ., 2013
7. ნეტარი ავგუსტინე, „ალსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1985
8. დანტე „ლვთაებრვილი კომედია“, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, „პალიტრა L“, თბ., 2012

## ამირანის მოვლინება

გალაკტიონმა მრავალ ჭრილში გვიჩვენა სამშობლოს წარსული, აწმყო, უცდომლად გადაიხედა მომავალშიც და მარადიულ შედევრებში ჩააქსოვა ეროვნული სატკივარი.

„მშობლიურ ეფემერაში“ შეცვლილი „მშობლიური ხეები“, ზამთრისგან წაშლილი ბილიკი წარმოაჩენს ეროვნულ სატკივარს: „ვეღარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს – ზამთარს

ბილიკი დაუტანია... „დიდი ხანია?“ – მივმართავ ტყეებს და ტყე გუგუნებს: „დიდი ხანია“...

ბილიკი საღვთო სახელია, ტრაგედიას ოწმენისგან გაუცხოებაც ამძაფრებს.

მერე ამირანის კვნესა აკონკრეტებს მთავარ სატკივარს: „შეხავსებია კლდეები კლდეებს, იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია. „ამირანია?“ – მივმართავ ტყეებს და ტყე გუგუნებს: ამირანია!...

ამირანის კვნესა „დაკარგული“ იდეალის – თავისუფლების სატკივარს უფრო წარმოაჩენს.

შემდეგ ყაზბეგის ღრუბლიანი შუბლი, ყვავილების გაუჩინარება, დარიალიდან მოსმენილი ზარი კიდევ უფრო ღრმად გვახედებს პოეტის სატკივრის მიზეზებში: „ყაზბეგის შუბლი შემოსეს ღრუბლით, და ცა აღუბლით სავსეა... კმარა, ყვავილთა ციდან კალათებს ცლიდნენ, დარიალიდან ზარავდა ზარა“.

ყვავილთა იგნორირება ოწმენის უარყოფის მაცნეა, რადგან ყვავილი საღმრთო სახელია.

დარიალიდან მოსმენილი ზარი, კარებშესნილი დარიალი ხომ ჩვენი კლასიკოსების – ილია ჭავჭავაძის, მიხეილ ჯავახიშვილის სატკივარიც იყო და პოეტი ამ გეოგრაფიული ტერმინის აქცენტირებით მიგვანიშნებს საიდან მოვიდა ეს ეროვნული უძედურება.

ლექსის დაწერის თარიღიც – 1917 წელი მრავლისმთქმელია.

ფინალური სტრიქონებიდან ისევ ამირანის კვნესას ესმება ხაზი: „შეხავსებია კლდეები კლდეებს, იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია. „ამირანისა?“ – კვლავ ვკითხავ ტყეებს და ტყე გუგუნებს: ამირანია!“ (1,217-218).

გალაკტიონი და მერაბ კოსტავა ამირანის სახეში გამოსატავდნენ ერის გულისტკივილს, ხოლო მათი წინამორბედი იყო აკაკი წერეთელი, რომელიც სამშობლოს კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ამირანის და ყვავ-ყორანთაგან დაფლეთილი გუ-

ლით წარმოიდგენდა და აზუსტებდა ლექსის ადრესატს: „კავ-კასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვული ამირანი არის მთელი სა-ქართველო და მტრები კი ყვავ-ყორანი“.

ლექსის ფინალში ამირანის აშვებაზე საუბარი აქარ-წყლებს უიმედობას და სამშობლოს თავისუფლების იმედს აღ-ვიძებს: „მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ეჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი, სიხარულად შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი (ამირანი) (2, 227).

მერაბ კოსტავამ გალაკტიონის მთელი შემოქმედება ზედმინევნით გაითავისა, ერის თავისუფლებისათვის დამაშ-ვრალ, ჯვარცმულ მებრძოლს განსაკუთრებით მოხვდა გულ-ზე პოეტთა მეფის სტრიქონები – „ხმა ამირანის გამინვის და წყევლის და მარტვილობა ჯვარცმული ელვის, ყაზბეგის თავ-ზე ცა მოჭედილი და ბებერ მუხის მეხთან ჭიდილი“...

მერაბ კოსტავას სწამდა ამირანის – ჩვენი ქვეყნის თავი-სუფლება: „...ხოლო ამირანს რკინის მკვნეტელად ვინც დაჰ-ბადა, იგი აუშვებს“ (რუსთავი) (3,81-82).

### დამოწმებანი

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1988
2. აკაკი წერეთელი, ხუთტომეული, ტ. I, „პალიტრა L“, თბ., 2011
3. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“, თბ., 1990

## მუხის სიმბოლო

სიმბოლური აზროვნების დიდოსტატის – გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ყურადღებას იქცევს მუხის სახის ღრმააზროვანი ქვეტექსტები.

ლექსში „მუხა“ პოეტის წუხილია მუხის ტანში ჭოტის დაბუდების გამო: „...მარტოდენ ჭოტი მუხის ძველ ღრუში დაისადგურებს და ატირდება“ (1,20).

სხვაგან მეხით გადატეხილი მუხის სახით გვამცნობს გალაკტიონი ეროვნულ ტრაგედიას: „მშობლიური ცა ულრუბლო თუ, მაინც გარს ტყეა, ნისლია, რუა, იმ მთაგრეხილზე, იმ ორ ზღვას შუა დგას მუხა მეხით გადატეხილი“ (2,734).

ლექსში „სისხლი“ მხეცთა ნაშიერებს, მკვლელებს, იუდებს გაუნადგურებიათ „ძველი კაკლები“ და „მუხლებამდე სისხლის მორევი“ დაუყენებიათ ირგვლივ (სისხლი) (2,735).

„ძველისძველი მუხების“ სიახლეზე, მომავალზე, „ახალ ქართათვის“ განკუთვნილ „სასახლეზე“, მომავალზე საუბარი იმედიან განწყობილებას ქმნის ლექსში „მუხები“: „...ძველისძველი დგანან მუხები... მომავლისათვის სიახლე აქვთ ხელშეუხები, ახალ ქართათვის აგებული მძლავრი სასახლე“ (მუხები) (1,291).

„მძლავრი და მარად ძვირფასი ჩვენი მუხაა“ იმედის საფუძველი ლექსში „მუმლი წყდებოდა“ (1, 674).

სხვაგან თვით პოეტია მყარად მდგარი მუხა, რომელიც ხილვაში მოვლენილ დედას ამცნობს: „...იმ სამუდამო მხარეს ალბათ, შენ ჩემზე სწუხარ, დარდს ნუ ეძლევი მნარეს, არ ნაქცეულა მუხა“.

აქვე მუმლი (ბრბო) ვერას აკლებს დიდი ილიას ტყედ განგმირულ შუბლს, ის მაინც ცოცხალია: „არაფერია! მღვრით დე ირეოდეს მუმლი, მაინც ხომ ცოცხლობს ტყვიით ტყედ განგმირული შუბლი“ (ილია მღერის – ვაჰმე) (1,414).

გრიგალთან მედგრად დაპირისპირებული ბიჭვინთის ფიჭვია ლექსში „ფიჭვი ბიჭვინთის“: „...დაე, მოვარდეს თუნ-დაც გრიგალი, აქ ვდგავართ მე და ფიჭვი ბიჭვინთის“ (2,761).

პოეტის იდეალია „სულიერი ვენახი“, ბალი – სამშობლო, ქრისტიანული რწმენა, რისთვისაც თავს სწირავენ გალაკტიონის პოემა „მშვიდობის წიგნის“ პატრიოტი პერსონაჟები და შედეგიც სახეზეა: „...კვლავ ძველი შრიალებს ბალი და ძველი დალი წიგნების აზის“ (2,901).

„ძველი ბალი“ საქართველოს, ხოლო წიგნი, „მშვიდობის წიგნი“ ქრისტიანული რწმენის პარადიგმა.

„მუხის შრიალი“ პოეტის მიერ აღიქმება, „ვით მომხიბლავი ძველი მოტივი“ (ჩემს ყრმობის ხანაში) (2,661).

გალაკტიონის იმედიანობას ასაზრდოებს მზე, მუხა, წყარო: „ო, მზით გადანაცხარო ცხრა მუხა და ცხრა წყარო“ (ელგარე და ლომფერი) (1,76).

მუხა მშობლიური ეთნოსის სიმბოლოა, „მზე და წყარო“ საზს უსვამს მის მორნმუნეობას, რადგან მზე და წყარო საღმრთო სახელებია.

„ქარტეხილს“ გადარჩენილი „ძველისძველი მუხა“, „სიახლისკენ“, „მომავლისკენ“ ისწრაფვის, რათა „ახალმა ქარებმა“ ვერაფერი დააკლონ მის „მძლავრ სასახლეს“ (მუხები) (1,291).

პოეტს სიამაყეა „მზით განაცხარი“ „ცხრა მუხა და ცხრა წყარო“ (ელგარე და ლომფერი).

ასევე, გალაკტიონის იდეალია „ზენიტზე მდგარი შორი პალმები“ (ეფემერა) (2,301-304).

პალმა სიცოცხლის ხის, ანუ ღმერთის სიმბოლოა, პოეტი კი ეროვნული ეთნოსის მთლიანობის, მისი სარწმუნოების ერთგული მცველია.

ლექსში „შედუღება ოცნებისა და სინამდვილის“, თვით პოეტი გვევლიერება, როგორც „მხნე მუხა“, „სხვა სინამდვილის და სხვა ოცნების“, ანუ პირველხარისხოვანი შემოქმედების ავტორი (2,540).

„მუხა“, ანუ სამშობლოა შემოქმედების მთავარი მოტივი: „...აქ ჩემს მახლობლად შრიალებს მუხა, ვით მომხიბლავი ძველი მოტივი“ (ჩემს ყრმობის ხანაში) (2,661).

ძალზე ხშირად გალაკტიონი მუხას, ბალს სამშობლოს სახედ მოიაზრებს და სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით გვამცნობს მის განსაცდელს თუ გადარჩენას.

ლექსში „პირიმზე“ ნათქვამია: „...დილით დამჭკნარი არის ბალახი, ზედიზედ ისევ ეცემა სვეტი. გაიყვეს ძმებმა მოხუცი ბალი და მწუხარება დამრჩა ასეთი“ (1,171).

„ძმებში“ მეგობრის ნიღბით მოვლენილი ჩრდილოელი მეზობელი უნდა მოვიაზროთ, რომელმაც იავარქმნა ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა, სამართლიანობის სახელით მოსულმა წაგვართვა დამოუკიდებლობა.

„მოხუცი ბალი“ დიდი წარსულის მქონე ჩვენი სამშობლოა, რადგან ბალი და ვენახი წმინდა წერილში ებრაელი ხალხის პარადიგმაა.

მეხით გადატეხილი კაკლებიც „მხეცის“ ნახელავია: „...საშინელია – იგრძნო უეცრად, რომ ალარ დგანან ძველი კაკლები. შენი სახელი მათ მიუეცრათ – მხეცი – არც მეტი და არც წაკლები“ (სისხლი) (2,735).

„ორ ზღვას შუა“ ტყეში, „მთაგრეხილზე“ მეხით გადატეხილი მუხა“ მიგვანიშნებს მტერმრავალი სამშობლოს ტრაგედიაზე (მშობლიური ცა უღრუბლო თუა) (2,734).

პოეტის იდეალია „დროთა ფიქრში გართული“ მუხა (რაც დავიწყებით არ იბინდება) (1,384).

მუხასთან დაპირისპირებული მუმლის ავტედობას გადარჩენილი „ძვირფასი მუხის“ – ჩვენი სამშობლოს საგალობელია პოეტების მეფის შემოქმედება: „...მაგრამ ურიცხვი მუმლი წყდებოდა, მუხა რჩებოდა... სიკვდილი გვაკლებდა კერას, ვით მუმლი მუხას, მრავალ სიმღერას მღერის ქართველი, ეს ხმა კი სხვაა: იგი მძლავრი და მარად ძვირფასი ჩვენი მუხაა“ (მუმლი წყდებოდა) (1,47).

პოეტის ოცნებაა „მუხა უმუმლო“, „ძველი ბალი“, ანუ მტრებისგან დაუმარცხებელი სამშობლო.

მუხა, როგორც, ერის სიმბოლო, მრავალგზის ფიგური-რებს პოემა „მშვიდობის წიგნში“.

ქაჯთა დამმარცხებელი ჩვენი ერი „მუმლისგან“ (მტრის-გან) გადაარჩენს ბალს, მუხას (სამშობლოს): „აგერ ჭალად ზის მუხა უმუმლო“ (2,226).

წყალდიდობას გადარჩენილ მუხას ჩონგურით, ქნარით უგალობენ (2,337).

პოემის ფინალი ოპტიმისტურია: „კვლავ დევს ჰეგავს ნამ-დილს მუხა იმ გზაში“, „ნიშნად კვლავ ძველი შრიალებს ბალი და ძველი დალი წიგნების აზის“ (2,901).

წმინდა წერილში ბალი, ვენახი ებრაელი ხალხის სიმბო-ლოა. „უფლის ვენახი ისრაელის სახლი და იუდას ხალხია, მი-სი სანატრელი ნერგი“ (ესაია წინასწარმეტყველი, 5,7)(4,536).

წიგნი უფლის პარადიგმაა, ანუ პოემის ავტორი გვაუნ-ყებს ჩვენი ერის, მისი რწმენის გადარჩენას: „გაიგონებენ იმ დღეს ყრუები წიგნის სიტყვებს და ბრმათა თვალები ბნელი-დან და უკუნიდან გამოიხდავენ“ (ესაია წინასწარმეტყველი, 29,18) (4,548).

კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ არენბა არლანის ბრძანებით დურიფშის ხუთასწლოვანი მუხის დაწვა ტოტემის მოსპობას, მშრომელი ხალხის რეპრესიებს მოასწავებს.

„ვაზის ყვავილობაში“ ბერმუხა სიმბოლოა ქართველი ხალხის უკვდავი და შეუმუსრავი სულისა, ხოლო ვაზი – სი-ცოცხლის ხეა (5).

მერაბ კოსტავა, რომელმაც უცდომლად წაიკითხა გა-ლაკტიონის პოეზიის ქვეტექსტები, აქცენტს უკეთებს წინა-მორბედი გენიოსის უპირველეს პრობლემას – ეროვნულ სატ-კივარს, ესაა „ბებერი მუხის“ მეხთან ჭიდილი, რომელშიც „ბე-ბერი მუხა“ – უძველესი ტრადიციებით ცნობილი ერი მეხ-

თან – შინაგან და გარეშე მტრებთან ბრძოლაში იყო მუდამ და მაინც ინარჩუნებდა თვითმყოფობას.

აქვე, მერაბ კოსტავას თვალთახედვით, გალაკტიონი წარმოჩნდება, როგორც „მინდვრის მუხა“: „ვერ ითვისებდი პოეტთა არტელს, მუდამ მაღალი“, მუდამ ეული, ვით მინდვრის მუხა იდექი მარტო, ევერესტივით ნისლმოხვეული“ (გალაკტიონი).

ფრაზა „ევერესტივით ნისლმოხვეული“ პოეტის სიმაღლესაც უკეთებს აქცენტს და მის შეუცნობლობასაც, რაზე-დაც მიგვანიშნებს ეპითეტი „ნისლმოხვეული“.

მერაბ კოსტავას პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეხთან, გრიგალთან დაპირისპირებული მუხის-ერის სახეს, მის „მეფურ ჯილას“: „მოგესალმები, ბებერო მუხავ, შენს მეფურ ჯილას შემოვევლები, მაგ. დაკორძებულ რტოებში მქუხარს, გთხოვ, გადამხვიო ძმურად ხელები... რომ შენს ფოთლებში ავაფრიალო გარდასულ გმირთა საგალობელი“ (ქარის სიმღერა) (6,36-37).

პოეტის იდეალია სიმამაცით, ზნეობით, გმირობით გამორჩეული, „მეხთამტეხელი“ მუხა – ჩვენი ერი, რომლის მომავლის მოიმედეა ეროვნული გმირი: „მუხავ, შენს ნახვას არა ვგვიანობ, სიმამაცითა ზნეთა მპყრობელი, რომ შენს გვირგვინში ავხმიანო გარდასულ გმირთა საგალობელი. ხეო ზვარაკო, დაჭრილო ელვით, მეხთამტეხელი ღმერთის ტარიგო, გრიგალთა გვემამ როგორ დადრიკოს ღვარად მომსკდარი რტოების ღელვა“ (უსაზღვროების ნესტრით ვნებული) (6,88-89).

პოეტი ვერ შერიგებია უკეთურთა დამოკიდებულებას დედამიწისადმი, რომელიც აგონებს ღორის მიერ მუხის განადგურებას (შავი ჯოჯოხეთის კუპრით ხართ ნაცადი) (3,85-85).

მერაბ კოსტავას აღაფრთოვანებდა „ხმა ამირანის“, „ბებერი მუხის მეხთან ჭიდილი“ (გალაკტიონი) (6,144-162).

„ქარის სიმღერაში“ პოეტი ეთაყვანება „ბებერი მუხის მეფურ ჯილას“ (6,36).

გალაკტიონის და მერაბ კოსტავას ეროვნულ ჭრილში მოაზრებული მუხა ვაჟა-ფშაველას „ხმელი წიფლის“ ასოციაციას იწვევს, რომელშიც დიდი, ძლევამოსილი წარსულის მქონე წიფელი ჟამთა ცვლასთან ჭიდილში დაუძლურებულა, მაგრამ იმედის მაცნეა მისი ერთი ფესვის ბოლოზე ამოსული პატარა ყლორტი, რომელიც მზეს და წვიმას უცდის, რომ გაიზარდოს. ესლაა მისი ნუგეში“ (ხმელი წიფელი) (7,88-92).

იოსებ გრიშაშვილს აღაშვილთებდა „ხნიერი მუხების“ აკაფვა, რაშიც 1921 წ. 25 თებერვლის ეროვნული ტრაგედია იგულისხმება.

პატრიოტი ქართველების განწყობა გამოხატა იოსებ გრიშაშვილმა ლექსში „ახალ ხელისუფლებას“, რომელიც ოქერის თეატრში გააუღერა და ამის გამო დააპატიმრეს.

ოცდამეერთე საუკუნეშიც ანალოგიურ სატკივარს აუღერებს ჩვენი თანამედროვე, ახალგაზრდა პოეტი დარიკო ფიფია: „...მშობლიური ქალაქი, რომელსაც მუმლი ისე შემოესია, როგორც ხალხურ ლექსში ფესვმაგარ მუხას“ (ბარათი ანასტასი დმიტრუქს ანუ თავისუფლების მანიფესტი) (8,38-39).

პოეტი ივედრება: „არ დამიღამდე ჩემი ქვეყნის დამფრთხალო ბედო, ნამეხარ მუხას არ გაუხმო სისხლსავსე ფესვი“ (არ დამიღამდე) (9,133).

„ორი მზის“ ავტორი ეთაყვანება მუხებს, „ნაძვების ქვეყანას“ (9,17).

მუხის სახის ეროვნულ ჭრილში მოიაზრებას სათავე დაუდო კონსტანტინე გამსახურდიამ რომანში „ვაზის ყვავილობა“. ბერმუხა სიმბოლოა ქართველი ხალხის უკვდავი და შეუმუსრავი სულისა. ამ სახის საშუალებით მწერალი თავის იმედიან თვალსაზრისს გამოთქვამს სამშობლოს მომავალზე: „კვლავაც საამოდ შრიალებდა ბერმუხა, რომელიც მარად დარჩება ჩემს წარმოდგენაში, რასაც სიმბოლო ქართველი ხალხის უკვდავი და შეუმუსრავი სულისა“ (5).

ხელისუფლების მიერ მიზანში ცუდად ამოლებულ მიხე-ილ ჯავახიშვილს ენუგეშებოდა ქართულ მიწაში დარგული ფესვმაგარი მუხა – თავისი მარადიული შემოქმედება.

შემთხვევითი არც ის არის, რომ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში კონსტანტინე გამსახურდიას თაოსნობით შეუქმნიათ საიდუმლო პოლიტიკური ორგანიზაცია „ცხრა მუხა“. პროკლამაციებში გმობდნენ მეფის რუსეთის სისხლიან რეჟიმს, დაფხრინეს რუსი მეფებისა და გენერლების სურა-თები. მწერალი დაიჭირეს, რასაც თავისი ცხოვრების „უბედ-ნერეს მომენტად“ მიიჩნევდა, როგორც 1918 წელს თურქი ას-კერების წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლას.

დიდი კლასიკოსის ცხოვრებისა და შემოქმედების რაინ-დული მაგალითები აღაფრთოვანებდათ მის მიმდევრებს – ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას.

## დამოწმებანი

1. გალაკტიონ ტაბიძე, „პოეზია“, „პალიტრა L“, თბ., 2014
2. გალაკტიონ ტაბიძე, „რჩეული“, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1977
3. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“, თბ., 1990
4. ბიბლია, თბ., 2013
5. კონსტანტინე გამსახურდია, „ვაზის ყვავილობა“, თბ., 1956
6. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“, თბ., 1990
7. ვაჟა-ფშაველას ხუთტომეული, ტ. I, პროზა, „პალიტრა L“, თბ., 2011
8. იოსებ გრიშაშვილი, დაუბეჭდავი ლექსები, თბ., 1992
9. დარიკო ფიფია, „ორი მზე“, თბ., 2022

## თავი V

### ნინასწარმეტყველური ინტუიციით მოგადლებული

#### მომავლის თვალი გალაკტიონის პოეზიაში

ყოველ დროს თავისი ღმერთები თუ კერპები ჰყავს, მოვლენათა, პიროვნებათა, მხარეტვრული ნაწარმოების შეფასების თავისებური კრიტერიუმები გააჩნია. ეფემერული დიდების პარალელურად, არსებობს „დიდება მარადისი“ და უსაზღვროების წინაშე უკვდავია მხოლოდ რელიგიური, ამდენად, ჰუმანური და მაღალმხატვრული, სულიერი ინდივიდუალობით, მარადაქტუალური სიბრძნით გამორჩეული ხელოვნება. ბიბლიურ წინასწარმეტყველთა, სიბრძნით მომადლებულ ღვთისმეტყველთა აზრით კი, სიბრძნე ღმერთია.

„ყოველი სიბრძნე უფლისგან არის და მასთანაა საუკუნოდ“ (სიბრძნე ზირაქისა, თ. 1,1) (1,35).

„უფალმა თავად შექმნა სიბრძნე, იხილა და აღრიცხა იგი, მოასხურა იგი თავის ყველა საქმეს (სიბრძნე ზირაქისა, 1, 9) (1, 35).

„მყოფობს ყველა ხორციელში მისი ნიჭის მიხედვით, მიმადლის იგი მის მოყვარეებს (იქვე, 1, 19) (1, 35).

„სიბრძნის სათავე უფლის შიშია და მორწმუნებს საშოდანვე დაჲყვება თან“ (სიბრძნე ზირაქისა, 1, 14) (1,35).

„რადგან უფლის შიშია სიბრძნე და განსწავლულობა, მისდამი სასოება – რწმენა და სიმშვიდე (იქვე, 1, 27) (1,35).

„ბოროტის ცოდნა არ არის სიბრძნე და არც გონიერებაა იქ, სადაც ცოდვილი ბჭობენ“ (სიბრძნე ზირაქისა, 9, 22) (1, 47)

სიბრძნის შექენაში წინამძღვარია ღვთის სიყვარული, რჯულის ცოდნა: „მხოლოდ ის, ვინც, თავს შესწირავს უზენა-

ესის რჯულის შესწავლას, გამოიძიებს წინაპართა სიბრძნეს და წინასწარმეტყველებაში გაიწაფება“ (სიბრძნე ზირაქისა, 39,1) (1,62)

„გამოიკვლევს ანდაზების დაფარულ აზრს და იგავთა გამოცანებს გამოიცნობს“ (სიბრძნე ზირაქისა, 39,3).

ისო ზირაქის მიხედვით, „უფალმა... სიბრძნე ღვთისმოსავებს მისცა“ (ისო ზირაქი, 44,33) (1,66).

წმინდა წერილში უმაღლეს ღირებულებად სიბრძნე მიიჩნევა და იგი ღმერთის მადლად არის აღიარებული.

„... უფალი იძლევა სიბრძნეს და მის ბაგეთაგან არის ცოდნა და შეგნება (იგავნი სოლომონისა, 2,6) (2,618).

„უფალმა სიბრძნით დააფუძნა ქვეყანა, გონიერებით გაამტკიცა ცამყარი“ (იგავნი სოლომონისა, 2,18) (2,619).

„ღვთისმგმობელი სიბრძნეს ეძებს, მაგრამ ამაოდ (იგავნი, 14,6) (2,626).

უფლის შიში სიბრძნის სათავეა, სიწმინდეთა ცოდნა კი გონიერება“ (იგავნი, 9,10) (2,623).

„არ მიეგებათ მადლი ბოროტეულთ და ლანდივით დღე-მოკლე იქნება ყველა, ვისაც ღვთისა არ ეშინია“ (ეკლეზიასტე, 8,3) (2,12).

ღვთის სიყვარულით გაბრძნობილი სოლომონი ხარობს უზენაესის მადლით: „ყოველივე შევიცანი, დაფარულიც და განცხადებულიც, რადგან სიბრძნემ განმასწავლა, ყოველთა შემოქმედმა“ (სიბრძნე სოლომონის, 7,21) (1,24).

„ღვთის ძალის სუნთქვაა იგი და ყოვლისმპურობელის დიდების შეუბლალავი გადმოღვრა, ამიტომ წაბილწულთაგან ვერავის მიეკარება მას“ (სიბრძნე სოლომონისა, 7, 25) (1,24).

იგია საუკუნო ნათლის ანარეკლი, უხინჯო სარკე ღვთის ქმედების და ხატი მისი სიკეთისა.

...ეწვევა უბინო სულებს თაობიდან თაობაში და ღვთის მოყვარეებად და წინასწარმეტყველებად განამზადებს მათ.

რადგან ღმერთს არავინ უყვარს, გარდა იმისა, ვინც სიბრძნით ცხოვრობს (სიბრძნე სოლომონისა, 7, 27, 28) (1, 24).

„უკვდავებაა სიბრძნესთან წილნაყარობა“ (სიბრძნე სოლომონისა, (8, 17) (1, 24).

პავლე მოციქულის მიხედვით, ყოველგვარი ნიჭი, მათ შორის, წინასწარმეტყველების უნარი, სულინებინდის მადლია.

„სხვადასხვაგვარია ნიჭი, მაგრამ სული ერთია (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12)

„თითოეულს ეძლევა სულის გამოვლინება სასიკეთოდ, ვინაიდან ერთს სულის მიერ ეძლევა სიბრძნის სიტყვა. მეორეს-ცოდნის სიტყვა იმავე სულით.

ზოგს რწმენა იმავე სულით და ზოგს განკურნებითა ნიჭი იმავე სულით.

ზოგს სასწაულთმოქმედება, ზოგს – წინასწარმეტყველება, ზოგს სულების გარჩევა, ზოგს – სხვადასხვა ენები, ზოგს – ენების განმარტება.

ხოლო ყოველივე ამას აკეთებს ერთი და იგივე სული, რომელიც თითოეულს საკუთრივ უნაწილებს, როგორც ნებავს“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12,4-11) (3, 374-375).

ამასთან, ნიჭი სიყვარულის გარეშე არაფერია. მთავარია „რწმენა, იმედი, სიყვარული“, ... მათგან „სიყვარულია უმეტესი“ (I კორინთელთა, 14, 13) (3, 376).

სულინებინდის ქნარად წოდებული პავლე მოციქული მოუწოდებს თანამოაზრებს: „ესწრაფეთ სიყვარულს და ეშურეთ სულიერ ნიჭებს, უფრო რომ იწინასწარმეტყველოთ“ (I კორინთელთა, 14, 1).

ვინც ენით ლაპარაკობს, სულით ლაპარაკობს იგი საიდუმლოებებს“ (I კორინთელთა, 14, 2) (3,376).

ვინც წინასწარმეტყველებს, ის ადამიანებს ელაპარაკება აღსაშენებლად, სანუგეშებლად და გასამხნევებლად (I კორინთელთა, 14, 3) (3, 72).

„ენით მოლაპარაკე თავის თავს აშენებს, ხოლო ვინც წინასწარმეტყველებს, ეკლესიას აშენებს (I კორინთელთა, 14, 4) (3, 376)

...., ვინც წინასწარმეტყველებს, ენებით მოლაპარაკე-ზე მეტია, თუ განმარტავს კიდეც, რათა ეკლესია აღშენდეს (I კორინთელთა, 14, 5) (3, 376)

„ყოველ ჩვენგანს მოცემული აქვს მადლი ქრისტესმიერი ნიჭის ზომისაებრ“ (პავლე მოციქული, ეფესელთა, 4,7) (3,417).

პეტრე მოციქული მიმართავს თავის თანამოაზრებს: „თქვენ ხართ ძენი წინასწარმეტყველთა და იმ აღთქმისა, რომელიც აღუთქვა ღმერთმა ჩვენს მამებს, როცა უთხრა აბრა-ამს: შენს თესლში იკურთხებაო დედამინის ყოველი მოდგმა“ (საქმეები, 4,25) (3,234).

„ახლა ჩვენ გვაქვს უმტკიცესი წინასწარმეტყველური სიტყვა და კარგად იქცევით, რომ მიმართავთ მას, როგორც ლამპარს, რომელიც ბნელში ანათებს, ვიდრე დღე გათენდებოდეს და ცისკრის ვარსკვლავი ამოვიდოდეს თქვენს გულებ-ში“ (II პეტრე, 2,19).

...., წერილის არავითარი წინასწარმეტყველება თავისით არ განიმარტება (II პეტრე, 2,20).

„ვინაიდან წინასწარმეტყველება არასოდეს არ წარმოთქმულა ადამიანის ნებით, არამედ ადამიანები, სულინმიდის მიერ აღძრულნი, ღვთისგან წარმოთქვამდნენ მას“ (I პეტრე, 2,2-311) (3,311).

პავლე მოციქული ასე ამხელდა „წუთისოფლის მოკამა-თეს“. „სად არის ბრძენი? სად არის მწიგნობარი! სად არის ამ წუთისოფლის მოკამათე, განა სისულელედ არ აქცია ღმერ-

თმა ქვეყნიერების სიბრძნე?“ (I წერილი კორინთელთა მიმართ, 1,20) (3,357).

ბიბლიური წინასწარმეტყველები ეძებდნენ დაფარულ სიბრძნეს: „...გამაგებინე სიბრძნე ფარული. უჩინონი და დაფარული სიბრძნის შენისანი გამიცხადენ მე, მასხურო მე უსუპითა და განვწმინდნე მე, განმბანო მე და უფროის თოვლისა განვსპეტაკუნე“ ევედრებოდა უზენაესს დავით წინასწარმეტყველი (ფს. 50, 8,9) (3,575).

ამასთან, ბიბლიაში გვხვდება „საკუთარი ნებით განინასწარმეტყველებული“ ცრუ წინასწარმეტყველ-მისნები, რომელთაც დასჯით ემუქრება ღმერთი ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში: „...ვაი ცრუ – წინასწარმეტყველთ, რომლებიც საკუთარ სულს მიჰყვებიან და არაფერი უხილავთ.

ნაოხარ ადგილებში რომ მელიები არიან, იმათ ჰგვანან შენი წინასწარმეტყველნი, ისრაელო!

მათი ხილვები ფუჭია და მათი მისნობა სიცრუე. კი ამბობენ, უფალმა თქვაო, მაგრამ უფალს არ მოუვლენია ისინი. ირწმუნებიან, ახდებაო ჩვენი სიტყვა.

რაკი ფუჭს ლაპარაკობთ და სიცრუეს ხედავთ, ამიტომაც, აპა, თქვენი წინააღმდეგი ვარ, ამბობს უფალი ღმერთი.

იქნება ჩემი ხელი ფუჭმხილველ წინასწარმეტყველთა და სიცრუის მისანთა წინააღმდეგ. ჩემი ერის საბჭოში არ იქნებიან ისინი, ისრაელის სახლის წიგნში არ ჩაიწერებიან და ისრაელის მიწაზე ვერ მივლენ.

სწორედ იმის გამო, რომ აცდუნებენ ჩემს ერს, რომ ეუბნებიან, მშვიდობააო და არ არის მშვიდობა, ჩემი ხალხი კედელს აშენებს და, აპა, ესენი კირით ლესავენ.

უთხარით მლესავთ, ჩამოწვება – ექო თქვენი კედელი. წამოვა თავსხმა და, თქვენ, ყინულის ქვემ, ჩამოცვივდებით და ქარიშხალი ამოვარდება“ (ეზეკიელი, 3, 3-6, 9-11) (II,203).

„გრძნეული შემლოცველის“ გაფრთხილებაა ესაია წინასწარმეტყველთან: „გრძნეულ შემლოცველს დასჯის უფალი“ (1, 94).

ქველი და ახალი აღთქმა სავსეა წინასწარმეტყველებით, იგავებით, ალეგორიებით, რომლებიც გადატანით, დაფარულ აზრს, ანდაზას, ზნეობრივ-დამრიგებლურ დასკვნას შეიცავს.

„ქართულ სასულიერო მწერლობაში ალეგორიის სისონიმად შემუშავდა, „იგავი“. სიტყვა „იგავი“ ბიბლიის ლექსიკური მარაგიდან მოყოლებული, საერთოდ, ქართული სასულიერო მწერლობის ენის წიაღში სათანადო გამოვლინებას პოულობს“ (4, 148).

ბიბლიაში განარჩევენ ორგვარ სიბრძნეს: მიწიერს და ზეციურს.

შეზღუდულად მიიქნევა ყოველგვარი ადამიანური ცოდნა: „ბრიყვია ყოველი კაცი თავისი ცოდნით“ (იერემია, 51, 17) (1,177).

იგივე მოსაზრებას ვხვდებით ბარუქ წინასწარმეტყველთან: „ახალგაზრდებმა იხილეს ნათელი, მაგრამ ცოდნის გზა ვერ ისწავლეს“ (ბარუქი, 3, 20).

ამის მიზეზია ის, რომ მათ „დატოვეს წყარო სიბრძნისა უფალი“ (ბარუქი, 3,12).

„ვერც აგარის შეილებმა, რომლებიც მიწიერ ცოდნას ეძებდნენ, ვერც მერონისა და თემონის ვაჭრებმა, ვერც მთხობელმებმა და ვერც ცოდნის მძებნელებმა ვერ გაიგნეს სიბრძნის გზა და ვერ გაიხსენეს მისი ბილიკები“ (ბარუქი, 3,12).

„არავინაა შემმეცნებული მისი გზისა და არც გულის-სმისმყოფელი მისი ხილვისა (იქვე, 3, 31).

„მხოლოდ ღმერთი... მან იპოვა ყველა გზა ცოდნისა და მისცა იგი იაკობს და თავის მორჩილთა და ისრაელს, რომელიც შეიყვარა“ (ბარუქი, თ. 3, 37) (II, 190).

ჭეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვს მიწიერ ცოდნას, კერპის თაყვანს: „ცოდნისგან გაბრუვდა ადამიანი, თავს ირცხვენს მდნობელი თავისი კერპით, რადგან სიცრუეა კერპი, სული არ უდგას“ (იერემია, 10, 14) (II, 135).

პავლე მოციქული ეძებდა არა ხორციელ სიბრძნეს, არა-მედ „ღვთის მადლს“ (II წერილი კორინთელთა მიმართ 1, 12) (3, 385).

ერთმანეთისაგან ასხვავებენ „მიწიერ, მშვინვიერ, ეშმაკეულ სიბრძნეს“ და „მაღლიდან გარდმოვლენილ სიბრძნეს“, რომელიც „წმინდაა, მშვიდობიანი, ლმობიერი, წესიერი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და უთვალთმაქცო“ (იაკობი 4, 15, 17) (3, 298).

„არა წუთისოფლის სიბრძნე, არამედ ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებებში დაფარული“, აცხადებდა პავლე მოციქული (I კორინთელთა, 2, 6, 13) (3, 354, 360)

„სიბრძნის სიტყვა“ სულის მადლია (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12, 8) (3, 374).

პავლე მოციქული შეგვაგონებს: „თუ ვინმეს ამ წუთისოფელში თავი ბრძნად წარმოუდგენია, გაუგუნურდეს, რათა ბრძენი გახდეს.

„ვინაიდან ამ წუთისოფლის სიბრძნე უგუნურებაა ღვთის წინაშე“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 3, 18, 19) (3, 360).

არსებობს აზრი, რომ დედამიწა და სხვა პლანეტები გარშემორტყმულია საინფორმაციო ველით, რომელშიც კოდივით ჩადებულია სრული ინორმაცია სამყაროს და ცოცხალ არსებათა შესახებ. ვარაუდობენ, რომ ეს ველი შეიძლება წარმოადგენდეს დედამიწის პროგრამასაც. ადამიანი, რომელიც შექმნილია სახედ და ხატად ღვთისა, უმაღლესი კოსმიური გონების მატარებელია, მას ხელენიფება პლანეტის საინფორმაციო ველზე გასვლა და ჩვეულებრივი თვალისა და სმენის-თვის უხილავ- მოუსმენელთან ზიარება.

ზეგანვითარებულ ადამიანებს ხშირად ეხსნებათ კოსმიური კავშირის არხი, ენერგეტიკული ველი და ერთდროულად ამყარებენ კონტაქტს მიწიერ და ზენარულ სივრცეებთან, დე-დამინის იონოსფეროსთან.

აღმოსავლური სამყაროს მხატვრულ, რელიგიურ და ფილოსოფიურ თხზულებებში იმთავითვე არსებობდა საინფორმაციო ველის ცნება და, მაღალ სულიერ განვითარებასთან ერთად, ადამიანის ზნეობრივი სინმინდე იყო პირობა კოსმიურთან კავშირის უნარების განვითარებისა.

ლაო-ძის „დაო დე ძინის“ მიხედვით, „მარადიული სათნებით ავსილი ადამიანები“ იქცევიან „სამყაროს ხილულ ველად“ და, „ვინც ველია სამყაროსი, მარადიულ დეს ეუფლება“ (5, 99, 197).

„ბჟაგავად-გიტაში“ არის სპეციალური თავი: „ველსა და ველის მეცნაურს შორის გამორჩევის იოგა“, რომელშიც ნათექვამია: „კურთხეულმა ბრძანა: „ეს სხეული, კაუნტეა, ველად იწოდება, ხოლო რომელი მას საცნაურყოფს – ბრძენთა მიერ ველის მეცნაურად იწოდება“ (6, 83), ველის უფალი კი ღმერთია (6,90).

რაჯნეშის „ტანტრას“ მიხედვით, საინფორმაციო ველს „მიღების დაბლობი“ ეზოდება და ამ შემთხვევაშიც ზნეობრივი სინმინდეა მასთან მიახლების საწინდარი.

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ გვხვდება „ცეცხლის ალების ველი, მდელო, ყვავილებით სავსე წალკოტი“ (7, 183).

გოეთეს „ფაუსტში“ „ამზანებულ ველად“ არის სახელ-დებული ენერგეტიკული ველი (8, 213).

ბოდლერის „ამაღლებაში“ საინფორმაციო ველს ეწოდება „აისის ჭალა“, „სინათლის აუმღვრევი ველები“ (9,3 127).

ეგვიპტურ მკვდართა წიგნში მოიხსენება იალუს მინდორი, რომელიც სამოთხის ექვივალენტი იყო (10, 136).

მიუთითებენ, რომ არსებობს აგრეთვე „შავი მაგიური ველი“.

უმდაბლესი ასტრალური შრეების მომრავლების შედე-გად, პლანეტა მძიმედ არის დაავადებული და წარმოქმნილია „შავი მაგიული ველი“, რომელიც გზას კეტავს იმ სამყაროებისკენ, რომელთაც შეუძლიათ დაეხმარონ პლანეტას. თუ ვერ გაირღვა ეს ბნელი ველი, დედამიწის არსებობა დასრულდება (11, 201).

ნათელხილვისა და ნათელსმენის უნარით მომადლებულები გადიან საინფორმაციო ველზე და მომავლის განჭვრეტას ახდენენ, როგორც უჩვეულო ხილვების, ისე ხმების საშუალებით.

ოკულტისტების აზრით, ადამიანს აქვს უნარი, იგრძნოს ფიზიკური გრძნობისათვის მიუწვდომელი.

ყველა ფიზიკურ გრძნობას აქვს შესატყვისი ასტრალურში.

ასტრალური ხედვა ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს ასტრალური სინათლის ტალღები, ასტრალური სმენით კი ლებულობს ასტრალურ ბგერით ტალღებს, ვინაიდან ისინი არსებობენ მათი გამოვლენიდან დიდი ხნის შემდეგაც.

საგნები ყოველმხრივ უშვებენ ტალღებს, რომელიც აღიბეჭდება ასტრალური ხედვით, როგორც სინათლის სხივები ფიზიკური ხედვის ორგანოებით.

ასტრალურ ორგანოს აქვს ისეთი უნარი, რომელიც მოქმედებს, როგორც ტელესკოპის ლინზა და ადიდებს გამოსახულებას. ზოგს შეუძლია დაინახოს რამდენიმე მილიდან, სხვებს – ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, ზოგიერთებს შეუძლიათ დააკვირდნენ სხვა პლანეტების ამბებს.

„ასტრალური ტელესკოპი“ მსგავსია ასტრალური ტელეგრაფისა, იგი ამცირებს მანძილს ორ დაშორებულ პუნქტს შორის. ამ დენის გზაზე მოდის ასტრალური სხივები, ასტრალური ხმები.

მეორე საშუალება ნათელმხილველობისა არის ის, რომ გაიგზავნოს ასტრალური სხეული ცნობიერად და არაცნობიერად სასურველ სივრცეში.

სამყაროში არაფერი არ ქრება და მატერიის უმაღლეს სფეროში მუდმივად არსებობენ შეუცვლელი ჩანაწერები ყოველივე იმისა, რაც ოდესმე მომხდარა.

ასტრალურ სინათლეზე შეიძლება მოიძებნოს სუსტი და არასრულყოფილი გამოსახულება დიდი კანონებისა, მიზეზებისა, ჩრდილები, რომელთაც ისვრიან წინმავალი მოვლენები.

ნათელსმენა არის სმენა ასტრალურ სივრცეში ასტრალური სხივით.

ნათელმხილველისათვის დამახასიათებელია ტელეპატიური ხედვა, საიდუმლო ხმების მოსმენა, წინასწარმეტყველების უნარი.

ამ შემთხვევაში ზეგანვითარებული გრძნობათა ორგანოები კონტაქტშია ჩვენთვის ნაცნობ არსებულთან და რაღაც „იმქვეყნიურთან“, რომელსაც შეიძლება არც ვიცნობთ (12,8).

მეოცე საუკუნის უდიდესი მოძღვრება „აგნი იოგა“, „ცოცხალი ეთიკა“ ანუ „სინათლის მოძღვრება“ გამოყოფს ნათელმხილველობისა და ნათელსმენის შვიდ სახეობას.

ელენე რერიხმა ჰიმალაის მთებში უმაღლესი სამყაროს მბრძანებლის, კაცობრიობის დიდი მასწავლებლის–მაიტრეას კარნახით ჩაწერა მოძღვრება, რომლის მიხედვითაც, ჰიმალაის, კავკასიონისა და ალტაის მთები არიან დაცული ტერიტორიები და წარმოადგენენ „ზეციურ სამოთა სავანეს“ (11,94).

იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდება ადამიანის სულიერი ცნობიერება, ის უფრო მეტად უსმენს შინაგან ხმას და უფრო კარგად არჩევს მის იმპულსებს, მომდინარეს უმაღლესი სულისგან.

სულიერი გამონათების, „გამობრნყინებისას“ ხდება სულიერი ცნობიერების გახსნა, ეს სიმღერაა სულის, მარადუამს დაუვიწყარი.

ადამიანს შეეძლია მოისმინოს სხვებისთვის მოუსმენელი ხმა რადიოს გარეშე. ესაა გულის ხმა, გულის სიმღერა...

იშვიათად ადამიანის ყურით შეიძლება სფეროების მუსიკის, უსაზღვროების ზარის მოსმენა, მაგრამ ამისთვის საჭი-

როა მუსიკალური ყური. სფეროების მუსიკა შედგება არა მე-ლოდის, არამედ რიტმისაგან. ზოგიერთებს ესმით უსხეულო არსების ხმა, გრძნობენ არამიწიერ არომატს.

მიწაზე ადამიანს ესმის ცხრა ხმა, ასტრალურ სამყაროში – თოთხმეტი.

ელენე რერიხმა თვით გაიგონა უზუნაესის ხმა შამბალა-ზე და ჩანერა იგი.

ვანგას ესმოდა „ციური ზარის ხმა“, ესაუბრებოდა „წარ-მოგზავნილებს“.

ვანგა ირწმუნებოდა, რომ ნანახი ჰყავდა ქრისტე, ორფე-ოსი, ნოეს კიდობანი. მისთვის საიდუმლოებას ინახავდა მთე-ბი, ველები, მცენარეები. იგი წინასწარმეტყველებდა ქვეყანა-ზე ჯერაც მოუვლენელ ბავშვებზე, ესაუბრებოდა გარდაც-ვლილებს, ხედავდა ასტრალურ სხეულებს, სულს, უცხოპლა-ნეტელებს (პანტელეი ზარევი, ვანგა, თბ. 1991, გვ. 81).

ყველა დროის უდიდესი წინასწარმეტყველი ნოსტრადა-მუსი წერდა: „ღამეა. კზივარ მარტო და დავუურებ იდუმალ ნაწერებს – ისინი გადაშლილია სპილენძის სამფეხა მაგიდაზე. მაგიური კვერთხი სპილენძის მაგიდის ფეხებს შორის ძევს. კვერთხს წყლით ვასველებ, შემდეგ ვისველებ სამოსის კიდე-ებს, ფეხებს. ისმის იდუმალი ხმა. ჩემს ყურთან ვიღაც ჩურ-ჩულებს. ვკანკალებ. ღმერთი ახლოს არის. ვგრძნობ მის ღვთაებრივ სიდიადეს. ანათებს სანთელი. მის სუსტ შუქზე მოჩანს მომავლის სურათები“ (13, 24-28).

მოვლენათა წინასწარჭვრეტაზე საუბრობს დანტე „ღვთაებრივ კომედიაში: „მე ვჭვრეტ წინასწარ ზრახვათ შენ-სას საფარველიდან, მე ვჭვრეტ წინასწარ, ამიტომაც გაუწყებ კიდეც“ (7,270,383). „ვხედავ თვალნათლივ ფიქრების შენის უეცარის აღმოცენებას“, „მე უკვე ვხედავ დროს მომავალს“ (7, 318, 344).

ამავე დროს, დანტეს ესმოდა „ნათელის ხმა, სინათლის-გან ხმაი მეტყველი“.

მოსიყვარულე წინაპრის სულმა დანტეს ფლორენციიდან გაძევება უწინასწარმეტყველა.

გოეთეს სიტყვა „ნიჭი ეცოტავებოდა დანტესთვის და ნაცვლად „ტალანტისა“ ხმარობდა „ბუნებას“, რითაც, ალბათ, მის ყოვლისმომცველ, ფართო და ღრმა წინასწარმეტყველურ, შორსმჭვრეტი ხასიათის გამოხატვას ცდილობდა. ხაზს უსვამდა წინასწარმეტყველური უნარის აუცილებლობას მწერლობაში: „მე რომ ანტიციპაციის მეშვეობით მთელი სამყარო უკვე ჩემს თავში არ მენახა, ჩემი გახელილი თვალები ბრმა იქნებოდნენ“ (14,78).

გოეთე სულის თვალით იმზირებოდა ყველა დროში: „ფრთამალი ფიქრიც, ჩემი ლალი, შორსმჭვრეტი აზრი, როგორც მომავალს, ისე წარსულს ნათლად ხედავდა“ ირწმუნებოდა პოეტი (შუალამისას) (15, 41).

„მაღალთა სულთა წინასწარგრძნობა მარად ყოფილა მოწოდება უზენაესი“ (ანდერძი), ასკვნიდა გოეთე.

ვამარელი ბრძენი სიზმრად ხედავდა მხარეს, სადაც ოდესლაც უცხოვრია (15, 145).

გერმანელი პოეტი რილკე საუბრობდა „წინასწარმეტყველურ წამებზე“...

ათანას ფეტს ესმოდა „უხილავის ძახილი“. „ხმები ღვთიური“, „უწმინდესი ბგერები“, „ხმა ზეციური“ (სიმღერა მარადიულ ფრინველთა) (16,27,49).

ვლადიმერ სოლოვიოვს ესმოდა „გამოძახილი მისნური“, „წმინდა ხმა“, „უხილავის უხმო ძახილი“ (16, 102).

ალ. ბლოკი აყურადებდა უფლის გასაოცარ მუსიკას, ზეციურ ხმებს (16, 169). „წინაგრძნობათა ნიაღვარი“, „წინაგრძნობათა ნაკადი“ ხშირად იჩენდა თავს ალ. ბლოკის პოეზიასა და წერილებში.

დავით გურამიშვილს „ხმა ესმა ძილსა შინაო“, რაც ტყვეობიდან ხსნის შთააგონებდა (17, 128).

ნიკოლოზ ბარათაშვილი უსმენდა „იდუმალ ხმას“, „ცი-ურ დასთა გალობის ზარს“ (ვიპოვე ტაძარი) (18,115)

ილია ჭავჭავაძემ გაიგონა „საქართველოს თანამდევი უკვდავი სულის“ ხმა უსიტყვოდ („აჩრდილი“). მისთვის პოეტი იყო „ზესკნელისა და ქვესკნელის უცნაურ ხმათა მსმენელი“ („პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“) პოეტს „ცით ჩამოსძა-ხეს „გიყვარდება!“ (19, 113).

„ციდან ხმა მესმის ანგელოზების“, აფიქსირებდა ვაჟა ფშაველა (20,116).

„მგონია, ციდან მეძახის ვიღაც“, გვიმხელდა ტერენტი გრანელი (21, 83).

ხალხური ლექსის მიხედვით, ვახტანგ მეფეს „ციდან ჩა-მოესმა რეკა“.

ბერგსონის აზრით, „არსებობს ცოდნის ორი სახე: რაცი-ონალური და ინტუიციური... ინტუიცია წარმატებით წყვეტს იმ ამოცანებს, რომელთა გადაჭრაც არ შეუძლია გონებას.

ამასთან, არ არსებობს უფსკრული ინტუიციასა და გო-ნებას შორის, რადგან თვით გონება ინტუიციურია.

„... ხელოვნების მიზანი სწორედ ის არის, რომ შეგვიყვა-ნოს ამ ესოდებ ღრმა, ესოდენ პირადი, ესოდენ ახალი ემოცი-ის წიაღში და ამრიგად განგვაცდევინოს ის, რისი გაგებაც არ შეგვიძლია“ (22,9, 24,85).

კარლ გუსტავ იუნგის ნააზრევში დიდი ადგილი ეთმობა ინტუიციით მიღებული წინაგრძნობის უნარს და მის მნიშვნე-ლობას ადამიანთა ცხოვრებაში: „ინტუიცია არის ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც მხედველობის ველში რეალურად მო-ცემულის ფარგლებს მიღმა ხედვა შეგვიძლია. არსებობს წი-ნაგრძნობა, რომელმაც შეიძლება კაცი სიკვდილს გადაარჩი-ნოს“ (23, 24).

„ინტუიციას ეყრდნობიან გამომგონებლები, მოსამარ-თლენი“ (23, 25).

„ინტუიცია ერთგვარი აღქმაა, რომელიც... გვეძლევა უფრო არაცნობიერის მეშვეობით. წინასწარმეტყველური სიზმრები, ტელეპატიური ფენომენები და სხვა მისთანანი ინტუიციის სფეროს განეკუთვნება. მრავალი კარგი დიაგნოზი დასმულა ამ იდუმალებით მოცული ფუნქციიდან გამომდინარე“ (23, 26).

იუნგი საუბრობს ტელეპატიაზე, რომელიც მოქმედებს სიზმრებზე და ერთმანეთისგან განასხვავებს „სიზმრის პროსპექტულ და კომპენსატორულ ფუნქციებს“ (23, 255).

სიზმრის პროსპექტული ფუნქცია მომავალი ცნობიერი წარმატებების არაცნობიერი ანტიციპაციაა, წინასწარი ვარჯიშის, მონახაზის ან ზოგადი გეგმის მსგავსად“.

ხოლო „ტელეპატიის ფენომენის ავთენტურობა დღეს საკამათო აღარ არის“ (23, 25).

„სიზმარი შეიძლება მოიცავდეს გარდაუვალ ჭეშმარიტებებს, ფილოსოფიურ დებულებებს, ილუზიებს, ველურ ფანტაზიებს, მოგონებას, გეგმებს, ანტიციპაციას, ირაციონალურ განცდებს, ტელეპატიურ ხილვებს... სიზმარი ზოგჯერ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია“ (23, 305, 308).

ჩ. ლომბბროზოს მტკიცებით, გენიოსი ფლობს იმის მიხვედრის უნარს, რაც მისთვის სავსებით არ არის ცნობილი, მაგალითად, გოეთე დაწვრილებით აღწერდა იტალიას ისე, რომ არც ენახა იგი (24, 123).

სტ. ცვაიგი დოსტოევსკის სამყაროს „ლრმა და წინასწარმეტყველურ სიზმარს“ უწოდებდა: „მისი სამყარო... შესაძლოა წუთისოფლის ყველაზე სრულყოფილი ჰალუცინაცია, სულის მომლანდებელი ღრმა და წინასწარმეტყველური სიზმარია, რომელიც სინამდვილესაც კი ჯაბნის, მაგრამ ეს მაინც რეალიზმია, საკუთარი საზღვრებიდან ფანტასტიკურში რომ გადასულა“ (25, 211, 243).

წინასწარმეტყველებაზე განსხვავებული მოსაზრების არის პოლ ვალერი: „უგუნურებაა იმაზე ფიქრი, თითქოს ის-

ტორიას ოდესმე შეეძლოს მომავლის წინასწარგანჭვრეტის სა-შუალება მოგვცეს. „...თუ დავუშვებთ, რომ ის (ისტორია) სა-ერთო ჯაჭვში სამართლიანია, დეტალებში იმდენად მცდარია, რომ ყოველგვარი წინასწარი განჭვრეტა უაზროდ მეჩვენება.

„...ზუსტი მეცნიერებები წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობას გვაძლევს დამთავრებული სისტემის შექმნით, მაგრამ ისტორიაში სისტემათა იზოლირება არ შეგვიძლია, ხოლო მასშტაბები ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ამიტომ ყოველგვარი წინასწარმეტყველება სიცრუეა. მომავალში ჩვენ უკან დახევით შევდივართ. ისტორია მეცნიერება როდია, იგი ხელოვნებაა. ისტორია უსასრულო განმეორებაა“ (26, 321-322).

მაგრამ პოლ ვალერი მაინც ცნობს წარსულზე დაფიქრების სარგებლობას: „ის გვაჩვენებს, რომ მეტისმეტად მოახლოებული წინასწარმეტყველება უცილობლად მარცხს განიცდის, ხოლო პირიქით, გვეუბნება, რომ ყოველმხრივ დიდი უპირატესობა აქვს გამუდმებულ მზადებას, რომელიც არ ჩემულობს, მე გამოვიწვევ, ან წინ აღვუდგები მუდამ გაუთვალისწინებელ მოვლენებს. ფიქრები წარსულზე ადამიანს უფლებას აძლევს წინასწარ მიიღოს ზომები მოულოდნელობათა წინააღმდეგ“ (26, 326).

„ვალერის განაზრება მიედინება ყოველი ძლიერი გონებისთვის ბუნებრივ გზაზე“, ასკვნის ანდრე მორუა (26, 327).

„არაცნობიერის და ცნობიერის მნიშვნელობა თითქმის თანაბარია“ იუნგის მიხედვით (23, 256).

„სიზმრის არსი მომავლის ანტიციპაციაში მდგომარეობს“ (23, 28).

„წინასწარი სიზმრები ხშირად დიდ ინფორმაციას გვაწვდიან (23, 184).

„აღმოსავლურ ფილოსოფიაში დიდ როლს ასრულებს... მოვლენათა შესაძლო განვითარების წინასწარმეტყველური მეთოდი და მას დღესაც იყენებს იაპონელების მთავრობა პოლიტიკურ ვითარებათა განხილვისათვის“ (23, 91).

ასე იყო რომში, სადაც ერთი სენატორის ქალიშვილს I საუკუნეში ეზმანა, ვითომ ქალღმერთი მინერვა შესჩიოდა, რომაელი ხალხი ჩემს ტაძარს ჯეროვნად არ უვლისო. მან ეს სენატს უამბო. სენატმა თანხმობა მისცა ტაძრის აღსადგენად განსაზღვრული თანხის გამოყოფისთვის (23, 13).

სოფოკლეს ცხოვრებიდან ცნობილია ასეთი ფაქტი: როდესაც პერაკლეს ტაძრიდან ძვირფასი ოქროს ჭურჭელი მოიპარეს, ღმერთი სოფოკლეს სიზმარში გამოეცხადა და დაუსახელა, ქურდი ვინც იყო. სიზმრის სამჯერ გამეორების შემდეგ სოფოკლემ ის არეპაგში განაცხადა. ეჭვმიტანილი დაიჭირეს. იგი გამოტყდა და ჭურჭელი დააპრუნა (23, 130).

დანტემ გარდაცვალებისას თან წაიყოლა თავისი დიდი გულისტკივილი, რაც მისი პოემის ერთი თავის დაკარგვით იყო გამოწვეული. პოეტის აჩრდილი სიზმარში გამოეცხადა შვილს და ამცნო, სად ინახებოდა მისი „ლვთაებრივი კომედიის“ ცალკე გადადებული XXIII თავი.

გიორგი გურჯიევი საუბრობს ნიჭით, ძალისხმევით ადამიანურ შესაძლებლობებზე ამაღლების შესახებ:

„როდესაც მზე ამოდის და მთის მწვერვალზე მაღლდება, ხეობა და ველი კვლავ სიბნელეშია ჩაფლული. ამასვე ჭვრეტს... გონების თვალი, როდესაც გასცდება, ამაღლდება ადამიანური სიტუაციის ფარგლებზე, ხედავს ლვთაებრივ სინათლეს მაშინ, როცა იმათვის, ვინც ქვემოთ ცხოვრობს, ყოველივე ბინდითაა მოცული, როდესაც გონება, ინტელექტი ერთიანია, მთლიანია... ადამიანის გონება, ინტელექტი მძლავრი კვლევითი ინსტრუმენტის უნარს იძენს. მთავარია ნებელობა და ბედი, ხვედრი განგების, ბედისწერის ეს ორი ზემოქმედების სფერო“... (გიორგი გურჯიევის საუბრები თავის მონაფეებთან), (27, 139).

გურჯიევის აზრით, გარკვეული ცოდნა ადამიანს შესაძლებლობას ანიჭებს იქ, სადაც იგი იმყოფება, ყოველივე არსებული – უსასრულოდ დიდიდან უსასრულოდ პატარამდე-გა-

მოითვალოს, აწონოს და გაზომოს... შესაძლებელი ხდება აზ-როვნების „აწონვა“, გაზომვა“, მისი მასის განსაზღვრა“ (27, 140-140).

პრაქტიკულად, ყველა დიდი მეცნიერული იდეა და თეორია წარმოადგენდა არა მეცნიერული მსჯელობისა და კრიტიკული საქმიანობის შედეგს, არამედ ინტუიციის, გონიერების გამობრნყინების, ხილვის გზით მიღებულ რეალობას. ცნობილია შემთხვევები, როცა მეცნიერები მეყსულად იღებდნენ პასუხებს იმ კითხვებზე, რომლებსაც მრავალი წლის განმავლობაში ეძებდნენ. ფ. კეულეს დაესიზმრა ფორმულები, დ. მენდელეევს – ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა, ნ. ბარს – ატომური სტრუქტურა... ეს უმაღლები უზენაესის მიერ გამოწვდილი ხელია“, ირწმუნება ლ. მელნიკოვი (13, 24).

მკვლევარი ა. მალცევი აცხადებს, „ყველა დროისა და ყველა ხალხის მისტიკური მატიანები მოწმობენ, რომ უზენაესი სულიერი ჭეშმარიტება შემეცნებული იყო არა ზედაპირულად, არამედ შინაგანი ჭვრეტის გზით ხილვების, სიზმრებისა და ა.შ. ფორმით“ (იქვე).

შტაინერი საუბრობდა „სულიერი თვალის, უმაღლესი გრძნობის გახსნაზე“ და მიიჩნევდა, რომ „მეცნიერის გონებრივი შრომა უდავოდ უწყობს ხელს აღნიშნული ძალებისა და სულიერი ხედვის განვითარებას.

„მეცნიერული გამოკვლევების შედეგად დადგენილია, რომ ადამიანის ტვინის მარცხენა ნახევარსფერო ახორციელებს ლოგიკურ აზროვნებას, მარჯვენა კი – ინტუიციურს (27, 13).

„ქვეცნობირებაში ჩადებული აზრი მანიპულირებას გვინევს ფარული სახით“ (ვლ. ჟიკარენცევი).

შტაინერი გვაუწყებს, რომ გრაალის ბარძიმს შეესაბამება ადამიანის ტვინის არეში არსებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი ორგანო, ეპიფიზი, რომელიც ნათელზილვის ორგანოა

და ადამიანის სპირიტუალურ უნარებთან არის დაკავშირებული (28, 51).

როგორც მითითებულია ბიბლიაში, წინასწარმეტყველების უნარს ადამიანს მოჰქმადლებს მხოლოდ არსთანმრიგე.

მომავლის ხილვის პროცესში ნისტრადამუსს ესმოდა იდუმალი ხმა და ღმერთის სიახლოვეს გრძნობდა (13,28).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, წინასწარმეტყველი მომავლს კი არ ხედავს, არამედ აწმყოს, რომლის მიხედვითაც იწინასწარმეტყველება სულის მიერ აღქმული თუ წარმოდგენილი მერმისი. ეს წარმოდგენები უკვე არსებობენ და მომავლის წინასწარმჭვრეტნი თავიანთ სულშივე ჭვრეტენ მათ“ (29,237).

ა. ბლოკი საუბრობდა „საყოველთაო სულის ქროლვაზე“, რომლის მოსმენა ხელეწიფებათ მხოლოდ ღვთის რჩეულთ („მწერლის სული“).

გოეთე ამბობდა: „ეს მსოფლიო სული დღემდე ბინადრობს ამაღლებულ ადამიანთა ბუნებაში, რათა ჩვეულებრივნი თავის დონეზე აამაღლონ“ (14, 233).

ჭეშმარიტი მწერლის მისია ისაა, რომ გვიჩვენოს პიროვნების, ერის, კაცობრიობის სულიერი სახე, მისი უამიერი თუ მარადიული იდეალები, თვალი გაადევნოს წარსულს, აწმყოს და განჭვრიტოს მომავალი.

მწერალი წინასწარმეტყველის, მოციქულის ფუნქციის მტვირთველია: „მე მგონია, მისთვის ვართ ქვეყნად მოვლინებული, მაცხოვარი რისთვისაც იქმნა ჯვარცმულ ვწებული“, აცხადებდა აკაკი წერეთელი. იგი მწერალს უწოდებდა „წინამგრძნობ მოციქულს“ (30,113).

იოანე დამასკელი საუბრობს „ღმრთივსულიერ წინასწარმეტყველებზე, ღმერთშემოსილ მწყემსებზე“ (31,33).

წინასწარმეტყველურს უწოდებდა აკაკი წერეთელი ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებს: „მინდა მზე ვიყო, რომ სხივი ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო, საღამოს მისთვის შთა-

ვიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო, მინდა რომ ვიყო ვარ-სკვლავი, განთიადისა მორბედი, რომ ჩემს აღმოსვლას ელოდ-ნენ ტყვეთა ფრინველი და ვარდნი“.

„ბარათაშვილი არის ქართული პოლიტიკური ცნობიერების ის წინასწარმეტყველი და ადამი, რომელმაც ანდერძად დაგვიტოვა გაფრთხილება: „სახელმწიფოსა სჯულის ერთობა არა რას არგებს, ოდეს თვისება ერთა მათ შორის სხვადას-ხვაობდეს“. მან შეძლო დროის წინმსწრები სააზროვნო სიტუ-აციის პროვოცირება (32,7).

სიმონ ჩიქოვანი წერდა აკაკი წერეთელზე: „ხალხის წარ-მოდგენაში აკაკი წერეთელი ცხოვრობდა, როგორც ახოვანი, მუდამ თეთრი თმით შემოსილი მოხუცი და წინასწარმეტყვე-ლის იერით დამშვენებული მქადაგებელი... აკაკი წერეთლის-თვის პოეტი იგივე წინასწარმეტყველი თუ მქადაგებელი იყო“ (33, 158-159).

აკაკის იზიდავდა „...სახალხო მქადაგებლის როლი თუ წინასწარმეტყველის სახე“ (იქვე, გვ. 140).

აკაკი ბაქრაძე ყურადღებას მიგვაცევინებს იმაზე, რომ აკაკი წერეთლის საყვარელი სახეებია მაცხოვარი და იერემია წინასწარმეტყველი (ბედი ქართლისა და აკაკი წერეთელი) (32, 316).

აკაკის მოსწონდა „საღვთო მღერა“. იგი კალამს მიიჩ-ნევდა „სასწაულმოქმედ კვერთხად“ და „მახვილად“, პოეზია სიცოცხლეშიც ეიმედებოდა და სიკვდილის შემდეგაც.

„ბაში-აჩუკი“ წმინდა კირილეს სიზმრები (ალავერდის მო-ნასტერს შემოხვეული გველეშის მოკვლა, სამი მეომრის სიკ-ვდილი, თავზე ნათლის სვეტი და მაღლით გალობა გუნდთა: „წმინდათა თანა განუსვენეო“), მომავალი გამარჯვების ნიშანია. გამარჯვების სტიმულია თეთრცხენიანი მხედრის – წმინდა გი-ორგის გამოჩენა.

აკაკი წერეთელი ნიკოლოზ ბარათაშვილს და ილია ჭავ-ჭავაძეს ბიბლიურ მოსეს და აარონს ადარებდა: „ბარათაშვილი

და ჭავჭავაძე სწორედ ერთ ტახტზე სხდომის ღირსები არიან, ერთგვარი დამსახურება აქვთ ჩვენს ლიტერატურაში. ეგენი არიან მოსე და აარონი ჩვენის ლიტერატურისა“ (33, 6-10).

კონსტანტინე გამსახურდიას ბიბლიური წინასწარმეტყველის – მოსეს რანგში ესახებოდა ილია ჭავჭავაძე: „ილია ჭავჭავაძეში იყო უსათუოდ რაღაც დიდი მუქარა, დიდი მრის-ხანება, დიდი ეთოსი დიდი წინასწარმეტყველისა. ღმერთიც დიდკაცს ირჩევს ყოველთვის თავისი ურყევი ნების ეგზეკუტორად. როგორ სჯეროდა ამ მართლაც დიდკაცს, რომ ის დიდი ღმერთის საკურთხევლის ცეცხლის მატარებელი იყო...“

„ილია ხელოვნებასა და რელიგიას შორის დიდ მანძილს ვერ ხედავდა. ასე უყურებდა ყოველი დიდი მწერალი ლიტერატურას“ (34, 232, 270).

კიტა აბაშიძე ბრძანებდა: „განდეგილში“ ილიამ თავისი თავი კაცობრიობის მოციქულთა კვარცხლბეკზე დასვა და იქიდან წინასწარმეტყველის მჭერმეტყველებით გვამცნო დიადი საგანი, რომელიც ახლანდელი ლიტერატურის მთავარ თემას შეადგენს.

„განდეგილში“ პოეტმა გვიჩვენა... დიადი, წინასწარმეტყველური გზების კრახი ჩვეულებრივ, რიგით, არაფრით გამორჩეულ ყოველდღიურობასთან მიმართებაში, ანუ მარადისობის კრახი დღევანდელობის წინაშე“ (48,32).

თამაზ ჭილაძე წერს: „დღემდე მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთ საკვირველებად რჩება 21 წლის ჭაბუკის მიერ დანახული და შეგრძნობილი საკუთარი სიცოცხლის აღსასრული. თითქმის შემზარავი სიცხადით დაინახა საკუთარი სიკვდილი, დაინახა მკვლელთა სახეები და აი, ასეთი განაჩენი გამოუტანა მათ: „შეუნდე, არ იცინ, ღმერთო, რას იქმან“ (35, 5).

თვით ილია ყურადღებას ამახვილებდა ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“, „წინასწარმეტყველურ“ სიტყვებზე: „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში“ და გულისტყივილით წერდა: „ეს

მწვავე წინასწარმეტყველება გაუმართლდა“. „აკი იწინასწარმეტყველა: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება...“

თამაზ ჭილაძეს წინასწარმეტყველურად მიაჩნია „აჩ-რდილში“ მოცემული ხილვა მყინვარზე მდგომი მოხუცისა, რაც „საკუთარი ბედის წინასწარმეტყველური ხილვის შედე-გად მოვლენია პოეტს. ეს თვითონაა, ოღონდ უკვე საქართვე-ლოს ხნისა, მასში ცოცხლობს საქართველოს წარსულიც, ან-მყოც და მომავალიც, რამდენადაც იგი მარადიულია, უკვდავი სულია. ეს რაღაც იღუმალი, ამოუხსნელი გრძნობითა თუ სუ-ლისკვეთებით წარმოშობილი ტრანსცენდენტური ხილვაა პოე-ტისა, საკუთარი არსებობის მარადიულობის განცდა. საკუთა-რი მარადიული ხვედრის, მისის დანახვა, რაც ამ პოემიდან ზუსტად ამოიკითხა ვაჟა-ფშაველამ. გავიხსენოთ ამ დიდი პოეტის სიტყვები ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის დღეს: „ვუწ-ყი, რომ შენი აჩრდილი არ დაივიწყებს საქართველოს“ (35,7).

წინასწარმეტყველურია ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონში“ კვირიას სიზმარი, როცა მან ტრიალ მინდორზე ვეშაპი მოკ-ლა, თვით კი უნმინდურის სისხლი შეესხა და უგრძნობლად დაეცა. გონს მოსული, ქათქათა ლოგინზე იწვა, ჭადარი ჩრდილს ჰავენდა, ქედანი დაჰლულუნებდა. მან წინასწარ იხი-ლა მომავალი, შეიცნო თავისი მისია, რაც ქვეყნის მტრის და-მარცხებაში მდგომარეობდა საკუთარი სიცოცხლის მსხვერ-პლად მიტანის ფასად.

კვირიას ხმლის ვადაზე სამი სანთლის დანთება, ჯვრის სახედ ციური შუქის გამონათება მის რჩეულობაზე, თავგან-წირვის საფასურად სამოთხეში მოხვედრის მინიშნებაა, რასაც ხაზს უსვამს ყვავილებით მოფენილი გზის ხილვაც.

ლურჯაზე ამხედრებული ბატონის სახე, რომელსაც ბრნწყინვალე შუქი ასხივოსნებს, მომავალი გამარჯვების რწმე-ნას აძლიერებს. ლაშარის წმინდა გიორგის მოვლინება ომში გამარჯვების წინასწარი უწყებაა.

ილიას შეუმცდარი ინტუიციის გამოვლინებაა მისი სიტყვები ვაჟა-ფშაველას პოემა „მოხუცის ნათქვამის“ წაკითხვის შემდეგ: „არა, ჩვენ ძველებმა, ახლა კალამი ძირს უნდა დავსდვათ! გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ!“ (34, 364).

„ილია ჭავჭავაძეს ახასიათებდა რელიგიური რეფორმატორის, ანბანის შემოქმედისა და გუთნისდედის უბრალოება (34, 59).

„პოეტის სახე – მყინვარზე მდგომი მოხუცებული მარადიულია და, ამდენად, მარადიულ სამშობლოსაც გულისხმობს, რადგან უკვდავება ერთისა დაკაშირებულია მეორის უკვდავებასთან“ (34, 38).

ილიას დიდი მეგობარი, გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი ხაზგასმით ამბობს, რომ „ილიას სიკვდილის წინ წინაგრძნობა არ ასვენებდა“ (35, 55).

ილია უყურებდა მსხლისა და ვაშლის მყნობას თავის მამულში და ამბობდა: „ნუთუ გგონიათ, რომ ამ ნამყენების ნაყოფს მოვესწრები?... საკვირველი კაცია (მეფუტკრე ლ.ს.), არც კი დაფიქრებულა, რა ცოტა ხნის სიცოცხლე დამრჩენია“ (35, 55).

იქნებ იმაშიც არის წინასწარმეტყველური ინტუიცია, რომ ილიას ჰყვარებია ხალხური სიმღერა: „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ“...

გულისა და გონების ძალა, დიდი წინასწარმეტყველური ინტუიცია გამოარჩევს გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორქიფანიძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, გურამ რჩეულიშვილის, გოდერძი ჩოხელის, რევაზ ინანიშვილის, რევაზ მიშველაძის, ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას, ოთარ ჭილაძის, ჭაბუა ამირეჯიბის პროზას.

## **დამოწმებანი**

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
4. ტიტე მოსია, „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროებისა და პოეტიკის საკითხები, თბ., 1989
5. ლაო-ძი, დაო დე ძინი, თარგმანი ლ. ალიმონაკის, თბ., 1983
6. ბჟაგავად-გიტა, თარგმანი თ. ჩხერიმელის, თბ., 1983
7. დანტე, ლვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ., 2012
8. გოეთე, „ფაუსტი“, თბ., 1962
9. შ. ბოდლერი, ბოროტების ყვავილები, თარგმანი დავით აკრიანის, თბ., 1992
10. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ., 1990
11. Е. Перих, Мозайка Агни Иоги, вдвухкнигах, книга, I, Тбилиси, 1990
12. Рамачарака, Основы миросозерцания индийских иогов, Петербург, 1913
13. უურნალი „ფენომენი“, 2006, იანვარი, №1
14. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, გერმანულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო აკაკი გელოვანმა, ბათუმი, 1988
15. გოეთე, ლირიკა, თარგმანი ვ. ბენუკელის, თბ., 1967
16. მარადი დღე, თბ., 1981
17. დავით გურამიშვილი, „დავითიანი“, თბ., 1964
18. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ., 1968

19. ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1987
20. ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია, თბ., 1980
21. ტერენტი გრანელი, ტ. I, თბ., 1991
22. ანრი ბერგსონი, ცნობიერების უშუალო მონაცემები, თბ., 1993
23. კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები. სიზმრები, თბ., 1995
24. ყ. Ломброзо, Гениальность и помещательство, Москва, 1995
25. სტეფან ცვაიგი, ფანტასტიკური ღამე, თბ., 1966.
26. ანდრე მორუა, ლიტერატურული ეტიუდები, თბ., 1988
27. უურნალი „განთიადი“, 1995, №5-6
28. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ., 1991
29. ნეტარი ავგუსტინე, „ალსარება“, ლათინურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ., 1995
30. აკაკი წერეთელი, თხზულებანი 15 ტომად, ტ. 2, თბ., 1961
31. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმინევნითი გადმოცემა, თბ. 2002
32. გიორგი გაჩეჩილაძე, სულიერი გამოცდილების სამყაროში, თბ., 1986
33. აკაკის სამრეკლო, თბ., 1990
34. ილიას სამრეკლო, თბ., 1987
35. თამაზ ჭილაძე, წინასწარმეტყველი, თბ., 1987
36. არტურ ლაისტი, საქართველოს გული, თბ., 1963.

## ეპოქის ტრაგიკული მოვლენების წინაგრძნობა

საოცარი იყო გალაკტიონ ტაბიძის განჭვრეტის უნარი, ხედვის მასშტაბები. იმ დროს, როცა მოჩვენებითი სოციალისტური თანასწორობის იდეებით გონდაპინდულნი ხოტბას აღუვლენდნენ სიკეთის, სამართლიანობის სახელით მოვლენილ სატანისტებს, გალაკტიონ ტაბიძე ნიღაბს გლეჯდა, ამხელდა მათ სახელებთან დაკავშირებულ უკეთურობებს, აკრიტიკებდა როგორც წითლებს, ისე თეთრებს, აშკარად ხედავდა კოლექტივის, მშრომელთა კლასის სახელით მოსულ დიქტატურას, რომლის სათავეში რუსული ბოლშევკიზმი იყო და არ ჰქონდა მნიშვნელობა, რომანოვის გვარით მოხდებოდა მისი ტირანის გამოვლინება, თუ სრულიად სხვა გვარით. პოეტი ამ შემთხვევაში გადამისამართების ხერხის მიმართავდა ცენზურის კლანჭებისგან თავდასალწევად, იგი ვითომ შულგინის წიგნს განიხილავდა, მას აკრიტიკებდა, სინამდვილეში შეფარვით თავის მოსაზრებას გვამცნობდა და შეცდომაში შეყვანილთა გამოფხილებას ცდილობდა: „...შულგინია... წიგნი, როგორც რომანი, გადანგრეულ შენობას ჰგავს წიგნი... წიგნს გაჰყვება ზოლად... რომ წითლები აკეთებენ მხოლოდ მონარქიზმის უსათუო საქმეს. რის წითლები, რისი თეთრი! ყველა ომებისა რომ გაივლის გროვა, მისი აზრით, თუნდ წითელი ერქვას, ერთი კაცის დიქტატურა მოვა... რა შვაშია კოლექტივი, კლასი! ძვალ-რბილში აქვს რუსეთს ერთი ქარი, იმას გინდა რომანოვი ერქვას, გინდა სრულად სხვანაირი გვარი“ (მე ამ წიგნზე).

გალაკტიონის უტყუარ განჭვრეტას მოწმობს ახალ დროში „მკვდარი მზის“ ამოსვლაზე აქცენტი და „ქუხილის“ ლოდინი: „ქუხილო, გელით, შენთან ვიბრძოლებთ, გამოექანე, ზვირთი დასძარი. გვახსოვს: დილით მზე ამოდიოდა, მკვდარი მზე, შენ კი ამოასწარი!“ („ქუხილო, გელით) (1, 192).

ქუხილი საღმრთო შინაარსის მეტაფორაა (2, 124).

მზე საღმრთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84,12) (3,61).

მკვდარი მზის ამოსვლა ღმერთისუარმყოფელი ეპოქის დადგომას მოასწავებს, ხოლო „ქუხილის“ ლოდინი ღმერთის ლოდინია.

შემთხვევითი როდია, რომ რევოლუციების ეპოქის შვილს ელანდებოდა იუდა, კაენი, შავი ღამეები, დამსხვრეული კენარი, სისხლი, ტალახი, ცრემლი, ცეცხლი, გაუთავებელი ავდრები და „სხვა სიყვარულის“ მოლოდინი აცოცხლებდა: „სხვა სიყვარულის მოგონებები, დაე, აღმინთონ მოგონებებმა“ (როგორ ეპრძოდნენ ზარებს ზარები).

„ღმერთი სიყვარულია“ (იოანე, I, 4,8) (3,320).

„რამდენიმე დღე პეტროგრადში“ დაწერილია 1918 წელს. ლექსი სამართლიანობის სახელით მომავალ უკანონობას ამხელს: „...რა სულიერიც არის ეს ქარი, ვიცით, მოგვიწყინდა ბაიათები! გარეთ ატლასთა არტყია ჯარი, შიგნით შავი აქვს გულისნადები“.

პოეტი აფრთხილებს თანამედროვეთ, თუ რა ტრაგედიებს დაუდებს სათავეს ულმერთობა, „მებალის“ განრისხება, რადგან მებალე ღმერთია: „....ამ მწიფე მტევნებს დალენავს ქარი, თუ მწიფობისთვემ შეცვალა დარი, მებალემ მოსვლა თუ არ ინება“ (ავდრის მოლოდინი) (4, 197).

დღეს უკვე არავის სჯერა მითის, თითქოს გალაკტიონი სოციალისტური რევოლუციის მეხოტბე იყო. პოეტი, როგორც სიტყვის რევოლუციონერი, აიდეალებდა „სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუციას“ (პოემა „აკაკი წერეთელი“), ოქტომბრის რევოლუცია კი მისთვის იყო გამანადგურებელი ცეცხლი, აპოკალიფსის მწვანე ცხენი, ანუ სიკვდილის მომტანი უბედურება, ნგრევა: „...ქვეყანა ცეცხლმა შორს გაიწვია და დროს დაარქვა რევოლუცია. ძველი ხელები წყდება კალიფსოს, მოჰქრის მერანი აპოკალიფსის“ (ძველი ხელები წყდება კალიფსოს) (5, 191).

რევოლუციაში პოეტი ჭვრეტდა ქაოსს, რწმენის გაარაფ-რებას, ვარდების (რწმენის) ურწმუნოების შხამით განადგურე-ბას: „ირგვლივ ნისლი სუფევდა, ვარდებს შხამი ერია, მაგრამ წყნარად ამბობდი, იყოს... არაფერია! ყველაფერი ქაოსის ნა-პირამდე მოვიდა“... (რევოლუციონერის ხსოვნას“) (5, 194).

ლექსში „ორად გაიპო წითელი კლდე“ (5, 192). წითელია კლდე, წითელია რაში, გზა, მერანი, უნაგირი, მხედარი, ყა-ვარჯენი. მხედარს წითელი ზღვიდან წითელი გველი ამოაქეს, წითელ გზაზე აგდებს, ციდან „მწველი ცეცხლი“ ცვივა და დედამინას მოიცავს „საზარი ომი“...

ბიბლიაში გვევდება ეპრაელი ხალხის წინამძღოლის მო-სეს მიერ ღვთისგან ნაბოძები სასწაულებრივი კვერთხით ზღვის გაპობის და ხალხის ზღვაზე უვნებლად გადაყვანის ეპიზოდი (გამოსვლათა 14, 16-31) (6, 71).

გალაკტიონის ლექსში ყველაფერი სისხლიანია, სატანი-სეულია და ნაწინასწარმეტყველებია კიდევ უფრო მეტი ტრა-გედიები, რაც ახდა კიდეც.

გაუგონარი ნგრევებით შეძრწუნებული პოეტი კითხუ-ლობს: „სად იყო სმენა და გაგონება“? შესცეკრის უკანკელო ცას, წუხს ზეშთაგონების, ანგელოზის გაუჩინარებაზე, „ბო-როტებას განარიდები“ ხედავს „თვალგაუწვდენელ ორმოებში სისხლის მდინარეს“, ტრანშეებს (სად იყო სმენა და გაგონე-ბა?) (5, 359).

ბოროტებათა სერიებით შეშფოთებული, არა ზეციურ ნათელს, არამედ „შავ, ცბიერ სინათლეს“, სიცარიელის საუფ-ლოდ ქცეულ „ხვალეს“ ელის წყევლით: „ხვალესაც წყევლით უნდა უცადო, შავი სინათლე მოვა ცბიერი, რომ განიცადო და კვლავ უწოდო – არარაობა, სიცარიელე“ (უცნობი) (7, 419). გალაკტიონი ირონიას ვერ ფარავდა მარქსიზმ–ლენინიზმის იდეების მიმდევარ, მოჩვენებითი კეთილდღეობის ილუზიით მცხოვრები ადამიანებისადმი: „კომუნისტურ მანიფესტის“... ამ წიგნიდან კლასის სრული ხმა გვესმოდა... „კომუნისტურ მანი-

ფესტით“ ვიზრდებოდით ყველა. ჩვენთვის წიგნად ისევ დარჩა „კაპიტალი“. ვინ არის, რომ გზას არ შეცდეს, როს წვიმაა, თუ ქარი-კომუნისტურ მანიფესტის“ იხსნის თითო პწარი“ (1, 261).

უნუგეშობას თესავდა რევოლუციის შედეგები, მოდიოდა სულის ზამთარი, სიცივე, ბოროტი სულის თარეში, დიდი, კოსმიური სიცივე: „ზამთრის დღეები მოდის მწარე ეგზირსი-სებად, მე სიხარული მათი მოსვლით არ მეღირსება. თქვენგან სიცივე და თარეში სულის ბოროტის. დიდი სიცივე, კოსმიური სიცივე მოდის“ (5,775).

ლექსში „ჩამავალი მზის ფერადი კიდევ“ მეორე მსოფლიო ომის წინაგრძნობას გვიმსელს: „ჩამავალი მზის ფერადი კიდევ, ჩემს ხსოვნაში არ წამლილხარ კიდევ. თითქოს იქ, შორს, სამი დღეა იწვის მშვენიერი მწვერვალები წიწვის. ვე-კითხები ხეთა შენთა ფოთოლს: რამემ ასე უნდა შეგაშფოთოს? ეს უბადლო სალამოა მთაში, მართლა ცეცხლი რომ და-ინთოს, მაშინ? ჩამავალ მზის ფერადების მორევს იგი ცეცხლი შორით უამბორებს“...(5, 600).

„ჩვენ პოეტები საქართველოსი“ (5, 224) ახალი ქარების, გააფთრებული ომის, მწარე წერის“ მოლოდინია და პოეტი მოუწოდებს თანამოკალმებს: „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხა-ლია და სისხლიანი დგას ანგელოსი, ახალ გრიგალებს ვწი-რავთ სიცოცხლეს ჩვენ, პოეტები საქართველოსი“.

სამართლიანად მიუთითებს პროფესორი დავით თევზა-ძე, რომ ლექსი ქართველ პატრიოტთა 1924 წლის აჯანყებას ეძღვნება და „ახალ გრიგალებში“ არა რევოლუცია“, არამედ დამოუკიდებლობა, თავისუფლება“, ხოლო „სისხლიან ანგე-ლოსში“ სამშობლოსთვის თავშეწირული პატრიოტები იგუ-ლისხმება. (დავით თევზაძე, გალაკტიონი, რევოლუცია და აგ-ვისტოს აჯანყება (8, 252-268).

წინაგრძნობის მუხტს, ინფორმაციის შემკრებს პოეტი-სათვის ბუნება, მთა თუ ხეხილი წარმოადგენს: „... ქვეყნად

ბნელოდა, მთა მოიკუპრა, წინაგრძნობებით თრთოდა ხეხილი“ (ზღვა ზღვა, მთა-მთა (1, 353)).

აკაკი წერეთელმა ურნმუნოება ხოლერას შეადარა („ხოლერა“) (9, 278). კამიუმ „შავი ჭირის“ სახეში გაიაზრა ფაშიზმი (10) გოდერძი ჩოხელმა ცოფის გადამდებ სწეულებად აღიქვა საბჭოთა სინამდვილე (11).

გალაკტიონმა ხოლერის, ჭირის ბაცილის, შავი მზის, ჩონჩჩების, ყორნის სახეში განჭვრიტა სიკვდილის მომტანი ბოლშევიზმის საშინელებები, რეპრესიები და ტოტალური დაღუპვის შიშით შეძრა მკითხველი, რათა მას ბოლომდე გაეცნობიერებინა დალუპვის საფრთხე, ხმა აემაღლებინა ეპოქა-ლური უბედურების წინააღმდეგ: „ქალაქში შიშია ქუჩებს და მოედნებს ბურჟეზ და მოლიერად მოედო ხოლერა. და თეთრი ეტლები მიჰქრიან სკდებიან ეტლები. მე მიფიქრია ამნაირ დღეებზე ჩუმად და ცბიერად. ცხედრები, ცხედრები. ხოლერა, ხოლერა და როგორც მხედრები, როგორც ცა იერად, მენყერად, სამუმად გვედება ეს ჭირი. მზე ჩავა, ამოვა, ყოველთვის შავია. ნიავიც სავსეა ხოლერით, მეეზოვეს, რომელსაც თითი არ სტკენია, მთავრობამ ზედ კარზე კირი მიუყარა. და, შემდეგ (ჯანმრთელი) გაგზავნა იმ ეტლით! ამაოდ ტანჯული უცხადებს ექიმებს: – მე ავად არა ვარ. ვინ მოვა მსაჯულად, არავინ. მზე ჩავა, ამოვა, ყოველთვის შავია! ნიავიც სავსეა ხოლერით! მთვარესაც ედება ბაცილა. ხეებიც ხმებიან!... გადადგამს ერთ ნაბიჯს სრულიად ცოცხალი და უცებ ეცემა“.

მომავალი ტრაგედიის წინაგრძნობა კიდევ უფრო მძაფრ სახეებს იღებს: „ოპერაში მე ვხედავ, გადასძვრათ მსმენელებს ტყავები თავების სარქველიდან (ეს ხდება უეცრად). დადიან ჩონჩჩები, ხოლერა, ხოლერა... ქალაქს დალუპვა ელის. შავი აჩრდილი წუხს დაღუპვა ელის. ტკივილებით გამწარებული ღრღნის მიწას... ეძახის, ვინ ისმენს, არავინ, არავინ. ის იღუპება! რაა ყორნის ხმა? რას ნიშნავს ვაზა გატეხილი?“ (შიში) (5,215).

1916 წელს დაწერილ „კოშკში“ პოეტი წინასწარ გრძნობს ისედაც დაჩაგრული ქვეყნის სახელმწიფო ბრიობის საფრთხეს, ქრისტიანული რწმენის უარყოფას. „შიშის ლანდი უზარმაზარი“, რომელმაც „კოშკის ძველისძელ ფოლიანტზე რაღაც დაწერა“, მეფე ბალთაზარის ლხინს გაგვახსენებს ბიბლიიდან, როცა უცნობმა ხელმა სამი სიტყვით ამცნო იქ მყოფთ ბაბილონის დაცემა და ბალთაზარის სიკვდილი (დანიელ წინასწარმეტყველი, 5,1-30) (6,252-253).

„კოშკში“ „ინგრევა კოშკი სიყვარულით აშენებული“. ვფიქრობთ, კოშკი მარიამის სიმბოლოა, სიყვარული – ქრისტესი.

პოეტი ამბობს: „მესაუბრება წინაგრძნობა დაუინებული“ და ეს განცდა უტყუარი აღმოჩნდა, მოწმე ვხდებით იმისა, რომ „დაეცა კოშკი სიყვარულით აშენებული“ (5,266).

1942 წელს ფაშისტურ გერმანიასთან ომის დროს წინასწარმეტყველებდა: „ვერ შესძლებს მტერი, რომ ჩააქროს ახალი ალი, ვერ შესძლებს დასწვას ხალხთა აწმყო და მომავალი“ (არაგვის ქარი) (7,66).

პოეტს ხიბლავდა „მთავარსარდლის შორსმჭვრეტელი მზერა“ (სამშობლოსთვის არის იგი მღერა) (7, 122).

პოეტების მეფის გული ინტუიციით აგნებდა აზრთა მდიდარ სალაროს, იზიდავდა მხოლოდ სასპასალარო ასპარეზი: „გულით ვგრძნობ ყოველ მდიდარ სალაროს, ვხედავ ასპარეზს სასპასალაროს“ (გულით ვგრძნობ) (7,323).

ჯერ კიდევ 1930 წ. გრძნობდა ახალი ომის საშიშროებას: „მიწას კვლავ ეფინება, როოგორც გზა და დროება, იმპერიალისტური ომის საშიშროება... ილესება დანებად რეინა უზარმაზარი, მოაქეს სისხლის მორევი და სიკვდილის მონება, უძლეველი ტექნიკის მწარე გამოგონება, რათა სატანიური ცელით მიწა ათიბოს, რათა ასისხლებული მხრები მოიქათიბოს, მოსპოს, გაანადგუროს, რაც ქურა და ძნებია, რაც კი მრავა-

ლი ნლობით შრომას უშენებია“ (მიწას კიდევ ეფინება) (1, 138).

გ. ტაბიძის წინასწარმეტყველური ხილვების ერთი ციკლი მსოფლიო მოვლენებს უღრმავდება. პოეტი გრძნობდა „ავდრის მოლოდინს“, „კოსმიურ სიცივეს“, „მსოფლიოს გამოუცნობ წყლუღებს“, „პლანეტათა ქვითინს“, პლანეტათა შეჯახებას, მზის ჩაქრობა-გარდაცვალებას, მსოფლიო ომის საშიშროებას, მსოფლიო ნგრევებს (კოსმიური ორკესტრი, 1926წ.)

გალაკტიონის წინასწარმეტყველური ინტუიცია უპირატესად მომავლისკენ არის მიმართული, ის არის „მომავლის ღრმა სიბრძნით თვალანახელი“, სულიერების, მწვერვალებისკენ ზეასვლის საფუძველია კიბე (მარიამის სიმბოლოა) და წიგნი (საღმრთო სახელია), ხოლო ეს რელიგიური წვრთნა სკოლის მერჩიდან იწყება: „უმშვენიერეს კიბეზე უეცარ ფიქრით შევდექი, ბრწყინავდა მარმარილოთა ზეასვლა შემდეგ – შემდეგი. უმშვენიერეს კიბეზე, ვთქვი: ნათელ საფეხურებით იწყებენ სკოლის კიბიდან, წიგნით რომ მივეშურებით. აქ, ამ კიბეზე მომავლის ღრმა სიბრძნით თვალანახელი, საიდანაც ჩქეფს სიმართლე და წინსვლისათვის ძახილი. ურთულეს ბრძოლის მიზანი – საკაცობრიო იდეა – იგივ კიბეა მსვლელი იქ, სად გამარჯვების კიდეა“ (უმშვენიერეს კიბეზე) (1, 209-210).

პოეტს აინტერესებდა წარსულით გაპირობებული აწმყოდა და დღევანდელობიდან ამოზრდილი მომავალი: „...დე, ჩნდეს ხელიხელგადახვეული წარსული, აწმყო და მომავალი „ (ჩემს ყრმობის ხანში) (5,667).

რეზიუმესავით უდერს სამი დროის ურთიერთმიმართების მაუწყებელი სტრიქონები: „ვინც გუშინდელი დღის ხსოვნას კარგავს, კარგავს დღეის დღეს, კარგავს ხვალის გზას, გუშინდელი დღე დღევანდელს არ ჰგავს, დღევანდელი ცა გრძნობს ხვალინდელ ცას“ (ვინც გუშინდელი დღის ხსოვნას კარგავს) (5, 796).

„წარსულთან უახლესი გზების გადაწიგნვა“ წათლად წარმოაჩენს პოეტის ორიენტირებს (მოვიარე გზის არე) (7,634).

გალაკტიონს ახასიათებდა „ოცნებათა შემოწმება“, გათვლა, გაანგარიშება: „მრავალ ახალ კარგს მომიტანს ოცნებათა შემოწმება“ (მთვარის ნაამბობიდან) (5,603).

მომავლის განჭვრეტას ემსახურებოდა პოეტის შემოქმედება: „ძლიერ მომავალს უმღეროდა მომავლის ქნარი“ (5,508).

პოეტების მეფისთვის „დროთ საზღვარს იქით“ მოლაპარაკე და „წინასწარმთქმელია“ ძეგლიც (ბალთან ძეგლია) (5,568).

გალაკტიონი „ხვალის“, „ზეგის“ სახის ამოცნობას ცდილობდა დღევანდელობიდან: „დღეს ყველაფერი სახეა ხვალის, აქ ყველაფერი სახეა ზეგის“ (სიმფონია მცენარეების) (4,362-363).

„ძველი წიგნის“ დაცვის გზით, წარსულის შეცნობიდან მიემართებოდა მომავლისკენ: ჩვენ იმიტომ ვსწავლობთ წარსულს, რათა შევქმნათ მომავალი“ (ძველი წიგნის დაცვა) (7,325).

გალაკტიონის დაუბეჭდავი ლექსის „საქართველოს“ წინასწარმეტყველურ სტრიქონებზე ყურადღებას ამახვილებს აკაკი ბაქრაძე: „დადგება დრო, უფროისი ძმა უმცროსს ვეღარ უბატონებს, გნამდეთ ყველას, საქართველო კვლავ თავის თავს უპატრონებს“ (12, 290).

გამუდმებით მერმისისკენ იყოს პოეტის იმედები მიპყრობილი: „...მერმისს, ტკბილი ივერიის ზეცავ, მშვენიერზე მშვენიერო, მერმისს!“ (ერთს უბეში შენი წიგნი უბის) (5,691).

„მომავალის აუღერებით ჟღერს ჩემი ქნარი“ – ეს ერის მესაიდუმლის მისიაა.

„ვინა თქვა, რომ საქართველოს ბედით კარი დარაზოდეს? მისი წინსვლა არ შედგება არასოდეს, არასოდეს“ (სიმღერა სამშობლოზე) (5,691), ასეთია პოეტის რწმენა.

ზამთრის, თოვლის, ავდრის, ყინვის სახეთა გამოყენებით, თეთრი, მაგრამ გაყინული გულის, გაყინული ცის, გაყინული მხედრის საშუალებით ქმნიდა თოვლიან-ყინულიანი მონსტრის ოდიოზურ სახეს, ამხელდა ჩრდილოელი მეზობლის ღალატთა სერიებს (გული გრძნობს, სამრეკლო უდაბნოში, სამშობლო შავი ლიუციფერის, მშვიდობის წიგნი), ზარავდა „საუკუნეთა თოვლი“, მაგრამ სჯეროდა გათოშილი იმპერიის თოვლ-ყინულის გადნობის: „...საუკუნეთა თოვლო, ითოვლე! მაინც დადნება ეგ ნათოვლარი!“ (წარწერა ხოვლეს ორნამენტზე) (1,374).

„მახაჯირში“ წინასწარმეტყველებდა: „გარდავა ბნელი საუკუნის მღვრიე ნადირი, აღმოსავლეთი მოირთვება ცისკრის ალუბლით“.

გალაკტიონს ესმოდა მსოფლიო „ბაგეთ გოდება“, მსოფლიო მღელვარება“, იგი მიმართავდა მსოფლიოს, საუკუნეს, როგორც „ეპოქის გედი“, საუკუნის პოეტური კულტურის საჭეთმცყრობელი. მარსზე იდებდა ბინას მისი გამორჩეული ფიქრი („მარსი“).

მსოფლიო მოვლენების ცენტრში მყოფი, ელოდა იდუმალს, ეზმანებოდა „სამოსელი პრეცინვალების და გამარჯვების“, სიმშვიდეს ანიჭებდა უზენაესთან სიახლოვე („რა დამშვიდებით გადავცექრი მსოფლიო ღელვებს“).

გალაკტიონმა „ყველა პოლუსი“ მოიხილა, „ყველა სიმზე“ დაკვრის ნიჭით მომადლებულმა თავისი მერიდიანი გავლო მსოფლიოს პოეტურ რუკაზე, ყველა განედი დაზვერა: „ო, ძეო დილის, ანი განვლის, გრძნობა სიბნელის ნაფლეთის, აღმოსავლეთის, დასავლის, ჩრდილოეთის და სამხრეთის“ („ნიავი. ია. ნარგიზი“).

არც მაიას ქვეყანა, ჰიმალაის მთები და შამბალა დარჩენილა მისი შთაგონების გარეთ.

თავისუფლებანართმეული ქვეყნის შვილმა ქართული სიტყვა, ქართული სული საკაცობრიო მასშტაბებს აზიარა, „მსოფლიო სივრცეთა ტიტანი ტვირთები“ ასწია და თამამად

გაუსწორა თვალი დედამიწის არსებით პრობლემებს: „ამ ტო-  
მებს ბრიყვისას მე რა წამაკითხებს, ისედაც კარგად ვჭრი  
მსოფლიო საკითხებს“.

პოეტს იტაცებდა ყველაფერი მასშტაბური, უსაზღვრო,  
კოსმიური: კოსმიური ორკესტრი, კოსმიური მუსიკა, კოსმიუ-  
რი ჰარმონია, შეიგრძნობდა „კოსმიურ სიცივეს“, ანუხებდა  
„მსოფლიოს გამოუცნობი წყლულები“.

მამულის ბედს მსოფლიოსთან კავშირში გაიაზრებდა:  
„საკითხი, რომელიც ეხლა ირჩევა ვერსალში, სამკვდრო-სასი-  
ცოცხლოა საქართველოსთვის“ („პოეზია უპირველეს ყოვლი-  
სა!“).

გლობალიზაციის საფრთხეც არ რჩებოდა შეუმჩნეველი,  
თუმცა „აზვირთებულ მსოფლიოსთან მისვლის“ აუცილებლო-  
ბაში რწმუნდებოდა და ეს ბორკილების მსხვრევის გზად ესა-  
ხებოდა.

მსოფლიო სახელებთან (დანტე, შელი, ბაირონი, ვერლე-  
ნი, ბოდლერი, რემბო, გოტიე, ედგარ პო) ახსენებდა რუსთა-  
ველს და დარწმუნებული იყო ქართული გენის მარადიულო-  
ბაში: „ყველა სახელებში მხოლოდ რუსთაველი იხსნის განსაც-  
დელით მრავალ საუკუნეს“ („პოემა ვეფხვისა“).

ტოლივით ეპაექრებოდა საკაცობრიო რანგის შემოქ-  
მედთ, მათ გვერდით „ოქროს ნავში“ გრძნობდა თავს, რადგან  
ჭეშმარიტმა დიდოსტატმა თვით დაამკვიდრა ახალი ტრადი-  
ციები და „ყველა სიმზე“ დაკვრის ხელოვნებით „გადააჭარბა  
თავის მასწავლებლებს, შორს გადააჭარბა“ (კ. გამსახურდია).  
გალაკტიონის უსახლო, უნავთსაყუდლო სულმა მოიარა მიწის  
კალთა, ეს ბედისწერა იყო, რადგან, მისივე თქმით, პოეტი  
არის „მსოფლიო ძალა უგეში“ („პოემა ვეფხვისა“), მაგრამ  
ანუხებდა „საზღვარი, რომელშიც კაცობრიობაა მომწყვდეუ-  
ლი“.

წინასწარმეტყველური ინტუიციით გრძნობდა სიკვდი-  
ლის მომტანი დემონის, ლუციფერ- მეფისტოფელთა, წითელი  
გველეშაპისაგან ხელდასხმული მხეცების, სატანისტური რე-

ვოლუციონერების დამღუპველ საქმიანობას თავის ქვეყანაში და მსოფლიოს ყურადღების მიქცევას ცდილობდა: „.... და გა-საგონად: მსოფლიო, წყნარად! იქ ნანგრევებად იქცა სოფელი. დიდი ხანია იქცა არარად და დახარხარებს მეფისტოფელი“ („ეს შეღამება“).

აფთარ-ნადირთა საბატონო სამშობლოს კატაკლიზმებ-ზე, ბოროტების იმპერიის საფრთხეზე მიანიშნებდა მსოფლი-ოს („ცეცხლი, მახვილი“). წითელი ქარისაგან იავარქმნილი ქვეყნის ნამდვილ სახეს უჩვენებდა კაცობრიობას და გაბედუ-ლად მიმართავდა: „წყნარად მსოფლიო! წინ მსოფლიო! მსოფ-ლიო ჩუმად!“ („ქარი, ამწევი ფარდის“).

მისი სიტყვის ადრესატი იყო მსოფლიო, საუკუნე, საუ-კუნეები, უსაზღვროება, კოსმოსისკენ მიმართავდა მზერას, აძრნუნებდა „დიდი სიცივე“, კოსმიური სიცივე, მარადიული ზამთრის მუქარა („ზამთრის დღეები“), „ავდრის მოლოდინი“, მსოფლიო კატაკლიზმები და მასშტაბურ ნგრევას წინასწარ-მეტყველებდა: „მსოფლიო ნგრევათა კვლავ მოწმე გავხდე-ბით“ („კოსმიური ორკესტრი“), შეიგრძნობდა მსოფლიო ომის მაუწყებელ ქარს...

პოეტს არასოდეს არევია ერთმანეთში „წუთისოფლის დიდება“ და „დიდება მარადისი“, კოსმიური, მარადიული და ეფემერული. იგი პროლეტარულის, პრიმიტიულის, უსახურის-გან განასხვავებდა ნამდვილად რევოლუციურ ხელოვნებას, მიესალმებოდა „სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუ-ციას“: „აქა-იქ რაღაცას შურდლულობენ პროლეტარულ პოე-ზიაზე, აქა-იქ თემად მიაჩნიათ რევოლუცია და კოსმიურ საქ-მედ მიაჩნიათ. ამ მხრით რატომ არ იქნება კოსმიური მოვლე-ნა თუნდაც კონტრევოლუცია და ან რა საქმე აქვს ყოველივე ამასთან პოეტს, გარდა კარიერიზმისა?“ (13,452).

გალაკტიონი წუხდა „სიცივით და რევოლუციით გაყი-ნულ ხალხზე“, (იქვე 259) ლენინიზმს კი სატანისტურ მოძ-ლვრებად მიიჩნევდა. შიმშილის, სიცივის, დევნის, გაუტანლო-ბის დემონი, რომელიც ამგზავრებოდა მის თანამედროვეობას,

მთელ მსოფლიოს დაანახვებდა შავი ფერით: „სიზმარი უკე-  
თესია, ვინემ სინამდვილე. ეხლანდელი სინამდვილე კი.... გან-  
საკუთრებით ჩემი... ღმერთმა შეარცხვინოს. მსოფლიო შემო-  
სილია მხოლოდ შავი, საშინელი სინამდვილით“ (იქვე, გვ. 457).

პოეტი ემიჯნებოდა „ქვეყნიურ ყალბ ენამჭევრობას“,  
დემონურ, საშინელი ბეჭდით დალდასმულ შეთქმულების წევ-  
რებს („ენა მშობლიური მინის“)

პოეტმა დაგმო საზღვრების მოშლა, უკარო სახლის სა-  
ხეში წარმოადგინა მთელი მსოფლიოს პროლეტარების გაერ-  
თიანების, ულობო, უკარო ინტერნაციონალური ქვეყნის შექ-  
მნის იდეა, რაც ჩვენს „უფროს ძმას“ ეკუთვნოდა, ხოლო სა-  
ერთაშორისო არენაზე მომძლავრებული მასონურ-კოსმოპო-  
ლიტური მოძღვრება, ერთა ლიგა პატარა ქვეყნების საშიშრო-  
ებაზე დუმდა და ამით „გადამთიელი გადის“ წისქვილზე ას-  
ხამდა წყალს.

პოეტი ხედავდა, რომ ეროვნულ გრძნობას მოკლებულმა  
რევოლუციონერებმა შეგვიქმნეს ტერიტორიული და დემოგ-  
რაფიული პრობლემა და უჭიმურო ეზოს, ლია კარების ჩვენე-  
ბით გამოხატავდა ეპოქის სატკივარს: „....პნელა, ეზო ჰგავს  
ქუჩას, შემოდის ყველა, ვისაც გზად უჩანს“... ბჭე უსაზღვროა  
სოფლის მძინარის,... ის ხედავს კარებს გადაუკეტავს“ („მშვი-  
დობის წიგნი“).

თითქოს დღევანდელ სატკივარზეა დაწერილი.

კარი, ჭიშკარი ქრისტეს სიმბოლური სახელია („მე ვარ კა-  
რი ცხოვართა“, იოანე 10,7), ხოლო ეზო – მარიამის (14,122).

## დამოწმებანი

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, წიგნი 2,  
თბ., 1994.
2. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.

3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992.
4. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ.1, თბ., 1993.
5. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977
6. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I.
7. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ.3, თბ., 1993.
8. დავით თევზაძე, საუკუნის თვალით, თბ., 1994.
9. აკაკი წერეთელი, თხზულებანი 18 ტომად, ტ.2, თბ., 1992.
10. ალბერ კამიუ, „შავი ჭირი“ ფრანგულიდან თარგმნეს გასტონ ბუჩიძემ, კოტე ჯავრიშვილმა, ნესტან იორდანიშვილმა, თბ., 1988.
11. გოდერძი ჩოხელი, „მგელი“, თბ., 1988.
12. აკაკი ბაქრაძე, თხ. ტ. III, 2004.
13. ვახტანგ ჯავახაძე, უცნობი, 1992.
14. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1996

### **სიკვდილის წინაგრძნობა**

გალაკტიონმა შექმნა განგების შთაგონებული „შავი წიგნი“, რადგან ხელენიფებოდა როგორც ანგელოსის, ისე სიკვდილის აჩრდილის ხილვა. უფლის ნებით გადაიშალა პოეტის სიცოცხლის წიგნი და „შავი წიგნი“, როგორც აპოკალიფსში.

ხალხში უძველესი დროიდანვე არსებობდა რწმენა სიკვდილის მოახლოებაზე მიმანიშნებელ მოვლენებზე, როგორიცაა ყორნის ხმა, სიკვდილის ცელი, მახინჯი ჩონჩხის მოლანდება, ჭოტის კივილი, ძალლის ყმუილი.

ეს ავბედობის მაცნეები გალაკტიონის პოეზიაშიც გვხვდება.

„რას ნიშნავს ყორნის ხმა, რას ნიშნავს ვაზა გატეხილი?“ – შეშფოთებით კითხულობდა მისი პოეზიის ლირიკული გმირი.

ედგარ ალან პო, გვიმხელს რა „ყორანის“ შექმნის საიდუმლოებას, წერს: „ყორანის“ კომპოზიციაში არაფერია შემთხვევითი ან ინტუიციური. ეს თხზულება თავიდან ბოლომდე მათემატიკური სიზუსტით და სიმკაცრით არის განსაზღვრული“ (1,159). ამის მიუხედავად, ყორნის პასუხი ლირიკული გმირის ყველა კითხვაზე, რაც მომავალს შეეხება, გამოხატულია საბედისწერო სიტყვით – „არასოდეს“, რაც უბედობის წინასწარმეტყველებაა.

ამიტომ წერდა პოლ ვალერი: „ედგარ პოს შემოქმედებაში შერწყმულია „ერთგვარი მათემატიკა და ერთგვარი მისტიკა“ (2,25).

ბარათაშვილის „თვალბედითი შავი ყორნის“ ჩხავილიც მომავალში დაღუპვის წინასწარმეტყველებაა.

გალაკტიონის პოეზიაში განსაკუთრებით შთამბეჭდავია ტრაგიზმის მომტანი „მახინჯი სახე“ და „ყრუ საუბარი“.

ლექსში „ედგარი მესამედ“ ორთა შორის ჩამდგარი „ვიღაც მესამე, ვიღაც მახინჯი“ არის სიკვდილის აჩრდილი, ხოლო „ყრუ საუბარი“ პირდაპირი გაცხადებაა მოსალოდნელი უბედურების: „და ჩვენ გვესმოდა ყრუ საუბარი: საცაა მოვა სიკვდილის წამი. ტიროდა ქარი, კვდებოდა ქარი და მივდიოდით ტაძრისკენ სამი“ (3,75).

ჩონჩხების „სასიკვდილო მახვილებია“ ლექსში „რაც იქნეს, იქნეს“.

„ახალ მოსახლეობაში“ „ვიღაც მახინჯი“, ეპატიუება ლირიკულ პერსონაჟს „იდუმალ ქვეყანაში“.

პოეტს „სიკვდილის ხელი“, „მწარე ხმა“ აგრძნობინებს მოახლოებულ უბედურებას: „თითქოს კედელთან დამენახოს სიკვდილის ხელი... რაღაც მწარე და საოცარნი ხმანი ისმიან“...

ჭოტის კივილი, ძალლის ყმუილი შემაძრნუნებელ გაფ-რთხილებად ისმის: „ეზოში სამჯერ იკივლა ჭოტმა, ზარით აზმუვლდა ბებერი ძალლი („ცხრაას თვრამეტი“) (3,160).

„სიკვდილის ხველა“, „სიკვდილის კვნესა“ ისმის ლექსში „დედა“.

„ყვითელ ფოთოლში“ „პანგი საზარია“ ავი წინაგრძნობის ამშლელი.

თითქოს ნიავიც სიკვდილის უცვლელ ზღაპარს უყვება: „ნიავი მითხვობს უცვლელ ზღაპარს, სიკვდილის ზღაპარს“.

დემონის ხმაც სიკვდილისაკენ მომწოდებელია: „სამშობლოს, იქით, სიმშვიდის იქით ისევ მეძახის ჩემი დემონი“ („მზის სადღეგრძელოს“).

სიკვდილის ლანდები, ჩონჩხები გვზარავს ლექსებში: „მაგიდა ალემბიკებით“, „სალამო“, „სილაუგარდე“, „სტანსები შელლისა“.

ალ. ბლოკს ლაბადით შემოსილი ჩონჩხის სახით მოევ-ლინა სიკვდილი („დაცლილი ქუჩა“).

მეფე ბალთაზარმა ნადიმის დროს იხილა კედლიდან გა-მოსული ხელი, რომელმაც კედელზე სამი საბედისწერო სიტ-ყვის წარწერით ამცნო მისი და მისი მეფობის აღსასრული (წინასწარმეტყველება დანიელისა, 5,5-30) (4, 252- 253).

სიკვდილის წინაგრძნობით არის სავსე გალაკტიონის „კოშკი“, რომელშიც ნგრევის, სიკვდილის მაცნეა „სახე გამ-ხდარი, გესლიანად გაცინებული შიშის ლანდი უზარმაზარი“, რომელმაც კოშკის კედლებზე რაღაც საბედისწერო დაწერა „გამოუცნობ ნების რკალებით“. სანთლის ჩაქრობა უფრო აძ-ლიერებს საშინელ წინაგრძნობას და, მართლაც, „დაეცა კოშ-კი სიყვარულით აშენებული“.

ამ ლექსში სიყვარულით აშენებული კოშკის დაცემა ათეისტების მიერ ჰუმანიზმის, რწმენის ამოძირკვას უნდა მო-ასწავებდეს, რადგან სიყვარული ლმერთია („ლმერთი სიყვა-რულია“ – იოანე, I, 4,8) (5,320).

კოშკი მარიამის სახელი უნდა იყოს (იხ. 6, 124-133).

სიკვდილის პირას ყოფნა ისეთივე ბუნებრივი მდგომარეობაა გალაკტიონისათვის, როგორც სიცოცხლის სიხარულის განცდა: „ვყოფილვარ ბევრჯერ სიკვდილის პირად“.

თითქოს სიკვდილის სხვადასხვა სტატიებიც, წინა ცხოვრების აღსასრულიც უგრძნია: „მე დავივიწყებ ყველა სიკვდილს, პირველს, მეორეს... („ქანდაკება“).“

ცნობილია „სასიკვდილო სარეცლის“ ფენომენები, როცა ავადმყოფი ნახულობს ნაცნობის სულს. გალაკტიონი ხედავდა მიცვალებულთა სულებს, სამუდამო მხარის ჩამავალ მზეს (მკვდრის მზეს)... შეცნობის, ახალ სფეროთა მოხილვის სურვილით იტანჯებოდა ქართველი პოეტი, როგორც დანტე.

„რა სიკვდილი?“ სვამდა კითხვას გალაკტიონი.

სიკვდილს ოპტიმისტურად უცქერიან იოგები, რადგან სულს მარადისობის კატეგორიად მიიჩნევენ. სიტყვა „იოგა“ ნიშნავს დაკავშირებულს, „მიმატებას“. ამჟამად ჩვენ ღმერთს გამოკლებული ვართ, მიზანი ის უნდა იყოს, რომ ჩვენი სიცოცხლე კრიშნას მივუმატოთ, დავუკავშიროთ და მაშინ სიცოცხლის ფორმა სრულყოფილ გახდება. სხეული სულზე გადაფარებული ღრუბელია, ჩვენ უნდა განვავითაროთ სულიერი სხეული, რათა სულიერ სამყაროს მივაღწიოთ.

ბერძენ ფილოსოფოსებს სწამდათ სულის მარადიულობა.

სოკრატე ეუბნებოდა პლატონს: „მე არ გამიკვირდება, მართალი რომ აღმოჩნდეს ევრიპიდეს სიტყვები: „ვინ იცის, სიცოცხლეს ხომ არ ნიშნავს გარდაცვლილთათვის სიკვდილი, ხოლო მოკვდინება მკვდარ ენაზე გაცოცხლებას.“.

„და ბრძენთაგან გამიგონია, რომ ჩვენ მკვდრები ვართ და ჩვენი სხეული სამარეა“ („გორგია“).

საოცარია ამ აპექტში ტერენტი გრანელის აზრების დამთხვევა ბერძენთა შეხედულებებთან: „ჩემი სამშობლო ხომ სამარეა“, „სიკვდილია სიცოცხლეზე მეტი“.

გოეთე ეკერმანთან საუპარში ხაზს უსვამდა სულის მარადიულობას: „სულაც არ მინდა დავკარგო ბეჭნიერი რწმენა უკვდავებისა. მზად ვარ გავიმეორო ლორენცო მედიჩის სიტ-

ყვები: „ვისაც სხვა სიცოცხლის იმედი არა აქვს, ამ ცხოვრებაშიც მკვდარია“ (7, 137).

პავლე მოციქული ეუბნებოდა თავის თანამოაზრებსა: „ყველანი როდი მოკვდებით, მაგრამ ყველანი შეიცვლებით“.

„რაა სიკვდილი?“, კითხულობდა გალაკტიონი და მისი პასუხიდან გამოირიცხებოდა ტრაგიზმი: „რაა სიკვდილი?“ გზა, სასაფლაო, სამარადისო ბანგი, ჰაშიში, ოგვერდაუვლელი, მაგრამ ამათ, უცილო, მაგრამ არა საშიში“.

პოეტის რწმენით, „სული ცოცხლობს, როს სხეული სამარეში დუმს“.

სიკვდილის მერე რა დარჩა? თუკი „საშველი ქვეყნად აღარ ყოფილა, არარაობად შთანთქმულან რიგნი“ და პასუხი ასეთია: „რა დარჩა? ფერფლი, ცა და ეს წიგნი“.

გალაკტიონის თქმით, „სიკვდილს ვერავინ ვერ მოატყუებს“. მთავარია, ადამიანს სიცოცხლეშივე ახსოვდეს სიკვდილის არსებობა, რათა ლირსულად გაატაროს ამქვეყნიური არსებობის დრო, თორემ ფიზიკურ გარსს ვერავინ შეინარჩუნებს: „ყველა ცოცხლობს, ყველა კვდება და ვაი მას, ვის, სიკვდილი სიცოცხლეშივე ავინყდება“ („მესაფლავე“).

შიშის დაძლევის ფაქტორი სახელოვანი სიცოცხლეა, რომელიც არის გარანტია სულის მარადიულობის: „სიკვდილს მე როდი შევუშინდები, იგი ძმა, მუდამ ჩვენს მხარეზეა. მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის სიკვდილს, როს ჰეგავს და უარესია“ („ნეაპოლში“).

## დამოწმებანი

1. ედგარ ალან პო, კომპოზიციის ფილოსოფია, „კრიტიკა“, 1984, №3
2. პოლ ვალერი, რჩეული პროზა, თბ., 1983
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1989
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.

5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
6. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები. თბ., 2009
7. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, თარგმანი აკაკი გელოვანის, „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1988.

### **ქრისტიანული რწმენისკენ მიბრუნების ნინასწარმეტყველება**

გალაკტიონი ხედავდა სულს: „მე დავინახე მცურავი სული“ („გრიგალი“).

ხედავდა „იქაურ ცას“, ანუ უმაღლეს ცას – ღმერთების სავანეს, რომელსაც ბიბლიაში „ცანი ცათანი“, ენოდება: „იქაური ცა ფოთლით ქსოვილი, ლაჟვარდ თვალთაგან გადასულ ნამით“ (გობელენი) (1,72).

პოეტი ხედავდა „სხვისთვის უხილავ–ფარულს“. „უხილავი“ და „ფარული“ ღმერთია.

პოეტების მეფეს მომადლებული პქონდა განსაკუთრებული ხედვა ანუ სულის თვალი, ამიტომაც ამბობდა: „ორი მილიონი თვალებით ვუცქერი ახალ, ათას ცხრაას ოცდასამწელს და ვამბობ: გაუმარჯოს მომავალს!“ (ეს იყო ოქტომბრის დამლევს (1,334).

მომავლისკენ იყო პოეტის სულის მზერა მომართული: „მიუსყიდველი მომავალის შემგრძნობი სვეტის, ბრძოლებში იყო ბევრის მთმენი გული პოეტის“ (1950)(2,264).

პოეტისთვის მთავარია გრძნობა, ცნობა სიცოცხლის თუ ტრფობის: „...ვინ იგრძნო სიცოცხლე ამაო, უმიზნო, ან შვება ვინ იგრძნო, ან ტრფობა ვინ იცნო“ (საღამო) (3,11).

დაკვირვება, განსჯა, ანალიზი, აი წარმატების, მომავალში ჭვრეტის საფუძველი: „არყოფნის წიგნს დავუკვირდი,

ყოფნის წიგნიც ვათვალთვალე“ (დღეთა გარდასულთა) (3,119).

პოეტის დევიზია: „იცანი ყველა საამქვეყნო მიწა და მტვერი“ (ერთი სახე და ერთი ფერი) (3,104).

გრძნობით, გონებით ჭეშმარიტების წვდომა იყო პოეტის იდეალი: „იგრძენ, რაც კი შეიძლება ქვეყანაზე გულმა იგრძნოს, იცან, რაც კი შეიძლება კაცმა ქვეყნად გამოიცნოს“ (მეშჩანური გული) (3,108).

ეჩვენებოდა უწმინდესი, უდიადესი ცა, ანუ ღმერთების ზეცა, ლანდივით ნანახი ჰქონდა „ბეჭდის თვალში მოლები, მოტეხილი ზაფხული და ოხვრის პაროლები“ („დომინო“) (1,115).

ბეჭედი მარიამ ლვისმშობლის სიმბოლოა (4,124), მოლი გრძნეულების ჯადოსნური ბალახი.

„მოტეხილი ზაფხული“ – უარყოფილი ღმერთია, რადგან ზაფხული სალმრთო სახელია: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს.65,12) (5,273).

საერთოდ, „დომინოში“ მოაზრებულია სატანისტური იდეოლოგიის ჩრდილოელი მეზობელი, აღმოსავლური ყრუ ბაითის სახით მუსულმანური სამყარო, მართლმადიდებლობის შემრყენელი, გრძნეულება და ჯადოსნობა (ანუ ბეჭდის თვალში მოლები), ახალი კერპების ძიება კი უარყოფილია და ლექსმი კანკელი აღიმართება. დომინო – თვით ავტორია, ქრისტეს მებალე, მართლმადიდებლობის მცველი და მისი გამოჩენით სრულდება ანტიქრისტიანული ვაკხანალია.

„დომინოში“ პოეტმა ამხილა ეპოქის ურნმუნოება და იწინასწარმეტყველა ღმერთისკენ მიბრუნება.

ახალი სხივის ამოსვლას, ანუ ღმერთის (სხივი ძე ღმერთის სახელია) მოვლინებას, წყვდიადის კიბის დამხობას და „სინმინდის, სიყვარულის, პატიოსნების კიბის“ (კიბე მარიამის

სიმბოლოა) აღმართვას წინასწარმეტყველებს პოეტი ლექსში „ქალაქთა ბნელთა“ (1,703).

1915 წელს განიცდიდა „ტრფობას სრულის“ (ლმერთის), იმ სიყვარულის („სიყვარული საღვთო სახელია) უგულებელყოფის სიმწარეს (მიმღერე რამე) (3,11). ენატრებოდა „ნუგეში“, „სხივი პირველი“ (ნუგეში, სხივი ღმერთზე მიანიშნებს) – ხანდახან მშფოთვარ ქალაქის ხმაში (3), შფოთავდა „უკანასკნელი სიყვარულის“ (ლმერთის) დავიწყების გამო (უსიყვარულოდ) (3,19), ეძებდა „წმინდა ცას“ (გრძნობათა ფერფლი) (2, 8). ყვავილებს – რწმენას (ელეგია) (3,23), მიუწვდომელ სანთლებს (სანთელი საღვთო სახელია) (სანთლები) (38), ცდილობდა ქარში ვარდების გადარჩენას (ლოცვისთვის) (3,85).

„უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“ „შავი თოვლივით“ თოვდა „ჭვარტლი და ბურუსი თავანის“, სამრეკლოს ჯვარს ყვავები დარაჯობდნენ და თებერვალს უხმობდნენ (შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში).

ესიზმრებოდა მზის ჩაქრობა (მე დამესიზმრა) (1 ,77), მზის გახელილი თვალებით სიკვდილი (მას გახელილი დარჩა თვალები) ქიმერებში ჩავარდნილი მზე (თბილისი ღამით), მზე ლანდად ქცეული (სანატორიუმში), მზის ჩასვლა, მთვარისა და ვარსკვლავების გაქრობა, ნისლის მეუფება, სიბნელის გაბატონება (მშვიდობის წიგნი).

მზე საღმრთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი (ფს. 83/84,12).

აწუხებდა იდუმალი სხივის გაუჩინარება, იაგუნდის ჩამქრალი შუქი. შუქი, სხივი ძე ღმერთის სახელია.

იაგუნდი მარიამის სიმბოლოა (4,124).

სწყუროდა ცეცხლი, მაგრამ სახეზე იყო „უეზოო სახლი“ და „უცეცხლო კერა“. ეზოს სახეში ნაგულისხმევია მარიამ ღვთისმშობელი(4,121). ცეცხლი ღმერთის სახელია (6,120).

დამშრალი და ამღვრეული იყო წყარო, რასაც გულის-ტკივილით აფიქსირებდა.

წყარო უფლის სახელია: „სიხარულით ამოხაპავთ წყალს ხსნის წყაროებიდან“ (ესაია, 12,3) (7,82).

ათეისტურ ეპოქაში დავინყებული იყო ღმერთი – სიყვარული (იოანე, I,4,8).

პოეტმა შექმნა დალენილი, დამსხვრეული, განადგურებული ხომალდების, გემების, ნავების რექვიები, რადგან ნავით, გემით, ხომალდით არის შესაძლებელი ცოდვილი ცხოვრების – ზღვის გადალახვა. ნავი, გემი, ჯვართან ერთად, „ზღვის გადასალახავი“ „ტრანსპორტია“.

თვით გალაკტიონი არასდროს წყვეტდა უზენაესთან კავშირს და ზღვის წარმატებით გადავლას ყოველთვის ახერხებდა (გადავიარეთ მრისხანე ზღვები), მაგრამ მას ადარდებდა ათეიზმისგან დასნებოვნებულთა ბედი, რომლებიც ცოდვის ზღვას ჩაენთქა.

პოეტების მეფის წუხილის მიზეზი იყო გამხმარი ვაზები, თოვლიანი ალვები (ვაზები გახმა, ალვები თოვლში). ვაზი და ალვა სიცოცხლის ხის სიმბოლოებია.

გამხმარი ვაზი და თოვლიანი ალვა უარყოფილი სიცოცხლის ხეა, ანუ იგნორირებულ ღმერთზე მიმანიშნებელია.

გალაკტიონი ხედავდა ღმერთის გზისგან გადაცდენას და ამხელდა გზაგამრუდებულებს, თვით კი მუდამ „წმინდა გზის, სანაქებო მზის, ძველი გზის, იისფერი გზის“ ერთგული იყო. გზა საღვთო სახელია.

პოეტი გულისტკივილით იგონებდა თანამედროვეთაგან დავინყებულ „ნეტარ დღეს“, „ძველ დღეს“, ანუ ღმერთს.

პოეტების მეფეს აღაშფოთებდა „მშვიდობის წიგნის“ დაკარგვა, „ძველი წიგნების“ (წიგნი საღვთო სახელია) არეული გვერდები, ანუ უარყოფილი და შერყვნილი რწმენა.

დავინყებული იყო ცხოვრება (ცხოვრება საღვთო სახელია), ჩამქრალი იყო სანთელი (სანთელი ღმერთის მეტაფორა), საძიებელი იყო „საბედნიერო სული“ (სილაჟვარდე ანუ

ვარდი სილაში) (დაწვრილებით იხ. ჩვენი წიგნი „მეფისტოფე-ლის საუკუნე და გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“ (თბ. 2011). უღმერთო ეპოქაში პატივი არ მიეგებოდა ქრისტეს დედას – მარიამ ღვთისმშობელს. ჯვარზე იყო გაკრული ელვა, დან-გრეული იყო ზეცა, დაკარგული იყო სამოთხე, დაცემული იყო კოშკი, დაჭრილი იყო ლრუბელი, ნიარევი იყო მთა, ბაცი-ლებიანი იყო მთვარე, დაჩრდილული იყო ბეჭედი. მიტოვებუ-ლი იყო ეზო, თოვლში იყო დაცემული ზამბახები, გაყინული იყო თასი. ელვა, სამოთხე, კოშკი, ლრუბელი, მთა, მთვარე, ბეჭედი, ეზო, ზამბახები, თასი მარიამ ღვთისმშობლის სახე-ლებია (იხ. დაწვრილებით: ლ. სორდია, ქრისტიანული სახის-მეტყველების საკითხები მე-20 საუკუნის ქართული პოეზიაში, თბ. 2009).

გაუდაბურებული იყო ბალი, ანუ გატიალებული იყო უღ-მერთო სული, რადგან ბალი ხალხის მეტაფორაა ბიბლიაში.

იყო თარეში აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერების, დემო-ნების, ბელზებელ-ლუციფერების, სატანების.

პოეტი ავდრით, ზამთრით, უამინდობით, თოვლის, ყინ-ვის ქვეტექსტებით გვამცნობდა ეროვნულ–სარწმუნოებრივ ტრაგედიებს. (იხ. დაწვრილებით „მეფისტოფელის საუკუნე და გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, თბ. 2011).

მართალია, ღმერთისუარმყოფელ, სატანისტურ ეპოქაში იცხოვრა გალაკტიონმა, მაგრამ კავშირი არასოდეს გაუწყვე-ტია უზენაეს ძალებთან, გამუდმებით ესმოდა ზეციური გა-მამხნევებელი ხმები, ღმერთისკენ მიბრუნების რწმენას უნერ-გავდა სიზმრები: „მე მოვალ და მრავალ ყვავილებს მოვიტან, მე მოვალ, მე მოვალ, მე მოვალ „სიზმარი“. (სიზმარი) (1,76).

ქარში ყვავილების გადარჩენით (ქარი ურწმუნოება, ყვა-ვილი – ქრისტიანული რწმენის სიმბოლოა) ალვის ხის გადარ-ჩენით (ალვა საღვთო სახელია), მუხების გადარჩენით (მუხა ერის სულის სიმბოლოა) მიგვანიშნა ეროვნული რწმენისკენ მიბრუნების და სულის განწმენდა – გასპეტაკების პროცესზე.

მშვიდობის წიგნის და მშვიდობის გზის სახეებით გვიჩვენა რწმენის მარადიულობა: „სამშობლოს წინ ყოველ ვალთა მოხდის, მშვიდობის წიგნს გვირგვინს ვერვინ მოხდის. მშვიდობის გზა რომ ოდესმე მოკვდეს, არა, ეს არ შეიძლება მოხდეს“ (ყველაფერი შეიძლება მოხდეს).

გალაკტიონის შემოქმედება იყო „სიყვარულის სიმღერა“. სიყვარული ღმერთია (იოანე 1,4,8).

პოეტი ქმნიდა ლოდინის სიმღერას, სჯეროდა „შორი გაზაფხულის“ „ამობრწყინების (სინამდვილეში ოცნებისას) გაზაფხული, ზაფხული საღვთო სახელია (ფს. 64,12).

ყვავილის ქარისგან გადარჩენა რწმენის შენარჩუნებას ნიშნავს და ეს იყო პოეტის უმთავრესი მისია (მე ამ ყვავილებს).

პოეტს თან სდევდა ნუგეშის ღმერთის სახე (სხვაგან სადაა?).

მზის გარდაცვალებას და ჩაქრობას აფიქსირებდა, მაგრამ თვით ყოველთვის მზითმოსილი იყო და სჯეროდა სიმართლის მზის მარადიულობა (რა დამშვიდებით გადავცერი).

სიხარულით ეგებებოდა გაზაფხულს (ფანჯარას ტოტებს მიახლის).

ალვის ხის გადარჩენით მიანიშნებდა ქრისტესკენ მობრუნებას, რადგან ალვა საღვთო სახელია.

პოეტი უმღეროდა რწმენის გადარჩენის ბედნიერებას (არ დაღუპულა). კაკლების, მუხების გადარჩენით ერის სულის გადარჩენაზე მიანიშნებდა (მუხები).

„ქუხილო, გელით“ გვიჩვენებს რწმენის წყურვილს და მოლოდინს, რადგან ქუხილი ღმერთის სახელია.

„ახალი ყოფნის“, განახლების, „აღდგომის კვალის“ ანუ რწმენისკენ მოპრუნების მოლოდინია ლექსში „ახალ წლის ღამეს“.

„შუქმიუვალ დღეებს“ შეენაცვლება „ედემთა მსგავსი დღეები“, გამარჯვებათა ბალები, ვარდები, ორხიდეები“, სწამდა პოეტს (ყოფილა მწარე დღეები).

მარადიულია „სიცოცხლე“ (ღმერთის სახელია), ვისაც მოაქვს სულის გადარჩენა (ბევრი ჩიხი, ბევრი ხვეული).

გალაკტიონმა უმდერა „გათენებას“, „ალიონთა სიხა-რულს“, ცისკარს, (ალიონი მარიამის, სიხარული და ცისკარი ქრისტეს სახელებია).

პოემა „მშვიდობის წიგნი“ უღმერთო არსებობის კატაკ-ლიზმებს უღრმავდება და ჩვენი მრავალსაუკუნოვანი რწმენის მიგნების, ერის საზრისის ძიების, სულის გადარჩენის ჰიმნია, პოეტს ესმოდა „შორის ძახილი“, რომლის სახელი „განთია-დია“ (მშვიდობის წიგნი).

გალაკტიონის პოეზიაში ისმის „გადარჩენის ჰიმნი“, პოე-ტი უმდერის „გადარჩენის ბედნიერებას“, „საუკუნეთა თოვ-ლის“ დადნობას (წარწერა ხოვლეს ორნამენტზე).

ხომალდის გრიგალისგან გადარჩენაში რწმენის გადარ-ჩენა იგულისხმება (გრიგალს, ქარიშხალს ვსვამთ ამის შემ-დეგ).

თვით პოეტის შემოქმედება იყო ეპოქისეული წარღვნის – ბოლშევიზმის მომაკვდინებელი ბაცილებისგან გადარჩენა, სულის ზრდის, სულის განწმენდის დიდი მისის აღსრულება.

## დამოწმებანი

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977
2. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებან 5 ტომად, ტ.3, თბ., 1993
3. გალაკტიონ ტაბიძე თბზ. 5 ტომად, ტ.1, თბ., 1993
4. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდი-დი, 1995
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
6. ტიტე მოსია საღვთო სახისმეტყველება, თბ., 1996
7. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.

## საკუთარი პოეტური მომავლის განჭვრეტა

გალაკტიონ ტაბიძემ უცდომლად იწინასწარმეტყველა საკუთარი პოეტური დიდება.

„უდიდესიკენ მიჰყავდა სული, მცირედისაგან ასე წასული“ – ამბობდა პოეტი და ეს „უდიდესი“ ღმერთია.

მისი დევიზი იყო განახლება, საკაცობრიო გზის გაგნება: „განახლებისკენ, განახლებისკენ, მიისწრაფოდეს ფიქრი რჩეული, საკაცობრიო გზათა ბრძოლაში სიმშვიდის სიტყვებს გადაჩვეული“ (1, 137).

იგი პოეზიაში კლონდაიკს, ანუ ოქროს საბადოს ეძებდა: „უნდა იპოვო ის კლონდაიკი, იმ ნაპირს უნდა მიადგეს ნავი“(ო, ჩემო ჩანგო) (1,14).

„ურთულეს ბრძოლის მიზანი–საკაცობრიო იდეა – იგივ კიბეა მსვლელი იქ, სად გამარჯვების კიდეა“, წერდა ლექსში „უმშვენიერეს კიბეზე“ (1,209-210).

ჯერ კიდევ 1915 წელს „პოეტების მეფის“ გვირგვინი ეზმანებოდა (მთაწმინდის მთვარე) (2,66-67).

ლექსში „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“ დარწმუნებით აცხადებდა: „ბაგეთა ლოცვაო, დიდება და ძეგლო, უთუოდ მახსენებ ოდესმე, ოდესმე!“ (2,74).

ამაოების დამარცხების უნარი აღმოჩნდა, უდიდესი პოეტური ძალისხმევით გაუსწრო დროს და გააღწია მომავალში: „... გადავარღვიოთ სივრცე, დროება... ვერას დაგვაკლებს ამაოება“ (სიახლე დღეთა ესევითარი) (2,740).

ლექსში „1950“ შეჰხაროდა „უდიადეს მომავალს (2,741).

ჭეშმარიტება იყო პოეტის განაცხადი: „...ოქროსა ვჭრი, როგორც ვჭრიდი, საკუთარი შტამპით“ (იდეა) (2,575).

მომავლის ძეგლებს წინასწარ ჭვრეტდა: „ძეგლი ცისფერი და ნამთვრალევი აღიმართება მშობლიურ მთებზე“ (ცისფერი) (2,305).

„ცხოვრებისაგან დაჭრილი ლომი“ მომავალში თავისი ძეგლის წინაშე საკუთარი წიგნებით მოსულ ბავშვებს ხედავ-და და სულ სხვაგვარი შეფასების რწმენა ეუფლებოდა: „აქ დაიდმება პოეტის ძეგლი, ბავშვები მოვლენ შენი წიგნებით, იქნება, ბევრი რამე იქნება, მაგრამ ამქვეყნად ჩვენ არ ვიქნებით. ცხოვრებისაგან დაჭრილი ლომი, ეხლა რომ ოხვრით შამბში ვარდება, სხვა ისტორიის წინაშე მდგომი აქ სხვანაირად აღიმართება... ოჰ, მომავალი, შენ ერთი მაინც არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები“, (სტანსები) (2,633).

გალაკტიონი განსაკუთრებით უცდომელი იყო მომავალში გასაღწევი გზების განტვრეტაში, საკუთარი პოეზით დამკვიდრებული სიახლეების შეფასებაში. მისთვის მხატვრული სიტყვის სიდიადის საზომი იყო „დროთა ქროლამდის“ ამაღლება, რის ნიმუშადაც, უპირველესად, საკუთარი პოეზია ესახებოდა: „კოშკი ჩემი მაღალი ადის დროთა ქროლამდის“ (სანამ არ დამსხვრეულან) (1,291).

მართალია, გალაკტიონი ადრეულ ეტაპზე აფასებდა ბოდლერს, შელლის, ჰიუგოს, მიუსეს, ვერლენს („დაღუპულ მამას“), მაგრამ როცა თვით „გადააჭარბა, შორს გადააჭარბა თავის მასწავლებლებს“ (კ. გამსახურდია), დადგა ახალი, მათგან განსხვავებული გზით სვლის დრო, ამასთან, ტექნიკის, მეცნიერების განვითარებას (აინშტაინს) აღარ შეესაბამებოდა ამ პოეტების რომანტიკულ-სიმბოლისტური განწყობილებანი, რასაც ხაზს უსვამდა პოლ ვალერი (3,121).

იგივეს ფიქრობდა გალაკტიონი: „...გაპქრა ზმანება, გაპქრა ფერია, ნუთუ ბოდლერიც არაფერია? შელლიც ჰიუგოს დაემგვანება? მიუსსე? ვერლენ? ლმერთი? კაენი აპა, ქალაქთა გვიანი ნებით ბურუსებში ჩანს აინშტაინი“ (თუ ბრძოლა არ არის) (1,377).

მომავალში ეგულებოდა წინაპარი „ერთგული რაინდები“ (გაიცქირება მომავლისკენ) (4,31).

არც მაშინ ცდებოდა პოეტების მეფე, როცა „ბნელ ქიმე-

რებში „ალიონად“ გვეცხადებოდა და თავის განსაკუთრებულ შემოქმედებით სითამამეს უსვამდა ხაზს.: „იგი, ბნელ ქიმე-რებში მიყურებდა—ალიონს, არავის არ შეეძლო ასე გათამამება. ვისაც სურს რომ ყოველი დაფნას გადაალიოს, ტრიუმფი სიხარულის მხოლოდ მე დამანება“ (ბნელ ქიმერებში) (1,32).

გალაკტიონი ღმერთისგან იყო პოეტად ხელდასხმული, „ზეცაზე ახალი კართაგენის“ აგების მისით: „ზეცაზე სწერია ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები“ (ეფემერა) (4, 322).

„ჯვარი და გვიანი მტევნები“, „დიდი საიდუმლო“, „წმინდა ემბაზი“ იყო მისი წინამძღვარი პოეზიის ურთულეს გზაზე...

გვიანი მტევნები, როგორც ზეცის ვაზი, ვენახი, სალვთო სახელია და მომდინარეობს სახარებიდან: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამაჩემი კი მევენახეა“ (იოანე, 15,1) (5,213).

ძველი, დაწმენდილი ღვინო ქრისტეს სიმბოლოა (ესაია წინასწარმეტყველი, 25, 6) (6,91).

საიდუმლო, დიდი საიდუმლო ღმერთის სახელია.

„დაუჯდომელში“ მარიამ ღვთისმშობელი ფიგურიგებს ემბაზის სახით: „გიხაროდენ, ემბაზისა მიმსგავსებისა გამომხატველო“ (7,9).

პოეტების მეფეს, რომელსაც ცხოვრებაში ჯვარცმის ეკლიანი გვირგვინი ედგა, „ლამეების შავი გუგუნი“ ესმოდა, „შავი ცეცხლი“ აწამებდა, მხოლოდ მომავალი დიდება ეიმედებოდა, თანამედროვეთაგან სიყვარულს და თანაგრძნობას დანატრებული პოეტის სმენას შორიდან წვდებოდა „ყრუ ტაშისცემა“, ესმოდა „განთქმულ სახელის ტაში“, ცრემლთან, ღელვასთან, მუქარასთან შეზავებული დიდება და თავისი მარადიული ნუგეშისკენ – ღმერთისკენ ისწრაფვოდა მისი სულის რაში: „მე გარს მეხვევა მუდამ იგივე, შენ მიერ ნაზად ნაქსოვი რიდე ხალხს მოვშორდები, მაგრამ ღამეებს სად დავემალო, სად წაუვიდე? ღვინით თასები ისევ იესება. ისევ მევსება დარდით თვალები, შორით მომესმის ყრუ ტაშისცემა, მაგრამ

იქ ვისმეს შევებრალები? მე ვიხდი ნილაბს, მომგვარეთ რაში, შენთან, ნუგემთან, ო, ჩქარა, ჩქარა, მე მომდევს განთქმულ სახელის ტაში, დიდება, ცრემლი, ღელვა, მუქარა“ (მწუხარება შენზე) (2,346).

ქრისტესავით ჯვარცმულს, გამუდმებით გოლგოთა ელანდებოდა, მაგრამ მთაწმინდა ეიმედებოდა მარადიულ სავანედ: „დღეს მაისი ფერში ნაირნაირშია, თუ დრო არის, დროს ისევ შენ შეჰვერი და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია, მე თბილისი ავირჩიე ბებერი. მაგრამ ქრისტეს გოლგოთა ხვდა წილადა, მე კი ჩვენი დამიტარავს მთაწმინდა, მანდილი ჩანს ისევ იმ მანდილადა, შხამსაც შევსვამ შენგან მოწვდილ თასითა“ (დღეს მაისი) (2,369).

ასევე ჭეშმარიტება იყო განაცხადი: „მაღალ მთაზედა ავაგე სასახლე ახალ-ახალი, ლითონზე უფრო მაგარი, პირა-მიდებზე მაღალი. მასში პოეტის უკვდავი დიდება დაისადგურებს, ვერც დრო, ვერც უამთა სიავე, ვერც ქარი გაანადგურებს“ (მაღალ მთაზე და ავაგე სასახლე ახალ-ახალი) (2,468).

პოეტმა სრულიად სამართლიანად „მომავლის ქნარად“ მონათლა თავისი ქნარი: „ძლიერ მომავალს უმღეროდა მომავლის ქნარი“ (2,508).

როგორიც თვითონ ამბობს აკაკი წერეთლის შესახებ, „წინაგრძნობამ პოეტისა იგრძნო შორი ცისარტყელა“...

მაგრამ პოეტს გამუდმებით ბედისწერასავით სდევდა „დრო-აფთარი“, აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერების ხაფანგები, უგულებელყოფა, ინტრიგები, რაც მიმართული იყო საბედისწერო ალსასრულის ჩაგონებისკენ. მისი ამქვეყნიური ცხოვრება ჯოჯოხეთი იყო, პირდაპირი მოწოდება უფსკრულისკენ და ეს ტრაგიზმი შთამბეჭდავად წარმოჩნდა ღექ-სში, „შენ არ გინახავს კაცის ღიმილი“ (2,551).

ღიმილის ნაცვლად შური და მტრობა, სიმძიმილი, ქუჩა-სა და სამიკიტნოში ტკივილების გაქარვება დაჰბედებოდა საზოგადოებისკან გაუცხოებულ პოეტს, ძალლივით წანწალი

სიკვდილს ანატრებინებდა: „შენი ცხოვრება ღონემიხდილი არის ტალახი, ბოსელი ქართა. რისთვის გაშინებს, მითხარ, სიკვდილი, თუ არვინ მოვა სიკვდილის გარდა? ვიცი, თუ როგორ გადიხარხარებს, როცა გაიგებს სიკვდილის ხველას, შენი ცხოვრება არვის ახარებს, შენი სიკვდილი ახარებს ყველას“.

და ბოლოს, რეზიუმესავით გაულერდება შემზარავი აკორდი: „ეს აზრი უნდა გავიგოთ ასე: რომ მხეცი არ თმობს თავის ხელობას და გალაკტიონ ტაბიძეს ურჩევს წერტილს ტყვიისას, რას? – თვითმკვლელობას“.

პოეტი დიდხანს იშინაურებდა, ეგუებოდა სიკვდილის გარდუვალობას: „...თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს, მე მოვკვდები, როგორც პოეტს შეჰვერის“ (პოეზია უპირველეს ყოვლისა).

„მილიონებში ხელისმრეველი“ (2,654), თავისი ფუძემდებლური გზის მნიშვნელობას კარგად ხედავდა შთამომავლებისთვის: „მეგობრებო, ჩვენი გზა გასწევს წელთა მრავლობას, იგი მუდამ დარჩება ხსოვნად შთამომავლობას“ (დარჩება ხსოვნად შთამომავლობას) (2, 641).

თავისი განსაკუთრებულობის რწმენა არ ტოვებდა: „ჩემ-თვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა, როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი“ (წელინადები წავლიან ძველი) (2,287).

მარადიულ სიმაღლეში, მშობლიურ ცაზე შუქად გაბრწყინებული საკუთარი სულის სიდიადეს ხედავდა: „შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის, რას შუქად მშობლიურ ცას შეეშენები“ (დრო) (2,293).

მომავალში გახმიანებული ტაშისცემის ხმას გრძნობდა, განთქმულ სახელის ტაშს, დიდებას „ცრემლი, ღელვა და მუქარა“, მოშურნეთა სისინი რომ აემგზავრებოდა, ამასაც წინასწარ იაზრებდა: „შორით მომესმის ყრუ ტაშისცემა... მე მომდევს განთქმულ სახელის ტაში, დიდება, ცრემლი, ღელვა, მუქარა“ (მწუხარება შენზე) (2, 346).

რომანსებს, ყვავილებზე ტრაფარეტულ სიმღერას კი არა, „სიყვარულის სიმღერას“, საღვთო სიყვარულის, რელიგიური პრობლემების, ერის სულიერების მსახური პოეზიის უპირატესობის აზრს ნერგავდა და ამაშიც შეუმცდარი იყო მისი გენია („რა დროს რომანსეროა) (2, 355).

გალაკტიონმა აღმოაჩინა ათეიზმის ეპოქისთვის „ჯერ ყველასაგან მიუკვლეველი სიყვარული“ (ლმერთი) „მთელი სამყარო“ – ანუ მარადიული, საკაცობრიო, სულის მზრდელი ინტონაციები (დადგა აგვისტო) (2, 380).

პოეტმა იპოვა „მზის სათავე“ (ლმერთი) (აუჩქარა ცხენმა გზაში) (2,411), მაგრამ ისიც განჭვრიტა, რომ მისი ჰუნეს გზებს გალაკტიონის თანამედროვეობა ბოლომდე ვერ გაიცნობიერებდა, თუმცა მარადიულად დაიმსახურებდა სიტყვის ოსტატის აღმოჩენები ყურადღებას: „....ამ სიჩუმეში ვინ დათვალოს გზანი, ჰუნენი? აქ წარსულშიც და მომავალშიაც შეჩერდებიან საუკუნენი“ (მთვარი ჭაში) (2,414).

როგორც ქრისტე ამაღლდა და წავიდა გალილეას, ასევე გალაკტიონს ამაღლების ადგილად მთაწმინდა ეიმედებოდა (დღეს მაისი (2,207).

მზიდან მოვლენილი პოეტი „ცეცხლიან აზარფეშებით“ სვამდა მზის (ლმერთის) სადღეგრძელოს (შემოდგომაა) (2,253).

ლმერთის რჩეულს, ემოსა „სამოსელი ბრწყინვალების და გამარჯვების“, იგი „მსოფლიო ღელვებს“ დამშვიდებით გადასცეროდა (რა დამშვიდებით გადავცერი მსოფლიო ღელვებს (2,267).

თვითდაჯერების საფუძველი მართლაც ჰქონდა პოეტების მეფეს და ამიტომაც აცხადებდა: „....და იშვიათად თუ მობრწყინდება სხვა საუკუნე გალაკტიონის“ (ცისფერი) (2,341).

„სილაჟვარდეში“ იწინასწარმეტყველა, რომ უღმერთო ეპოქის შვილს განსასვენებელი ზიარება, ლმერთის ხსენება არ მიუწევდა (4,248).

მაგრამ რწმენის გადარჩენის მანც სჯეროდა მომავლის-თვის (არ დაღუპულა) (2,246).

თავისი პოეტური სერობების სამომავლო მნიშვნელობაზე, სიძნელეზე, უკეთურობაზე და იუდას „ერთგულებაზე“ (ანუ დალატზე, გაცემაზე) აკეთებდა აქცენტს გალაკტიონი ლექსში „ო, მეგობრებო“ (4,30), მაგრამ ისევე, როგორც ქრისტეს, გალაკტიონსაც იუდამ ვერაფერი დააკლო. არც მაშინ ცდებოდა გალაკტიონი, როცა ბენელში ალიონის მოვლინებად თვლიდა თავისი სულის საუნჯეს და არაჩეულებრივ სითამა-მესაც ამჟღავნებდა: „იგი ბენელ ქიმერებში მიყურებდა ალიონს, არავის არ შეეძლო ასე გათამამება“ (ბნელ ქიმერებში) (4,32).

არც ამ სიტყვების სისწორეში შეიძლება ეჭვის შეტანა: „არცერთ ეპოქას არ აქვს უფლება გაესაუბროს ჩემსას თამა-მად“ (4,62).

„მომავლის თვალით“ ხედავდა პოეტი თავის გაკვალულ გზებს: „...და მომავლის თვალი შვების გრძნობით ჭვრეტდა გამალებით... ვლიდა დროშა თაობათა – გზით, ჩვენ მიერ გაკვალულით“ (გზით, ჩვენ მიერ გაკვალულით) (8,188).

პოეტის რაში „მარადისის რაშია“ (საუპარი ტალღებთან (8,227), ხოლო „უკვდავების ძახილი“ „დროთ საზღვარს იქით“ უხმობს (შემოდგომა) (4,37).

გალაკტიონს სჯეროდა თავისი „შორი გაზაფხულის“ (სი-ნამდვილეში ოცნებისას) (8,37).

მის შემოქმედებაში ცოცხლდება მიწით გმობილი წინას-წარმეტყველი“ (შორი ალერსი) (4,97).

პოეტების მეფემ სულის თვალით იხილა მარადისობა, უკვდავი, მარადიული მშვენიერება (მახსოვს) (2,101,102), მუდმივი, დაუჭკნობელი სილამაზის მხარე, კაცთა ოხვრას განრიდებულმა „იდუმალ-მარადიული“ დალანდა (ცად აზი-დულა, ვით მარმარილო) (4,106) „წმინდა, შორ ქვეყანაში“ ან-გელოზთა ციური ნანა“ მოისმინა (4,125).

უფლის „თანამგრძნობი და კეთილი ჩრდილის“ ხილვამ გმირად აქცია, პოეზიის სასწაულებს აზიარა (მახსოვს) (4,113).

პოეტმა წაიკითხა „არყოფნის წიგნი“, „ყოფნის წიგნი“ გადაშალა (დღეთა გარდასულთა) (4,19).

ლანდივით იხილა „ბეჭდის თვალში მოლები, მოტეხილი ზაფხული და ოხვრის პაროლები („დომინო“) (4,209).

ბეჭედი მარიამ ლვისმშობლის სიმბოლოა.

სიცოცხლეშივე თავისი დიდების „ახალ ელვარებას“ შეიგრძნობდა (ლანდი), „ხვალის ტფილი დღე“ სხვა, ახალ დიდებას ჰპირდებოდა: „შენ გევედრები ხვალის ტფილო დღევ, ვიცი, სხვა ახალ დიდებაში მხვევ. მიუშუქე სულს, მიუშუქე ზეგს, გაეხმაურო იმ დიდების ძეგლს“ (რაც იფნიბალმა განვიცადე დღეს“).

პოეტის გული იყო „მოუსყიდველი, მომავალის შემგრძნობი სვეტის“ (1950).

ეიმედებოდა მშვიდობის წიგნისა და მშვიდობის გზის მარადიულობა: „...სამშობლოს წინ ყოველ ვალთა მოხდის, მშვიდობის წიგნს გვირგვინს ვერგინ მოხდის, მშვიდობის გზა რომ ოდესმე მოკვდეს, არა, ეს არ შეიძლება მოხდეს“ (ყველაფერი შეიძლება მოხდეს).

ამაღლების საწინდარია რწმენა, გულის და სინდისის განწმენდა, ღმერთი – „სიმართლის კანდელი“: „...იმ მწვერვალისკენ მივყავარ ბინდის მხოლოდ და მხოლოდ გულსა და სინდისს... მივყავარ მხოლოდ სიმართლის კანდელს“ (ფიჭვი ბიჭვინთის) (8,380)

„მომავლის აქლერებით“ (ბარათაშვილი) არის ცნობილი გალაკტიონის პოეზია, ის არის „მოუსყიდველი, მომავალის შემგრძნობი სვეტის“ (1950).

ჭეშმარიტი სიტყვა პოეტის ძეგლია, არტილერიებით თუ ატომებით დაუმარცხებელი, როგორც გალაკტიონის ცხრა ტომი: „ძეგლად აღვმართე ჩემი ცხრა ტომი, წიგნთ შორის არ

ჰყავს მათ თანატოლი და მათ გინდ უცხო, გინდ თანატომი, ვერავითარი ვერ სძლევს ატომი“ (ცხრა ტომი).

„მამულის თვალი“ ჭვრეტს პოეტის გაკვალულ გზებს, როგორც უცდომელს, რომელსაც თაობები მიჰყვებიან: „...და მამულის თვალი შევების გრძნობით ჭვრეტდა გამალებით... ვლიდა დროშა თაობათა გზით, ჩვენ მიერ გაკვალულით“ (წიგნი).

პარნასისკენ დაუღალავი სვლა, უკვდავთა შორის დამკვიდრება იყო საბოლოო მიზანი: „...უკვდავებისკენ ნავით მივქრივარ ისე, ვით წინათ მივქროდი მერნით. არ დაცხრნენ ჩანგის მიმოქდერანი, არ დაქანცულა ჩემი მერანი, პარნასისაკენ ნავა ტივტივით“ (ნავით უკვდავებისკენ).

„დროთ საზღვარს იქით“, ბედს იქით“, ანუ ჩვეულებრივ-თათვის დაწესებული საზღვრის იქით გაღწევისათვის გახარჯული ტიტანური გულისხმევის წყალობით „მომავლის მზის სხივების“ ბრწყინვალებას შეიგრძნობდა პოეტი (ავრორა).

წმინდა მამების აზრით, სიწმინდისათვის უნდა ვიღვანოთ. ცოდვილი მინა ზეცად უნდა ვაქციოთ და ნათელმოსილნი გარდაცვალების შემდეგ მიწად კი არა, ზეცად იქცევიან. გალაკტიონი დარწმუნებული იყო, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი სული მარადიულ სიმაღლეში, მშობლიურ ცაზე დაივანებდა შუქის სახით: „...შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის, როს შუქად მშობლიურ ცას შეეშენები“ (დრო) (2,293).

ასევე ჭვრეტდა წინასწარ ამქევეყნიური ჯვარცმის საფასურს, სააქაოს დატოვების შემდეგ მშობლიურ მთებზე ამართულ თავის „ცისფერ და ნამთვრალევ“ ძეგლს: „ანგელოსები მას შეაფარდებს ქრისტეს, რომელიც ჯვარზე გაკრულა და ცაკივილით დაუშვებს ფარდებს ამ სააქაოს წყევლად და კრულვად. ჩამოისვენებს ბრძოლის დალევით ქვეყნის სიშავე ნისლიან ფრთებზე, ძეგლი ცისფერი და ნამთვრალები აიმართება მშობლიურ მთებზე“ (ცისფერი) (2,305).

პოეტი მეზღაურია, მენავე, ზღვის, მოგზაურთა, ხმაურისა თუ აურზაურის უტყუარად მცნობი: „ზღვას და მეზღვა-

ურს, მოგზაურთ ხმაურს და აურზაურს ვიცნობ ზეპირად“ (მორს იალქენები ჩანან) (2, 401.).

ზღვის გადალახვა ბიბლიაში ცოდვებზე ამაღლებას მოასწავებს. ქრისტე თავისუფლად აწყნარებდა ზღვას და ქარს. ხოლო „მცირედმორნმუნე“ პეტრემ როცა ზღვაზე სიარული მოინდომა, ჩაძირვა იწყო.

გალაკტიონის იდეალია „ლაუვარდოვან ფრთების მქონე“, „შუა ზღვაზე“ გადამყვანი სიმღერები, ანუ ისეთი პოეზია, რომელიც „ხმათ აიაზმით“ განკურნავს სულს და ყოველგვარ უკეთურობაზე აამაღლებს, ზღვაზე გადალახვის (ცოდვებზე ამაღლების) ძალით აღჭურვილი რომ იქნება: „...გევედრები, გამაგონე, ის, სიმღერა, მე რომ მიყვარს, ლაუვარდოვან ფრთების მქონე, შუა ზღვად რომ გადამიყვანს“ (ოდეს მძიმე რამე დარდი).

პოეტი მიისწრაფოდა „ნუგეშისკენ“ (ნუგეში, ნუგეში-მცემელი საღვთო სახელია) და უზენაესს მადლობას აღუვლენდა ნუგეშის გზაზე მოარული: გმადლობ, ნუგეშო, შენს გზაზე რომ დავიარები (სხვაგან სადაა).

გზაჯვარედინზე სასოწარკვეთით მდგარს, უფლის „თანამ-გრძნობი და კეთილი ჩრდილის“ მოვლინება გმირად აქცევდა, ჯადოსნურ, ზღაპრულ ჰააგონებდა (მახსოვს) (4, 113).

ლექსში „ო, ქვეყნიურო სამოთხე“ ისევ პოეტის ნარმატებების მიზეზებზე კეთდება აქცენტი: „...ვით გშვენის პატიოსნება, ეს დიდი, ეს საამო დღე, ო, მშვენიერო ოცნება, ო, ქვეყნიურო სამოთხე!“ (2,431).

„დიდი დღე“ სამყაროს შემქმნელი ღმერთის სახელია (დანიელი, 7,9) (6,255).

„...ქვეყნიური სამოთხე“ – მარიამია (7,124) ე.ი. ისევ რელიგიურობაა წინა პლანზე.

გალაკტიონს სჯეროდა, რომ ყოველი პოეტის ნაღვანი განიკითხებოდა: „მინდა პოეტებს ვუთხრა გარეშეს, გადმოხეთქილი ზარად, ზათქებად, ჯერ არ დამდგარა დრო ანგარი-

შის, მაგრამ დრო იგი მალე დადგება“ (მინდა პოეტებს ვუთ-სრა გარეშეს) (8,438).

გალაკტიონი არ იზიარებდა სოციალისტური რეალიზმის ყალბ ორიენტირებს, რაც უპირველესად წყობილების, ხელი-სუფლების აგიტაცია-პროპაგანდაში, ღმერთის უარყოფასა და ახალი, მიწიერი კერპების აღმოჩენა-განდიდებაში, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების უცდომელ ჭეშმარიტებად გამოცხადებაში ვლინდებოდა.

პოეტების მეფე მხოლოდ ღმერთის, რწმენის მონა იყო: „თუ მონა ხარ, მონა ისევ საკუთარი რწმენის“ („იდეა“).

დღეს, როცა სასაცილოდ უღერს გალაკტიონის სოციალიზმის მეხოტბეობა – მომღერლობის მითი, აშკარაა, რომ პოეტი სწორი გეზის პოვნამ გადაარჩინა დავიწყებას.

სწორი გეზი კი რელიგიურობა, რწმენის ერთგულება იყო: „გულში უღერს რა ხანია სიყვარულის სიმღერა, როგორც ერთადერთი ხსნა, ერთადერთი იმედი“ (ილიას მოტივი).

ღმერთი სიყვარულია (იოანე, I, 4,8).

„სიყვარულის სიმღერა“ რელიგიური ლირიკაა.

„ესაია წინასწარმეტყველი ამბობდა: „ვუმღერებ ჩემს შეყვარებულს სიყვარულის სიმღერას მის ვენახზე“ (6, 76), შეყვარებული, სატრფო – ღმერთია, ვენახი – ებრაელი ხალხი.

გალაკტიონის „შორეული სატრფო“ ღმერთის სახელია. უზენაესს მიემართება მისი მხატვრული სიტყვის ძალისხმევა უპირველესად, ასევე ღმერთს – სამშობლოს და ღმერთის სახედ და ხატად შექმნილ ადამიანს.

პოეტების მეფის შემოქმედებაში ღმერთის ერთ-ერთი სიმბოლური სახელია წიგნი, მშვიდობის წიგნი, რომელიც გარანტია ამაღლების, გადარჩენის, მომავალში გაღწევის: „...ვიდგეთ გარეთ და შიგნით მხოლოდ მშვიდობის წიგნით... კვლავ ვიწევთ მაღლა, მაღლა მხოლოდ მშვიდობის წიგნით. შევხვდით მომავლის ხალისს მხოლოდ მშვიდობის წიგნით!“ (სადაც არ უნდა ვიქნეთ) (335,3).

წიგნთან ერთად, გზაც საღმრთო სახელია: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება, სიცოცხლე“ (იოანე, 14,6) (5,211).

ლექსში „მე მივდიოდი ერთი“ უცდომლად განჭვრიტა გალაკტიონმა საკუთარი პოეტური გზა, თავისი გავლენა თანამედროვეებზე, ჯერ ერთიდან შვიდამდე, მერე კი ათასამდე და მილიონებამდე გაზარდა ოსტატ-შეგირდების, თანამედროვეებისა და მიმდევრების რიცხვი.

გალაკტიონის ძიება იწყებოდა ასოდან, რიცხვებიდან, საგნებიდან. იგი ეძებდა „ბგერა-ბგერა, საგან-საგან“.

„ასოსა და რიცხვის ზღვარზე ყოფნა ცხოვრების ძირამდე მისვლას ნიშნავს და ასოებსა და რიცხვებში ჰარმონიულად განვითარებული ადამიანები ახდენენ აღმოჩენებს“ (10,4)

პოეტს, „მომავლის მზის სხივები კანდელივით დაჰქათქათებას“ (ავრორა) ანუ მომავალ პოეტურ დიდებას აწმყოდანვე შეიგრძნობს.

„ქვეყნად ყოველი არსის სულის მეუფე“ პოეტს თავისი მზე ამოჰყავს ცაზე, იგი თვით არის „ახალი მზე, ალიონი, გათენება“.

მისი „მომავლის მზე, ხვალის მზიანი დღე, შუადლის ბრწყინვალება სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი პოეზიის რენესანსულობის შეგნება.

იგი შეჰქარის „მომავალს მზიანს, ... უსივრცოდ მზიანს“.

პოეტის სულში „არა ერთი და ორი“ ვარსკვლავი ანთია გენიალური გასხივოსნების, ინტელექტუალური და ინტუიციური წვდომის, ნათელმხილველობის მაუნტებელი: „არა ერთი და ორი, არა ორი და სამი, მახსოვს ვარსკვლავი შორი და განათების წამი“ (არა ერთი და ორი).

დემონზე უბოროტესი სული ფიქრთა უმრავლესი ვარსკვლავის აელვარებით მარცხდება (ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა).

წინასწარმეტყველური გამოდგა გალაკტიონის სიტყვები: „მე კი ჩემი დამიფარავს მთანმინდა“ (დღეს მაისი).

მადლიერმა ქართველმა ხალხმა მთაწმინდის მთვარის უკვდავმყოფელს სამუდამო ადგილი მიუჩინა ჩვენს პოეზიაში.

სამშობლოსთან, ბუნებასთან, ქართველის მაჯასთან მიყურადებული გული აძლევდა პოეტს წინაგრძნობის, წინასწარმეტყველების ძალას: „მე მშობლიური არაგვი მირჩევს წინასწარ ვიგრძნო, ვიცოდე მარად, ქართველის გული თუ რის-თვის ირჩევს ომში სიცოცხლე ჩათვალოს არად“ (მე კავკასიის ქედები მთხოვენ) (5,631).

პოეტისთვის ძიებაში მთავარი იყო „მზის სათავის“ (მზე საღვთო სახელია) პოვნა, როგორც გამარჯვების გარანტის: „ნაპოვნია მზის სათავე“ (აურქარა ცხენმა გზაში) (2,411).

გრძნობდა სულის ანთებას: „სულო, შენ გაალდები!“ (თენდება), „სულის ხმოვნებას ლოცვის სიმხურვალეში“, ენატ-რებოდა „ანთების წამი“, „ცეცხლისტოტება წამი“, განათების წამი“, ანუ „უხილავის“, „მომავლის ჩრდილის“ მოხელთება.

ხილვა, ხსოვნა, წარსულის და მომავლის უცდომელი ჭვრეტის, მომავლის გაგების საწინდარია.

„რუსთაველი მახსოვს ბავშვი, ოცნებობდა ოქროს ნავში, მიცქეროდა და თან თრთოდა, ვით ფოთოლი თრთის ნიავში“ (მთვარის ნაამბობიდან) (5, 603) ღრმააზროვანი განაცხადია ისევე, როგორც „მე შოთას ვიცნობ ძალიან კარგად, როგორც თეთრს შავში (თენდება, გათენდა) (3,712).

რუსთაველის სამყაროს, მისი პიროვნული თავისებურებების ცნობა დიდი სტიმულია სულის გზაზე, რათა გათავისებულ იქნეს დიდი წინაპრის პოზიტიური ნააზრევი, მოხდეს ახალი გზების განჭვრეტა და არა მისი ნააზრევის გამეორება-გადამდერება.

გალაკტიონის უმთავრესი ესთეტიკური პრინციპებია გა-მოგონება, აღმოჩენა, შექმნა.

მისთვის „თვითეული პოეტი გამომგონებელია“.

„მშვენიერებით ვიპოვე უცხო წალკოტი და ბინა“ – (მშვენიერებით ვიპოვე) (4,46), აცხადებდა უმაღლეს მშვენიერებას-თან და უკვდავებასთან წილნაყარი პოეტი.

წინაგრძნობის მუხტს, ინფორმაციის შემკრებს პოეტი-სათვის ბუნება, მთა თუ ხეხილი წარმოადგენდა: „...ქვეყნად ბნელოდა, მთა მოიკუპრა, წინათგრძნობებით თრთოდა ხეხილი“ (ზღვა-ზღვა, მთა-მთა) (1,353).

აღმოჩენაა დიდი შემოქმედება. პოეტი ამბობს: „ჯერ ყველასგან მიუკვლეველი აღმოვაჩინე მე სიყვარული“ (დადგა აგვისტო) (2,380). ეს იყო თანამედროვეთაგან დავიწყებული საღვთო სიყვარულის აღმოჩენა.

ინსტინქტი, ინტუიცია კარნახობდა ხილულის მიღმა ეძებნა მოსალოდნელი მოვლენები: „საათო, მესმის შენი ტიკ-ტიკი, მას რაღაცა სურს სთქვას... მოგონებებს ვსდევ და ინსტინქტი კი მეუბნება სხვას“ (საათი) (2,499).

გალაკტიონის დევიზი იყო შეექმნა „უახლესი გრძნობის ისტორია“..

მისი მიზანი იყო განახლება, ხმათა აღმორძინება, ახალი კართაგენის აღმართვა (918) სიყვარულით აშენებული კოშკის დაცვა (კოშკი).

„უეცარი ქალაქის“ აღდგენა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში მარიამისადმი რწმენის განმტკიცებას უნდა გულის-ხმობდეს, რადგან ქალაქი მარიამის სიმბოლური სახელია (9,124).

გალაკტიონი პოეზიას სულინმინდის მაღლად მიიჩნევდა, ხოლო შემწედ ეგულებოდა მზე (ღმერთი), ღრუბლები (მარიამი). რწმენა ერთ ცხოვრებაში ათასი წლის შესაძლებლობებს ანიჭებდა, ხოლო იდუმალი ხმა დილის ძედ სახავდა: „... აგერ მზის ამომთოვრება, მაღლა ღრუბლების გარდავლა, მან ერთი ჩემი ცხოვრება ათას წელს გადაამრავლა... გადაამრავლა უმალი მსგავსი წეუთისა, ჩრდილისა და მესმის ხმა იდუმალი: „წამოდექ, ძეო დილისა“ (ნიავი, ია, ნარგიზი) (1,571).

გალაკტიონს აინტერესებდა მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის მიმართება მსოფლიოსთან, ამ პრობლემას თავისი შემოქმედების მაგალითზე მოიაზრებდა და ხაზს უსვამდა თავის ერთადერთობას, მსოფლიოს პოეტურ გლობუსზე ახალი მერიდიანის გავლებას (ეფემერა).

პლანეტარული ქაოსის გამომხატველი, „მომავალ საუკუნეთა „დღესასწაულზე“ ჭვრეტდა საკუთარ პოეზიას (წერილი „პოეზია უპირველეს ყოვლისა“).

გალაკტიონის უსახლო, უნავთსაყუდლო სულმა მოიარა მინის კალთა, ეს ბედისწერა იყო, რადგან, მისივე თქმით, პოეტი არის „მსოფლიო ძალა უგეში“ (პოემა ვეფხვისა), მაგრამ ანუებდა „საზღვარი, რომელშიც კაცობრიობაა მომწყველეული“.

საკუთარი უტყუარი დიდების განცდით არის სავსე გალაკტიონის პოეზია.

პოემა „მშვიდობის წიგნი“ „მნათობმა“ დაუწუნა და დაბეჭდვის ღირსადაც არ სცნო, გალაკტიონი კი მის „მსოფლიო სახელზე“ ოცნებობდა: „მანქანაზე გადაბეჭდილი წიგნი, რომელიც მსოფლიო სახელს მოიპოვებს“.

დღეს აშკარაა ამ ნაწარმოების სიდიადე.

მსოფლიო წონის პოეტებად სამართლიანად ესახებოდა წინაპარი კლასიკოსები, თავის თავთან ერთად: „მენს შვიდ მგონანს სახალხოს, შვიდს – დაფნისგვირგვინიანს, რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ილიას, აკაკისა და ვაჟას – დროშებს ვარდყვავილიანს ვუწვდი: მთელი მსოფლიოს ნახევარი ჩვენია!“

„საკუთარ ძლიერ სიმღერის გრძნობამ“ ათქმევინა ჯერ კიდევ სიჭაბუკეში: „მე მთელ დედამინას დუელში ვიწვევ!“

არც ეს ჩანაწერი აღმოჩნდა საფუძველს მოკლებული: „გალაკტიონოლოგია ისეთი დარგია, რომლითაც უნდა დაინტერესდეს მთელი მსოფლიო“.

ფუჭი ამბიციურობის შემდეგი როდია ეს თვითდაჯერებული განაცხადი: „შორს არ არის ის დრო, როცა კვლავ იგრიალებენ გაზეთები, ქუჩები, თეატრები. ამ ხმას აჰყვება მსოფლიო. გაუმარჯოს მსოფლიო რეზონანსს!“

მსოფლიო პოეტურ პროცესებში ღრმად ჩახედული დი-დი კონსტანტინე გამსახურდია პრძანებდა: „მე ასე თუ ისე ვიცნობ მსოფლიო პოეზიას და უნდა მოგახსენოთ: გალაკტი-ონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც ჩვენს ქვეყანას და არც ჩვენ პლანეტას არ მოეპოვება“.

ასე ფიქრობენ ის შემოქმედნი, რომელთა მზერა შურს ვერ დაუბინდავს: „მეოცე საუკუნის მსოფლიოში არ არსებობს გალაკტიონზე დიდი პოეტი (ტოლფასოვანი-კი)“ –მუხრან მა-ჭავარიანი.

„მეოცე საუკუნის ჩვენი პლანეტის სულ ათიოდე ელვა-რე პოეტურ სახელთა შორის, რომელთაც აამაღლეს და დაამ-შვენეს ჩვენი დრო, ერთი სახელი ქართულია – გალაკტიონ ტაბიძე“ (ირაკლი აბაშიძე).

ვახტანგ ჯავახაძე ასე განტვრეტს გალაკტიონის პოეზი-ის მაშტაბურობას: „იგი ლაპარაკობდა, როგორც კაცობრიო-ბის შვილი, როგორც პლანეტის მოქალაქე“ („უცნობი“, 1984წ. გვ. 573).

აი, როგორ აფასებენ პოეტების მეფეს“: „გალაკტიონის დაბადების დღიდან დედამიწის ზურგზე მისი სიმაღლის პო-ეტს არ გაუვლია,“ წერდა ნოდარ დუმბაძე.

„მოვა დრო, როცა კაცობრიობა გალაკტიონ ტაბიძეს გე-ნიალურ პოეტად აღიარებს“ (გურამ ასათიანი).

„ჩვენი დროის ყველაზე დიდ პოეტად მე ვთვლი გალაკ-ტიონ ტაბიძეს“ (ბულატ ოყუჯავა).

მერაბ კოსტავას აზრით, სამყაროს შემცნობი პოეტი თა-ვად არის კოსმოსი: „გაიერთსახე, რაიც დაჰყავი, როცა სამყა-რო საცნაურ ჰყავი, როს სულის წრთობას ხელი მიჰყავი, რადგან კოსმოსი თავად იყავი“.

მხოლოდ მესიური მასშტაბები, მაკროკოსმიური კაცი, ზოდიაქალური ველები, სივრცეებს მიღმა სივრცეები იხილვე-ბა გალაკტიონის პოეზიაში: „გრძნობდი მასშტაბებს მხოლოდ მესიურს, ქმნადობის ცეცხლით ატაცებული... მაკროკოსმიურ გადიქეც კაცად... დროის და სივრცის დაჰყარგე განცდა, ზო-

დიაქალურს მოედე ველებს. სივრცეებს მიღმა სივრცეს ეძებდი, კოსმოსში გსურდა დარჩენა კვლავაც, სულს სხეულის-თვის ვერ იძეტებდი, გარდუვალობას შეჰვრენდი ავად“ (მერაბ კოსტავა, გალაკტიონი, გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, ქუთაისი, 1996წ. №4 (13 გვ. 5).

დევი სტურუა, ადარებს რა ერთმანეთის გიორგი ლეონიძეს და გალაკტიონ ტაბიძეს, გიორგის „მიწიერ ანთეოსს“ უწოდებს, გალაკტიონს – „კოსმიურ ტიტანს“.

სხვა პრობლემა და ცალკე კვლევის თემაა კოსმიური მუსიკის, კოსმიური ჰარმონიის, საღვთო მუსიკის მოსმენა – გათავისება გალაკტიონის მიერ, რაც რჩეულთა შორის რჩეულის ხვედრია.

## დამოწმებანი

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. 2, თბ., 1994
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977
3. პოლ ვალერი, რჩეული პროზა, თბ., 1983
4. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1993
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
6. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990
7. საპატრიარქოს უწყებანი, 12 (498), 9 აპრილი, 2009
8. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. 3, თბ., 1993
9. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995
10. აპოლონ უორდანია, დრო და თანამედროვენი, თბ., 1985

## წინასწარმტკვრები და წინათმგრძნობი მერაბ კოსტავა

მერაბ კოსტავა ეზიარა საღვთო სიბრძნეს, საღვთო სიყვარულს, მას მომადლებული ჰქონდა სულიერი თვალი, სულიერი ხედვა, ესმოდა სფეროთა ქნარის უღერა, ნათელზილვისა და ნათელსმენის ფენომენებით შეეძლო გაელნია ვარსკვლავებს მიღმა, ეხილა სხვისთვის უხილავი, ესმინა „კოსმოსის სუნთქვა“, განეჭვრიტა წარსული, აწმყო, მომავალი.

მერაბ კოსტავას პოეზიაში დასმულია ყველა დროის-თვის აქტუალური ეროვნული თუ საკაცობრიო პრობლემები.

„რელიგიის ზედაშეს“ დაწაფებულ პოეტს გამოარჩევდა „საღვთო სინედლე“, „გული საუფლო“, „ციური ჭვრეტა, ციურთა თვალები“, „ზეციური მხედველობა“, საღვთო პანგი, ზეცის ზნეობა, ის მართლაც იყო „ხატი ღვთისა“, „საღვთო ზვარაკი“, „უმაღლესი მისანი“.

უმაღლესი პარამეტრებით, ზეციური, უცდომელი გადასახედიდან აფასებდა მოვლენებს, ქმნიდა ისტორიას ცისა და მიწის, ზომავდა „სულეთის სიღრმეს“.

მერაბ კოსტავას შემოქმედების უმთავრესი პრობლემაა ქრისტიანული რწმენისა და სახისმეტყველების საკითხები. მისი ფილოსოფიური ლირიკა წარმოადგენს სოფლისა და ზესთა-სოფლის, სიცოცხლისა და სიკუდილის, ბიბლიური პარადიგმების გამოყენებით მიწისა და ცის, სიკეთისა და პოროტების, ხორცისა და სულის საიდუმლოებათა უცდომელი გათავისების ნიმუშს, ადამიანურის არსის ამოხსნას, მისი დანიშნულების დაუცხრომელ ძიებას, „სიქველის ნათელით“ სულის ხსნის გზების ჩვენებას, სულის ზრდას ემსახურება მისი პოეზია.

მერაბ კოსტავას ლირიკის პერსონაჟი „მსოფლიო კაცია“, მთელი კაცობრიობის სატკივრების დამტევვა, პლანეტის ბედზე ჩაფიქრებული და, ამავე დროს, საკუთარი ერის, თვისტომის ადგილის მაძიებელი მიწაზე თუ ზეცაში, მიწიერ პლანეტაზე თუ კოსმოსში: „საქმეა იქცე მსოფლიო კაცად და არ უმუხლო ერსა და თვისტომს, ცის მაღალ ყელზე ვარ-

სკვლავთა აცმას ჰმატო ზურმუხტი და ამეთვისტო“ (ტანჯვა-თა ტიტანი) (1,16-19).

მერაბ კოსტავა საქართველოს თანამდევი მარადიული სულია, პრეისტორიდან მომავალი, მერმისის გზებს ადევნებული და ერის უკვდავებისთვის მლოცველი.

სულიერი ჭვრეტა, გონის თვალის ახელა, გულთა სმენა მას საშუალებას აძლევდა გაელწია მოვლენების მიღმა, საცნაურ ეყო ხილული, არსებული, უხილავი და განესაზღვრა მომავლისთვის განკუთვნილი სასიცოცხლო იმპულსები.

რამდენად შესაძლებელია ადამიანისთვის ხილულის მიღმა არსებულის დანახვა, მომავლის განჭვრეტა?

ბიბლიაში ორგვარ სიბრძნეზე კეთდება აქცენტი: მიწიერზე, წარმავალზე, ხილულზე, მატერიალურზე, ეშმაკეულზე და მარადიულზე, ღვთისგან მოცემულ „სულიერ სიბრძნეზე“ (ბარუქ წინასწარმეტყველი, პავლე მოციქული).

მაგრამ ბიბლიაშივე გვხვდება დაეჭვება ადამიანურ ცოდნაზე: „ბრიყვია ყოველი კაცი თავისი ცოდნით“ (იერემია, 51,17) (2,177).

პავლე მოციქული საუბრობს წუთისოფლის სიბრძნის ამაოებაზე...

არსებობს ჭეშმარიტი, სულიერი, წმინდა, სამართლიანი სიბრძნე, რაც „უფალმა მხოლოდ ღვთისმოსავებს მისცა“ (ისო ზირაქი, 44,33) (2,66).

მხოლოდ რწმენასთან, უზენაესთან წილნაყართ, სულიწმიდით მომადლებულთ ხელენიფებათ მომავლის მაუწყებელი ინფორმაციის მიღება: „როცა მოვა იგი სული ჭეშმარიტებისა, შეგიძლვებათ ყოველ ჭეშმარიტებაში. თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ იმას ილაპარაკებს, რასაც ისმენთ და მომავალს გაუწყებთ თქვენ“ (იოანე, 16,13) (3,215).

წინასწარმეტყველების უნარის მომნიჭებელია სულიწმინდა (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12,2,9-11).

მაგრამ „სულინმიდის სილრმეში წვდომის უნარი მხოლოდ მათ ხელეწიფებათ, რომლებიც გაცისკროვნდებიან უმნივრვალესი განუხრელი ღვთაებრივი ნათლის შუქით და სულის მიერ მოუზვეჭავთ სრულად აღურევნელი გონება“ (წმ. ნიკიტა სტიფატე, წმ. სვიმეონ ღვთისმეტყველის საღმრთო სიყვარულის პიმნებისათვის) (4,408).

სულინმიდის ზეციურ მადლის მიღებისთვის აუცილებელია „წმიდა მცნებათა სწავლება“ (წმ. ნილოს სინელი) (4,112).

„მხოლოდ ის, ვინც თავს შესწირავს უზენაესის რჯულის შესწავლას, გამოიძიებს წინაპართა სიბრძნე და წინასწარმეტყველებაში გაიწაფება“ (სიბრძნე ზირაქისა, 39,1) (2,62).

„ის გარდასულისა და მომავლის მაუწყებელია და დაფარულთა კვალის გამომცხადებელი“ (სიბრძნე ზირაქისა, 42,19) (2,65).

„ყოველივე უფალმა შექმნა და სიბრძნე ღვთისმოსავებს მისცა“ (სიბრძნე ზირაქისა, 43,33) (2,66).

„სულიერ ხედვას“, „სულიერ თვალს“ სჭირდება სიმდაბლე, სარწმუნოების მცნებათა სრულყოფილი ცოდნა (წ. ეპისკოპოსი ეგნატე) (5,435).

პავლე მოციქული განასხვავებდა „მიწიერ, მშვინვიერ, ეშმაკეულ სიბრძნეს“ და „მაღლიდან გარდმოვლენილ“, „წმინდა და სიბრძნეს“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 2,13).

პოეტი ეძებდა „ნარუვალ საუნჯეს“, იყო რწმენის მსახური, ერთგული დამცველი „საღვთო ზნეობის, საღვთო ეთიკის, საღვთო ადათების“. მის სულს ანათებდა „საღვთო ცეცხლი“, იყო „გაბრძნობილი მოძღვართ-მოძღვრის ზეშთაგონებით“, გამუდმებით ეწაფებოდა „რელიგიის ზედაშეს“, „სიბრძნე დაწმენდილი“ ევლინებოდა, როგორც „ნათლის სვეტი“, საწერ მაგიდას აიგივებდა „წმინდა საკურთხეველთან“.

მერაბ კოსტავასთვის ლექსი იყო „საღვთო ზვარაკი“, „საღვთო ქორწილის“ მაყარი“ (ლექსი) (1,60-61).

პოეტის შემოქმედებაში ხშირად ფიგურირებს ჭეშმარი-ტება – სულინმინდა. მასთან კი მხოლოდ ამაღლებული ზნეო-ბის ადამიანები არიან წილნანაყარი: „უდრევის ნებით ვინც წარიხოცს სურვილებს მდარეს, მუდმივი სწრაფვით მოიპო-ვებს ჭეშმარიტებას“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,91). „ჭეშმარიტებას იტყვის ორგზის ნაშობი შვილი“ (იქვე, გვ. 94).

ბიბლიას გასდევს რწმენის ყოვლის შემძლეობის აზრი (პავლე მოციქული, ეპრაელთა, თ. 11,1-34) (3,480-484).

მერაბ კოსტავა რწმენას სამყაროს მამოძრავებელ ძალად მიიჩნევდა: „რწმენამ უდრევმან შეარყიოს, შესძრას მთაბარი“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,87-104).

პოეტი ზნეობრივ სიწმინდეს მიიჩნევდა „სიბრძნის კა-რის“ გასაღებად: („იყავ უმწიკვლო, ვითა ცხოვარი“) (1,54).

ბიბლიური წინასწარმეტყველები, მოციქულები (ისო ზი-რაქი, იერემია წინასწარმეტყველი, პავლე მოციქული, იოანე მოციქული) უნდობლობას უცხადებდნენ „ხორციელ გონებას“, მაგრამ ყოველთვის იგულვებდნენ სიბრძნეს სულინმიდის ხელდასხმულთა შორის: „სიბრძნე... მყოფობს ყველა ხორცი-ელში მისი ნიჭის მიხედვით, მიმადლის იგი მის მოყვარებს“ (სიბრძნე ზირაქისა, 1,19) (2,35).

„ყოველ ჩვენგანს მოცემული აქვს მადლი ქრისტესმიერი ნიჭის ზომისაებრ“ (პავლე მოციქული, ეფესელთა, 4,7) (3,417).

დანტეს ეცოტავებოდა ჩვეულებრივთა შესაძლებლობე-ბი: „მომაკვდაგია მზერა შენი, ხედვის უნარი“, „შეძლებას, ნე-ბისყოფას კაცთაგანის ფრთხენი ასხია უთანაბრო ძალმოსილე-ბის“, „შენს მზერას თან ახლავს ზადი, შენს თვალს აკლია საკმარისი მზერის სიმძაფრე“ (6,347,361,399).

ამასთან, დანტე სულიერი თვალით ჭვრეტდა ზეციურთა სავანეს, „უზეშთაესის სათავეს“: „ვჭვრეტდი... თამამად... სი-დიადეს უფლის ბალისას“ (6,400). „...ვხედავ სათავეს, უზეშ-

თაესის მარადიულ ძალმოსილებას“ (6,361), „მე უკვე ვხედავ ფიქრების შენის აღმოცენებას“ (6,374).

ღვთისგან ხელდასხმული – დაწყე, გოეთე, ცვაიგი, დოსტოევსკი, ბლოკი, დ. გურამიშვილი, გალაკტიონი. ტ. გრანელი, ნათელმხილველები – ვანგა, ნოსტრადამუსი ხედავდნენ სულს.

არსებობს ცოდნის ორი სახე – რაციონალური და ინტუიციური. მათ შორის არ არის უფსკრული (7,24,85).

იუნგი ინტუიციას მხედველობის ველში რეალურად მოცემულს მიღმა ხედვას უწოდებდა და ტელეპატიურ ხედვას წინასწარმეტყველურ სიზმრებსაც უკავშირებდა (8,24).

მერაბ კოსტავა იზიარებდა რუდოლფ შტაინერის აზრს, რომ გრაალის ბარძიმს შეესაბამება ადამიანის ტვინის არეში არსებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი ორგანო ეპიფიზი, რომელიც ნათელხილვის ორგანოა და ადამიანის სპირიტუალურ უნარებთან არის დაკავშირებული (9,51).

XX ს. ქართულ პოეზიაში ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენებით გამოირჩინ გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი, ანა კალანდაძე. პროზაში წინაგრძნობისა და წინასწარმეტყველების საოცარი მაგალითებით სამუდამოდ დარჩინ ერის მეხსიერებაში გრ. რობაქიძე, მიხ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, ო. ჭილაძე, გ. ჩოხელი, რ. მიშველაძე.

მერაბ კოსტავა ეძებდა „წარუვალ საუნჯეს“, „ნიჭის ზომაში“ არ ეჭვობდა, ადამიანის შესაძლებლობების უსაზღვრობის აზრს უწერგავდა ბიბლიური სიბრძნე, რადგან ღვთის სახედ და ხატად შექმნილი ადამიანი დედამიწაზე ავლენდა შემოქმედების უნარს: „მხოლოდ კაცია გამართული, ლარივით სწორი, დასაპამიდან ვისაც სწყალობს სამყაროს დედა, დედამიწაზე მობინადრე არსებებს შორის, მხოლოდ მას ძალუძს მოელვარე ვარსკვლავთა ჭვრეტა. სანამ არა აქვს, იბრძვის მუდამ მოსაპოვებლად, მოიპოვებს და კვლავაც რჩება უკმაყოფილო. ვით ხატი ჩემი, სიძნელეებს არ ეპუება, მიელ-

ტვის ახალს, ნაცვლად ძველის, ნაცვლად ყოფილის“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,88-89). „ან მოსახდენის“ განსაზღვრა უზენაესის პრეროგატივაა. სულიერი თვალით მომადლებულ-თა ხვედრია მომავლისათვის თვალის მიწვდენა (1,94).

ადამიანის მიზანია „შეიცნოს თავი, უმაღლესი გახდეს მისანი“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,100), შეიცნოს „სამერმისო ერის მისია“, „იმპულსები ზეეროვნული“, შეძლოს „ჭეშმარიტების... ჭვრეტა“ (შიმშილობა) (1,133).

„ყოვლისმხედველი“ ღმერთია (10,335).

„ღმერთი ჭვრეტს ყოველივეს თავისი საღვთო, ყოვლის-მხედველი და უნივთო მზერით, აწმყოსაც, წარსულსაც და მომავალსაც“ (10,342).

მერაბ კოსტავას პოეზიაში მთავარია „ჭეშმარიტების ჭვრეტა“ (შიმშილობა) (1,133).

თითქოს „ციერთა თვალები“, „ციური ჭვრეტა“ მიემად-ლებინა განგებას: „...სად სული ზღვებს მიელალება, ღმერთებმა მინაზე სამსხვერპლოს გულიდან აგასხეს ციერთა თვალებად“ (შეხვედრა) (1,56).

მერაბ კოსტავას პოეზიაში ყურადღებას იქცევს „ციური ჭვრეტა“, „გონის თვალის“ ახელა, „უცდომლის“ მზერა, ზეცის მადლი, „მომავლის გეზი“: „დასანახავად უცდომელი გასხედს თვალებში, შენშია უკვე ზეცის მადლი, რაც გადმოსჩქეფდა. ან დასაპყრობად მოგელიან სხვა მწვერვალები, მომავალს განდობ შესამოსად შეუმოსველთა“ (ბიბლიური რემინისცენციები) 1,94).

რწმენისა და ცოდნის შემწედ, „სიბრძნის დედად“ სრულყოფილი თვალი ეგულებოდა: „...სანთლად გუამისა სრულყოფილი მოგმადლოთ თვალი, უთვალოდ სმენა სამარცხვინო შიშია მხოლოდ, მხოლოდ მახვილი თვალი გახლავთ დამძლევი შიშის, რამდენად ხედავ, იმდენადვე სწვდები და ბედავ, რადგან თვალია გამორჩევის და სიბრძნის დედა. ის რწმენას ძლიერს შარავანდედს ცოდნისას ადგამს“.

მშვენიერების, სიყვარულის წარმომჩენი და საგალობე-ლი თვალია: „...თუკი სამყარო უმთავრესად მზერას უგა-ლობს, სახეობათა და ფორმათა უწყვეტ თარეშში, მშვენიერე-ბაც არ არსებობს მაშინ უთვალოდ, თვით სიყვარული არ არ-სებობს თვალის გარეშე“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,87-88).

გონების, შემოქმედების დასაყრდენი თვალია, „აზრების სთველის“ მომწევი თვალია: „რომლისა თვალმან მოკრიბოს აზრების სთველი, ის ეზიაროს ჩემს იდუმალ შემოქმედებას. ფორმების ჭვრეტა, აღტაცება იმათგან წრფელი, მის ნათელ მზერას სამუდამოდ დაებედება“ (1,90).

ბიბლიურ წინასწარმეტყველთა დარად, მერაბ კოსტავას სწამდა, რომ განგების მიერ „სიბილნესთან შეურევნელი გულშეუძრავთა, პირუთვნელთა ჭვრეტის უნარი“ მხოლოდ უმწიკვლო სულის ადამიანთ მიემადლებოდათ (ბიბლიური რე-მინისცენციები) (1,101).

პოეტი ლვთის ხატად ქმნილ სულს აღაპყრობდა დაფა-რულის მხილველისკენ – ლმერთისკენ და ეიმედებოდა, რომ დამსახურებულს მიუზღავდა უზენაესი: „სული მარტვილი აღ-ვაპყარ შენდა, ოდითგან ქმნილ შენეულ ხატად, გულის სიღ-რმეში დაფარულს ხედავ, დაფარულთათვის მომაგებ ცხადად“ (შენ გევედრები სულით გლახავი) (1,26).

პოეტის ზეცისკენ მზირალი სულის თვალი ჭვრეტდა უზენაეს მეუფეს: „სულო... ადევნებიხარ ცაში კომეტებს, ზევ-სთან შეკრული ზავით, სჭვრეტ მეუფებას ოქროს ტახტიანს, მნათობთა ბადეს გაშლილს, განგებას შენთვის დაურახტია ცეცხლის მფრქვეველი რაში“ (სულო, დაიცა) (1,40).

„ზოდიაქალურ ველებზე“ იყო მისი ასპარეზი.

ხილვა, გულთა სმენა, განსჯა, წვდომა უზეშთაესისგან ხელდასხმული მიემადლებათ: „ხილვას დაგანძავს თვალთ მო-ნაგარი და გულთა სმენას წვდომა განსჯისა, ყოველი არსი

სად მონა არის უზეშთაესის მფეთქავ მაჯისა“ (სფინქსი) (1,76-77).

სიბრძნე „ნათლის სვეტის“ სახით ევლინებოდა (ბიბლიუ-რი რემინისცენციები) (1,101).

ჭვრეტდა „მზიან ღამეს“, „შუალამის მზეს“ (ლმერთს) (შენ გვედრები) (1,25).

ღვთისმეტყველი შეგვახსენებს: „თუ განწმენდილი ხარ ვნებათგან, მაშინ შენშია ცა და ამ ცაში ხედავ ანგელოსებს, ...მათთან ერთად, მეუფეს მათსას“.

„თუკი ყოველთვის საღმრთო აზრებით იქნები დაკავე-ბული, მაშინ ჭეშმარიტად იხილავ შენს სულში ქრისტეს ნა-თელს, დაუღამებელს“ (წმინდა ისააკ ასური) (5,230-240).

პოეტი ხედავდა ცის კაბადონის უხილავ ბზარებს, ცრემ-ლებს: „ცრემლი სდიოდათ კაბადონის უხილავ ბზარებს“ (ლირს მამა დავითს) (1,104).

გალაკტიონი ურწმუნოებაზე დალენილი, დანგრეული ზეცის სახით მიგვანიშნებდა, მერაბ კოსტავას ცრემლიანი და გაბზარული ცის კაბადონი ღმერთისუარმყოფელ ეპოქაზე მი-უთითებს.

„არსთა არსის“, ციერთა დასის ჰარმონია ანათებდა პოე-ტის სულს: „მშვიდი სამშვინველი აროდეს ბერდება, ის ამრეკ-ლავია თვით არსთა არსისა, საოცარ ნათებად ოდეს აუღერ-დება მასში ჰარმონია ციერთა დასისა“ (ეტიუდი) (1,81).

აქაც ხილვისა და სმენის უნარი შეთანხმებულად ვლინ-დებოდა.

„ქველის და ავის“ შეცნობა მხოლოდ უმწიკვლოთ დაებე-დებათ, ხოლო „ბრმადშობილთათვის ეს სამყარო დარჩება ბნელი, ცნობიერებას მათთვის აზრი არ ემეტება“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,89).

გალაკტიონის გამორჩეულობას, მერაბ კოსტავას აზ-რით, განაპირობებდა მისი განსაკუთვრებული ჭვრეტის ნიჭი:

„სხვისთვის უხილავს ჭვრეტდი ეთერში, ამაოებას არ დაემონე“ (გალაკტიონი) (1,154).

თითქოს ხორცის დამტევებელი პოეტის სულიც ხედავდა სხვათა, ცოცხალთათვის უხილავს: „რასაც ვერ ჭვრეტდა ცოცხალთა თვალი, გულთმისანივით ხედავდი მკვდარი“ (1,157).

მერაბ კოსტავას ლირიკის პერსონაჟები ერთდროულად მოიხილავენ ცას და მინას: „ვარსკვლავთა ლაჟვარდს ოცნებით ასწვდი და ეამბორე მინას“ (სულო, დაიცა!) (1,40-41).

ქვესკნელ-ზესკნელის საიდუმლოებების მაძიებელი სულია პოეტის იდეალი: „გიჯობს ქვესკნელის ვრცელი ველი მოინაპირო, ხოლო მერმე ყვავილწნულების სამსჭვალებით გაეკრა ზეცას“ (რუსთავი) (1,83-84).

წმინდა მამას ასე მიმართავს პოეტი: „გამჭოლავ მზერას აღაპყრობდი უძრავ ვარსკვლავეთს და საოცრებას დაეძებდი ვარსკვლავებს მიღმა“ (ლირს მამა დავითს) (1,104-105).

ლექსში „შიმშილობა“ წერდა: „ანგელოზთ დასის უბინოთვალში... მთელი ზეცა აირეკლება“ (შიმშილობა) (1,137).

მადლშემოსილი წმინდა მამები „წიალთა სიბრძნეს“ ასხურებდნენ აიაზმად (ლირს მამა დავითს) (1,104-105).

პოეტს ეიმედებოდა „მადლი ციური, რაღაც ძვირფასი, იდუმალი და მისტიური“ (ლირს მამა დავითს) (1,104), რადგან „ლვთის მადლი ყველა ადამიანის მხსნელია“ (პავლე მოციქული, ტიტეს, 3,11).

ადამიანს ლვთის მადლით ეძლევა ნიჭი: „და გვაქვს მადლით სხვადასხვა ნიჭი, ჩვენთვის მოცემული“ (პავლე მოციქული, რომაელთა მიმართ, 13,6).

„შეიცანით ჭეშმარიტებაში ლვთის მადლი“, მოგვიწოდებს წმინდა მამა.

დანტე ადიდებს სამების მადლს: „დიდება შენდა, ერთარსებავ, სამების სახით, ჩემთა ნაშიერთ რომ აღავსებ ციუ-

რი მადლით“. პოეტის აზრით, „ზენაარის მადლის შემცნობი ღვთის საბრძანისში ივანებს“ (6,335).

„ადამიანი... უმადლოდ, როგორც ხორცი უსულოდ, არაფრის მაქნისია“ (12,7).

ანა კალანდაძეს აღავსებდა „ძალი ზემადლთა მიმოფენისა“ (13,87).

მერაბ კოსტავას აზრით, „ალთქმულის მადლი“ სამების „მძლე სიყვარულით“ მოიპოვება: „მაშინ გაუვა ყავლი წამებას, აღთქმულის მადლი როს არ აგვცდება, როს ჩვენს წიაღმი ესე სამება მძლე სიყვარულით გაერთარსდება“ (იყავ უმწიკვლო, ვითა ცხოვარი) (1,54-55).

მერაბ კოსტავას პოეზიაში ღვთისნიერი სულის მეგზური იყო ხმა ზეციური: „მეგზურად მუდამ წაგიძლვება ხმა ზეციური, თუკი საკუთრად გადააქცევ ჩემს წმინდა ნებას“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,101).

პოეტს ესმოდა ჩვეულებრივთათვის მოუსმენელი, თითქოს ცის კარი იღებოდა და უჩინარი ბაგე ანგელოზთა ხმით უგალობდა: „ანაზდად პირი იბრუნა ბნელმა, ზეცამ სივრცეებს მოხსნა სარქველი და უჩინარი მლოცველის ხელმა ერთად დაანთო ყველა სანთელი. და როგორც თვალი პატიოსნების, ცით მონადენი უკვდავი მანა, სივრცეებს ავსებს ანგელოზებრი უჩინარი ბაგით ნათქვამი ნანა“ (თეთრი ქალწული) (1,42-48).

პოეტს ესმოდა „დრო-უამის ენა, სამყაროს ენა, საგნების ენა, ვარსკვლავების ენა, კოსმოსის სუნთქვა, სფეროთა ქნარი, ანგელოზთა ნანა, წარსულის სუნთქვა.“

ცის ფერი და „სამყაროს ენის“ გაგება გაავდრებას კი არა, სამყაროს გაბრწყინებას ამცნობდა: „მოუსხამს ლურჯი ცას კრეტსაპმელი, გაავდარება არ უწერია, სამყარო ელავს, როგორც კანკელი და ენა მისი ერთობ მჭევრია“ (შიმშილობა) (1,131).

„სულის საყდრის“ განახლებისთვის ევედრებოდა „სასოებას და სიხარულს“ (ლმერთს) და „მეოხად“ ესახებოდა მისი

ხმა, მადლი: „რაღას დამაკლებს უამთა დინება, თუკი მეოხად ხმა შენმიერი და შენი მადლი მომეფინება“ (შენ გევედრები სულით გლახაკი) (1,23).

ნიკოლოზ ბარათაშვილივით ცდილობდა მერაბ კოსტავა საკუთარი ხვედრის გარკვევას და „სიბრძნის წყაროსთან“ (ლმერთთან) ეგულებოდა ამ საიდუმლოების გასაღები: „მან, სიბრძნის წყარომ, ერთმა გაცნობოს შენი წილხვედრი, შენი არჩივი“ (სფინქსი) (1,75-76).

მისთვის ზვიად გამსახურდია იყო შეუცნობის ძიებით გატაცებული, „სვებედის საწყისის მძებნელი“ (ძმას ქრისტეს-მიერს).

„მარადისობის ნერგის“ (ლმერთის), „უკვდავების ქნარის“ გალობა განუმტკიცებდა რწმენას: „...რა უკვდავების ქნარით გვიგალობ, ეს რა სამკვიდრო გერგო, ბოროტებასთან შეური-გალო, მარადისობის ნერგო“ (სულო, დაიცა) (1,40).

პოეტი ყურს მიაპყრობდა ბრძენთა და მისანთა წინათქმას: „რა დაადუმებს შეუცდომელ ბრძენსა და მისანს, თუ უნერია ასრულება წინათქმას მისას“ (ბიბლიური რემინისცენ-ციები) (1,95).

წინასწართქმულის აცხადებისას, ფაფარაშლილი სამყაროს ხილვისას განსაცდელში სიმშვიდეს ურჩევდა ქარიშხლის პირმშოს: „როცა წინასწარ თქმული ახდება, როცა სამყარო ფაფარს აიშლის, განსაცდელს მშვიდად თუ არ დახვდები, როგორ იწოდო პირმშო ქარიშხლის“ (იქ თავგანწირვა გაგი-ღებს კარებს) (1,22-23).

წინასწარმეტყველი და წინასწარმჭვრეტი, უტყუარი ინ-ტუიციით მომადლებული მისნის იდეალი მერაბ კოსტავას-თვის გალაკტიონ ტაბიძე იყო: „ინტუიციით, განწონით მიზნის, წინათგამჭვრეტი და წინათმგრძნობი, პოეტის გული გუ-ლია მისნის“ (გალაკტიონი) (1,155).

პოეტების მეფის მახასიათებელი იყო „გულთმისნის“ ხედვა, „სხვისთვის უხილავის“ ჭვრეტა, სფეროთა ქნარის,

წმინდა მუსიკის, კოსმიური რიტმის, კოსმოსის სუნთქვის მოსმენა, ციური და მიწიერი საწყისების წვდომა, გრძნობისა და აზრის თანხმიერება, რაც მარადიულობის საწინდარია: „განა ოდესმე დაიფერფლები, გრძნობას აზრით თუ გარს მოევლები და ვით მუდმივი ცეცხლი ტაძრების, შენ არასოდეს დაინაცრები“ (გალაკტიონი) (1,146).

წმინდა მამას ესმოდა „ანაზდეული რეკვა ციდან“ (ლირს მამა დავითს) (1,106).

ხედავდა რა ცის კაბადონის უხილავ ბზარებს, სილაჟვარდის ცრემლებს, სჯეროდა, რომ „არსშემოსილი“ მამების, „სიპრძნის წყაროს აიაზმად მასხურებელთა“ ღვანწლი ამაოდ არ ჩაივლიდა, ისევ აინთებოდა რწმენის წმინდა ცეცხლი და დამჭკნარი კვერთხი ისევ აყვავდებოდა, ისევ მიუბრუნდებოდა ათეისტური ეპოქა თავის საუკუნოვან რწმენას – ქრისტიანობას, რაც ახდა კიდეც: „მამაო, წყარო ცხოვრებისა ვისხუროთ ვინძლო, მამაო, ვინძლო დამჭკნარ კვერთხებზე ყლორტი ვახაროთ“ (ლირს მამა დავითს) (1,107).

კვერთხი მარიამის სიმბოლოა (14,124), ყლორტი – ქრისტესი (15,122).

„გამხმარი კვერთხის აყვავება... რელიგიურ სიმბოლიკაში მარადიული ცხოვრებისა და სპირიტუალობის გამომხატველია“ (მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე).

„პიროვნული ეგოს“ შემცნობი, „უმაღლესი მისანი“ იყო პოეტის იდეალი: „...შეიცნოს თავი, უმაღლესი გახდეს მისანი, ზეშთაგონებით გაბრძნობილი მოძღვართმოძღვარი“.

აქვე დიდი ადგილი უჭირავს ალლოს, „გუმანს“, რაც ინტუიციის ტოლფასია: „გუმანით გრძნობდი, რომ ბედისწერას მუდამ დაჰყვება ხმა გამგმირავი“ (ირაკლის) (1,124).

მერაბ კოსტავას მრავალმხრივი მოღვაწეობის უმთავრესი კრედო იყო „სამყაროს საცნაურყოფა“, „სამერმისო ერის მისიის“ განსაზღვრა, რასაც უძღვნა კიდეც თავისი წიგნი „ფიქრები საქართველოს მისიაზე“ (თბ. 1991).

პოეტს ხელეწიფებოდა, განეჭვრიტა ზეციური გეომეტრია, „ისტორია ცისა და მიწის“, „მსოფლიო კულტურების თანმიმდევრობა, ცნობიერების გრადაცია განუწყვეტელი...“, მომადლებული ჰქონდა ასტრალური ხედვა, ასტრალური სმენა, ხედავდა ასტრალურ სინათლეს, შეეძლო ასტრალური ბერითი ტალღების მოახლოება, საუბრობდა ეპიფიზზე, როგორც ნათელხილვის ორგანოზე...

ზეიდ გამსახურდია ესახებოდა, როგორც „უკიდეგანო ასტრალურ ზღვაში დემონთა ხროვის დამამხობელი“ (ძმას ქრისტესმიერსა) (1,11-15).

აღიარებდა ცოდნის ორ სახეს, რაციონალურს და ინტუიციურს, თანაც აუცილებლად მიაჩნდა მათი ერთობლივი მოქმედება.

ინტუიციას, როგორც მხედველობის ველში რეალურად მოცემულის ფარგლებს მიღმა ჭვრეტას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, სწავლა ადამიანის სპირიტუალური უნარები.

„განა ოდესმე დაიფერფლები, გრძნობას აზრით თუ გარს მოევლები?“ (გალაკტიონი).

მერაბ კოსტავა საუბრობს გრაალის ძმობის რაინდების სივრცული ნათელხილვის უნარზე, შორი მანძილიდან, მონსალვატის მთიდან ბოროტების კონცენტრაციის ჭვრეტაზე, რაც საშუალებას აძლევდათ, დროზე აელაგმათ ძალმომრეობა (9,46).

დავით აღმაშენებელმა სპირიტუალური უნარის მეშვეობით იცოდა თითოეული ეკლესის მსახურისა თუ ფეოდალის ზნეობრივი დონე, განზრახვანი. ამის შიშით ვერავინ ბედავდა ღალატს ან სხვა რამე ბოროტი განზრახვის ფიქრადაც გავლებას (9,45).

მეფეს უშუალო კონტაქტი ჰქონდა სულიერ სამყაროს-თან, ამიტომაც გახლდათ იგი ლირსი გრაალის ბარძიმის ფლობისა (9,49).

გონისა და ინტუიციის ფენომენებით დაჯილდოებული პოეტი რწმენას ცოდნას შეაშველებდა ხოლმე და, პირიქით, რაც უტყუარი დასკვნების გაკეთების საშუალებას აძლევდა.

მითოლოგიის, ბიბლიის, ღვთისმეტყველების, სასულიერო მწერლობის, მსოფლიო კლასიკური ნააზრევის ცოდნა ასაზრდოებდა მის დიდ ინტუიციას.

ხშირად გადიოდა საინფორმაციო ველზე.

ეროვნული იდეალებისთვის ჯვარცმულ პოეტს სჯეროდა, რომ მშობელი ხალხი თავისუფლების იდეალებისთვის, მრავალსაუკუნოვანი რწმენისთვის თავს გასწირავდა და ღვთის შენევნით მიაღწევდა სანუკვარ ოცნებას, რაც ახდა კიდეც: „დღევანდელობის ავიტანთ პროზას, რადგან განზრახვა შემოქმედისა გვპირდება ახალ მეტამორფოზას, თანამდგომელად ქართლის ძედისა“ (ტანჯვათა ტიტანი) (1,47), „არა, არა სურს ჭეშმარიტებას განირვა დედა საქართველოსი“ (1,10).

როგორც აკაკი წერეთელთან, მერაბ კოსტავას პოეზიაშიც მიჯაჭვული ამირანი არის საქართველოს სიმბოლო. საქართველოს უგვირგვინო მეფეს – აკაკი წერეთელს სწამდა ამირანის აშვება: „მოვა დრო და თავს აშვებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი“...

მერაბ კოსტავას იდეალი იყო რკინის მკვნეტელი ამირანის გათავისუფლება: „...ხოლო ამირანს, რკინის მკვნეტელად ვინც დაპბადა, იგი აუშვებს“ (რუსთავი) (1,84).

აწმყოს პრობლემების საფუძვლიანი ანალიზი საშუალებას აძლევდა უცდომლად განეჭვრიტა მერმისი.

პოეტის მთელი ცხოვრება იყო მრავალთავიან ჰიდრასთან ბრძოლა, ხვედრი – ციხე, გადასახლება, რეპრესიები, გამუდმებული დევნა. ინტუიციით გრძნობდა პოეტი, რომ მას არ აპატიებდნენ საზარელ ურჩსულთან მუდმივ რაინდულ შემართებას და ყველაფერს იღონებდნენ მუხანათი მტრები მის დასადუმებლად.

ზვიად გამსახურდია მართებულად აღნიშნავს: „მერაბ კოსტავამ ლექსში „პაემანი“ საოცრად იწინასწარმეტყველა ის, რომ იგი ჩემზე ადრე დასტოვებდა ამ წუთისოფელს და მე, მის აკლდამასთან, თალზით მოსილი, დაველოდებოდი მეგობრის აჩრდილს! აკი ამიხდა ყოველივე“ (1,5).

ლექსში საუბარია სულზე, როგორც აბობოქრებულ ოკეანეზე, მის ჭიდილზე ტალღებთან, სულში დიონისეს ღრეობაზე, აპოლონის ღვთაებრივი ჰანგების აუდერებაზე, ბოლოს ობლის სამარხთან თალზით მოსილის გლოვაზე, ძმაკაცის აჩრდილის მოვლინების ლოდინზე, რაც აქილევსის ლაერტის ძესთან შეხვედრას ჰგავს. აი ეს სტრიქონები: „შენ ხარ ოკეანე, აბობოქრებული, ამასთანავე, შენ ხარ ჯებირი, შმაგი ტალღების შემკეტველი რვალის კლიტულში. შენში ღრეობდა დიონისო და ან აპოლონ უკრავს შენში ღვთაებრივ ჰანგებს. ობლის სამარხზე აკვნესებულ საროზე ხარ შენ მგლოვიარე. სსოვნას გიშხამავს საფლავების ჩამოლამება და აკლდამასთან თალზით მოსილი, ვითა აქილევს, ელოდები მეგობრის აჩრდილს“ (პაემანი) (1,121).

მერაბ კოსტავას დაებედა „ბედის გრაგნილის“ უტყუარი კითხვის უნარი. მიღმურში გასასვლელად მხოლოდ ჯვარცმის გზას იგულვებდა: „მიღმეთში ისე ვერ გადახვალ, ჯვარცმულის წვით თუ არ ევნები“ (ვინ იცის) (1,122).

სამკალის მუშაკთ, ზოდიაქოებში ოქროცურვილი თავთუხების ძნების ზეცაში ამტანთ, მყოფადში წმინდანის შარავანდედით ხედავდა (ღირს მამა დავითს) (1,106).

ეიმედებოდა ერის მარადიულობა და მოგვიწოდებდა მისი ფენომენის მსახურებისკენ: „სცან შენი მოდგმის ბალავერი, ურყევი მიწყივ“ (ბიბლიური რემინისცენციები) (1,93).

საღვთო სიყვარულის მსახურთა, „ტრფობა ნაჭარბი... გულებით“, უზენაესი ნათლის წინამძღვრობით მავალთა ხეედრია განგების წყალობა: „...რადგან სამკალი ასე გვემდიდრა, ისევ ჩვენ შევკრათ თავთუხების ძნები... უდრეკ ზღუ-

დეთა მარად დამძლევი, ვყოთ სიყვარული ჩვენ გზად და ხი-  
დად და ბნელში ნათლით გეზის გამკვლევი, მეოს გვექმნების  
განგება დიდად“ (ირაკლის) (1,128).

წინასწარმეტყველურია მერაბ კოსტავას ზვიად გამ-  
სახურდიასადმი მოძღვნილი ლექსი „ძმას ქრისტესმიერს“  
(1,11-15).

მასში ზედმიწევნით კარგად, კეთილმოსურნე ადამიანის  
თვალით არის დანახული ზვიადის პიროვნება, მისი რელიგიუ-  
რი და ეროვნული იდეალები, რაც საშუალებას აძლევს ნაწარ-  
მოების ავტორს, განჭვრიტოს ამ პიროვნების როლი ერის სუ-  
ლიერ წრთობაში, მისი კეთილი ზემოქმედება თაობებზე. სრუ-  
ლიად ბუნებრივად იქმნება ლექსში სახე მორწმუნე და პატრი-  
ოტი ადამიანისა, რომელიც წმინდა ალაგებთან, ტაძრებთან,  
წმინდა მამათა ძვალშესალაგებთან, მღვდელმთავართა და მე-  
ფეთა საძვალეებთან ჩნდება ხშირად, რაც ათეისტურ, ეროვ-  
ნულობის უგულვებელყოფელ საუკუნეში მის გაუცხოებას  
იწვევს, მაგრამ ლექსის ავტორს ზვიადი ესახება, როგორც  
თამარ დედოფლის მწირი, „სალვთო სინედლის გულში ალ-  
მდგრელი“, პარსიფალის ნახევარძმა, დიდგორს მოსული ტაძ-  
რელი, ლვისგან ხელდასმული გრაალის მცველი, იდუმალე-  
ბებით მოცული ადამიანი, რომელმაც ვაჭრულ ეპოქაში „ნათ-  
ლობის მადლი“ განუხალა თანამოძმებს, „დაშრეტელი რწმე-  
ნის ჭირისუფლად“ მოევლინა ერს... ჭეშმარიტების მაძიებელ-  
მა რაინდმა თავისი ხალხის ეროვნული თვითშეგნება აამაღ-  
ლა, მისი სულიერი წყობა შეცვალა უკეთესობისკენ: „დიდ წი-  
ნაპართა ტანჯვით ვნებულმან ერში ზრახვანი ალძარ ვნებისა,  
როს განაახლე მინავლებული ხმა ეროვნული თვითშეგნებისა.  
ოსტატის სიბრძნით გამოარჩიე, აზრთა განწყობას უცვალე  
ფერი, ხელწერა შენი გულს დაამჩნიე, ახალ ხარისხზე ასწიე  
ერი“ (ძმას ქრისტესმიერს).

ზვიადის დამსახურება იყო „ვეფხვთან სარკენად“ გასუ-  
ლი ცხრა მოძმის „ფიცვერცხლით შემომტკიცება“ დევიზით:  
„ჩვენადვე თავი ხამს გვეყუდნოდეს“.

ზვიადის „გულისსწორი“ იყო სამშობლო, ქაჯეთის ტყვე ნესტანი, ზვიადი ხალხს ევლინებოდა „სიმართლის ფარით, რნმენის სამკლავით და საფუხარით“...

ნესტანის მაძიებელი ტარიელის მარადი თანამდგომი იყო თვით მერაბი – ავთანდილობის უეპრო მაგალითი.

ლექსის ავტორს უკვირს მოყვასისგან ერის სულიერი მესვეურის განსჯა, ეკალბარდებში სიკეთის მთესველს არც „ჭორის ღვართქაფი“ ასცდა, არც ძმრით სავსე ფიალა, რაც არ აიცდინა. ეს იყო უფლის გამოცდა, „რადგან განგებას რომელი უყვარს, მასვე მოუვლენს სასტიკ განსაცდელს“.

მაცდურნი ამაოდ ამაყობენ ამ წუთისოფლად, იმ სოფ-ლის ბჭესთან ისინი მათხოვრად წარსდგებიან, ძმის აღსარე-ბის გამცემი ზეცაში ვერ იპოვის თავშესაფარს.

ჯვარცმული მოღვაწის დაუკინყარ სახეს რომ ქმნის, რეზიუმესავით გაუღერდება ქვეყნის პირველი პრეზიდენტის უკვდავების იდეა, რომელმაც დაამხო დემონთა ხროვა: „გა-დაიჭრები გზნებით მყოფადში, დაემკვიდრები ხალხში მითი-ვით, ზეალმართული ჩვენს ეპოქაში მიქელანჯელოს კუშტ და-ვითივით. დაუცხრომელო სულიერ ცდაში დაუსაბამო სიტყვის მხმობელო, უკიდეგანო ასტრალურ ზღვაში დემონთა ხროვის დამამხობელო“.

ციმბირში მყოფ პატიმარ მერაბ კოსტავას, რომელსაც შვილის თვითმკვლელობის ტრაგედიაც ვერ ასცდა, ზვიადმა უძღვნა ასევე წინასწარმეტყველური ლექსი, რომელშიც მგზნებარებით არის წარმოდგენილი მერაბის რაინდული ბუ-ნება, მორწმუნის ჯვარცმა და მარადიულობა: „ერის მჭმუნვა-რე ძმათა კრებული ერის საფიცარ რაინდს გიწოდებს, უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ვნებული სასუფეველში შეხვალ, იცოდე! ქრისტემ მოგმადლა ცის გასაღები და სერაფიმთა ჰაეროვნე-ბა, არ გნამს მონღოლის წატრაბახები და არც მარდოხეს ყალბი ცხოვნება“.

ისინი ერთმანეთის გარეშე ვერ წარმოიდგინებოდნენ და ლექსშიც რაინდებად, იდეალურ მეგობრებად წარმოჩნდებიან,

უკეთურთა მცდელობის მიუხედავად: „გვეტანებოდნენ ძალ-ლნი და ღორნი, შემუსვრა სურდათ ელვარე ჭალის, მაგრამ ხომ დავრჩით მაინც ჩვენ ორნი, მკრთალნი რაინდი მწუხარე სახის!“.

მათ იმედებს კვებავდა „ცხოვრების წყარო, თვალი არ-სთა განმრიგის“.

ლექსში ნათლად ჩანს მათი ოცნებების სიდიადე, ღვთის-მშობლის წილხვდომილი მამულისათვის თავდადებულთა მა-ლალი მისია: „და ოცნებებიც ცას მისწვდნენ ჩვენი, ცა გარ-დაგვეხსნა მარადჟამული... დე, ელვარებდეს ივერთა ცაზე მზე შუალამის, ბარძიმი წმინდა, გვწყალობდეს, ვინაც გვი-კურთხა ვაზი და ღვთისმშობელი ვინაც დაწინდა. ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე, ბნელში მსხდომთ კვალავაც ავუნთოთ კვარი და მიგვიძლოდეს ეკლიან გზაზე წმინდა გიორგი და ნი-ნოს ჯვარი“ (1,9-10).

„მზე შუალამის“ სალვთო სახელია, ბარძიმი, გრაალი არის სიმბოლო ღვთისმშობლისა, სულინინდისა და გრაალის მფლობელი არის სულინმინდით გამსჭვალული ადამიანი“ (16,38).

„სამერმისო ერის მისიაზე“ მუდმივად მოფიქრალი პოე-ტი ოპტიმისტურად უყურებდა ჩვენი ქვეყნის მომავალს: „დღევანდელობის ავიტანთ პროზას, რადგან განზრახვა შე-მოქმედისა გვპირდება ახალ მეტამორფოზას, თანამდგომე-ლად ქართლის ბედისა“ (ტანჯვათა ტიტანი) (1,17).

## დამოწმებანი

1. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ., 1990
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
4. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი IV, თბ., 1992
5. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი III, თბ., 1991

6. დანტე, ლვთაებრივი კომიდია, თარგმანი კ. გამსახურდია-სი, თბ., 1941
7. ანრი ბერგსონი, ცნობიერების უშუალო მონაცემები, თბ., 1993
8. კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძ-ვლები, სიზმრები, თბ., 1995
9. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ., 1991
10. ოოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმინევნითი გადმოცემა, თბ., 2002
11. ნეტარი ავგუსტინე, აღსარება, თბ., 1995
12. ილია ჭავჭავაძე, აზრები, შემდგენელი გ. კალანდარიშვი-ლი, თბ., 1983
13. ანა კალანდაძე, რჩეული, თბ., 1987
14. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, 1995
15. ტიტე მოსია საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1996
16. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ., 1990

## დასკვნა

გალაკტიონ ტაბიძე იყო ქართვული ლექსის ნავატორი და რეფორმატორი. მისი პოეზია გამორჩეულია ენიგმებით, ლიცენციებით, ნეოლოგიზმებით, ასონანსური და კონსონანსური რითმებით, არა მხოლოდ ეგზოტერული, არამედ ეზოტერული სიბრძნით, ნათელზილვის, ნათელსმენის ფენომენებით. პოეტების მეფის მემკვიდრეობა შემოქმედებით შეხვედრას ავლენს რუსულ და ევროპულ კლასიკურ პოეზიასთან, გოეთესთან, ედგარ პოსთან, დანტესთან.

მერაბ კოსტავა მრავალ ასპექტში შეხვდა გალაკტიონს, მაგრამ არა როგორც ეპიგონი, არამედ როგორც ჭეშმარიტი პოეტი.

მათ ანათესავებთ რელიგიურობა, ორივე პოეტის შემოქმედებაში მრავლად არის საღვთო და საღვთისმშობლო სახის-მეტყველების მაგალითები. ისინი ეთაყვანებიან წმინდა გიორგის.

მათი მახასიათებელია სვლა არა დინების მხარეს, არა-მედ „ქარის პირდაპირ“.

გამოარჩევთ მტერთან ჰუმანური დამოკიდებულება.

ისინი იზიარებენ მესიანისტურ იდეას.

სწამთ ერის უკეთესი მომავალი.

ამ პოეტებს აინტერესებთ საღვთო სიბრძნე, საღვთო სიყვარული.

მათ პოეზიაში მრავალმნიშვნელოვანი სახეებია ღვინო, ქარი, დემონი, ზღვა, ოკეანე, ცა, მიწა, მუხა, დიონისე, აპოლონი.

მათი ინტერესის საგანია მსოფლიო ისტორია, ერის მომავალი, ჭეშმარიტი შემოქმედი, მათი თვალთახედვით, „წინათგამჭვრეტი და წინათგრძნობია“.

ხელენიფებათ ჰადესში ჭვრეტა.

მერაბ კოსტავა, პოეტების მეფის დარად, ყურადღებას იქცევს ნეოლოგიზმებით, როგორიცაა, იცისკროს, იბრძო-

ლოს, ჩაეხვიარა, ამიმთაბარა, იალაფა, ამწყურვალა, აითასმა, აგეანცათ, აამზევებს, ათავთავდება, აფრააშვება, გაერთარ-სდება, გააცისნორა, იისფერი ღამე, ნუგეშის და.

მის ლექსებში მრავლად არის ასონანსური, კონსონანსუ-რი, შეთავსებული რითმები. სუსხია – შემოუსხია, შეხმატები-ლება – გამოცდილება, ზვრების – სხვები, ენეოსი – ანთეოსი, კარი – ცხვარი, კართან – კვართან, გასაოცარიმოძვარი, მტვერია – შესაფერია, უნერია – ენამჭევრია, ქალა – ძალა, იქცევისი – ვიქცევით, ვნებული – მიცვალებული, განძია სუბ-სტანცია, დაემონე – დაიმონი, დავარდი – აელვარდი, შენა-ვარდება – ბარდება, ატყვია – მანტია, კანდელი – სარკმელი, დაულეველი – სასუფეველი. დემონი – ბომონი, მაცილი – გაცრილი, მერობა – ალმაცერობა, სერაფიმთა – სერობა, სთხოვდა – ათოვდა, სინათლე – სიმართლე, კვესი – ქლესის, იმედებში – კედლები, კანკელი – სარკმელი, დაულეველი – სასუფეველი, დიდება – დაგებედება, მაყარი – გზათშესაყა-რი... (1,11-166).

გალაკტიონის ომონიმურ, ტავტოლოგიურ რითმებზე, ასონანებზე, კონსონანსებზე, დისონანსებზე, პოეტის რითმის მორფოლოგიაზე, ლექსიკაზე, სემანტიკურ ფუნქციაზე არსე-ბობს თამარელა წონორიას ვრცელი, საფუძვლიანი, საინტე-რესო გამოკვლევა „გალაკტიონი ტაბიძის რითმა“ (2,3-181).

ზვიად გამსახურდიას მონონებას იმსახურებდა როგორც მერაბ კოსტავას პოეზიის იდეები, ისე ფორმაც: „ლექსი მისი საქართველოს გოლიათი ციხეების დუღაბით ნაგებს ჰგავს. ენა ძარღვიანი, ძველ ქართულთან ნაზიარები, პოეტური ნეო-ლოგიზმები, თამამი რითმათა სამყარო, უჩვეულო რიტმი, ძლიერი და დაძაბული, როგორც მისი სახის ნაკვთები.“

„ლექსის აბჯრით არის შეჭურვილი, ლექსის შუბით და ლახვრით ეომება მტერს: ნახეთ მისი „დიდგორი“, „ლირს მამა დავითს“, „დოსტოევსკი“, „გალაკტიონი“ (რა ძეგლები დაუდგა თავის საყვარულ მეფეებს, წმინდანებს, პოეტებს“(3,13).

## **დამოწმებანი**

1. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“, თბ., 1990
2. თამარელა წონორია, „გალაკტიონ ტაბიძის რითმა“, „ინ-ტელექტი“, თბ., 2012
3. ზვიად გამსახურდია, „ძე ქარიშხლისა“, მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“, თბ., 1990

ლუარა სორდია არის ფილო-ლოგის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. მისი კვლევის სფეროა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ესთეტიკის პრობლემები, თანამედროვე ლიტერატურული პროცესები.



სრულიად საქართველოს გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატორთა კავშირის მიერ დაჯილდოებულია პოეტის სახელობის მედლითა და პრემიით. ასევე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მიერ მიღებული აქვს ტერენტი გრანელისა და ბეჟან ხარაიშვილის სახელობის პრემიები.

ლუარა სორდია ავტორია შემდეგი მონოგრაფიების: გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები, „განათლება, თბ. 1991 (დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებისთვის), უცნობი სფინქსი (დაკვირვებები ტერენტი გრანელის პოეზიაზე), „ალაშარა“, სოხუმი, 1992, გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1993 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1996 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), რევაზ მიშველაძის შეგონებანი, გამონათქვამები, ხატოვანი თქმები, ფრაზები, „ობოლი მარგალიტი“, თბ. 1999, რევაზ მიშველაძის

ნოველათა სამყაროში, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ. 2001, ანა კალანდაძის პოეზია (ბიბლიურ-ქრისტიანული ასპექტები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2005 (სტუ-დენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი (შემოქმედებითი ნათესაობის საკითხები), „მერიდიანი“, თბ. 2005, წერილები, ბიბლიის ერთი კონცეფ-ცია, აპოკალიფსური სახეები, გრაალის იდეალი, „უნივერსა-ლი“, თბ. 2009, საღვთო სიბრძნისა და საღვთო სიყვარულის ადეპტები ქართულ პოეზიაში, „უნივერსალი“, თბ. 2009, ქრის-ტიანული სახისმეტყველების საკითხები XX საუკუნის ქარ-თულ პოეზიაში, „უნივერსალი“, თბ. 2009, ანა კალანდაძის ეს-თეტიკის საკითხები, „უნივერსალი“, თბ. 2009, გოდერძი ჩო-ხელის „მგელი“ (პრობლემატიკა და სახეები), „უნივერსალი“, თბ. 2009, გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფ-ლმხედველობის საკითხები, თბ. 2009 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძის ესთეტიკის საკითხე-ბი, „უნივერსალი“, თბ. 2011, ტერენტი გრანელის ბედისწერა, „უნივერსალი“, თბ. 2011, მეფისტოფელის საუკუნე და გალაკ-ტიონ ტაბიძის პოეზია, „უნივერსალი“, თბ. 2011, მეოცე საუ-კუნის პირველი ნახევრის ქართული ოპოზიციური ლირიკა, „უნივერსალი“, თბ. 2011, ანტიციპაცია მეოცე საუკუნის ქარ-თულ ლიტერატურაში“, „უნივერსალი“, თბ. 2011, ქართველი მამულიშვილი მსოფლიოს გზებზე (მსოფლიოში მოგზაურ და მსოფლიოს რეკორდსმენ ჯუმბერ ლეჟავას ფენომენი), WWW. Sou.edu.ge 2012. ქრისტეს მხედარი კოლხეთიდან (ვა-ჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები) WWW. Sou.edu.ge 2012. ქართული სულის კოლიზეუმი (ვაჟა ეგრისელის პოეზია) „უნივერსალი“, თბ. 2015.

მადლშემოსილი (გულნაზ ხარაიშვილის სულის გალობა), „უნივერსალი“, თბ. 2015, ბეჭან ხარაიშვილი–ქართული პოეზიის მიმინო, „უნივერსალი“, თბ. 2016.

ტერენტი გრანელის ენიგმები, „უნივერსალი“, თბ. 2016.

მერაბ კოსტავას პოეზია, „უნივერსალი“, თბ. 2017.

გრაალის ორდენის რაინდი – გრიგოლ რობაქიძის მსოფლმხედველობისა და სახისმეტყველების ზოგიერთი პრობლემა, „უნივერსალი“, თბ. 2017; გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სამყარო, „უნივერსალი“, თბილისი, 2018; ნიკო სამადაშვილის პოეზია, „უნივერსალი“, თბილისი 2021; რობერტ მესხის „ლირიკის თვალსაწიერი“, „უნივერსალი“, თბილისი, 2021; სულიერების მსახური. გულნაზ ხარაიშვილის „დარდის პირამიდების“ მთავარი კრიტერიუმები, „უნივერსალი“, თბილისი, 2023; ინდიგო – ადამიანთა ახალი, „იისფერი რასა“ – ლამარა გერგედავას „ლიტერატურული მოზაიკის შთაგონება“, „უნივერსალი“, თბილისი, 2023; ტერენტი გრანელის შემოქმედების ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო მასშტაბები, „უნივერსალი“, თბილისი, 2024.

**დამკაბადონებელი  
ნანა დუმბაძე**

**ყდის დიზაინერი  
ირაკლი უშვერიძე**



**გამომცემლობა „უნივერსალი“**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკის №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com